საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

IV
64

ისტორიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

2

1992

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии

ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

2. 1992

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. ცირდანია, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), ო. ცქიტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мусхелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. Л. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 4.6.92; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.8.92; ანაწყობის ზომა 7×12. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თ[illegible]ხი 16.8; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.88. შეკვეთა № 652; ტირაჟი 800
ფასი 2 მან.

●

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

●

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის . . . 5
ა. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის . . 20
მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები 45
მ. ჩართოლანი, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის 68
მ. ქიქოძე, ბაქარ ბაგრატიონის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა . 83

ცნობები და შენიშვნები

ა. სონღულაშვილი, ეროვნული ენა და ეროვნული ურთიერთობა საქართველოში . 102
ნ. გეგელიშვილი, არჩილ II-ის ბრძოლა იმერეთის ტახტისათვის XVII საუკუნის 80—90-იან წლებში, მისი პირველი მარცხი და შვილების რუსეთში დაბრუნება . 111
გ. ჯაფარიძე, რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან არაბულ ისტორიულ წყაროებში 117
გ. გოცირიძე, ცხოვრებით უზრუნველყოფის კულტურა და კვების ხალხური სისტემის შესწავლის ამოცანები საქართველოში 126
ზ. სხირტლაძე, ღვთისმშობლის მიძინების კომპოზიცია კუმურდოს ეკლესიაში . . 143

კუბლიკაცია

ა. ძენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია 160

დისკუსია და განხილვა

გ. ყორანაშვილი, მოსაზრებანი ისტორიოგრაფიის აქტუალური პრობლემების შესახებ 178
ს. გამსახურდია, ზოგიერთ ისტორიულ პრობლემათა შესახებ 184

ქრონიკა და ინფორმაცია

მ. ვახტანგაძე, ამერიკის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების (AOS) 202-ე კონფერენცია 192

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Д. Л. МУСХЕЛИШВИЛИ, К истории самоназвания Грузии 5
К. Д. АНТАДЗЕ, М. Л. КАЛАНДАДЗЕ, К. Л. МЕШВЕЛИАНИ, Периодизация истории 20
М. П. ПАПАДЗЕ, Вопросы этно-политической истории древней Абхазии . . 45
М. И. ЧАРТОЛАНИ, К вопросу о первоначальных поселениях сванов в высокогорье Западной Грузии 68
М. Г. КИКОДЗЕ, Общественно-государственная деятельность Бакара Багратиони 83

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

А. В. СОНГУЛАШВИЛИ, Национальный язык и национальные взаимоотношения в Грузии (1921—1925 гг.) 102
Н. М. ГЕГЕЛИШВИЛИ, Борьба царя Арчила за имеретинский престол, его первое поражение и возвращение сыновей в Россию 111
Г. И. ДЖАПАРИДЗЕ, Несколько эпизодов из эпохи царствования Деметре I в арабских исторических источниках 117
Г. Ш. ГОЦИРИДЗЕ, Культура жизнеобеспечения этноса и задачи этнокультурологического исследования народной системы питания в Грузии . . 126
З. Н. СХИРТЛАДЗЕ, Композиция Успения Богоматери в церкви Кумурдо 143

ПУБЛИКАЦИИ

А. М. МЕНТЕШАШВИЛИ, Грузинская демократическая республика и Парижская мирная конференция 150

ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

Г. В. КОРАНАШВИЛИ, Соображения об актуальных проблемах исторической науки 178
С. В. ГАМСАХУРДИЯ, О некоторых исторических проблемах 181

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

М. ВАХТАНГАДЗЕ, Конференция американского Востоковедческого общества 192

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჩვენი ერის თვითსახელწოდება — „ქართველი“ — საკმაოდ რთული სემანტიკის მქონეა და ასეთივე ისტორია აქვს. დღეს თუ მისი შინაარსი მეტ-ნაკლებად გარკვეულია და ასე უწოდებს თავის თავს საქართველოს რესპუბლიკის ქართულ ენაზე მოსაუბრე ძირითადი მკვიდრი მოსახლეობა, წარსულში ვითარება სხვაგვარი იყო. ზემოაღნიშნულ მნიშვნელობასთან ერთად ტერმინს განსხვავებული დატვირთვაც ჰქონდა, როგორც ფართო, ასევე ვიწრო შინაარსითაც იხმარებოდა, კერძოდ, ეროვნულთან ერთად კულტურულ-რელიგიურ და ვიწრო ეთნოგრაფიულ მახასიათებლებსაც შეიცავდა.

ეტიმოლოგია ტერმინისა გარკვეული არ არის, რაც ჩვეულებრივია ეთნონიმთა დიდი უმრავლესობისათვის. ქართველი მეცნიერები ამ ეთნონიმს უკავშირებენ საქართველოს ისტორიიდან (და დღევანდელობიდანაც) კარგად ცნობილ ტოპონიმს (და ხორონიმს) — „ქართლს“. ასე მაგალითად, ს. ჯანაშიას მიხედვით „სახელწოდება „ქართლი“... შედის ქართველი ერის სახელწოდება „ქართველში“[1]. ნ. ბერძენიშვილიც აღნიშნავს, რომ ცნებისაგან „ქართლი“ იწარმოება „ქართველი“[2].

ფაქტობრივად, ამავე აზრისაა გ. მელიქიშვილი, რომელსაც თვით ტერმინის — „ქართლი“ — ეტიმოლოგიზაციის ცდაც აქვს. საქმე ის არის, რომ, როგორც ცნობილია, ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, „ქართლი“ ეწოდება მთას, რომელზედაც სახლდება ქართველთა ეთნარქ-ეპონიმი: „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი. და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“[3]. ამ „მთა ქართლის“ ზუსტი ლოკალიზაცია, ნ. ბერძენიშვილის ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებების შედეგად, დღეს ჩვენთვის ცნობილია. იგი ამართულია მცხეთის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არმაზის ხევის თავში. ეს უნდა ყოფილიყო ქართველ ტომთა გაერთიანების უძველესი ცენტრი, საიდანაც დასაბამს იღებს აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრიობა[4]. გათხრებმა უჩვენა, რომ აქ ადრექრისტიანულ ხანაში გრანდიოზული ციხე-სიმაგრე იყო აგებული.

გ. მელიქიშვილი ამ პუნქტის სახელწოდებას უკავშირებს დასავლურ-ქართულ ტერმინს — „ქართა“ (მოლობილი ადგილი), ამ უკანასკნელს კი ეთნონიმ „ქართი“-ს[5]. აქედან გამომდინარე, ავტორი ქართველთა თვითსახელწოდების

---

1 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ქართველი ერის წარმოშობის შესახებ. შრომები, VI, 1988, გვ. 174.

2 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1990. გვ. 298.

3 ქ-ცა, I, გვ. 8.

4 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 215, 216.

5 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, გვ. 237, 238.

წარმოქმნას ასე ვარაუდობს: „ქართა-ელი>ქართაველი (კეთილხმოვანებისთვის ხმოვნებს შორის ჩაერთვის „ვ")>ქართველი"[6].

აქ ჩემთვის ბევრი რამ საეჭვოა.

ჯერ ერთი, ეთნონიმი „ქართი" არსად დამოწმებული არ არის (ტოპონიმი „ქართი" — თბილისის მეგრული სახელწოდება — სწორედ „ქართლიდან" მოდის). იგი სულ უკანასკნელ ხანს მწიგნობრული გზითაა შექმნილი. შემდეგ, სინამდვილეში უნდა არსებულიყო ეთნონიმი „ქართუ" (უმარცვლო უ-ნით), რასაც ამოწმებს მეგრელთა მიერ აღმოსავლელ-ქართველთა სახელდება — „ქორთუ" (ამას, სხვათა შორის, გ. მელიქიშვილიც აღნიშნავს)[7]. ეს „ქართუ" ადვილი შესაძლებელია პუნქტსაც და ქვეყანასაც ეწოდებოდა და სწორედ აქედან ნაწარმოებ სახელად მგონია მე „ქართუ-ელ-ი", რომელიც წყაროებში დამოწმებულ უძველეს ფორმად მიმაჩნია[8], საიდანაც მომდინარეობს საყოველთაოდ ცნობილი — „ქართველი".

ასევე საეჭვოდ გამოიყურება „ქართლი"-საგან უშუალოდ ვამოყვანა ტერმინისა „ქართველი". „ქართლი"-საგან ბუნებრივად ნაწარმოებია „ქართლელი", ასევე საყოველთაოდ ცნობილი ეთნონიმი, რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

თუმცა კი „ქართლისა" და „ქართველის" ურთიერთ არსებით კავშირზე ეჭვი არავის მიაქვს, მაინც ფორმალური (ლინგვისტური) თვალსაზრისით მათი ურთიერთმიმართება, როგორც ვხედავთ, გაურკვეველია.

ნ. ბერძენიშვილისთვის „ქართლის" ეტიმოლოგია უცნობია[9]. ერთგან იგი წერდა: „ამ უკანასკნელის ეტიმოლოგია არა ჩანს, მაგრამ ის თითქოს ჩანს, რომ ერთ-ერთმა ქართველურმა ტომმა (იბერებმა, მესხებმა??) ეს საგეოგრაფიო სახელი უწოდა უკიდურეს პუნქტს, რომელიც ამ ტომს (ქართს) ეჭირა"[10]. ქართის „პირველსაცხოვრისად" კი იგი გვიანდელ „ქვემო ქართლს" გულისხმობდა[11]. უფრო გვიან მეცნიერმა სხვაგვარი ვარაუდი გამოთქვა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტერმინი „ქართლი", საიდანაც იწარმოება „ქართველი", ადგილობრივი ტერმინია, რომლითაც იწოდებოდა გარკვეულ პუნქტში („გორაზე") მოსახლე ერთ-ერთი ქართველური ეთნიკური კოლექტივი („სახლი")[12].

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ, ჩემი აზრით „ქართუელი" — „ქართველი" ნაწარმოები უნდა იყოს „ქართუ"-დან ისევე, როგორც „მ-ეგრ-ელ-ი" წარმომდგარია „ეგრი"-დან ან „ფხო"-დან (შდ. შუაფხო) — „ფხოელნი"... გაურკვეველი რჩება ჩემთვის „ქართუ"-ს და „ქართ-ლ"-ის ურთიერთდამოკიდებულება. ფორმალურად „ქართუელის" დამოკიდებულება „ქართუ"-საგან იდენტურია „ქართლელის" დამოკიდებულებისა „ქართლ"-ისაგან. მეორე მხრივ, უეჭველია ზემოხსენებულ მეცნიერთაგან პოსტულირებული ურთიერთდამოკიდებულება „ქართველისა" და „ქართლისა". ეს მტკიცდება იმითაც, რომ ამ ორ, ეთნიკურ

---

[6] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238, შენ. 441.

[7] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20; იხ. აგრეთვე, Меликишвили Г. А., К истории древней Грузии. 1959, стр. 77, 107, 108.

[8] ქ"ცა, 1, 3.

[9] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223, 244.

[10] იქვე, გვ. 223; შდ. იქვე, გვ. 225.

[11] იქვე, გვ. 224.

[12] იქვე, გვ. 243.

და გეოგრაფიულ ტერმინს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფართო და ვიწრო მნიშვნელობები აქვთ, რომლებიც, შესაბამისად, ერთმანეთს აბსოლუტურად თანაემთხვევიან.

მართლაც, რას გულისხმობს, მაგალითად, ლეონტი მროველი, როდესაც „ქართლზე" საუბრობს. ისტორიკოსის „ქართლი" მითიური ქართლოსის წილხვედრი ქვეყანაა, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, მოიცავს ტერიტორიას „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა". კონკრეტულად თუ რა „ქვეყნებს" შეიცავდა მროველისეული „ყოველი ქართლი", ეს ჩანს ქართლოსის შვილებისა და შვილიშვილების სახელებისა და მათი წილხვდომილი ტერიტორიებიდან. კერძოდ. ქართლოსის შვილებია: გარდაბოსი, გავიოსი, კუხოსი, კახოსი და მცხეთოსი. ხოლო ამ უკანასკნელის შვილები: უფლოსი, ოძრჯოსი და ჯავახოსი[13].

ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ კონტექსტით „მაშასადამე, იგულისხმება, იყო ქართლოსის ქართლი, რომელშიც შედიოდა კახოსის ქართლი, კუხოსის ქართლი, გაჩიოსის ქართლი, გარდაბოსის ქართლი, მცხეთოსის ქართლი.

ამ უკანასკნელში კი შედიოდა ოძრჯოსის ქართლი, ჯავახოსის ქართლი და უფლოსის ქართლი.

მაგრამ ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: პირველი ისა, რომ ყველა ამ „ქართლებს", გარდა საერთო სახელისა „ქართლი" საკუთარი სახელი გააჩნიათ კახეთი, კუხეთი, სამცხე (კლარჯეთი). ჯავახეთი; მხოლოდ სამ ქართლს (გარდაბოს. გაჩიოს და უფლოსის წილს) არ გააჩნიათ სხვა საკუთარი სახელი.

უფლოსის წილი „შიდა ქართლი", ან მისივე სახელი „ზენა სოფელი" მოწმობს. რომ სხვა ქართლიც იყო, რომელსაც „ქვენა სოფელი" და „გარე ქართლი" უნდა რქმეოდა. ასეთი სახელი კი უნდა რქმეოდა გარდაბოსისა და გაჩიოსის წილ ქართლს.

ამიტომაც იყო, რომ მათ სხვა საკუთარი სახელი არ ჰქონდათ და მსგავსად უფლოსის წილი ქართლისა ქართლადვე იწოდებოდნენ... და ეს იმიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ რეალურ-ისტორიულად „ქართლი" სწორედ ეს ქვეყანა იყო და სხვა დანარჩენი ქართლი ეს იყო პოლიტიკური ქართლი, საკუთრივ ქართლის ტომის ინიციატივით კლარჯეთ-სამცხე-ჯავახეთის და კახეთ-კუხეთის ტომთა ქართველიზაცია-ასიმილაციის შედეგი"[14].

წყაროს ნ. ბერძენიშვილისეული ანალიზიდან აშკარად ირკვევა, რომ უძველეს ხანაში არსებობდა ეთნოგრაფიული „ქართლი", რომელიც „ზენა სოფლისა" და „ქვენა სოფლისაგან" შედგებოდა ანუ უფრო გვიანდელი ტერმინოლოგიით „შიდა ქართლისაგან" და „ქვემო ქართლისაგან". ამ „ქართლის" ცენტრს წარმოადგენდა არმაზის მთა, რომელსაც უფრო ძველად აგრეთვე „ქართლი" ეწოდებოდა.

ამგვარად, ლეონტი მროველის მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ გვიანდელი საქართველოს ცენტრალურ ტერიტორიაზე მოსახლე ქართული ტომების ერთ-ერთი ცენტრი — „ქართლი" გარკვეული პირობების გამო წინაურდება და აერთიანებს მტკვრის შუა დინების აუზს, რომელსაც ამიერიდან „ქართლი" ეწოდა. ეს არის ეთნოგრაფიული ქართლი, რომელიც უძველეს პერიოდში ზენა და ქვენა სოფლად იყო გაყოფილი მტკვრის დინების მიხედვით. კიდევ უფრო გვიან ამ ქართლის ჰეგემონობით მოხდა აღმოსავლეთით კახეთის (და

---

13 ქცა, I, გვ. 8, 9.

14 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 240, 241.

კუხეთის), ხოლო სამხრეთ-დასავლეთით სამცხე-ჯავახეთ-კლარჯეთის გაერთიანება. ეს იყო უკვე ლეონტი მროველისეული ქართლოსის ქართლი ანუ პოლიტიკური ქართლი, რომელიც შემდგომ ფარნავაზმა ერთ სამეფოდ, ქართლის სამეფოდ ჩამოაყალიბა. ლეონტის მიხედვით ჯერ ქართლოსის ქართლი შეიქმნა, ხოლო შემდეგ იგი დანაწევრდა ნაწილებად. რეალურ-ისტორიულად კი, ცხადია, სწორედ პირუკუ უნდა ყოფილიყო[15].

ერთი სიტყვით სავარაუდოა, რომ ვიდრე პოლიტიკური ქართლი წარმოიქმნებოდა (ქართლოსის ქართლი) უნდა არსებულიყო ეთნოგრაფიული ქართლი (უფლოს — გაჩიოს — გარდაბოსის წილი), რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო წვრილ ტომობრივ-ტერიტორიულ გაერთიანებას წარმოადგენდა ცენტრით ქართლში („მთა ქართლი")[16]. ამ ეთნოგრაფიული ქართლის გვერდით არსებობდნენ ასეთივე ტომობრივ-ტერიტორიული ერთობები კახეთისა, სამცხისა, ჯავახეთისა, კლარჯეთისა და ა. შ.

რა ვითარებაა ეთნიკური თვალსაზრისით?; ვის უწოდებდნენ ძველი ქართული წყაროები „ქართველებს"?.

უკვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" (VII ს.) ამ ტერმინს, ვფიქრობ, ორი — კერძო ანუ ეთნიკურ-ტომობრივი და ზოგადი ანუ ეთნიკურ-ეროვნული — მნიშვნელობით ხმარობს. ამ მატიანის მიხედვით დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე წინაელინისტურ ხანაში სხვადასხვა არაქართველი მოდგმის ტომი ცხოვრობს: „ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი", ბუნ-თურქნი, ჰონნი... ალექსანდრე მაკედონელს კავკასიაში ლაშქრობისას „თანა ჰყვანდა ... აზოჲ, ძჱ არიან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად... ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას ... და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა, აზოჲ, ძჱ არიან ქართველთა მეფისაჲ"[17].

აი, აქ ხმარობს პირველად „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შატბერდული რედაქცია ამ ტერმინს. კონტექსტით, რამდენადაც „არიან ქართლიდან" მოყვანილი თვრამეტი „სახლი" ქართველებისა დაპირისპირებულია სრულიად სხვა მოდგმის ტომებს (ბუნ-თურქებს, ჰონებს). ამდენად, საფიქრებელია, რომ აქ მემატიანის ეს ცნებაც (ქართველნი) ტომობრივი შინაარსისაა ისევე, როგორც ტომობრივ-ტერიტორიულ ერთეულად უნდა იგულისხმებოდეს „არიან ქართლი", თუმცა კი იგი, ცხადია, არ მდებარეობს ცენტრალურ ამიერკავკასიაში — „კედარსა მას ქუეყანასა".

სხვა ადგილას, უკვე წმინდა ნინოს მოღვაწეობის ამსახველ ციკლში, იგივე მატიანე (ჭელიშ. რედ.) მოგვითხრობს, რომ როდესაც ხმა გავრცელდა ჰეროდეს დროს იერუსალიმის „სპარსთა" მიერ დაპყრობის შესახებ „გლოისა წიგნი მოწერია ყოველთა ზედა ჰურიათა და ქართველთა, მცხეთელთა მკვიდრთა და ბოდელთა მღდელთა, კოდისწყაროელთა მწიგნობართა, და სოფის-კანელთა თარგმანთა"[18]. აქ „ქართველნი" ზოგადი ცნებაა, ეთნიკურ-ეროვნული, რაც სრულიად ცხადია კონტექსტით, რამდენადაც აქ მხოლოდ „შიდა ქართლის" მოსახლეობაზე კი არ არის საუბარი („ქართველნი" მცხეთელნი და კოდისწყაროელ-

---

15 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150, 241.

16 იქვე, გვ. 224.

17 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. 1964. გვ. 81, 82 (ქვემოთ: ძეგლები).

18 ძეგლები I, გვ. 126.

ნი), არამედ კახეთის მოსახლეობაზეც („ქართველნი“ ბოდელნი). შესაბამისად შატბერდული რედაქციის შესატყვის ტექსტში — „გლოვისა წიგნი მოეწერა ყოველთა ჰურიათა მომართ ქართლისათა“ და სხვ. — „ქართლი“ ეთნოგრაფიული ქართლი კი არ არის, არამედ ქართლის სამეფო ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თხრობისას.

ასეთივე ზოგადი მნიშვნელობით იხმარება იმავე მატიანეში „ერი ქართველი“[19], რაც აქ ქართველ ხალხს ან უფრო ზუსტად ახლადმოქცეულ ქართველ ქრისტიანთა კრებულს გულისხმობს.

ზოგადი მნიშვნელობით ხმარობს ცნებას „ქართველი“ ლეონტი მროველიც (XI ს.), როდესაც ქართველი ხალხის წარმოქმნისა და ქართლის სამეფოს უძველეს ისტორიას მოგვითხრობს. საინტერესო აქ ის არის, რომ ისტორიკოსის დროისათვის ამ ტერმინს კიდევ უფრო ფართო შინაარსი ჰქონდა, ვიდრე იგი გულისხმობს და ეს უნდა მოწმობდეს არა მხოლოდ იმას, რომ ლეონტი ძველი წყაროებით სარგებლობდა, არამედ იმასაც, რომ თვით მას ჰქონდა შემუშავებული გარკვეული კონცეფცია ამ თვალსაზრისით. ეს კარგად უჩვენა ნ. ბერძენიშვილმა.

პირველ რიგში „ქართველნი“ ლეონტი მროველისთვის მამამთავარ ქართლოსის ჩამომავალნი არიან. ამდენად ერთი მოდგმის ხალხი — „ქართლოსიანები“ არიან: სპარსელებთან საბრძოლველად „პოვეს ჟამი მარჯუე ქართლოსიანთა, ეზრახნეს ოვსთა... და რომელ პოვეს სპარსი. ყოველი მოსწყჳდეს ოვსთა და ქართველთა“[20]. ვინ არიან ეს ქართველი — ქართლოსიანები ჩვენ ესეც უკვე ვიცით: ეთნოგრაფიული ქართლის გარდა მთელი აღმოსავლეთი საქართველოს მოსახლეობა — კახნი, კუხნი, მესხნი, ჯავახნი, კლარჯნი და ა. შ.

ამგვარად, „ქართველი“ ეროვნული შინაარსის ტერმინია და პირველ ყოველისა ქართველურ ტომთა ერთობლიობას მიემართება. ეს ჩანს, სხვათა შორის, იქიდანაც, რომ ამ ცნებას ლეონტი სხვა ხალხებთან დაპირისპირებისას თანაბარმნიშვნელოვნად ხმარობს: „ოვსნი და ქართველნი“, „თურქნი და ქართველნი“, „სომეხნი და ქართველნი“, „ბერძენნი, ჰრომნი და ქართველნი“[21].

მაგრამ იმავე თხზულებიდან ჩანს, რომ „ქართველთა“ შორის ისტორიკოსი მხოლოდ ერთი მოდგმის ხალხს არ გულისხმობს. ასე მაგალითად, როდესაც ლეონტი გადმოგვცემს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით ზემოთ უკვე დამოწმებულ ეპიზოდს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართლში ხმა გავრცელდა იერუსალიმის სპარსთა მიერ დაპყრობის შესახებ, იგი აღნიშნავს: „იქმნა გლოვა და წუხილი ჰურიათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა მკჳდრთა“. ხოლო, როდესაც გაირკვა, რომ ეს იყო ჭორი, „იქმნა სიხარული დიდი ყოველთა ზედა ჰურიათა ქართველთა“[22]. აქედან ცხადია, რომ, მას შემდეგ რაც „უესპასიანოს ჰრომთა კეისარმა წარმოტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე (ე. ი. ნაბუქოდონოსორის დროს ოტებულ[23], (დ. მ.) ურიათა თანა“[24] და დაემკვიდრნენ მცხეთაში, ამიერიდან, ლეონტის აზრით, ისინი „ჰურიანი ქართველნი“ არიან და ე. ი. ივარაუდებიან ცნე-

19 ძეგლები, I, გვ. 147.
20 ქცა, I, გვ. 13, 14.
21 ქცა, I, გვ. 14, 15, 16 და სხვ.
22 იქვე, გვ. 98.
23 იქვე, გვ. 15, 16,
24 იქვე, გვ. 44.

ბაში „ქართველნი“. ამგვარად, ლეონტის მიხედვით „ქართველი“ გულისხმობს არა მხოლოდ „ქართლოსიანს“, არამედ ქართლის „მკვიდრ“ მოსახლეობასაც[25].

ეს კარგად ჩანს მირიან მეფის მაგალითზე.

უმემკვიდრეოდ დარჩენილ ქართლის ტახტზე მაეჟან სპასპეტის რჩევით ქართველ წარჩინებულებს სპარსეთის შაჰის შვიდი წლის შვილი, მირიანი მოჰყავთ. ასე რომ ლეონტის წარმოდგენით მირიანი სპარსია. ეს ის მირიანია, რომელმაც ქართლის სამეფოში ქრისტიანობა ოფიციალურად აღიარა და რომელიც ეკლესიამ ქართველ წმინდანთა რიცხვს მიაკუთვნა. ცხადია, შუა საუკუნეებშიც (და ამჟამადაც) მირიანს ჰეშმარიტ ქართველად თვლიდნენ და რეალურად ეს ასეც იყო. ეს ცხადი იყო თვით ლეონტისთვის, მაგრამ იგი თავისებურად ასაბუთებს მირიანის ქართველობას: მირიანმაო „შეიყვარნა ქართველნი, და დაიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ჭურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათჳს ქმნა. და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა. და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა. და მეფობდა ესრეთ მირიან“[26].

ლეონტი მროველს აქ, ფაქტობრივად, გადმოცემული აქვს თავისი კონცეფცია იმის შესახებ თუ ვინ შეიძლება ჩათვლილიყო ქართველად ქრისტიანობამდელ ქართლში: ის, ვინც: 1) ქართულ ენას ფლობდა („ისწავა ენა ქართული“), 2) ქართულ კულტურას ეზიარებოდა („ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ჭურუმნი კერპთანი... აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა“); 3) ქართული სახელმწიფოს ისტორიის პაცივისმცემელი და ქართული ეროვნული მახსოვრობის მჭონე იყო („შეამკო საფლავი ფარნავაზისი“) და 4) ქართველი ხალხის კეთილდღეობას ემსახურებოდა („კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოველთა დიდებითა“)[27].

ამრიგად, ლეონტი მროველის წარმოდგენით სისხლისმიერ წარმომავლობას „ქართველობისათვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასეთი წარმოდგენა თვით ლეონტის შექმნილი კი არ არის, არამედ გაცილებით ადრე იქნა შემუშავებული. მაგრამ მისი დამსახურება ამ რეალურ-ისტორიული მოვლენის გააზრებაში მაინც დიდია. აი, რას სწერს ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი: „ლეონტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან. XI ს-ის პოლიტიკურმა მოღვაწემ, ორთოდოქსმა ქრისტიანმა, შეძლო და წინაქრისტიანული „ქართველის“ ეთნო-კულტურული სახე მოხაზა. ... ჩამომავლობა — (ქართლოსიანობა).—ენა (ქართული), ტერიტორია — (ქართული),—რჯული (ქართლოსის საფლავი და მნათობები) და ისტორია (მამა-პაპათა ხსოვნის პატივისცემა) — ეს იყო ქრისტიანობამდელი ხანის ქართველი კაცის კულტურული სახე. ამრიგად, „ქართველი“, რომელიც თავდაპირველად სადაურობის აღმნიშვნელი ცნება იყო და „ქართლოსიანი“, რომელიც თავდაპირველად სისხლით მონათესავეობის აღმნიშვნელი ცნება იყო, ორივე ეს ცნება ერთმანეთის იდენტური გახდა ერთ კულტურულ ცნებაში — „ქართველი“[28].

---

25 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 254, 256, 257, 258, 381.

26 ქ-ცა. I. გვ. 65.

27 შდ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 377, 378.

28 იქვე, გვ. 382; შდრ. ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძო-

უფრო გვიან, როდესაც ქრისტიანობა ქართლის სახელმწიფო რელიგიად იქცა და წარმართული კულტის ადგილი ქრისტიანობამ დაიჭირა, ტერმინის — „ქართველი“ — შინაარსი, როგორც კულტურულ-ისტორიული ცნებისა ქართული მართლმადიდებლური მრწამსის იდეით გამდიდრდა. ამ გარემოებას, ხშვადასხვა ისტორიული პირობების გამო, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისათვის. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა აღვნიშნო.

საქმე ის არის, რომ „ქართველი“ ძველქართულ ისტორიულ წყაროებში კიდევ ერთი, ვიწრო ეთნოგრაფიული მნიშვნელობით იხმარებოდა. ასე მაგალითად, „ისტორიანი და აზმანი“ გიორგი III-ის შესახებ გვამცნობს: „უბრძანა ტაოელთა. კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა. მესხთა და თორელთა — კარისა და აშორნისა, და ამირ-სპასალარსა და სომხითართა — მტკუარს აქეთ ვიდრე განძამდის; თჳთ ხასაგიანთა ლიხთ-იმერთა და ქართველთა — განძას დამართებით მტკურის პირი იმიერ და ამიერ ხოლთამიდის. ჰერთა და კახთა — ალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის. იქმნა ესევითარი უცხო ლაშქრობა, რომლისა სიგრძე აროდეს ვის ეხილვა“[29]. კიდევ უკეთ ჩანს ეს ამირ-მირმანისა და აღსართან შარვანშას თამარის კარზე სტუმრობის ცერემონიალის აღწერისას. მემატიანე გადმოგვცემს: „პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით. მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი: და შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი: შემდგომად ქართველნი: და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი: შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ და თჳთ კარვისა კარსა ჴელისუფალნი და შინაურნი“[30]. ასევეა ჟამთააღმწერელთანაც, როდესაც იგი. მაგალითად „აზნაურთა ქართველთა და სომხითართა“, აგრეთვე მესხთა. თორელთა. თმოგველთა და ტაოელთა ერთმანეთს უპირისპირებს[31].

ამ მაგალითებიდან ცხადია, რომ „ქართველნი“ აქ ეთნოგრაფიული ქართლის მოსახლეობას (ლაშქარს) გულისხმობს. კიდევ მეტი. არამც თუ ეთნოგრაფიული ქართლის. არამედ საკუთრივ შიდა-ქართლის მოსახლეობას, რამდენადაც „სომხითარნი“, „სომხითის“ ანუ ქვემო ქართლის მოსახლეობას აღნიშნავს.

თუ რატომ ეწოდებოდა ქვემო ქართლს X ს-დან „სომხითი“ და, ამდენად, მის მოსახლეობას „სომხითარნი“. ეს კარგად არის ცნობილი. ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ამ პერიოდშიც. მიუხედავად იმისა, რომ წყაროებში უშუალოდ დამოწმებული არა გვაქვს, ცოცხალ მეტყველებაში „ქვემო ქართლი“, ძველი „ქვენა სოფლის“ შესატყვისად კვლავაც იხმარებოდა. საამისო არაპირდაპირი მოწმობაა თამარის ისტორიკოსთან შემონახული ტერმინი „ზემო ქართლი“[32], რაც უეჭველია „ქვემო ქართლის“ არსებობასაც გულისხმობს. თამარის ისტორიკოსები და ჟამთააღმწერელიც არ იცნობენ ტერმინს „შიდა ქართლი“. მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მათ დროს ასეთი ეთნოგრაფიული ცნება არ იხმარებოდა. ჩვენ ვიცით, რომ „შიდა ქართლი“ ლეონტი მროველთან გვაქვს დამოწმებული (XI ს.) და გვიან საუკუნეებში ხომ

ლის გამოვლენა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I. 1955. გვ. 162.

[29] ქ'ცა, II, გვ. 16.

[30] იქვე, გვ. 65.

[31] იქვე, გვ. 305, 306.

[32] ქ'ცა, II, გვ. 51.

იგი ჩვეულებრივი ტერმინია. ამიტომ სავსებით მართალი უნდა იყოს ს. ყაუხჩიშვილი, როდესაც თამარის ისტორიკოსის მიერ ნახმარ ფრაზაში: „ლაშქრობდეს ქუემონი ქუემოთ, და ზემონი ზემოთ, და შუანი შუათ“[33], „ქუემონი“ — ქვემო ქართლის ლაშქრის აღსანიშნავ ტერმინად მიაჩნია[34]. ამის დასტური უნდა იყოს ისიც, რომ გვიან საუკუნეებში ვამოწმებთ ტერმინებს „შიდა ქართველნი“[34] და „ქუემოთ ქართველნი“[35].

ამგვარად, ცხადია, რომ ტერმინი „ქართველი“, გარდა ზემოხსენებული ზოგადი მნიშვნელობისა, რომლითაც აღმოსავლელ ქართველთა მოდგმა („ქართლოსიანები“) თუ პოლიტიკური „ქართლის“ მკვიდრი აღინიშნებოდა, ვიწრო ეთნიკური შინაარსითაც იხმარებოდა და აღნიშნავდა ეთნოგრაფიული ქართლის (ზენა და ქვენა სოფლის) მკვიდრს.

როგორ უნდა აიხსნას ეს, ერთი შეხედვით, უცნაური ვითარება?

ნ. ბერძენიშვილი ლეონტი მროველის ტექსტის ერთ-ერთი ადგილის ანალიზისას ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „უნდა ვიფიქროთ, ცნება ქართველი მაინც არ იყო აგრე გაბოკვეთილი: ის სადაურობის (=„ყველა ის ვინც ქართლის მკვიდრია“, განურჩევლად სისხლისმიერი წარმომავლობისა[36], დ. მ.) გვერდით ტომობრივი მომენტის გადმოცემის ტენდენციასაც შეიცავდა, ან უკეთ, ასეთი ტომობრივი შინაარსით ივსებოდა ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, ეხლოლოდ ასეთი შინაარსის ტერმინად არ იქცა. ეს უკვე ადრევე შეიმჩნეოდა („მოკვდა მიქაელ მირიანის ძე ქართველი“), ხოლო უფრო გვიან მხოლოდ ასე ტომობრივი შინაარსით ესმოდათ „ქართველი“. ქ ა რ თ ლ ი ს კ უ თ ხ ი ს მ კ ვ ი დ რ ი“[37].

აქედან თითქოს ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ნ. ბერძენიშვილი ჩვენთვის საინტერესო ტერმინის შინაარსი პირველადად თვლიდა პოლიტიკურ ასპექტს, ხოლო მისი ტომობრივ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობა მეორადად მიაჩნდა. ეს, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ უკანასკნელი მნიშვნელობის ტერმინად მას „ქართლელი“ ეგულებოდა[38] და ორივე კი — „ქართლელიც“ და „ქართველიც“, — როგორც ვიცით, „ქართლიდან“ წარმოებულ ცნებებად წარმოედგინა. „ქართლელის“ წარმოება „ქართლიდან“ დასაბუთებას არ საჭიროებს, მაგრამ „ქართველის“ ასეთივე წარმომავლობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საეჭვოა. ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, ეთნო-ტოპონიმ „ქართუ“-დან მომდინარეობს. ჯერჯერობით, საბედნიეროდ, გაურკვეველია „ქართუ“-სა და „ქართლი“-ს როგორც სემანტიკური, ასევე მორფოლოგიური და ქრონოლოგიური ურთიერთობა.

გარდა ამისა, მთლად ზუსტი არ არის ნ. ბერძენიშვილი, როდესაც აღნიშნავს, რომ გვიან მხოლოდ ასე, ტომობრივი შინაარსით, ესმოდათ „ქართველი“: „ქართლის კუთხის მკვიდრი“. გვიან საუკუნეებში, თვით XIX ს-ის ჩათვლით, ეს ტერმინი ორივე მნიშვნელობით იხმარებოდა (შდრ. ნ. ბერძენიშვილის:

---

33 იქვე, გვ. 39.

34 იქვე, საძიებელი, გვ. 691.

35 ქ ც, გვ. 346.

36 იქვე, გვ. 482.

37 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 258; შდ., იქვე, გვ. 256, 259.

38 იქვე, გვ. 257—258.

39 იქვე, გვ. 255, თუმცა ერთგან იგი წერს: „ქართველი უპირველეს ყოვლისა ქართლის მკვიდრს ერქვა (ეთნიკურად“), იქვე, გვ. 259.

„ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო“...), ხოლო უკვე IX ს-ში და ე. ი. სწორედ მაშინ, როდესაც „ქართველი“ კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით იხმარებოდა, მისი ტომობრივ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობით გამოყენებაც უდავოდ დასტურდება. ასე მაგალითად, IX ს-ის შუა ხანებში დაწერილი ერთ-ერთი მარტვილობა ასეა დასათაურებული: „ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ“[40]. აქ, ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი ტერმინი სწორედ ეთნოგრაფიული ცნებაა და არა კონფესიონალური (რადგან კოსტანტინე-კახას მართლმადიდებლობა თავისთავად ცხადი უნდა ყოფილიყო). ეს კარგად ჩანს თვით მარტვილობის ტექსტიდანაც: „მას ჟამსა ოდეს იყო ვინმე ჭეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა, კაცი რომელსა სახელი ერქუა კოსტანტი, რომელსა ეწოდა კახაჲ სახელად მამულისა მის ჭეყანისა — კაცი ესე იყო წარჩინებულ ფრიად დიდად ყოველსა ჭეყანასა ქართლისასა“[41]. თუნდაც რომ აქ „ჭეყანა ქართლისა“ პოლიტიკური მნიშვნელობით იხმარებოდეს, ხომ ცხადია, რომ კოსტანტინე-კახას „მამული მისი ჭეყანა“ მაინცდამაინც შიდა ქართლია („ზენა სოფელი“).

ერთი სიტყვით, ჩვენი წარმოდგენით ეთნონიმი „ქართველი“ თავდაპირველი მნიშვნელობით ვიწრო ტომობრივ-ეთნოგრაფიული ტერმინი იყო (შდ. **„მოქცევაჲ“**-ს ზემოხსენებულ ცნობას), რომლითაც აღინიშნებოდა ერთ-ერთი ქართველური ტომის, კერძოდ ქართის (ქართუ) ტომის წარმომადგენელი, განსხვავებით სხვა ქართველური ტომების (გუგარნი, კახნი, მესხნი, ჯავახნი, შავშნი, ტაოელნი, კლარჯნი, ივერნი, კოლხნი, ზანნი, მეგრნი, სვანნი და სხვადასხვა) წარმომადგენელთაგან. ე. ი. თავდაპირველად სწორედ ეთნოგრაფიული ქართლის (ზენა და ქვენა სოფლის) მკვიდრ მოსახლეობას ეწოდებოდა „ქართველნი“. ის რომ დღეს ყველა ამათ და ბევრ სხვასაც ზოგადეროვნული სახელი „ქართველი“ ეწოდება მეტად რთული და ხანგრძლივი პოლიტიკური და ეთნოგენეტიკური პროცესის შედეგია, რომლის გარკვეული ეტაპიდან შესაძლებელი გახდა ასეთი მეტამორფოზი.

ამ თვალსაზრისით არავითარი პრინციპული განსხვავება არ არის „ქართველის“ მიმართებაში, ერთი მხრივ, „კახთან“ ან „მესხთან“ და, მეორე მხრივ, „მეგრთან“ (მეგრელთან) ან „სვანთან“. ისტორიულად იყო დრო, როდესაც არც კახნი, არც მესხნი, არც თუშ-ფშავ-ხევსურები თუ ტაო-კლარჯნი, არც მეგრელ-ჭანნი და არც სვანნი „ქართველებად“ არ იწოდებოდნენ, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული პერიოდიდან ყველა ესენი და ბევრი სხვანიც წმინდა წყლის „ქართველები“ არიან და ასევე იწოდებიან.

ჩვენ რომ ზემოხსენებული უკეთ გავიგოთ, მივმართოთ ისტორიულ ექსკურსს. პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი: როდინდლიდან შეიძლება ჩვენ ქართის (ქართუ) ტომების რეალურად არსებობა ვივარაუდოთ საქართველოს ტერიტორიაზე?

ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის მიერ 1905 წელს წამოყენებულ იქნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ძველქართული ტერმინი „კარი“ პირველყოფილთემური ურთიერთობის დროინდელი ტერმინია და იგი თავდაპირველად გვაროვნულ სამოსახლოს აღნიშნავდა[42]. ნ. ბერძენიშვილიც იზიარებდა ამ შეხა-

---

40 ძეგლები, I, გვ. 164.

41 იქვე, გვ. 165.

42 **И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, ТРАГФ, VIII, СПб, 1905, стр. 33.**

ძლებლობას. მისი სიტყვით: „ეს კარ-ები (ყარსი, ბაშკადიკლარები, კლდეკარი, არზრუმი და სხვა კარები ტაოში) შეიძლება არა მარტო გასავალს, არამედ უფრო ძველად მოსახლეობას, სახლს, გვარს, კერას ნიშნავდნენ... ეს ქვეყანა ამ „კარებით“ შეიძლება იყოს ნაკვალევი ქართის ტომის განსახლებისა უძველეს დროს... ეს ზეგანი უნდა ყოფილიყო ქართის ტომის სიძლიერის პირობა (მესაქონლეობა, მეხორბლეობა, მეტალურგია)... თრიალეთის კულტურა ამის ნიშანია... ეს კულტურა არ შეწყვეტილა... ის გადაიზარდა მცხეთის ქართლის კულტურაში...

კარი ამ რაიონში მოწმობაა იმისა, თუ რა ენაზე საუბრობდნენ ეს „კარელები“ შუაბრინჯაოს ხანაში და შემდეგ“[43].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილი შუა ბრინჯაოს ხანის ე. წ. „თრიალეთურ კულტურას“ (ძვ. წ. II ათასწ. I ნახ.), გავრცელებულს უპირატესად სამხრეთ საქართველოს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქართის (ქართუ) ტომების კულტურად მიიჩნევდა.

ეს ვარაუდი სავსებით რეალურია და მეც, ჩემი მხრით, ასეთივე დასკვნამდე მივედი. საქმე ის არის, რომ თანამედროვე ქართული სიტყვა „ცხოვრება“, რომელიც ამავე მნიშვნელობით ძველ ქართულშიც კარგად არის ცნობილი, წარმოსდგება „ცხვარ“ („ცხოვარ“) ძირისაგან. ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ძველქართული „ცხოვრება“ თავდაპირველად ნიშნავდა „მეცხვარეობას“[44] (შესაძლებელია, ზოგადად — „მესაქონლეობასაც“). რამდენადაც დღეს ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის და ისტორიული გეოგრაფიის ერთობლივი მონაცემების მიხედვით სრულიად უცილობელია ქართველურ ტომთა წინაპრების ავტოქტონობა კავკასიაში, ამდენადვე არქეოლოგიური თვალსაზრისით ერთადერთ პერიოდად, როდესაც ამ ტომთა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მეცხვარეობას (საერთოდ — მესაქონლეობას) იმდენად არსებითი მნიშვნელობა უნდა შეეძინა, რომ იგი „ცხოვრების“ სინონიმად ქცეულიყო, შეიძლება იყოს მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანა[45].

თუკი ზემოთქმულს გავიზიარებთ, მაშინ იმის გათვალისწინებით, რომ „ცხოვრება“ საკუთრივ ქართული ენის ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება, უნდა დავასკვნათ, რომ „თრიალეთური კულტურის“ მქონე ტომები, ძირითადად, მართლაც ქართის (ქართუ) ტომებ- უნდა ყოფილიყვნენ[46] და თუ ეს ასეა, მაშინ ეთნონიმ „ქართველის“ არსებობა ამ დროიდან შეიძლება უკვე ვივარაუდოთ. მართალია, შუა და გვიანი ბრინჯაოს ეპოქებს შორის უშუალო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ **ერთი აზრი არ არსებობს[47], მაგრამ უკანასკნელი ხანების არქეოლოგიურმა ძიებამ. კერძოდ, კახეთში, თითქოს დამაჯერებელი სურათი წარმოაჩინა ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტის თვალსაზრისით[48]** და, ამდენად, მართებული ჩანს ნ. ბერძენიშვილის ზემოხსენებული მოსაზრება, რომ შუა ბრინჯაოს „თრიალეთის კულტურის“ განვითარება არ შე-

---

43 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236, 237.

44 **Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.**

45 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1, 1977, გვ. 29—34.

46 **Мусхелишвили Д. Л., Историческая география и общественное разви-**

47 იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 35.

(Грузия): Проблемы исторической географии России, вып. I, М., 1982, с. 20, 21.

48 **Пицхелаури К. Н., Восточная Грузия в конце бронзового века, 1979, с. 62 и след.**

წყვეტილა და იგი გადაიზარდა „მცხეთის ქართლის კულტურაში“ ანუ გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურაში.

მართლაც, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში, შესაძლებელია კიდევ უფრო დასაბუთებულად ვისაუბროთ ქართველურ ტომთა ამიერკავკასიაში განსახლების გეოგრაფიაზე. კერძოდ, არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად და ტოპონომიკური მონაცემებითაც ირკვევა, რომ აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად, აღმოსავლურ-ქართული ტომები მოსახლეობდნენ[49], ხოლო დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე — დასავლურ-ქართული[50]. საბრეთ-დასავლეთი ტერიტორია (გვიანდელი მესხეთ-ჯავახეთი ჭოროხის აუზიანად) ტომთა ორი ზემოხსენებული არეალის თანხვედრისა და თანაცხოვრების ადგილი იყო[51].

მთელ ამ ტერიტორიაზე ქართველურთან ერთად არაქართველური ტომებიც მოსახლეობდნენ.

აღმოსავლურ-ქართულ ტომთა შორის ქართის (ქართუ) ტომის პირველსაცხოვრისს „ქართლი“ ეწოდებოდა და ასეთი „ქართლი“ (ეთნოგრაფიული გაგებით) ზენა და ქვენა სოფლად დანაწილებული, როგორც აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული არქეოლოგიური კულტურის ანალიზი ვლინდება, უკვე უნდა არსებულიყო გვიანი ბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში[52]. ასეთივე ეთნო-ტერიტორიული ერთობები არსებობდნენ ქართლის მეზობლად დასავლეთით, აღმოსავლეთით და ა. შ.[53].

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე და I ათასწლეულის პირველი ნახევარი ე. წ. „სამხედრო დემოკრატიის“ ხანაა, რომელიც ხასიათდება ტომთა შორის ინტენსიური სავაჭრო-კულტურული თუ საომარი ურთიერთობებით.

ქართლის ტერიტორიის (ზენა და ქვენა სოფლების) ბუნებრივ-ეკოლოგიური თავისებურებების გამო, რაც იძლეოდა ინტენსიური საირიგაციო სოფლის მეურნეობის, საიალაღო მესაქონლეობის და რკინის მეტალურგიის მძლავრი განვითარების საშუალებას, ადრევე (შუა ბრინჯაოს ხანაში) დაწინაურებული ქართის (ქართუ) ტომები ანუ „ქართველები“ კიდევ უფრო წინაურდებიან ეკონომიკურად სხვა მეზობელ ტომებში. მძლავრ ეკონომიკურ ბაზისს, ბუნებრივია, შესაფერისი სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაცია შეესატყვისებოდა, რასაც კარგად ადასტურებს არქეოლოგიური მასალა (ქართლის სოციალური ევოლუცია, ე. წ. „წარჩინებული მეომრების“ სამარხები[54]). ამან, საბოლოოდ, განაპირობა ამ ტომთა, როგორც ჰეგემონის როლი სხვა ზემოხსენებულ ტომთა შორის ურთიერთობათა პროცესში და ეს უკანასკნელი შემდგომში ქართის (ქართუ) ტომების უპირატესობით ვითარდება. ისინი ხდებიან წამმართველ ძალად ამ პროცესში.

---

49 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, შესავალი § 9.

50 თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, 1974, თავი I.

51 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 366; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25 და შემდ.

52 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65, 66; შდ. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—XVII სს.), 1973, გვ. 196, 197; გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974.

53 დ. მუხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 72—76; კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 190—197.

54 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 35.

იწყება ქართლის დიდი კულტურული ექსპანსია: მეურნეობრივად და კულტურულად დაწინაურებული, იგი ძლიერ გავლენას ახდენს მეზობლ ტომებზე, მიმდინარეობს ქართველურ ტომთა თანდათანობითი კონსოლიდაცია და არაქართველურთა ასიმილაცია. ეს კულტურული ექსპანსია მიმართული იყო აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთ-დასავლეთით. ამ დიდი და ხანგრძლივი პროცესის გამოხატულება უნდა იყოს ე. წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების, კერძოდ „ქართლის“ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით გამოვლენილი სიმეტრიულ პირიანი ბრინჯაოს ცულების (აგრეთვე კერამიკის) გავრცელების არეალი დასავლეთით კოლხეთისაკენ (ითხვისი, ბეჟათუბანი, პერევი, ზედა სიმონეთი, რაჭა. ლეჩხუმი, სვანეთი), აღმოსავლეთით კახეთ-ჰერეთისაკენ (მელაანი, ბაკურციხე, ჩალაუბანი, არაშენდა, ახალსოფელი, მატანი, სიღნაღი, იყალთო, შილდა, ლაგოდეხი, ვართაშენი), სამხრეთ-დასავლეთით მესხეთისაკენ (ბორჯომი, თელოვანი, ახალციხე, მეხჩისციხე)[55]. ასე თანდათან ქართლი თავისი გავლენის სფეროში აქცევს მეზობელ ტერიტორიებს, რომლებზეც ვრცელდება დაწინაურებული ქართლის არა მხოლოდ კულტურული, არამედ პოლიტიკური გავლენაც. შესაბამისად ფართოვდება „ქართლის“ ტერიტორიული მოცულობაც[56].

ამ პოლიტიკური და ეთნოგენეტიკური დიდი პროცესის პარალელურად მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური შემდგომი ევოლუციის პროცესიც... ასე ჩამოყალიბდა ძვ. წ. IV ს-ის დასასრულისათვის ქართლის სამეფო, რომელიც მოიცავდა კახეთის ტერიტორიასაც, ამიერკავკასიის მთიანეთსაც, მტკვრის ზემო წელს ჭოროხის აუზიანად და დასავლეთი საქართველოს ნაწილსაც. ეთელ ამ ტერიტორიას ეწოდა „ქართლი“ (ბერძნულ-რომაულ ისტორიოგრაფიის „იბერია“).

ქართლის სახელმწიფოს ამგვარი გავრცელება კარგად მოწმდება არა მხოლოდ ლეონტი მროველისეული ქართლოსიანთა გენეალოგიური სქემით, არამედ სხვა, ზამოხსენებული პროცესის თანადროული უცხოური წყაროების მონაცემებითაც და არქეოლოგიური მასალითაც.

ასე მაგალითად, როგორც ცნობილია ევსები კესარიელთან შემონახულია მეგასთენეს, ძვ. წ. III ს-ის დასაწყისის ისტორიკოსის, ცნობა: „ხოლო მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორმა, ჰერკულესზე უძლიერესმა, ლიბიასა და იბერიაში გაილაშქრა. ხოლო დაიმორჩილა და ხელთ იგდო რა ისინი, ნაწილი მათგანი პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე (ე. ი. პონტოს აღმოსავლეთით) დაასახლა“[57]. ივ. ჯავახიშვილი ამ ცნობას ასეთ კომენტარს უკეთებს: „ამგვარად ეს ცნობა ქ. წ. III ს-ის დროისა ყოფილა. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ იბერიელნი უკვე ამაზე დიდი ხნით უწინარეს უნდა ამიერკავკასიაში ვიგულისხმოთ და კერძოდ, შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროს მახლობლად. მეგასთენეს ცნობა ამტკიცებს, რომ იბერთა პოლიტიკური

---

55 კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 167, 168; ლ. სახაროვა, ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, 1976, გვ. 9; შ. ჩართოლანი, სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, 1977, გვ. 52.

56 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

57 მომაქვს ივ. ჯავახიშვილის თარგმანი: იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბ., 1950, გვ. 57.

ჰეგემონია III ს. უწინარეს უნდა დაწყებულიყო"[58]. მეგასთენეს მიხედვით, ამგვარად სრულიად უცილობელია, რომ გვიანდელი „ზემო ქართლი"[59] — მტკვრის ზემო დინებისა და ჭოროხის აუზი — „იბერებს" უჭირავთ და ე. ი. უკვე მეგასთენეზე უწინარეს „ქართლში" შემოდის.

კიდევ მეტი, მეგასთენეს ჩვენების პირდაპირ გაგება, მგონია, იმაზე მიგვითითებს, რომ პოლიტიკური ქართლის საზღვარი ამ დროს უშუალოდ ზღვაზე გადის. ჩემი აზრით, ამას უნდა მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ ძველქართულ წყაროებში შავ ზღვას „სპერის ზღვა" ეწოდება სპერის ძველქართული პროვინციაა[60], მდებარეობდა „მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქჳან ჭოროხი"[61], ხეობის ზემო წელზე. მაგრამ ის ფაქტი, რომ შავ ზღვას ქართველები ძველად „სპერის ზღვას" უწოდებდნენ, ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი აზრით, მოწმობს, რომ „სპერები (სასპერები...) იყო ხალხი (არაქართი) ზღვის პირას"[62]. მართლაც, სპერების ჰეროდოტესეულ სასპერებთან დაკავშირება სრულიად ბუნებრივია. ჰეროდოტე (IV, 37) კი, როგორც ცნობილია, შავი ზღვიდან სპარსეთის ყურემდე გაშლილ ტერიტორიაზე მოსახლე ოთხ ხალხს ასახელებს — კოლხებს, სასპერებს, მიდიელებს და სპარსელებს[63]. აქ მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული სიტუაცია, როგორც ფიქრობენ იმგვარია, რომ ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს, ხოლო თვით გეოგრაფიული კონტექსტი ცნობისა ისე შეიძლება გავიგოთ, რომ „სასპერების" ტერიტორია მოიცავს არა მხოლოდ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთს („ზემო ქართლს"), არამედ აღმოსავლეთ საქართველოს და არაქსის შუა და ზემო წელსაც[64]. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ პერიოდის პოლიტიკური ვითარების ამსახველი უნდა იყოს შავი ზღვის „სპერის ზღვად" წოდება ქართველების მიერ და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. VI ს-ში არა მარტო სპერები (სასპერები) გადიოდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, არამედე „პოლიტიკური ქართლიც" აღწევდა აქამდე.

მართლაც, სასპერ-სპერ-იბერის ცნებათა იდენტურ ეთნიკურ შინაარსზე არაერთ მკვლევარს მიუთითებია[65] და ჰეროდოტესა და მეგასთენეს ცნობების შეთანაპირებაც ამის მოწმობა უნდა იყოს: ვფიქრობ, რომ ორივე ისტორიკოსი ერთსა და იმავე ვითარებას ასახავს—სასპერ-იბერების პოლიტიკურ ექსპანსიას და ჰეგემონობას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა" უკვე ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში.

ფრიად საინტერესოა, რომ ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით

---

58 მომაქვს ივ. ჯავახიშვილის თარგმანი. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორიის შესავალი, 1, თბ., 1950, გვ. 57. მეგასთენეს ცნობის ინტერპრეტაციისათვის იხ. აგრეთვე М у с х е л и ш в и л и Д. Л., К вопросу о связях центрального Закавказья с Передним Востоком и раннеантичную эпоху, Сборник: «Вопросы археологии Грузии», I, Тб., 1978.

59 იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV, 1979, გვ. 511.

60 იქვე, IX, 1985, გვ. 511.

61 ჭ'ცა, I, 17.

62 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238.

63 ჰ ე რ ო დ ო ტ ე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1975, გვ. 262.

64 М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 232—233.

65 М е л и к и ш в и л и Г. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 233.

პირველივე ქართველი მეფის, ფარნავაზის დროს ქართლის სამეფოში დასავლეთი საქართველოც შემოდიოდა. ასეთი თვალსაზრისი გატარებულია ყველა უძველეს ქართულ ისტორიულ მატიანეში და, ამდენად, რეალური ისტორიული ტრადიციის მაჩვენებელი უნდა იყოს[66]. ეს კი გულისხმობს, რომ ძვ. წ. IV ს-ში ქართლს თავისი პოლიტიკური და შესაბამისად კულტურული გავლენა კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა გავრცელებინა კოლხეთზე (ეგრისზე და სვანეთზე). მართლაც, ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრის არქეოლოგიური მასალა და ამ დროინდელ ნამოსახლართა სხვა არქეოლოგიური რეალიები დასავლეთი საქართველოდან საამისოდ მჭერმეტყველ ჩვენებებს იძლევიან[67].

უაღრესად საინტერესოა კიდევ ის გარემოება, რომ სწორედ ამ პერიოდიდან, ძვ. წ. IV—III სს-დან საბუთიერად შეიძლება საუბარი ქართის (ქართუ) ტომების ინფილტრაციაზე, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. ეს პროცესი, სავარაუდოა, უფრო ადრე დაწყებულიყო და ის არქეოლოგიური მასალა, რომელზედაც ზემოთ მივუთითეთ, არ არის გამორიცხული, ამის მაჩვენებელი იყოს. კერძოდ, სწორედ ბრინჯაოს ზემოხსენებული ცულების რაჭის ტერიტორიაზე გავრცელებული ნაირსახეობა ბ. კუფტინს აქ აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ნაკადის შეჭრის დასტურად მიაჩნდა[68].

უფრო გვიანი ხანისთვის და კერძოდ, ძვ. წ. IV—III სს-დან ეს პროცესები კიდევ უფრო ნათლად ჩანს (აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი რეალიების — ქვევრსამარხები, წითლად მოხატული კერამიკა — გავრცელება გურია-იმერეთის ტერიტორიაზე)[69]. აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ელემენტის ინფილტრაცია ამ დროისათვის მოწმდება აგრეთვე აღმოსავლეთით ჰერეთისკენ (დასავლეთი ალვანეთისაკენ)[70]. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთს, სტრაბონისეულ „მოსხიკეს“ (მესხეთის) ტერიტორიას, აქ ხომ „იბერები“ ანუ სწორედ აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ელემენტი მეგასთენეს უკვე ძვ. წ. VI ს-ში ეგულება... ეს უძველესი ხანიდან დაწყებული დიდი პროცესი, რომელიც შემგომშიც, ადრეულ შუასაუკუნეებშიც გრძელდებოდა, რაც კარგად საბუთდება ქართული ისტორიული ტოპონიმიკით (პროკოპი კესარიელის: არქაიოპოლის-ნოქალაქევი, კუტატის-ქუთათისი, როდოპოლის-ვარდციხე, იპპის-ცხენისწყალი, ბოას-ყვირილა-ლაზიკაში; პტოლემაიოსის: თელება-თელავი-ალვანეთში)[71] და სხვა ისტორიული წყაროებითაც, ცხადია, გულისხმობს ქართული ენის გავრცელებასაც. ყველაფერი ამის შედეგად გასაგები უნდა იყოს ქართის (ქართუ) ტომების მეგრულ, მესხურ და ჰერულ ტომებთან შერწყმის ძლიერი ტენდენციის არსებობა უძველესი დროიდანვე.

ზემოაღწერილი პროცესის შედეგი იყო სწორედ ლეონტი მროველისეული ქართლოსის „ქართლისა“ თუ ფარნავაზის ქართლის სამეფოს ჩამოყალიბება

---

66 Мусхелишвили Д. Л., Некоторые проблемы источниковедческой критики грузинских средневековых источников. Журн.: «Мацне», серия истории. Тб., 1986, № 3, стр. 63.

67 გ. გამყრელიძე, აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის. ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 3.

68 Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии; სსმმ, XII—Б, თბ., 1944, გვ. 331, 332.

69 ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, კრებ., ვანი, I, თბ., 1972, გვ. 41. ავტორი საკუთრივ მესხთა ინფილტრაციას გულისხმობს დასავლეთ საქართველოში.

70 დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, თბ., 1966, გვ. 42.

71 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

და აგრეთვე „ქართველის“, როგორც ამ ქართლის მკვიდრის ლეონტისეული გააზრება. ასეთი კონცეფცია, „ქართლისა“ და „ქართველის“ ცნებათა ურთიერთორგანული დაკავშირება თვით ლეონტის დაკვირვებისა და აზროვნების შედეგი უნდა იყოს და მიუხედავად იმისა, რომ მას პრობლემის ინტერპრეტაცია თავდაყირა აქვს დაყენებული (ჯერ არსებობდა პოლიტიკურ-ეთნიკური „ქართლი“ — ქართლოსის წილი და მხოლოდ შემდეგ შეიქმნა ეთნოგრაფიული „ქართლი“ — უფლოსის (და გაჩიოს — გარდაბოსის) წილი), მაინც მისი დამსახურება ამ დიდი ეთნოგენეტიკური და პოლიტიკური პრობლემის დასმასა და გაშუქებაში, როგორ აღვნიშნეთ, დიდია. და ეს მით უმეტს უნდა ითქვას მის სასახელოდ, რადგან XI ს-ში, როდესაც ლეონტი მროველი მოღვაწეობდა და თავის ამ ეთნოლოგიურ კონცეფციას ქმნიდა ცნებას — „ქართველი“ — არსებითად სხვა მნიშვნელობა ჰქონდა შეძენილი და ლეონტიმ, ცხადია, ეს შესანიშნავად იცოდა.

ლეონტის „ქართლი“ ეს იყო პოლიტიკური ქართლი. ქართლის სახელმწიფო „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“. ამ სახელმწიფოს მკვიდრი მოსახლე იყო „ქართველი“ და თუმცა ისტორიკოსი კარგად ამჩნევდა ასიმილაციის პროცესებს, დაკავშირებულს პოლიტიკურ მოვლენებთან (მირიან მეფის გაქართველება, მარგვის საერისთავოს წარმოქმნა ეგროსის ტერიტორიაზე ფარნავაზის დროს), უცხო თესლთა მკვიდრობას „ქართლში“ („ჰურიანი ქართველნი“), კულტურული ასპექტის მნიშვნელობასაც (ენა ქართული, რელიგია ქართული), მაინც გამომდინარე მის მიერ შემოხაზული „ქართლი“-დან, „ქართლოსიანთა“ წილხვედრი ქვეყნიდან „ქართველი ლეონტი მროველისთვის უპირატესად ეს იყო ეთნიკურ-პოლიტიკური ცნება*.

* გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში.

ლოტე ანთაძე, მერაბ კალანდაძე, კარლო მეშველიანი

ისტორიის პერიოდიზაციისათვის

პერიოდიზაციის საკითხი თავისი აქტუალობის გამო არც ერთ ეპოქაში არ დარჩენილა ისტორიკოსთა ყურადღების გარეშე, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ყოველთვის მოიპოვებდა გარდამავალ პერიოდებში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის და ქრონოლოგიის გააზრება და გადასინჯვა ამჟამად დღის წესრიგში დადგა საქართველოში. გასათვალისწინებულია, რომ საკითხი რთული და მრავალწახნაგოვანია.

თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი პიერ რენუვენი პერიოდიზაციას აღიარებს დიდაქტიკური მოსაზრებებით, ხოლო თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსი გერჰარდ რიტერი პერიოდიზაციას ინტერპრეტაციის საშუალებად მიიჩნევს[1]. ორივე ეს მოსაზრება ჭეშმარიტების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს შეიცავს. პერიოდიზაცია საჭიროა როგორც ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის, ისე სწავლებისათვის.

რა თქმა უნდა, ისმის კითხვა რა კრიტერიუმებით შეიძლება ვხელმძღვანელობდეთ მეცნიერული პერიოდიზაციის დროს? პირველ ყოვლისა ხაზი გვინდა გაუსვათ, რომ ერთი რომელიმე ფაქტორის გამყოფი პერიოდიზაციის კრიტერიუმად მართებული არ იქნებოდა. საჭიროა ამ რთული პრობლემისადმი დიფერენცირებული, კონკრეტული მიდგომა. ამ მხრივ საყურადღებოა პოლონელი ისტორიკოსის გალეცკის თვალსაზრისი. იგი ფიქრობს, რომ ისტორიის პერიოდიზაცია სამი ძირითადი ნიშნის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს: 1. მსოფლიოს ისტორიის გეოგრაფიული ბაზის ცვლილება და კაცობრიობის გეოგრაფიული თვალთახედვის გაფართოება; 2. რაიმე „ახალი იდეების აღმოცენება“, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს; 3. ახალი სახელმწიფოების წარმოშობა[2]. შესაძლოა გალეცკის უსაყვედუროთ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების უგულებელყოფა, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებულ სამი პრინციპის მნიშვნელობას, ალბათ, ვერავინ ვერ უარყოფს.

პერიოდიზაციის საკითხი დადგა წერილობითი ისტორიის წარმოშობასთან ერთად. და ამდენად ბუნებრივია, რომ სწორედ აღმოსავლეთის ქვეყნებში პირველად წამოიჭრა საკითხი ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ. თავდაპირველად პერიოდიზაციის საფუძვლად დაედო წარსულის მეფობებად დაყოფა, მაგრამ შემდგომში მეფეთა რაოდენობის ზრდამ განაპირობა ისტორიის პერიოდიზაცია, არა მეფობების, არამედ დინასტიების მიხედვით.

ანტიკურ სამყაროში ისტორია განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა. შემთხვევით როდია, რომ „ისტორიის მამამთავრად“ დიდი ბერძენი მეცნიერი ჰეროდოტე ითვლება, თუმცა ბერძნებისათვის ისტორია არა იმ-

---

1 გ. კიღურაძე, ახალი ისტორია, ნაწ. I, თბ., 1970, გვ. 30.

2 იქვე, გვ. 398.

დენად მეცნიერებაა რამდენადაც ხელოვნება იყო. ამიტომ ისტორიის მფარველად ცხრიდან ერთ-ერთ მუზას კლიოს მიიჩნევდნენ.

მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის თავისებური გააზრება სცადეს ანტიკურ ეპოქაშიც. ეს იყო ისტორიის პერიოდიზაციის პირველი გულუბრყვილო, პრიმიტიული ცდები, რომელიც კარგად ასახავდა ისტორიული კვლევის განვითარების გარიჟრაჟზე შექმნილ ვითარებას. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ძველი ბერძენი მწერლის ჰესიოდეს (VIII—VII სს. ძვ. წ. აღ.) თვალსაზრისი. იგი საუბრობს ოთხი საუკუნის (ეპოქის) შესახებ: ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და რკინის, რომელსაც, მისი აზრით, მოჰყვება სამყაროს დასასრული.

შუა საუკუნეებში ფართოდ მოიკიდა ფეხი მსოფლიო ისტორიის „ოთხ დიდ მონარქიად“ დაყოფის პრინციპმა. მისი ფუძემდებელია ცნობილი ალექსანდრიელი სწავლული კლავდიუს პტოლემეოსი (დაახლ. 90—160 წ.წ.). ამ პერიოდიზაციის მიხედვით კაცობრიობამ განვითარების ოთხი მონარქია (ეტაპი) განვლო: ასურეთ-ბაბილონის, მიდია-სპარსეთის, საბერძნეთ-მაკედონიის და რომის.

მსოფლიო ისტორიის „ოთხ დიდ მონარქიად“ დაყოფას ახალი სული შთაბერა ჰიპონის ეპისკოპოსმა ნეტარმა ავგუსტინემ (354—430). მან ამ პერიოდიზაციას საფუძვლად დაუდო ავგუსტინეანულ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა. ქრისტიანულ-თეოლოგიური მიმდინარეობა რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ამტკიცებდა თითქოს რომის იმპერია არ გამქრალა და კვლავ განაგრძობს არსებობას. რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე დასავლეთ ევროპაში ორი რეალური ძალა აცხადებდა პრეტენზიას — სასულიერო და საერო ხელისუფლება, პაპობა და გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია. მათ შორის კონფლიქტმა კულმინაციას მიღწია XI ს-ში რომის პაპ გრიგოლი VII-ესა და გერმანიის იმპერატორ ჰენრიხ IV-ეს შორის უმწვავესი ურთიერთდაპირისპირების დროს. მიუხედავად იმისა, თუ ვის ემხრობოდი ამ კონფლიქტში მსოფლიოს ისტორიის „ოთხ დიდ მონარქიად“ დაყოფის პრინციპი მაინც უნდა გაგეზიარებინა თუ კი არ გინდოდა რომ მწვალებლად მიეჩნიეთ[3].

პირველი ისტორიული ნაშრომი, რომელსაც საფუძვლად ედო მსოფლიოს ისტორიის „ოთხ დიდ მონარქიად“ დაყოფა ეკუთვნის ნეტარი ავგუსტინეს მოწაფეს პავლე ოროზიუსს (IV—V სს.). პერიოდიზაციის ამ პრინციპს ეყრდნობოდნენ ისტორიის წერისას ისიდორე სევილიელი (570—636) და ბედა პატივსაცემი (673—731). ამგვარად, ქრისტიანულ სამყაროში ისტორიის „ოთხ დიდ მონარქიად“ დაყოფამ დაკანონებული სახე მიიღო. ამ პერიოდიზაციის წინააღმდეგ გამოსვლა მკრეხელობად ითვლებოდა და განიხილებოდა არსებული ფეოდალურ-ქრისტიანული წყობილების წინააღმდეგ გალაშქრებად. ქრისტიანულ სამყაროში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არც ერთი ფუნდამენტური ისტორიული ხასიათის ნაშრომი არ შექმნილა, რომელიც პერიოდიზაციის ამ სქემას არ დაყრდნობოდა.

ისტორიის პერიოდიზაციის ეს პრინციპი საფუძვლიანად შეირყა მხოლოდ აღორძინების ეპოქაში. ეს გასაგებიცაა. რენესანსის პერიოდის მსოფლმხედველობა ვერ ეგუებოდა პერიოდიზაციის ქრისტიანულ-თეოლოგიურ მოდელს.

---

[3] Ванинштайн О., Западно-европейская средневековая историография, М., 1964; Косминский Е., Историография средних веков, М., 1963. Герье В., Августин, М., 1910; გ. კიღურაძე. დასახ. ნაშრომი, თბ. 1970.

ერთ-ერთი პირველები, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს მსოფლიოს ისტორიის „ოთხ დიდ მონარქიად“ დაყოფის წინააღმდეგ აღორძინების ეპოქის დიდი მოაზროვნეები იტალიელი ნიკოლო მაკიაველი და ფრანგი ჟან ბოდენი იყვნენ[4].

ასეთ პირობებში სავსებით ლოგიკური იყო, რომ უკვე აღორძინების ეპოქაში წარმოიშვა პერიოდიზაციის სრულიად ახალი ვარიანტი — ისტორიის სამწევროვანი დაყოფა. საინტერესოა, რომ ახალი პერიოდიზაცია პირველად გვხვდება არა რომელიმე სამეცნიერო ტრაქტატში, არამედ სრულიად მოულოდნელ სიტუაციაში. 1469 წელს ცნობილი მეცნიერის კარდინალ ნიკოლაუს კუზანელის ხსოვნისადმი მიძღვნილ პარაკლისის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ალერის ეპისკოპოსმა ჯოვანი ანდრეამ აღნიშნა, რომ „განსვენებულმა შესანიშნავად იცოდა ისტორია როგორც ძველი, ისე შუა და თანამედროვე“. ჯოვანი ანდრეა, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ამ ფრაზის შემდეგ მისი სახელი სამუდამოდ შევიდოდა ისტორიაში.

პერიოდიზაციის ახალმა მოდელმა ძალიან კარგად გამოხატა ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის სულისკვეთება. აღორძინების ეპოქის ადამიანები უპირისპირდებოდნენ წინამდებარე პერიოდს და თავის მისიად მიაჩნდათ ანტიკური ცივილიზაციის აღდგენა. რენესანსის ამ ფუძემდებლური პრინციპიდან წარმოსდგა ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი მსოფლიოს ისტორიის სამწევროვანი სქემა. ამ პერიოდიზაციამ ნელ-ნელა მოიკიდა ფეხი სამეცნიერო ლიტერატურაში და თანდათანობით განდევნა ისტორიის „ოთხ დიდ მონარქიად“ დაყოფის იდეა.

პირველი ისტორიკოსი, რომელმაც საგანგებო ნაშრომი უძღვნა შუა საუკუნეების ისტორიის იტალიელი ფლავიუს ბიონდო (1388—1463) იყო. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „ისტორიის დეკადები რომის დაცემის შემდეგ“. აქ ბიონდომ პირველმა სცადა შუა საუკუნეების ისტორიის გამოყოფა. იგი თავის წიგნს იწყებს ალარიხის მიერ რომის აღებით 410 წელს[5] და ამთავრებს ზუსტად 1000 წლის შემდეგ 1410 წელს. თვით ტერმინი შუა საუკუნეები ბიონდოს წიგნში არ გვხვდება. ეს ტერმინი, როგორც უკვე ითქვა, ცოტათი მოგვიანებით 1469 წელს წარმოიშვა.

პირველი მეცნიერი, რომელმაც მსოფლიოს ისტორიის წერისას სამწევროვანი დაყოფა მოიმარჯვა იყო გერმანელი ისტორიკოსი ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორი ქრისტეფორე ცელარიუსი (1637—1707). მის კალამს ეკუთვნის მსოფლიოს ისტორიის სამი ტომი „ისტორია ტრიპარტიტა“. პირველ ტომს მან უწოდა ანტიკური ისტორია, რომელიც მას მოჰყავს იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანობის ლეგალიზაციამდე (მილანოს ედიქტი, 313 წელი). მეორე ტომი შუა საუკუნეების ისტორიას ეხება და თხრობა მოყვანილია კონსტანტინეპოლის დაცემამდე (1453 წელი). მესამე ტომში გადმოცემულია ახალი ისტორია და თხრობა სრულდება XVII ს-ის მიწურულს. მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის სამწევროვანი სქემა პრინციპულად განსხვავდებოდა შუა საუკუნეებში გაბატონებული პერიოდიზაციისაგან. მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ ისტორია განთავისუფლდა ქრისტიანულ-თეოლოგიური

---

[4] Макиавели Н., История Флоренции, М., 1973; Коган-Берштейн Р. Л., Экономические взгляды Бодена, в сб.: «Средние века», вып. 2., М., 1946; Косминский Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 113—117.

[5] ფ. ბიონდოს აქ პატარა ლაფსუსი მოსდის და რომის აღების თარიღად 1412 წელს ასახელებს. (О. Ваинштейн, დასახ. ნაშრ. გვ. 262 .

მსოფლმხედველობისაგან. ამდენად, მსოფლიო ისტორის სამწევროვანი დაყოფა ისტორიული აზროვნების განვითარების საქმეში თვისობრივად ახალ ეპოქა იყო.

ბუნებრივია, ყველა პერიოდიზაცია გულისხმობს პერიოდებს შორის კონკრეტული ქრონოლოგიური თარიღების დადგენას. რა თქმა უნდა, ეს საკითხი წამოიჭრა ბიონდოსა და ცელარიუსის წინაშეც და ასე განსაჯეთ, რომ ამ ორმა ისტორიკოსმა განსხვავებული თარიღი დაასახელა.

ბიონდოს თანახმად ძველი ისტორია დასრულდა 410 წელს, როდესაც ალარიხმა აიღო რომი, ხოლო ცელარიუსი კი ძველი ისტორიის დასასრულად იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანობის ლეგალიზაციას (მილანოს 313 წლის ედიქტს) ასახელებს. ორივე თარიღი საგულისხმოა და მნიშვნელოვანი. ანტიკური სამყაროს დასასრული და ევროპული შუა საუკუნეების საწყისი შეიძლება ვეძიოთ როგორც ქრისტიანობის ლეგალიზაციაში, ისე რომის იმპერიის დაცემაში. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ რას მივანიჭებთ უპირატესობას სამხედრო-პოლიტიკურ თუ თეოლოგიურ-კულტურულ ფაქტორებს. ბიონდო ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის ერუდიტული სკოლის მიმდევარი და პოლიტიკური ისტორიის მოტრფიალე იყო და ამიტომ წყალგამყოფად ძველ ისტორიასა და შუა საუკუნებს შორის რომის დაცემა მიაჩნდა. ცელარიუსი კი პირიქით პროტესტანტული ოჯახიდან იყო გამოსული და თეოლოგიურ-კულტურული ფაქტორებისაკენ უფრო იხრებოდა. ამიტომ იგი უპირატესობას ქრისტიანობის ლეგალიზაციას ანიჭებს. ისტორიკოსთა უმრავლესობამ, მცირეოდენი გამოკლებით[6], ძველი ისტორიის დასასრულად რომის იმპერიის დაცემა აჯობინა, მაგრამ საამისო თარიღად აიღო არა 410, არამედ 476 წელი, როდესაც ოდოაკრმა აიღო რომი და ოდესღაც ძლევამოსილმა რომის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.

გაცილებით უფრო რთულია შუა საუკუნეების დასასრულის და ახალი ისტორიის დასაწყისის განსაზღვრა. ამ პრინციპულ საკითხზეც ბიონდოსა და ცელარიუსს შორის აზრითა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. როგორც უკვე აღინიშნა, ბიონდო შუა საუკუნეების ისტორიის თხრობას 1410 წლით ასრულებს, რაც სიმბოლურ ხასიათს ატარებს და ამ წელს მსოფლიოს იტორიაში რამე მნიშვნელოვანი, ღირსშესანიშნავი, მოვლენა არ მომხდარა. უბრალოდ ბიონდომ აიღო ერთი დეკადა ათი საუკუნე ე. ი. 1000 წელი. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ შემდგომი თაობის ისტორიკოსებმა სავსებით მიიღიწყეს ეს თარიღი.

რაც შეეხება ცელარიუსის მიერ შემოთავაზებულ თარიღს, კონსტანტინეპოლის დაცემას ეს, მართლაც, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა, თუმცა მისი გლობალური ხასიათი სადავოა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს თარიღი

---

6 ბათ შორის, უთუოდ, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა XX ს-ნის ცნობილი ბელგიელი ისტორიკოსი ანრი პირენი. მისი ძირითადი თეზისია, რომ არაბთა შემოსევამ გამოიწვია ძველი ისტორიის დასასრული და შუა საუკუნეების დასაწყისი. პირანის ამ დებულების ირგვლივ დიდი კამათი გაიმართა, რომლის შემდეგაც ისტორიკოსთა უმრავლესობამ არ გაიზიარა მისი მოსაზრებანი. H. P i r e n n e, Mahomet et Charlemagne. Paris — Bruxelles, 1937. Г. С а д р е т д и н о в, Анри Пиреи о переходе от античности к средним векам. В сб.: «Методологические и исторические вопросы исторической науки», вып. 6. Томск, 1969, Э. Г у т н о в а, Историография. История средних веков. М., 1974.

გარკვეულად შეესაბამება გალეცკის მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმს. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ კონსტანტინოპოლის დაცემა მოასწავებდა ძველი სახელმწიფოს ბიზანტიის დაცემას და ახალი სახელმწიფოს თურქეთის, წარმოშობას. თუმცა იგი რეგიონალურ ფარგლებს არ სცილდებოდა, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მართლმადიდებლური სამყაროსათვის და ოსმალთა იმპერიისათვის./ ცელარიუსის ხაზი ისტორიოგრაფიაში გააგრძელა XVIII ს-ის ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა ედუარდ გიბონმა. მას შუა საუკუნეების დასასრულად მიაჩნია 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემა, რომელშიც ხედავს რომის იმპერიის ტრადიციების გამგრძელებელს[7]. ამ თარიღს თავისი მიმდევრები მომდევნო XIX—XX საუკუნეებშიც ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი გერმანელი ისტორიკოსი ფ. ბაბინგერია[8]. ეს თარიღი მიღებულია თურქულ ისტორიოგრაფიაშიც. ეს არის შუა საუკუნებისა და ახალ ისტორიას შორის ზღვარის დადგენის ყველაზე უფრო ადრეული თარიღი. მაგრამ იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომდევნო ისტორიულ მოვლენებთან შედარებით ფერმკრთალდება და კარგავს თავის უწინდელ მიმზიდველობას.

საქმე ის არის, რომ იმავე XV ს-ის დასასრულს მოხდა კონსტანტინოპოლის დაცემასთან შედარებით გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა უმჯობესად სცნო ახალი ისტორია დაწყებულიყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით ე. ი. 1492 წლიდან. პირველი თუ არა ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ამ პრინციპზე აღგო მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია იყო გოტინგენელი ისტორიკოსი იოჰან ქრისტიან გატერერი, რომელიც თავის წიგნში „სინქრონული მსოფლიოს ისტორიის შესავალი“ (1701) ახალი ისტორია სწორედ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით დაიწყო[9]. შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო ხანის ისტორიოგრაფიაში მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის ეს ვარიანტი საკმაოდ ფართოდ გავრცელდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო ესპანურ და ამერიკულ ისტორიოგრაფიაში, რაც მნიშვნელოვანწილად ეროვნული თვითშეგნების გამოვლენით იყო გამოწვეული.

პერიოდიზაციის აღნიშნული სქემა, რა თქმა უნდა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა „გეოგრაფიული სკოლის“ მიმდევრებთან. ამ სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რუსი მეცნიერი ლ. მეჩნიკოვი მიზანშეწონილად სცნობდა ახალი ისტორიის დაწყებას დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით[10]. ამ ისტორიული მოვლენით იწყებდა თავის წიგნს „ახალი ისტორია“[11] გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ი. ვიპერი. აქ, ცხადია, მოულოდნელი არაფერია. ის გეოგრაფიული სკოლის ძლიერ გავლენას განიცდიდა და ისტორიის ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საფუძვლად გეოგრაფიულ პრინციპს იღებდა. მისი ღრმა რწმენით ისტორიული ეპოქები (პერიოდები) წარმოდგენილი უნდა იყოს

---

[7] Эд. Гибон, История упадка и разрушения Римской империи, Т. 1—7, М., 1883—1886.

[8] იხ: И. Ивонин, У истоков современной дипломатии, «Новое время», Минск, 1984.

[9] М. Мёрнер, Столетия в периодизации истории нового света — «Новейшая история», № 3, 1990, с. 128.

[10] Л. Мечников, Цивилизация и великие исторические реки, М., 1924.

[11] Р. Виппер, Новая история, М., 1918; Б. Сафронов, Исторические мировоззрения Р. Ю. Виппера и его время, М., 1976.

კულტურულ-გეოგრაფიული გარემოს მიხედვით. სწორედ ამიტომ მიიჩნია მან შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. შესაძლოა, ლ. მეჩნიკოვი და რ. ვიპერი ოდნავ აზვიადებდნენ გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობას, მაგრამ მათ მიერ განვითარებული კონცეფცია აშკარად ანგარიშგასაწევია და მისი ხელაღებით უგულებელყოფა, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ჩადიოდა, ცხადია, გაუმართლებელია.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას არავითარი გამართლება არა აქვს. ძნელია დავეთანხმოთ გერმანელ ისტორიკოსს ლეოპოლდ ფონ რანკეს, რომ „კარიბის ზღვაში რამდენიმე კუნძულის აღმოჩენამ არავითარი გავლენა არ მოახდინა მაშინდელ ევროპაზე". ჯერ კიდევ XVI ს-ში 1522 წელს ფრანცისკო ლოპეს დე გომერა „ინდოეთის საყოველთაო ისტორიის შესავალში" აღნიშნავდა, რომ 1492 წლის ამბები იყო „ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამყაროს შექმნის მერე". ამერიკელი ადამ სმითი ფიქრობდა, რომ „კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა და ვასკო და გამას ექსპედიცია წარმოადგენს ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში"[12].

პირველი ნაბიჯები ახალი გზების ძიების საქმეში პორტუგალიელმა მეზღვაურებმა გადადგეს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა პრინც ენრიკოს მოღვაწეობა, რომელსაც XIX ს-ის ისტორიკოსებმა „ზღვაოსანი" შეარქვეს. შემდეგ საზღვაო გზების ძიებაში აქტიურად ჩაებნენ სხვა ქვეყნები: ესპანეთი, იტალია, ინგლისი[13]. იმ მრავალრიცხოვან მოვლენათა შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამ მათგანს: 1. 1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას; 2. 1498 წელს ვასკო და გამას მიერ ინდოეთისაკენ გზის გაკვალვას; 3. ფერდინანდ მაგელანის მოგზაურობას დედამიწის ირგვლივ 1519—1522 წლებში. სამივე ეს მოვლენა სცილდება ლოკალურ ფარგლებს და გლობალურ მნიშვნელობას იძენს. ფაქტი სახეზეა, გენუელმა ზღვაოსანმა ქრისტეფორე კოლუმბმა ახალი კონტინენტი ამერიკა აღმოაჩინა[14]. პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა ვასკო და გამას მეთაურობით სამხრეთით შემოუარეს აფრიკის კონტინენტს და აღმოაჩინეს უმოკლესი გზა ინდოეთისაკენ, რომელსაც ასე გულმოდგინედ ეძებდა კოლუმბი და რომლის ძიებამაც ის ბოლოს და ბოლოს ამერიკის აღმოჩენამდე მიიყვანა[15]. უდიდეს პრაქტიკულ-თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა ფერდინანდ მაგელანის მოგზაურობას დედამიწის გარშემო[16].

გეოგრაფიულ აღმოჩენებს თავიდანვე გლობალური ხასიათი ჰქონდა, რადგან ისინი ერთმანეთთან აკავშირებდა ევროპის, ამერიკის, აზიას და აფრიკას კონტინენტებს. სხვათა შორის, ეს თარიღი სავსებით შეესატყვისება პოლონელი ისტორიკოსის გალეცკის სქემას. გეოგრაფიულ აღმოჩენებს თან მოჰყვა მსოფლიოს ისტორიის გეოგრაფიული ბაზის ცვლილება და კაცობრიობის გეოგრა-

---

[12] М. Мёрнер. დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

[13] დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებზე არსებობს მდიდარი ლიტერატურა. ერთ-ერთი საუკეთესო გამოკვლევაა И. Магидович, Очерки по истории географических открытий, М., 1957.

[14] ალ. ნამორაძე, კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა, თბ., 1961.

[15] К. Кунин, Васко да Гама, М., 1947.

[16] А. Пигафета, Путешествие Магелана, М., 1950; К. Кунин, Магелан, М., 1940.

ფიული თვალთახედვის გაფართოება. არ შეიძლება დავივიწყოთ ისიც, რომ ფაქტობრივად დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოს ერთიან ისტორიას. ეს გარემოებები ფრიად საგულისხმოა და შესაძლოა გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდეს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს როგორც შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის ნიშანსვეტს სხვა თარიღებთან შედარებით. მან ხელსაყრელი პირობები შექმნა კაცობრიობის პროგრესისათვის. ამიტომაც მიიჩნევა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები როგორც ერთ-ერთ შესაძლო ზღვარი შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის.

არც გეოგრაფიული აღმოჩენები გამოდგა ყველაზე გვიანდელი თარიღი. 1517 წლის 31 ოქტომბერს მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე გააკრა თავისი ცნობილი 95 თეზისი და ამით დასაბამი მისცა რეფორმაციას გერმანიაში. ამიტომ ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა მიზანშეწონილად სცნო შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად აეღო რეფორმაცია. ეს თარიღი განსაკუთრებით პოპულარულია პროტესტანტულ ქვეყნებში და მეტადრე გერმანიაში. ასე იქცევა, მაგალითად, XIX ს-ის ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ლეოპოლდ ფონ რანკე თავის წიგნში „ახალი ისტორიის ეპოქები"[17].

ისტორიკოსთა მეორე ნაწილმა შუა საუკუნებსა და ახალ დროს შორის საზღვრად ორმაგი მოვლენა არჩია — ჰუმანიზმი და რეფორმაცია. ეს მოსაზრება გავრცელდა რუსულ ლიბერალურ ისტორიოგრაფიაში. ცნობილი ისტორიკოსი ნ. კარეევი თავის განმაზოგადებელ შვიდტომიან ნაშრომს ახალ ისტორიაზე სწორედ ჰუმანიზმით და რეფორმაციით იწყებს[18]. პერიოდიზაციის ამ პრინციპს მხარს უჭერენ რუსი ისტორიკოსები: მ. პეტროვი, პ. ვინოგრადოვი, ა. ტრაჩევსკი[19]. პერიოდიზაციის ეს სქემა გვხვდება სასკოლო სახელმძღვანელოებში. ასე მაგალითად, პროფ. ვულფიუსის სასკოლო სახელმძღვანელოში ახალი ისტორია იწყება რეფორმაციით[20]. იგივე ვითარებაა კ. ივანოვის მიერ შედგენილ სასკოლო სახელმძღვანელოშიც. ახალი ისტორია ჰუმანიზმით და რეფორმაციით იწყება[21]. ეს ორმაგი მოვლენა არის ე. ლავისის და ა. რამბოს რედაქციით შედგენილ მსოფლიოს ისტორიის შვიდტომეულში[22]. ორმაგი მოვლენის ალება თავისთავად რთული ამბავია. მით უმეტეს, რომ პირველ მოვლენას აღორძინებას მკაფიოდ გამოკვეთილი თარიღი არც დასაწყისი და არც დასასრული არა აქვს[23]. ერთი გარემოებაა კიდევ გასათვალისწინებელი. პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული და თეოლოგიური ისტორიის პერიოდები ერთ-

---

[17] Л. Ранке, Об эпохах новой истории, М., 1898.

[18] Н. Кареев, Новая история, Т. 1—7. СПБ. 1899.

[19] М. Петров, Лекции по всемирной истории, история нового времени, Т. 3, СПБ., 1913; П. Виноградов, Новая история, М., 1907; А. Трачевский. Учебник по новой истории, М., 1907.

[20] პროფ. ვულფიუსის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ითარგმნა. ვულფიუსი, ახალი ისტორია, ტფ., 1920. ავტორი ახალი ისტორიის თხრობას ცოტათი შორიდან, ჯვაროსნული ლაშქრობიდან იწყებს, რასაც იგი იმით ხსნის, რომ სწორედ აქედან დაიწყო კათოლიკური ეკლესიის საფუძვლების შერყევა.

[21] К. Иванов, Новая история, 1908.

[22] Всеобщая история, под ред. Э. Лависа и А. Рамбо, т. 4, 1898.

[23] В. Рутенбург, Италия и Европа накануне нового времени, Ленинград, 1976; А. Брагина, Итальянский гуманизм, М., 1977; Л. Брагина, О некоторых тенденциях в новейшей зарубежной историографии итальянского Возрождения. — В сб.: «Средние века», вып. 22, М., 1962.

მანეთს იშვიათად ემთხვევა, თუმცა ურთიერთზემოქმედებას აუცილებლად ახდენენ. ეს ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, XV—XVI საუკუნეების მიჯნას გულისხმობენ, როდესაც თავის მწვერვალს მიაღწია იტალიურმა აღორძინებამ და დაიწყო ევროპული რენესანსი. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ორმაგი თარიღი რაიმე აუცილებლობით არაა განპირობებული და ვფიქრობთ, უფრო უპრიანი იქნებოდა შევჩერდეთ ერთ თარიღზე. ეს არის რეფორმაციის დასაწყისი — 1517 წელი.

XVIII ს-ის ცნობილი გერმანელი დრამატურგისა და ისტორიკოსის ფრიდრიხ შილერის თქმით, რეფორმაცია იყო „ახალი შუქი“, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა მოიცვა. მართალია, რეფორმაციის აკვანი გერმანიაში დაირწა, მაგრამ ეს არ იყო ლოკალური ხასიათის, მხოლოდ წმინდა გერმანული მოვლენა. ახალი იდეები ძალიან სწრაფად გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და თითქმის მთელ კათოლიკურ სამყაროს მოედო. ისტორიკოსები რეფორმაციაში სამ ძირითად მიმართულებას გამოყოფენ. 1. ეკლესიის რეფორმა გაბატონებული კლასების მხრივ XVI ს-ში; 2. ეკლესიის რეფორმა, რომელსაც მოითხოვდა ბურჟუაზია ანუ მეორენაირად რეფორმაციის ევანგელიკური მიმართულება; 3. რეფორმაციის მწვალებლურ-სექტანტური მიმართულება.

რეფორმაცია იყო ახალი იდეოლოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ისარიც მიმართული იყო კათოლიციზმის და რომის პაპის წინააღმდეგ. ეს არ იყო წმინდა რელიგიური მოძრაობა და უკვე ლეოპოლდ ფონ რანკე თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „გერმანიის ისტორია რეფორმაციის დროს“ ხაზგასმით აღნიშნავდა რელიგიური მოძრაობის კავშირს გერმანიის, ეროვნულ ინტერესებთან და საერთოდ XVI ს-ის დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა ეკლესიის რეფორმის საკითხი. მომძლავრებული სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ვერ ეგუებოდა რომის პაპის ქონებრივ პრეტენზიებს და ყოველმხრივ ცდილობდა ეროვნული ეკლესიის როლის გაძლიერებას. ასეთ პირობებში აღმოცენდა ფრანგული „გალიკანიზმი“ და ინგლისური „ანგლიკანიზმი“, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ეროვნული ეკლესიის დაცვას და უარს ამბობდნენ რომის პაპისათვის ყოველგვარ გადასახადების მიცემაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1516 წლის ბოლონიის კონკორდატს, რომელმაც ხელსაყრელი პირობები შექმნა გალიკანური (საფრანგეთის) ეკლესიის განვითარებისათვის და 1534 წლის აქტს სუპერმატიის შესახებ, რომელმაც ფაქტობრივად წარმოშვა ანგლიკანური ეკლესია ინგლისში. ამის შემდეგ, მართალია, საფრანგეთში ოფიციალურად შენარჩუნებული იქნა კათოლიციზმი, მაგრამ ფრანგული ეკლესიის დამოკიდებულება რომის პაპზე მკვეთრად შემცირდა და იგი ფაქტობრივად დაექვემდებარა სამეფო ხელისუფლებას, ხოლო ინგლისში საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელ ეკლესიას, რომელიც ფაქტობრივადაც და ფორმალურადაც ჩამოსცილდა, როგორც კათოლიციზმს, ისე რომის პაპს. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი ისტორიული აქტი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენდა ახალი დროის პირველ სხივს. პაპობის ჰეგემონია ძლიერ შეირყა და ეკლესია ეროვნულ სახელმწიფოს დაექვემდებარა.

რეფორმაციის სულს და გულს წარმოადგენდა მარტინ ლუთერის (1483—1546), ულრიხ ცვინგლის (1485—1531) და ჟან კალვინის (1509—1564) მიერ შუაგულ ევროპაში წამოწყებული მოძრაობა, რომლის მიზანი იყო არა ეკლესიის განკურნება, რეფორმები, არამედ ახალი ეკლესიის შექმნა. მისი ფუძემდე-

ბლური პრინციპი იყო ეკლესიის როგორც ფეოდალური დაწესებულების მოსპობა, რომლის ადგილი უნდა დაეკავებინა ახალ ბურჟუაზიულ ეკლესიას. ახალი იდეები სწრაფად გავრცელდა საფრანგეთში[24], ინგლისში[25], ნიდერლანდებში, შვედეთში, დანიაში[26], შვეიცარიაში[27]. ინგლისელი პურიტანების წყალობით XVII ს-ის დასაწყისში მან ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენებშიც შეაღწია.

რეფორმაციის იდეებმა თითქმის ვერ შეაღწია იტალიასა და ესპანეთში და ეს ქვეყნები დარჩნენ კათოლიციზმის და კონტრრეფორმაციის ციტადელად, რაც შემდგომში მათი პოლიტიკური დაქვეითების ერთ-ერთ მიზეზად მოგვევლინა.

რეფორმაცია იყო გრანდიოზული მნიშვნელობის თვისობრივი სიახლე, რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია ევროპის მოწინავე ქვეყნების საეკლესიო, კულტურულ, სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და ამიტომ რეფორმაციის დასაწყისი ბევრ ისტორიკოსს მიაჩნია ზღვრად შუა საუკუნეებსა და ახალ დროს შორის.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ეს თარიღი სავსებით შეესატყვისება გალეცკის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმს. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ რეფორმაცია იყო „ახალი იდეების აღმოჩენა“, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა.

ისტორიოგრაფიაში შექმნილმა რთულმა სიტუაციამ, თუ სამი თარიღიდან — 1453, 1492, 1517 წელი — რომელი უნდა ავიღოთ შუა საუკუნეების დასასრულად და ახალი ისტორიის დასაწყისად წარმოშვა საკითხი გარდამავალი პერიოდების შესახებ, ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს XVIII ს-ის გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსის ავგუსტ ლუდვიგ შლიოცერის მოსაზრება. მისი მნიშვნელოვანი დამსახურებაა მსოფლიოს ისტორიული სქემაში გარდამავალი პერიოდების ჩართვა, შლიოცერი შენიშნავდა, რომ ქრონოლოგიის მოყვარულები, ბუნებრივია, დიდ სიამოვნებას მიიღებდნენ, რომ შესაძლებელი იყოს ისტორიის ყველა პერიოდის დასაწყისის და დასასრულის ზუსტად დადგენა, როგორც ვთქვით განვსაზღვრავთ ცალკეული ადამიანის დაბადებას და გარდაცვალებას. მაგრამ ისტორიაში ეს არ ხდება. ისტორიულ პერიოდებს ერთმანეთისაგან მიჯნავს გარდამავალი პერიოდები: ქრისტიანობის წარმატებები, ბარბაროსთა თავდასხმები არიან ის მოვლენები, რომლებმაც გვამცნეს ძველი ისტორიის დასასრული და შუა საუკუნეების დასაწყისი. კონსტანტინოპოლის დაცემა, აღორძინება, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რეფორმაცია არის შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე გადასვლის მომასწავებელი[28].

---

[24] Ж. Мишле, Реформа (Из истории Франции XVI века), СПб., 1861. История Франции, под ред. А. Манфреда, Т. I, М., 1972.

[25] В. Штокмар, Очерки по истории Англии XVI века, Ленинград, 1957. А. Зверева, История Шотландии, М., 1961. Д. Тревельян, Социальная история Англии, обзор шести столетий от Чосера до королевы Виктории, М., 1959; А. Мортон, История Англии, М., 1950.

[26] И. Андерсон, История Швеции, М., 1951; История Швеции, М., 1974.

[27] Р. Виппер, Церковь и государство в Женеве XVI века в эпоху кальвинизма, М., 1894, Ван Мюйден, История швейцарского народа, Т. 2, СПб., 1900.

[28] G. Von Below, Deutsche Geschichtsschreibung, Leipzig, 1916; E. Fueter, Geschichte der neueren Historiographie, München und Berlin, 1936; М. Петров, Новейшая национальная историография в Германии, Англии и Франции. Сравнительный историко-библиографический обзор, Харьков, 1861; О. Ваинштейн, დასახ. ნაშრომი,

XIX ს-ის გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ჟიულ მიშლე ამბობდა „არაფერი არ არის საინტერესო, გარდამავალ ეპოქაზე მეტად. აქ მთელი გარემომცველი სამყარო გახვეული არის საიდუმლოების ნისლში“[29]. ¡მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით არის განპირობებული, რომ ნიშანსვეტის განსაზღვრა შუა საუკუნებსა და ახალ დროს შორის შესამჩნევად გაჭიანურდა და კამათი მის გარშემო დღესაც გრძელდება. უნდა ითქვას, რომ შლიოცერის იდეა საკმაოდ პოპულარული აღმოჩნდა და მას დღეს ბევრი ისტორიკოსი იზიარებს. ასე განსაჯეთ, ტერმინი გარდამავალი ხანა საზღვარგარეთის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი დამკვიდრდა[30], თუმცა კამათი ისტორიკოსებს შორის გარდამავალი პერიოდების კონკრეტულ ისტორიული ჩარჩოების შესახებ ამჟამადაც გრძელდება. ეს ბუნებრივიცაა. პერიოდიზაციის აუცილებლობა არ გამორიცხავს მის პირობითობას და ეს შეეხება გარდამავალ პერიოდსაც, რომელთა ქრონოლოგიური საზღვრები ძალზე პირობითია.

ოლიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ, კიდევ ერთ საკითხზე. ცივილიზებული ქვეყნების ისტორიოგრაფიას არ მიაჩნია, რომ ახალი ისტორია დღემდე გრძელდება. საერთაშორისო კონგრესებზე, სასკოლო სახელმძღვანელოებში, ენციკლოპედიებში ახალ ისტორიას ამთავრებენ 1870 წელს[31].

მართლაც, 1870 წლისათვის მსოფლიოს მაშტაბით საგულისხმო ცვლილებები ხდება. პირველ ყოვლისა, მკვეთრად იცვლება ვითარება ევროპის შუაგულში. საქმე ეხება გერმანიის და იტალიის გაერთიანებას. ასე წარმოიქმნა ევროპის ცენტრში, გერმანიის სახით, უძლიერესი სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობების სახელმწიფო. ძლიერი სახელმწიფოები ინგლისი და საფრანგეთი იძულებული არიან დაივიწყონ ძველი მტრობა და ანგარიში გაუწიონ გერმანიის პოტენციურ შესაძლებლობებს. საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებები ამის ლოგიკური შედეგია. ცხადია, ყურადღების გარეშე არ შეიძლება იქნეს დატოვებული სამოციანი წლების მიწურულიდან ინგლისში ჩატარებული საარჩევნო რეფორმები, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა ინგლისური დემოკრატია. 1871 წლის შემდეგ საფრანგეთში საბოლოოდ დამ-

---

Е. Косминский, დასახ. ნაშრომი, Б. Вебер, Историографические проблемы, М., 1974; Studien über die deutsche Geschichtswissenchaft, hrag. von I. Streisand, Berlin, Bd. 1, 1960., Bd. 2, 1963.

[29] ციტ.: Д. Градовский, Между Робеспьером и Наполеоном,—собр. соч. т. 3; М,, 1899, с. 495.

[30] XIII международный конгресс исторических наук. М., 16—23 августа 1970 г. XIV International Congress of Historical sciences, San Francisco, August 22—August 29, 1975; XVI Internationaler Kongres der Geschcichtawissoenschaften, 25 August—1 September 1985. Stuttgart, 1985.

(ეს მასალები მოგვაწოდა პროფ. ი. ტაბაღუამ. რისთვისაც მოვახსენებთ დიდ მადლობას.)

Тихвинский Л., XVII международный конгресс исторических наук в Мадриде, «Новая и новейшая история», 1991, № 2.

Larousse, Dictionnaire encycloêdique, Vol. 11, p. 949. Pariz, 1988. Encyclopaedia Britannica. A New Survoy of Universal Kno wledge. Vol. 15. Encyclopaedia Britannica, LTD. Chicago, London, Toronto. 1956, p. 448. Terry L., Allen O. Konslar, World History. A Story of Progress. Holt, Rinehart and Winston, Publishers. New York. 1987.

Энциклопедический словарь, под ред. Брокхауза и Ефрона, Т. 31, М., 1900, С. 348—349.

[31] Terry L. Smart, Allen O. Kovnslar, დასახ. ნაშრომი, გვ. 294.

კვიდრდა მმართველობის რესპუბლიკური ფორმა. მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება რუსეთში. 1861 წლის 19 თებერვალს ბოლოს და ბოლოს როგორც იქნა გაუქმდა ბატონყმობა. 60—70-იან წლებში. გატარდა რეფორმები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის წინსვლას. საყურადღებო სიახლეებია ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე. დასრულდა სამოქალაქო ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. რის შედეგადაც მოისპო ქვეყნის პროგრესული განვითარების სერიოზული დაბრკოლება — მონათმფლობელობა. ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები სწრაფად ჩამოყალიბდა როგორც მძლავრი სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო ცხოვრებაში პირველხარისხოვან როლს ასრულებს. 1868 წლის მეიძის რევოლუციამ მნიშვნელოვნად დააჩქარა იაპონიის განვითარება და ეს დიდი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფო სულ მალე აქტიურად ჩაება საერთაშორისო ცხოვრებაში.

1870 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი თარიღია 1945 წელი. ეს არა მხოლოდ იმიტომ რომ ამ წელს დასრულდა მეორე მსოფლიო ომი, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოაგდეს პირველი ატომური ბომბები. ატომური იარაღის გამოყენება, ცხადია, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მსოფლიოს ისტორიაში. ამიერიდან ფაქტობრივად გამოირიცხა მსოფლიო ომის შესაძლებლობა. ახალი მსოფლიო ომი განადგურებით ემუქრებოდა არა მარტო დამარცხებულ ქვეყნებს, გამარჯვებულ ქვეყნებსაც, მთელ პლანეტას. ცხადია, ასეთ პირობებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა როგორ განვსაზღვროთ პერიოდი 1945 წლის შემდეგ. შესაძლოა აქედან იწყება მსოფლიოს ისტორიის ახალი პერიოდი ან ქვეპერიოდი, რომელსაც პირობით დღევანდელი ისტორია შეიძლება ვუწოდოთ. ყველაფერს, ვფიქრობთ, მომავალი გვიჩვენებს. რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია მოსაზრებაც. რომ უკანასკნელი ოთხი-ხუთი ათეული წელი არ წარმოადგენს ისტორიას ამ სიტყვის მკაცრი მეცნიერული გაგებით. მიმდინარე ისტორიული პროცესები ჯერ კიდევ არაა დაღვინებული. არსებული დოკუმენტები და საარქივო მასალა მნიშვნელოვანწილად ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული. ისტორიის ეს მონაკვეთი ეხება მიმდინარე პოლიტიკას და მისი კვლევა, უპირველეს ყოვლისა არის საერთაშორისო მიმომხილველების, პოლიტოლოგების, ჟურნალისტების და არა პროფესიონალი ისტორიკოსების საქმე. ჯერ კიდევ ამიტომაც XVIII ს-ის ცნობილმა პუბლიცისტმა ჟაკ მალე დიუპანმა დღევანდელობის ისტორიის წერა მოსწრებულად შეადარა „ნისლიან ამინდში პეიზაჟის ხატვას“[32].

მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთი მორიგი ვარიანტი მოგვცეს კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა. აღსანიშნავია, რომ ისინი ასევე XVI ს-ეს მიიჩნევენ ახალი ისტორიის ამოსავალ წერტილად, თუმცა ასეთი ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენისას ისინი. რა თქმა უნდა, სულ სხვა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდნენ. ეს იყო ისტორიის ახალი ინტერპრეტაცია, რომელსაც საფუძვლად ედო საწარმოო ძალთა განვითარება და სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვლა. კ. მარქსის და ფრ. ენგელსის მიხედვით ახალი ისტორია XVI ს-დან იწყება. ისინი სწორედ ამ საუკუნეს მიიჩნევენ „კაპიტა-

---

[32] Кареев Н. И. Французские историки французской революции, Т. I. М., 1924, с. 35—36.

ლისტური ეპოქის განთიადად, დასაწყისად"[33]. მეორე ადგილას კი ისინი წერენ „მსოფლიოს ვაჭრობა და მსოფლიოს ბაზარი XVI ს-დან იწყებს კაპიტალის ახალ ისტორიას"[34]. საკითხის ასეთი გააზრება სავსებით ჯდება ისტორიის სამწევროვან დაყოფაში, თუმცა აქ სიმძიმის ცენტრი სხვაგან იქნა გადატანილი. შუა საუკუნეები ფეოდალიზმთან იქნა გაიგივებული, ხოლო ახალი ისტორია-კაპიტალიზმთან და რომ ახალ ისტორიას აქვს გამოკვეთილი ქრონოლოგიური დასასრული, როცა კაპიტალიზმს შეცვლის სოციალიზმი. რასაც ფაქტობრივად ოთხწევროვან დაყოფაზე გადავყავართ. რაც შეეხება წინაფეოდალურ ფორმაციებს ისინი ერთიანდებიან ძველ ისტორიაში. ჩვენ აქ არ შევეხებით იმ საკითხს თუ ძველ ისტორიაში რამდენ ფორმაციას გულისხმობდა კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ორს (პირველყოფილს და მონათმფლობელურს) თუ სამს (პირველყოფილს, მონათმფლობელურს და წარმოების აზიურ წესს). პერიოდიზაციის ასეთ გააზრებას, ვფიქრობთ, არცთუ უმართებულოდ საყვედურობენ სქემატიზმს.

როგორც ჩანს, გარკვეულ არათანამიმდევრობას იჩენდა კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ახალი ისტორიის დასაწყისის კონკრეტული თარიღის განსაზღვრის დროს. ცნობილია, რომ ფრ. ენგელსი გლეხთა ომს გერმანიაში მიიჩნევდა № 1 ბურჟუაზიულ რევოლუციად ევროპაში[35], თუმცა ახალი ისტორიის დაწყება მათ მიზანშეწონილად მიაჩნდათ ნიდერლანდების რევოლუციით, რომელიც წარმოადგენდა ევროპული ბურჟუაზიის პირველ დიდ გამარჯვებას ფეოდალიზმზე"[36]. გლეხთა ომის დამარცხება, ვფიქრობთ, არგუმენტად ვერ გამოდგება. მიუხედავად მისი შედეგისა ეს რეფორმაციასთან ერთად იყო ევროპაში **პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია** და, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ახალი ისტორია დაეწყოთ რეფორმაციით და გლეხთა ომით გერმანიაში (1517—1525). სოციალური რევოლუციის წარუმატებლობა არ ნიშნავდა ახალი იდეების დამარცხებას. რეფორმაცია ამის კარგი მაგალითია.

ის რაც იგულისხმებოდა კ. მარქსთან და ფრ. ენგელსთან საბჭოთა ისტორიოგრაფიამ მოახდინა მისი კანონიზაცია. მან აიღო მხოლოდ ხუთი ფორმაცია და პირდაპირ გააიგივა ისინი მსოფლიოს ისტორიის ოთხწევროვან დაყოფას: ძველი ისტორია (პირველყოფილი საზოგადოება, მონათმფლობელობა), შუა საუკუნეები (ფეოდალიზმი), ახალი ისტორია (კაპიტალიზმი), უახლესი ისტორია (სოციალიზმი).

ამ სქემის შესაბამისად შუა საუკუნეების ისტორია იწყება მაშინ, როდესაც წამყვან ადგილს იკავებენ ის ქვეყნები, სადაც გაიმარჯვა ფეოდალიზმმა. ახალი ისტორია იწყება მაშინ, როდესაც ასპარეზზე გამოდის ახალი კლასი ბურჟუაზია და ყალიბდება კაპიტალისტური წყობა. უახლესი ისტორია კი სოციალიზმის წინსვლასთან არის დაკავშირებული: საბჭოთა კავშირის წარმატებები და ე. წ. სოციალისტური სისტემის შექმნა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად ვერ ჩაითვლება.

---

[33] К. Маркс, Капитал: — К. Маркс, Фр. Энгельс, собр. соч., Т. 23. М., 1962, с. 728—730.

[34] იქვე.

[35] ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ, 1956. რეფორმაციის და გლეხთა ომის ხასიათმა სერიოზული დისკუსია გამოიწვია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. იხ. „Вопросы истории" 1956, № 12, 1957. № 6 и № 8. 1958, № 3 и 4.

[36] К. Маркс, Буржуазия и контрреволюция; — К. Маркс, Фр. Энгельс, собр. соч, Т. 6. с. 114.

საბჭოთა ისტორიოგრაფიას სადავოდ არ გაუხდია ორი მიჯნა. რომის დაცემა როგორც ძველი ისტორიის დასასრული და შუა საუკუნეების დასაწყისი და 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია როგორც ახალი ისტორიის დასასრული და უახლესი ისტორიის დასაწყისი. დიდი კამათი გამოიწვია თუ სად უნდა დავამთავროთ შუა საუკუნეები და დავიწყოთ ახალი ისტორია ანუ მარქსისტულ-ლენინური კონცეფციის მიხედვით როდის იქცა მსოფლიოს მასშტაბით წამყვან ძალად კაპიტალიზმი, ის ქვეყნები სადაც ამ წყობამ გაიმარჯვა და ფეოდალიზმმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

პრაქტიკულად ეს კამათი, თუ ამას შეიძლება კამათი ეწოდოს, ამ სიტყვის ნორმალური გაგებით, იწყება მაშინ როდესაც სკოლაში შემოიღეს სამოქალაქო ისტორიის სწავლება. (1934 წ.). სამოქალქო ისტორიის სწავლების პროგრამა ახალი ისტორის დაწყებას ითვალისწინებდა ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციით XVI ს-ის მეორე ნახევარში[37]. ეს თვალსაზრისი მეთოდოლოგიურად საეჭვებით გამართული იყო და ფაქტობრივად კ. მარქსის და ფრ. ენგელსის აზრის აღდგენას წარმოადგენდა, მაგრამ სამთავრობო კომისიას პროექტის მიმართ მთელი რიგი შენიშვნები გააჩნდა. ერთ-ერთი მათგანი უშუალოდ მსოფლიო ისტორიის ქრონოლოგიას და პერიოდიზაციას ეხებოდა. მაღალი კომისიის კონტრარგუმენტი ასეთი იყო: „კაპიტალისტური სახელმწიფოების ისტორიაში რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამდე ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია და კაპიტალისტური წყობის დამყარება ევროპაში და ამერიკაში". ამიტომ მათ მიზანშეწონილად სცნეს ახალი ისტორიის დაწყება XVIII ს-ის მიწურულში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციით[38].

ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ საკამათო აღარაფერი იყო. ჩვენში დამკვიდრდა მსოფლიოს ისტორიის ე. წ. საბჭოთა პერიოდიზაცია, რომლის მიხედვითაც შუა საუკუნეები მთავრდება და ახალი ისტორია იწყება 1789 წელს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციით[39]. გადაჭარბებული სულაც არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პერიოდიზაციის ამ სქემას ნაკლოვანებები უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ღირსებები. აქ პირველ ყოვლისა ვგულისხმობთ იმას, რომ შუა საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოექცა ისეთი ისტორიული მოვლენები, რომლებიც, თვით მარქსისტული გაგებითაც კი, ბურჟუაზიული არსი ყოველგვარ ეჭვს გარეშე: რეფორმაცია, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი, ბურჟუაზიული რევოლუციები ნიდერლანდში და ინგლისში, ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და დამუკიდებლობის მოპოვება, ფრანგული განმანათლებლობა, კოლონიური ომები. ამიტომ სავსებით ლოგიკური ჩანს, რომ ეს თარიღი სწრაფად დაივიწყეს, თუმცა 60-იან წლებში მას იცავდა ლენინგრადელი ისტორიკოსი ვ. რევუნენკოვი[40].

---

[37] **Замечание о конспекте учебника новой истории. — Сб.: К изучению истории, М., 1938. с. 25.**

[38] იქვე.

[39] შუა საუკუნეების ისტორია, ო. ვაინშტაინის და ს. სკაზკინის რედაქციით, ტ. 2, თბ., 1949; **Новая история (1789—1870). под. ред. акад. Э. В. Тарле, М., 1939.**

[40] **Ревуненков В. К вопросу об особенностях в историческом значении английской буржуазной революции XVII веков. — «Вестник Ленинградского университета». Серия истории, языка и литературы, вып. I, Л., 1964.**

ამდენად, ბუნებრივია ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ 50-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა კავშირში პოლიტიკური კლიმატის დათბობასთან დაკავშირებით კვლავ დადგა მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი. უნდა ითქვას, რომ ამჯერად მოიძებნა რაღაც კომპრომისული ვარიანტი, რომლის საფუძველზე ახალი ისტორია იწყება XVII ს-ის შუა ხანებში ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციით. კონკრეტულად ინგლისისათვის ეს არის 1603 წელი, როდესაც ტახტზე ავიდნენ სტიუარტები, რაც წარმოადგენდა „ინგლისის რევოლუცის პრელუდიას“, ხოლო ევროპისათვის 1648 წელი, როდესაც დასრულდა 30-წლიანი ომი და დაიდო ვესტფალიის ზავი[41].

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ სცადა პერიოდიზაციის ეს მოდელი მსოფლიოს ისტორიული მეცნიერებისათვის მოეხვია თავს. განსაკუთრებით სერიოზული დისკუსია პერიოდიზაციის საკითხზე გაიმართა ისტორიკოსთა X საერთაშორისო კონგრესზე 1955 წელს რომში და ეს დავა გაგრძელდა ისტორიკოსთა მომდევნო ფორუმზე სტოკჰოლმში 1960 წელს. აქ მოხსენებით გამოვიდა აკად. ე. ჟუკოვი[42], რომელმაც სცადა დაეფუძნებინა პერიოდიზაციის საბჭოური სქემა, მაგრამ ისტორიკოსთა უმრავლესობა მეტად უარყოფითად შეხვდა მის მოსაზრებას, რომ ახალი ისტორია იწყება XVII ს-ის შუა ხანებში. ამიტომ საერთაშორისო სარბიელზე პერიოდიზაციის საბჭოური ვარიანტის წარმატებაზე ლაპარაკი გამორიცხულია, თუ არ ჩავთვლით იმდროინდელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს. საბჭოთა ისტორიოგრაფია იზოლაციაში აღმოჩნდა, რაც იმით გამოიხატა, რომ ის იყო ერთადერთი სკოლა რომელიც XVI საუკუნეს შუა საუკუნეების ისტორიას მიაკუთვნებდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი დათარიღება არ შეესაბამებოდა თვით კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის კონცეფციასაც კი, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, XVI ს-ეს განიხილავდნენ როგორც ახალი ისტორიის პირველ საუკუნეს.

მიუხედავად იმისა, რომ XVII ს-ის შუაგული საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დღემდე გაბატონებული რჩება, დისკუსია მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ დასრულებულად ვერ ჩაითვლება. 80-იან წლებში გაჩაღებული პოლემიკა, ვფიქრობთ, ამაზე უნდა მეტყველებდეს[43]. კამათი, ბუნებრივია, მარ-

[41] Всемирная история, т. 5, М., 1957, с. 8. Большая Советская Энциклопедия, третий выпуск, Т. 24, Ч. I, М76 1976, с. 374. Историческая энциклопедия, Т. 13, М., с. 765. История средних веков, под ред. Сказкина, тТ. 1—26, М., 1977; История средних веков, под ред. Колесницкого, М., 1980; Новая история, под ред. Юровской, М., 1983. Новая история, под ред. Адо, М., 1986.

[42] Жуков Э., Методология истории, М., 1980.

[43] Рутенбург В., Ранние буржуазные революции — «Вопросы истории», 1984, № 3; М. Барт, Место XVII века в истории Европы — «Вопросы истории», 1985, № 3; Т. Исламов, В. Френдзон, Переход от феодализма к капитализму в западной центральной и юго-восточной Европе — «Новая и новейшая история», 1986, № 1; Дьяков В., Углублять исследование важной темы — «Новая и новейшая история», 1986, № 3; А. Мыльников, О сравнительно-историческом изучении процесса становления европейских наций — «Новая и новейшая История», 1986, № 3, В. Виноградов, Об общем и особенном — «Новая и новейшая история», 1986, № 4; В. Малов, Единство и противоречия позднефеодального периода, — «Новая и новейшая история», 1986, № 4. Ж. Пах, Проблема запаздывания перехода от феодализма к капитализму на примере исторического развития Венг-

ქსისტული იდეოლოგიის ჩარჩოებს არ გასცდენია და ამიტომ მისმა მონაწილეებმა ვერ წამოაყენეს რაიმე ახალი არგუმენტები შუა საუკუნებსა და ახალ ისტორიას შორის საზღვრის შესახებ. ტრადიციული თვალსაზრისის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დამცველად ცნობილია საბჭოთა ისტორიკოსი მ. ბარგი გვევლინებოდა[44], ხოლო ლეხიხგრადელი ისტორიკოსი ვ. რუტენბურგი შესაძლებლად მიჩნევდა ახალი ისტორიის დაწყებას XVI ს-ის მეორე ნახევარში ნიდერლანდის ბურჟუაზიული რევოლუციით[45]. ამგვარად, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ახალი ისტორიის ყველაზე უფრო ადრეული თარიღი არის XVI ს-ის მეორე ნახევარი — ნიდერლანდის რევოლუცია. ახალი ისტორიის თვით ასეთი დათარიღებითაც კი ცოტათი დაგვიანებული ჩანს. ეს ყველაზე ადრეული თარიღიც შორსაა საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული ყველაზე გვიანდელი თარიღისაგან (რეფორმაციის დაწყება 1517 წელი). თუმცა პირველი მოკრძალებული ხმები მარქსისტული პერიოდიზაციის შემდგომი სრულყოფის თაობაზე უკვე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაისმა[46].

ჩვენ შედარებით დეტალურად შევეხეთ მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციას საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ, რადგან იგი იძულებითი წესით არის თავს მოხვეული ქართველი ისტორიოგრაფისათვის, რომელსაც არავითარი საშუალება არ ჰქონდა მას დაპირისპირებოდა.

ჩვენ შორს ვართ იმისაგან, რომ დიქტატს დავუპირისპიროთ დიქტატი. ყველა ისტორიკოსს აქვს უფლება აღიაროს და დაასაბუთოს მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის ის სქემა, რომელიც მისი აზრით ყველაზე უფრო გამართლებულია. ჩვენ პირადად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყოველგვარი ნოვაციების და ორიგინალობის გარეშე საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მსოფლიოს ისტორიის სწავლებისას შემოღებული იქნას ის პერიოდიზაცია, რომელიც მიღებულია ცივილიზირებულ სამყაროში.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით თვალსაზრისს, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დამხობა (476 წ.) მოასწავებდა ძველი ისტორიის დასასრულს. თანამედროვე ისტორიის დასაწყისად პირობით შეიძლება მივიჩნიოთ — 1870 წელი. აი, რაც შეეხება ყველაზე დიდ კამათის საგანს მიჯნას შუა საუკუნებსა და ახალ დროს შორის აქ სამი თარიღი ჩანს ყურადსაღები: კონსტანტინოპოლის დაცემა

рии — «Новая и новейшая история», 1986, № 5; Е. Наумов, Об особенностях перехода от феодализма к капитализму в юго-восточной Европе — «Новая и новейшая история», 1986, № 6, Фишер И., К вопросу о переходе от феодализма к капитализму в чехии — «Новая и новейшая история», 1987, № 1; Ивонин Ю., Позднее средневековье или ранняя новая история — «Вопросы истории», 1987, № 1; Кахк Ю., Крестьянство и дворянство в процессе генезиса капитализма — «Новая и новейшая история», 1987, № 4; Грох М., От кризиса феодального общества к буржуазной революции — «Новая и новейшая история», 1987, № 6; Барг М., Черняк Е., Революция европейского масштаба, в процессе перехода от феодализма к капитализму (XVI—XIX вв.), «Новая и новейшая история», 1988, № 3; Фоглер Г., Единство и разнообразие в процессе от феодализма к капитализму — «Новая и новейшая история», 1990, № 3; Ивонин Ю., Абсолютизм в Германии в XVII — XIX вв. — «Новая и новейшая история», 1990, № 4.

[44] Барг М., Место XVII века в истории Европы — «Вопросы истории», 1985, № 5.

[45] Рутенбург В., Ранние буржуазные революции — «Вопросы истории», 1984, № 3.

[46] Всеобщая история, дискуссия, новые подходы, вып. 1—2, М., 1989; «Новая и новейшая история», 1991, № 6, с. 231—235.

1453 წელი, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები — 1492 წელი და რეფორმაციის დასაწყისი — 1517 წელი. ეს არის შეთანხმების საქმე.

ჩვენ პირადად უფრო იმისკენ ვიხრებით, რომ შუა საუკუნებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად 1492 წელი — დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები დავასახელოთ. მიგვაჩნია, რომ გასათვალისწინებელია ის სერიოზული მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს. მხედველობაში გვაქვს შემდგომი ისტორიული ფაქტები: 1480 წელს რუსეთი განთავისუფლდა ოქროს ურდოს ბატონობისაგან, 1483 წელს ლუი XI-ის მეფობის დამთავრებით ფაქტობრივად დასრულდა საფრანგეთის გაერთიანება და მომზადდა ნიადაგი იტალიური ომებისათვის (1494—1558), 1485 წელს ჰენრიხ VII-ის გამეფებამ ბოლო მოუღო თეთრი და ალისფერი ვარდების ომს ინგლისში, 1492 წელს დამთავრდა რეკონკისტა. ეს პერიოდი საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსათვის. 1490 წლისათვის საბოლოოდ დაიშალა ერთიანი ქართული სახელმწიფო ქართლის, კახეთის, და იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილია, რომ შუა საუკუნებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დასაწყისი — 1492 წელი მივიჩნიოთ.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის

მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნის ისტორიის პერიოდიზაციასთან. ბუნებრივია, რომ ქართველი მკითხველისათვის საინტერესოა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები და მათი მიმართება მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციისადმი. რა თქმა უნდა, აღნიშნული პერიოდიზაცია ასევე პირობითი ხასიათისაა. ამ საკითხის გარკვევა სულაც არ წარმოადგენს იოლ საქმეს და მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რის თაობაზედ უკვე აკად. ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავდა: „უეჭველია, აქ არაერთ შეცდომას ექნება ჩემი მხრივ ადგილი, მაგრამ ვბედავ ასეთი სამუშაოს ჩატარებას იმიტომ, რომ შეუმცდარი აქ არავინ იქნება და ეს სამუშაო კი აუცილებლად უნდა შესრულდეს“[47].

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის არსებული სქემები. ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად ამ პერიოდების დეტალური შედარება შიგა პერიოდების მიხედვით და აქედან გამომდინარე შემოვიფარგლეთ მხოლოდ წარმოდგენილი სქემების ზოგადი მიმოხილვით.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ათვლა შუა საუკუნებიდან იწყება. პერიოდიზაციის უფრო ადრეულ, უძველეს ცდებს, როგორც ჩანს, ჩვენამდე არ მოუღწევია.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის გააზრების პირველი მცდელობა „ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება: „ქართლის ცხოვრების“ შესავალში მოთხრობილია ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ბიბლიური ვარიანტი, რაც

---

47 ნ. ბერძენიშვილი, შრომები, ტ. VII, გვ. 245.

სავსებით ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა შუა საუკუნეების ისტორიული აზროკნებისათვის[48].

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის მესაძირკვლე, რა თქმა უნდა, ლეონტი მროველია. მის მიერ შემუშავებული პერიოდიზაცია მტკიცედ დამკვიდრდა ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ლეონტი მროველმა საქართველოს ისტორია ფაქტობრივად დაჰყო ორ პერიოდად — მეფობის წინა და მეფობის ხანად[49]. ამგვარმა მოსაზრებამ თითქმის XIX ს-ის შუა ხანებამდე იარსება. მას ყველა ქართველი ისტორიკოსი იზიარებდა, მათ შორის ისეთი ორიგინალურად მოაზროვნე მკვლევარიც კი როგორიც ვახუშტი ბატონიშვილია. მან, ლეონტი მროველის მსგავსად, საქართველოს ისტორია ორ პერიოდად დაჰყო. საქართველოს ისტორიას ფარნავაზიდან 1469 წლამდე ძველი ისტორია უწოდა, ხოლო 1469 წლიდან იწყება ქვეყნის ისტორია, ერთიანი მონოლითური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ[50]. ეს თარიღი, მართლაც, მნიშვნელოვანია და, სხვათა შორის, მას გარკვეული ვარიაციებით მომდევნო თაობის ისტორიკოსებიც იზიარებდნენ. საინტერესოა, რომ არც ლეონტი მროველი — სასულიერო პირი, და არც ვახუშტი საერო პირი, ქრისტიანობის მიღების ფაქტა ისტორიულ მიჯნად არ მიიჩნევენ. ამიტომ მათი პერიოდიზაციის სქემაში ძველი ისტორია მნიშვნელოვანწილად ერწყმის შუა საუკუნეებს.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის საკითხში თვისობრივად ახალი სიტყვა თქვა XIX ს-ის შუა ხანების ქართველმა ისტორიკოსმა სულხან ბარათაშვილმა (ბარათოვმა), რადგანაც იგი საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციად დაყოფისას არსებითად ევროპულ ტრადიციას ეყრდნობოდა. საქმე ისაა, რომ საქართველოს ისტორიის წერისას მან მოიმარჯვა პერიოდიზაციის პროგრესული მოდელი — ისტორიის სამწევროვანი დაყოფა. სულხან ბარათაშვილმა პირველმა საქართველოს ისტორია დაჰყო სამ პერიოდად: ძველი, შუა, ახალი ეს იყო პერიოდიზაციის საკითხისადმი სრულიად ახლებური, დასავლურ ევროპული მიდგომა. მისი თვალსაზრისით საქართველოს ძველი ისტორია მთავრდება და შუა საუკუნეების ისტორია იწყება IV ს-ში ქრისტიანობის მიღებით. შუა საუკუნეების დასასრულად ის ასახელებს XV ს-ეს, როდესაც დაიშალა საქართველოს ერთიანი, ძლიერი სახელმწიფო[51]. ეს პერიოდიზაცია უშუალოდ უახლოვდება მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციას და, ჩვენი აზრით, სავსებით მისაღებია. სულხან ბარათაშვილის მოცემული პერიოდიზაციის პირველი თარიღი ფრიად ანგარიშგასაწევია და ძალიან უახლოვდება მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის იმ ვარიანტს, რომელსაც გვთავაზობდა ცელარიუსი — ქრისტიანობის ლეგალიზაცია, მილანოს ედიქტი — 313 წელი.

---

48 ე. თაყაიშვილი, აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების" მაჩაბლისეულ ხელნაწერს. — ს. ჯანაშიას სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე", ტ. 17, თბ., 1953; ც. ქურციკიძე, კვლავ „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერთა აპოკრიფული თხზულებათა შესახებ — „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 1.

49 შ. მესხია, ლეონტი მროველი საქართველოს ორი პერიოდის შესახებ, იხ. კრებულში: „კავკასიის ხალხთა ისტორია", თბ., 1966.

50 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 12; ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969, Накашидзе Н., Вахушти Багратиони—в кн.: Вахушти Багратиони, история царства Грузинского, Тб., 1976.

51 Баратов С., История Грузии, тетрадь 1-ая, СПб, 1965, с. 6—7; შ. მესხია, ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი პერიოდები — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. 2, თბ., 1973, გვ. 6—7.

საინტერესოა, რომ შუა საუკუნეების დასაწყისად ბარათოვმა რომის დამხობა კი არ მიჩნია, არამედ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება. ცხადია, ალოგიკური აქ არაფერია. ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოსათვის გაცილებით დიდი მნშვნელობა ჰქონდა, ვიდრე დასავლეთ რომის იმპერიის დაცემას.

შუა საუკუნების დასასრულად სულხან ბარათშვილი XV საუკუნის მიწურულს — ერთიანი სახელმწიფოს დაშლას ასახელებს. ეს, მართლაც, მნიშვნელოვანი ტეხილი იყო საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და იგი ძალზე უახლოვდება მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციას — კონსტანტინეპოლის დაცემას (1453) და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს (1492).

სულხან ბარათაშვილის მიერ შემოთავაზებული პერიოდიზაცია იმდენად ანგარიშგასაწევი გამოდგა, რომ მას გარკვეული ვარიაციებით თითქმის ყველა ისტორიკოსი იზიარებდა და შუა საუკუნეების ისტორიას IV ს-ით იწყებდა. საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემებზე მომუშავე შემდეგნო თაობის ისტორიკოსებიდან მხოლოდ ორი აკად ივანე ჯავახიშვილი და აკად. ნიკო ბერძენიშვილი არ ასახელებს IV ს-ეს ძველსა და შუა საუკუნეების ისტორიას შორის წყალგამყოფად. შუა საუკუნეების დასასრულის ქრონოლოგიური ზღვარიც ფრიად საგულისხმოა.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ორიგინალური გააზრება შემოგვთავაზა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. იგი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც პერიოდიზაციას სოციალ-ეკონომიკური მოვლენები დაუდო საფუძვლად. მან საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ასეთი სქემა შემოგვთავაზა: I—VII საუკუნე მონობა იყო; VIII—IX საუკუნე იყო მონობიდან პატრონყმობაზე გარდამავალი ხანა. X—XIII საუკუნებს განიხილავს პატრონყმობის დამკვიდრების ეპოქად. პატრონყმობა ბატონყმობით შეიცვალა, რაც ავტორს წარმოუდგენია, როგორც ბატონყმობის გვიანდელი საფეხური და მის დასაწყისად XV ს-ეს ასახელებს[52].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანდათანობით დამკვიდრდა პერიოდიზაციისადმი ფორმაციული მიდგომა, რაც სულხან ბარათაშვილის სქემასთან შედარებით უკან გადაგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. რამდენად გულწრფელები იყვნენ იმ პოლიტიკურ ვითარებაში ამ სქემების შემმუშავებლები ძნელი სათქმელია. ჩვენ ვეხებით მხოლოდ იმას, რაც მათ დაწერეს. ამ შემთხვევაში ბრალდებას ვუყენებთ არა კონკრეტულად რომელიმე ისტორიკოსს, არამედ იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც აიძულებს მეცნიერს გარკვეულ შეზღუდულ ჩარჩოებში მოექცეს. ეს ჩვენი მოსაზრება, რასაკვირველია, ეხება 1978 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო სესიასაც. არსებული იდეოლოგიურიის პირობებში ფორმაციული პრინციპის წინააღმდეგ ხმის ამოღებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მიუხედავად მთელი რიგი ფაქტობრივი სიახლეებისა და ორიგინალური დაკვირვებებისა დისკუსია მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საკითხისადმი ფორმაციულ მიდგომას ვერ გასცდა[53].

ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, მ. დუმბაძე, შ. მესხია, დ. მუსხელიშვილი, ივ. სურგულაძე, ა. ბოგვერაძე, თ. პაპუაშვილი, გ. ჯამბურია შუა საუკუნეების

---

52 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბ., 1928, გვ. 198; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1. თბ., 1960, გვ. 392.

53 საქართველოს ისტორიის ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, თბ., 1980.

ისტორიას იწყებენ ფეოდალიზმის ჩასახვით IV ს-ში. ქრისტიანობის მიღება ბუნებრივია, გამოწვეული იყო იმ სიახლეებით, რომელიც ქვეყნის ცხოვრებაში ხდებოდა. თავის მხრივ კი ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარება ქრისტიანობის მიღების ლოგიკური შედეგია.

ფეოდალიზმის განვითარება საქართველოში მეტად თავისებური გზით წარიმართა. შუა საუკუნეებამდე საქართველოში ადგილი ჰქონდა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და მონათმფლობელობის ცალკეული ელემენტების სინთეზს. აკად. გიორგი მელიქიშვილმა გამოთქვა აზრი საქართველოში ადრეკლასობრივი საზოგადოების არსებობის შესახებ. მისი შეხედულებით „ადრეკლასობრივი საზოგადოების ყველაზე უფრო გავრცელებული სახე სწორედ პროტოფეოდალურად შეიძლება განისაზღვროს“[54].

ერთადერთი საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსი, რომელიც უგულებელყოფს IV ს-ეს როგორც ზღვარს ძველ ისტორიასა და შუა საუკუნეებს შორის აკად. ნიკო ბერძენიშვილია. ის შუა საუკუნეებს ფეოდალიზმის ეპოქას VI ს-ით იწყებს[55]. ეს მართლაც, გარკვეული ნიშანსვეტია საქართველოს ისტორიისათვის, ს. ჯანაშია, მ. დუმბაძე და დ. მუსხელიშვილი მიუთითებენ ამ თარიღზე, მაგრამ მას განიხილავენ როგორც ადრეფეოდალური ხანის ორი ქვეპერიოდის მიჯნას. ასევე X—XIII საუკუნეები ფიგურირებს ორ ქვეპერიოდს შორის მიჯნად. საკითხის ამგვარი დაყენების შესახებ განსხვავებული მოსაზრება მხოლოდ ორ ისტორიკოსს აქვს. XX ს-ის დასაწყისში მოღვაწე სერგი გორგაძე საშუალო საუკუნეებს ამთავრებს XIII ს-ით[56], ხოლო დავით მუსხელიშვილი — ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავალ ხაზს IV—VII საუკუნეებში აქცევს[57]. XV საუკუნეზე, როგორც ფეოდალიზმის განვითარების მნიშვნელოვან ტეხილზე მიუთითებდნენ ივ. ჯავახიშვილი და მ. დუმბაძე[58], თუმცა ბარათაშვილისაგან განსხვავებით მათ ეს თარიღი არ მიაჩნიათ საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის დასასრულად, რადგან იზიარებენ ფორმაციულ პრინციპს.

XIX ს-ის 60-იანი წლები ცივილიზებული სამყაროში აღიარებული მსოფლიოს ისტორის პერიოდიზაციის მიხედვით არის დასასრული ახალი ისტორიისა და უახლესი ისტორიის დასაწყისი. ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, რომლებიც იზიარებდნენ ფორმაციულ პრინციპს, აქ თავდება გვიანფეოდალური ხანის ისტორია[59].

---

54 გ. მელიქიშვილი, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოების ბუნების საკითხისათვის — წიგნში. „ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“. თბ., 1976; **Меликишвили Г. К., истории древней Грузии. Тб., 1959, с. 5.**

55 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა — „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 125.

56 ს. გორგაძე, **საქართველოს ისტორია, ტფ., 1910.**

57 დ. მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, № 2.

58 მ. დუმბაძე, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია (XV საუკუნე) — კრებულში: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია“, თბ., 1980.

59 ნ. ბერძენიშვილი, დასახ., ნაშრომი, გვ. 125. პერიოდიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა სიმონ ჯანაშიას შრომები: ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, ტ. 1, თბ., 1949; ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVII საუკუნემდე, შრომები, ტ. II, თბ., 1952; ს. ჯანაშია, ადრინდელი ფეოდალიზმი, შრომები, ტ. 11, თბ., 1952; ს. ჯანაშია, საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზმის ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. 1., თბ., 1949. დისკუსიის მონაწილეებიდან ამ თარიღს ემხრობიან:

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ცალკეულ საკითხებზე თავისი საფუძვლიანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული გ. ყორანაშვილს, გ. ძიძიგურს, ა. ბოგვერაძეს, თ. პაპუაშვილს, გ. ჯამბურიას, ლ. ტუხაშვილს, გ. აკოფაშვილს, დ. გოგოლაძეს და ჯ. სტეფნაძეს[60]. კამათში მონაწილეობა მიიღეს და ამ რთულ საკითხზე თავისი საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს: მ. ლორთქიფანიძემ, შ. ბადრიძემ, მ. სამსონაძემ, ი. სურგულაძემ, რ. მეტრეველმა, დ. მეგრელაძემ, ვ. გუჩუამ, დ. მუსხელიშვილმა[61].

რა თქმა უნდა, სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებშიც მეტ-ნაკლები ვარიაციებით ფიგურირებს ფორმაციული პრინციპიდან გამომდინარე პერიოდიზაცია[62].

საინტერესოა პროფ. ა. ჩისტოზვონოვის დაკვირვება ევროპული საზოგადოების განვითარების ორი მოდელის შესახებ[63]. განვითარებულ და განუვითარებელ ისტორიულ პროცესებზე. პირველს მიეკუთვნება ინგლისი და საფრანგეთი, რომელთა ისტორიული განვითარება აღმავალი ხაზით წარიმართა, ხოლო მეორეს კი მიეკუთვნება გერმანია, იტალია, ესპანეთი, აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები, რომელთა პროგრესული განვითარება შეფერხდა. კონსერვატიულმა ტენდენციებმა გაიმარჯვეს, რასაც ლოგიკურად მოჰყვა ფეოდალური რეაქცია ბატონყმობის ხელმეორედ გამოცემა[64]. საქართველო, როგორც ეტყობა, მეორე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ, რომლის აღმავალი ხაზით განვითარება შეფერხდა, ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს დაშლის, კონსტანტინეპოლის დაცემის და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ საქართველო ფაქტობრივად ბოწყდა განვითარებულ ევროპულ გზას და საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა. ამიტომ კონსერვატულმა ტენდენციებმა იმძლავრეს და საქართველო ფეოდალურმა რეაქციამ მოიცვა. უფრო მეტსაც ვიტყოდით, საქართველო გაცილებით შძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე მეორე ჯგუფის რომელიმე სხვე ქვეყანა. საქმე ისაა, რომ სოციალური ხასიათის სირთულეებს, რომელიც ევროპულ ქვეყნებისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა, ემატებოდა ისიც, რომ

დ. გოგოლაძე, ვ. გუჩუა, გ. აკოფაშვილი, — „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია", თბ., 1980. ამ თარიღს მხარს უჭერს აგრეთვე ირაკლი ანთელავა, იხ. მისი: „XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის", თბ., 1977.

60 მათი საინტერესო მოხსენებები დაისტამბა კრებულში, „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, თბ., 1930.

61 იქვე, გვ. 154—162.

62 ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია ნაწ. 1, რედ. ს. ჯანაშია, თბ., 1946; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, შ. მესხია, გ. მელიქიშვილი, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1958; ვ. გუჩუა, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, თბ., 1970; საქართველოს ისტორია, ნ. ასათიანის რედაქციით, თბ., 1990, ლ. ცინცაძე, ი. მახარაძე, ჩვენი სამშობლო, თბ., 1974; ლ. ცინცაძე, მ. ცერცვაძე, ი. მახარაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1968.

63 Чистозвонов А., Проблемы генезиса капитализма, М., 1985; Чистозвонов А. Некоторые аспекты проблемы генезиса кипатилазма «Вопросы истории», 1968, № 5; Чистозвонов А., Понятие и критерии обратимости и необратимости исторического процесса (на материалах генезиса капитализма) — «Вопросы истории», 1969, № 5.

64 Сказкин С. Основные проблемы так называемого «второго издания крепостничества» в средней и восточной Европе — «Вопросы истории», 1958, № 2.

65 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984. გვ. 5.

საქართველო აგრესიულად განწყობილ მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში იყო მოქცეული. აი, ამ მტრული რკალის გარღვევისათვის ბრძოლა და ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს დაშლა გვევლინება საქართველოს ახალი ისტორიის ერთ-ერთ დამახასიათებელ შტრიხად.

დასასრულს გვინდა შევეხოთ ისტორიის პერიოდიზაციის კიდევ ერთ შესაძლო სქემას, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ქართული კულტურის განვითარებასთან და მას ქართული ენის და ლიტერატურის ევოლუცია უდევს საფუძვლად.

ენის ისტორიაში პერიოდების გამოყოფა მხოლოდ წერილობით ძეგლებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წერილობით ძეგლებს შორის უძველესია ცნობილი იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბის მიერ პალესტინაში ბეთლემის მახლობლად მდებარე უდაბნოში აღმოჩენილი სამი ქართული წარწერიდან ორი, რომლებიც V ს-ის I ნახევრით თარიღდება[65]. ამ ეპიგრაფიული ძეგლების აღმოჩენამდე ქართულ დამწერლობაში უძველეს ნიმუშად ბოლნისის სიონის წარწერები ითვლებოდა, რომელნიც, აკად. აკ. შანიძის აზრით, 493—494 წლებში უნდა იყოს ამოკვეთილი

ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მკვლევართა ერთი ნაწილი, აკად. აკ. შანიძის მეთაურობით, სალიტერატურო ქართულს სამ შუალედად ჰყოფს. ძველი ქართული ენა (V—XI სს.), საშუალედო ქართული ენა (XII—XVIII სს.) და ახალი ქართული სალიტერატურო ენა (XIX ს-დან დღემდე)[66].

აკად. ჩიქობავას აზრით, საშუალედო ქართულის ცალკე საფეხურად გამოყოფა არაა გამართლებული და ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ორი ეტაპი უნდა გამოვყოთ. ძველი (V—XI სს.) და ახალი (XII ს-დან დღემდე)[67].

უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ XVIII ს-ის 60-იან წლებში ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი გაწყდა. ეს დაკავშირებულია ანტონ კათალიკოსის მიერ სამი სტილის თეორიის დანერგვასთან. ამ თეორიის მიხედვით დაუშვებელია სხვადასხვა საკითხზე ერთი და იმავე ენით მსჯელობა. „მაღალი მატერიის“ (მაგ. ღვთისმეტყველებას) აღზევებული ენა — „მაღალი სტილი“ შეეფერებოდა. ისტორიული ამბების თხრობა საშუალო სტილს მოითხოვდა. ყოველდღიური ამბები კი უბრალო ანუ „დაბალი სტილით“ ითქმოდა.

მაღალი სტილი ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყო დაშორებული სასაუბრო ენას. ამ სტილის მიმდევრები იოანე პეტრიწის ენაზე იყვნენ ორიენტირებული და საკმაოდ რთულ და მძიმე მწიგნობრულ მეტყველებას ამკვიდრებდნენ.

XIX ს-ის სამოციან წლებში ქართველ მოღვაწეთა შორის გადაისინჯა სამი სტილის თეორია და დღის წესრიგში დადგა ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი. განსწავლული საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სალიტერატურო ენად მაღალი სტილის მეტყველება უნდა დამკვიდრებულიყო. ამგვარი პოზიციის წინააღმდეგ მკვეთრად ილაშქრებდა დიდი ილია, რომელიც სავსებით სამართლიანად ფიქრობდა, რომ სალიტერატურო ენას ბუნებრივი

---

66 აკ. შანიძე (ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე) ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1934, გვ. X., შენიშვნა 1.

67 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, თბ., 1950, 1, გვ. 028.

ხალხური მეტყველება (მესამე სტილი) უნდა დადებოდა საფუძვლად. საბოლოოდ ერთიანი (სალიტერატურო ქართულისათვის ბრძოლა ილია ჭავჭავაძის გამარჯვებით დასრულდა, რითაც გამთელდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ხაზი.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ აკად. აკ. შანიძე და მის მიმდევართა მიერ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში სამი და აკად. არნ. ჩიქობავას მიერ ორი პერიოდის გამოყოფა წმინდა ენობრივ კრიტერიუმებს ემყარება.

ძნელი შესამჩნევი როდია, რომ ქართული ენის განვითარება ემთხვევა საქართველოს ისტორის პერიოდიზაციის უმნიშვნელოვანეს მომენტებს. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ძველი ქართული ენის წარმოშობა უახლოვდება მიჯნას საქართველოს ძველ ისტორიას და შუა საუკუნეებს შორის — ქრისტიანობის მიღებას. ძველი ქართული ენის წარმოშობა, რა თქმა უნდა, ქრისტიანობის მიღების ლოგიკური შედეგი იყო.

რუსთაველის ენა არაა ძველი ქართული ენა. XII საუკუნე მნიშვნელოვანი ტეხილი იყო არა მარტო ქართული ენის და კულტურის განვითარების საქმეში, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ეს იყო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში სერიოზული მიჯნა ორ ქვეპერიოდს შორის. ამის შემდეგ საქართველოს განვითარება დაღმავალი ხაზით წარიმართა.

დაბოლოს თანამედროვე ქართული ენის წარმოქმნა XIX ს-ის 60-იან წლებში ემთხვევა ზღვარს საქართველოს ახალ და უახლოეს ისტორიას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ენა საკმაოდ ჩაკეტილი სისტემაა და ამდენად, მისი პერიოდიზაციაც სპეციფიკურია, დამთხვევა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პერიოდებთან და ქვეპერიოდებთან სადავო არავისთვის არ უნდა იყოს. ამიტომ ისტორიის პერიოდიზაციის ან ერთ-ერთი შესაძლო სქემაზე უარადღების შეჩერება ღირებული შეიძლება იყოს.

რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას მეცნიერები მის ისტორიაში სამ პერიოდს გამოყოფენ. ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.), ახალი ქართული ლიტერატურა (XIX ს.) და უახლესი (XX ს.). როგორც ყველა პერიოდიზაცია ისე ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია პირობითია. ამგვარი დაყოფა ემყარება სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლას და საღღეისოდ მნიშვნელოვანწილად გადასასინჯია. ჯერჯერობით სხვა პერიოდიზაცია არავის შემოუთავაზებია. ამიტომ თუ განვიხილავთ ამ სქემას საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციასთან მიმართებაში ჩვენ მივიღებთ ასეთ სურათს. ძველი ქართული ლიტერატურის აღმოცენება ქრისტიანობის გავრცელების უშუალო შედეგია და ემთხვევა მიჯნას საქართველოს ძველ ისტორიასა და შუა საუკუნეებს შორის. ქართული ლიტერატურის ძველი პერიოდის დასასრული და ახალის დასაწყისი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვან ტეხილს ემთხვევა — საქართველოს რუსეთთან შეერთებას (1801 წ.) და სუვერენიტეტის დაკარგვას. ერთადერთი რაც არ ემთხვევა ეს არიოს XIX—XX საუკუნის მიჯნა.

თუ განვაზოგადებთ იმ პრინციპებს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ისტორიის პერიოდიზაციას საქართველოს ისტორიის მიმართ მივიღებთ შემდეგ სურათს:

1. სახელმწიფოებრიობის პრინციპი. ა. ქართული სახელმწიფოს შექმნა (ძვ. წელთაღრიცხვით III საუკუნე); ბ. ერთიანი ქართული სახელმწიფოს და-

შლა (XV საუკუნის მიწურული); გ. ქართული სახელმწიფოს მოსპობა (1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი — 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმება). დ. ქართული სახელმწიფოს აღდგენა (1918 წლის 26 მაისი): ე. საქართველოს სუვერენიტეტის ფაქტობრივი დაკარგვა, ფორმალური შენარჩუნება (1921 წლის 25 თებერვალი); ვ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (1991 წლის 9 აპრილი).

2. სარწმუნოებრივი პრინციპი: ა. „მოქცევაჲ ქართლისა“ (IV საუკუნე) და ავტოკეფალიის მიღება (V საუკუნე); ბ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება (IX საუკუნე); გ. ერთიანი ქართული ეკლესიის დაშლა (XV ს-ის 70-იანი წლები): დ. ავტოკეფალიის დაკარგვა (1811 წელი); ე. ავტოკეფალიის აღდგენა (1917); ვ. საქართველოს ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარება (1990 წ.).

3. კულტურული პრინციპი: აქ, როგორც ჩანს, ორი ვარიანტი არსებობს ენობრივი და ლიტერატურული. ენობრივი. ა. ძველი ქართული ენა: (V—XII საუკუნე); ბ. საშუალო ქართული ენა (XII—XVIII ს.); დ. თანამედროვე ქართული ენა (XIX ს-ის 60-იანი წლები — XX საუკუნე).

ლიტერატურული: ა. ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII ს.), ბ. ახალი ქართული ლიტერატურა (XIX ს.); გ. თანამედროვე ქართული ლიტერატურა (XX ს.);

4. ფორმაციული პრინციპი: ა. პირველყოფილი საზოგადოება; ბ. ადრეკლასობრივი საზოგადოება (პირველყოფილი წყობილების და მონათმფლობელობის ელემენტების სინთეზი); გ. ფეოდალიზმი — IV ს-დან XIX ს-ის 60-იანი წლები: დ. კაპიტალიზმი —XIX ს-ის 60-იან წლები — 1921 წლამდე; ე. სოციალიზმი — 1921 წლიდან.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სახელმწიფოებრივ პრინციპის აშოსავალი წერტილი, რა თქმა უნდა, საქართველოს პოლიტიკური ისტორია და მიჯნები, რომელიც აქაა მონიშნული მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის საეკლესიო პრინციპი ქართული ქრისტიანული რელიგიის განვითარებას ეყრდნობა. ეს პეროდიზაცია, ცხადია, ძალზედ უახლოვდება საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას და ადვილი გასაგებიცაა. ქრისტიანული ეკლესიის განვითარება საქართველოში მიმდინარეობდა პოლიტიკურ ისტორიასთან მჭიდრო კონტაქტში.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის კულტურულ პრინციპს საფუძვლად ედება ქართული ენის და ლიტერატურის განვითარება. კულტურული და პოლიტიკური ისტორიის პერიოდები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვეოდნენ, თუმცა ურთიერთზემოქმედებას აუცილებლად ახდენენ.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ფორმაციულ პრინციპს თავს მოხვეულს XX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიისათვის ერთი ადვილად შესამჩნევი და თვალში საცემი უხერხულობა ჰქონდა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია მეტისმეტად გაჭიმული იყო და თითქმის მთელ თხუთმეტ საუკუნეს მოიცავდა (IV ს-დან XIX ს-ის 60-იან წლებამდე), ხოლო საქართველოს ახალი ისტორია, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაღაც უდღეურად გამოიყურებოდა და სულ რამდენიმე ათეულ წელს ითვლიდა (1864—1921). ყველაფერი ეს, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, წარმოად-

გენდა საკითხისადმი ვიწრო ფორმაციული მიდგომის ლოგიკურ შედეგს, რომელსაც ქართულ სინამდვილეში ყოველნაირი საშუალებით ნერგავდა საბჭოთა იდეოლოგია და რომლის წინააღმდეგ ხმის ამოღების არავითარი საშუალება არ არსებობდა. ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია თვით ის ფაქტიც, რომ პერიოდიზაციის ეს ვარიანტი არსებითად მოწყვეტილი იყო მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციას თვით საბჭოთა მარქსისტულ სქემაშიც კი. ამიტომ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ დღეს კვლავ დღის წესრიგში დადგა პერიოდიზაციის საკითხისადმი მიძღვნილი დისკუსიის განახლება, რის გაკეთებასაც აპირებს ჟურნალ „მაცნეს“ რედაქცია.

საქართველოსა ისტორიის პერიოდიზაცია, პირველ ყოვლისა, ცხადია, უნდა დავუახლოვდეთ მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციას. ამიტომ ჩვენ პირადად მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავუბრუნდეთ საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ევროპულ მოდელს, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის შუა ხანების ქართულ ისტორიოგრაფიაში და, რომელიც თავსმოხვეული ფორმაციული პრინციპის გამო, XX ს-ის ქართულმა ისტორიოგრაფიამ, ვფიქრობთ, სავსებით უმართებულოდ უგულებელყო.

სავსებით ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ საქართველოს უძველეს ისტორიას და შუა საუკუნეებს შორის ნიშანსვეტად პირობით ავიღოთ „მოქცევაი ქართლისა“ IV ს-ში.

საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიას, და ახალ ისტორიას შორის მიჯნად პირობით შეიძლება მივიჩნიოთ ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფოს დაშლა XV ს-ის მიწურულს.

ნიშანსვეტად საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიას შორის პირობით შეიძლება ავიღოთ XIX ს-ის 60-იანი წლები. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ. ჩვენი აზრით, სამი არგუმენტი უნდა ლაპარაკობდეს: 1. XIX ს-ის 60-იან წლებში მეფის რუსეთმა დაამთავრა საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება; 2. 60-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ქართულ ენას, რაც, თავისთავად ცხადია, ასევე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო; 3. 60-იან წლებში, როგორც იქნა, გაუქმებული იქნა ბატონყმობა, რამაც ცხადია, დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის აღმავალი ხაზით განვითარებას. დაიწყო პროგრესული გარდაქმნების ხანა. აქედან იწყება საქართველოს უახლესი ისტორია, რომელიც, შესაძლოა, დღესაც გრძელდება.

К. Д. АНТАДЗЕ, М. Л. КАЛАНДАДЗЕ, К. Л. МЕШВЕЛИАНИ

ПЕРИОДИЗАЦИЯ ИСТОРИИ

Резюме

Проблема периодизации — одна из важнейших проблем исторической науки. Необходимость новых подходов к оценке исторических процессов, их переосмысления и систематизации связана с теми коренными преобразованиями, которые протекают сегодня в бывших союзных республиках, в том числе и Грузии.

По мнению авторов, целесообразно в общеобразовательных школах и вузах Грузии следовать схеме периодизации, принятой во всем цивилизованном мире. В частности, считать концом древней истории

476 г. (падение Римской империи), средних веков — рубеж XV—XVI вв. (эпоха великих географических открытий), новой истории — 1871 г. (утверждение свободного предпринимательства и демократических тенденций).

Учитывая специфику истории Грузии, следовало бы в основу ее периодизации положить схему, предложенную С. Баратовым (Бараташвили) в 60-е гг. XIX в., наиболее близкую общепринятой периодизации всеобщей истории, а именно: начинать средние века с IV в. (принятие христианства), новую историю — с конца XV в. (распад единого грузинского государства), новейшую историю — с XIX в. (упразднение государственности Грузии и отмена крепостничества).

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებამ

ზერი ინაძე

ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები*

გვიანანტიკური ხანის წერილობითი წყაროების განხილვა გვარწმუნებს, რომ დღ. აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები მოსახლეობა ახ. წ. I ს-დან მკვეთრ ეთნო-პოლიტიკურ ცვლილებებს განიცდის. ეს ცვალებადობა უნდა გამოეწვია, ერთი მხრივ, აღნიშნული ტერიტორიის სანაპირო ზოლზე ჩრდილო კავკასიიდან ტომთა ახალი ნაკადის ჩამოსახლებას, მეორე მხრივ, აქ ადრე არსებულ ტომთა კავშირების დაშლას და მათ ადგილას ახალი ეთნო-პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნას.

სახელდობრ, ახ. წ. I ს-დან აფხაზეთის სანაპიროზე პლინიუსი აღნიშნავს ახალ სატომო სახელწოდებას — „სანიკი“ (VI, 14). ერთხანს ამ ეთნონიმის მქონე ტომი ჰენიოხთა გვერდით მოიხსენიება, მაგრამ ახ. წ. II ს-ის დამდეგისათვის მრავალი წვრილი ტომის შემცველი ჰენიოხთა გაერთიანება (ისევე როგორც ეს სახელწოდება) ქრება წყაროებში და მათ ადგილს სანიგთა სამთავრო იკავებს.

სანიგთა სამთავრო, ისევე როგორც ჰენიოხთა სატომო კავშირები, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ფლავიუს არიანეს გადმოცემით, მათ მიწა-წყალზე მდებარეობდა ქალაქი სებასტოპოლისი (დღ. სოხუმი), დასავლეთით კი იგი მდ. აქეუნტს (დღ. შახეს) აღწევდა (Arrian, 11).

ახ. წ. II—IV სს-ში, წერილობითი წყაროების მიხედვით, სანიგთა სამთავრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ახ. წ. I—II სს-ის ბერძენი ავტორი მემნონი მითრიდატე ევპატორის დროს პონტოში მომხდარი პოლიტიკური მოვლენების გადმოცემისას პონტოს სანაპიროზე (მის აღმოსავლეთ ნაწილში), ასახელებს მხოლოდ ორ ეთნიკურ ჯგუფს — ლაზებს და სანიგებს[42], რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღებულ ხანაში ამ ორ დიდ ეთნო-პოლიტიკურ ერთეულს თავისი მნიშვნელობით და სიძლიერით გამორჩეული ადგილი ეჭირა ამ სანაპიროზე არსებულ სხვა ტომურ წარმონაქმნთა შორის.

სანიგთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენ საისტორიო მეცნიერებაში, რადგან აფხაზთა სამთავროს შექმნამდე სანიგებს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი ეჭირათ და ამდენად, ბუნებრივია, რომ ისინი მონაწილენი იყვნენ გვიანანტიკური ხანის აფხაზეთის მოსახლეობაში მიმდინარე ეთნოპროცესებისა, წამყვან როლს ასრულებენ ისინი ამ მხარის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაშიც.

---

* დასაწყისი იხილეთ 1992 წლის № 1 მაცნეში.

42 მ ე მ ნ ო ნ ი, ჰერაკლეის შესახებ, XVI, 54, 7. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VI. თარგმ. თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1987, გვ. 46.

მკვლევართა ერთი ნაწილი დამაჯერებლად მიიჩნევს ი. ორბელის მოსაზრებას, რომლის მიხედვით სანიგები — იგივე ჰენიოხები, წარმოადგენენ სვანურ ტომებს[43]. ამის დამადასტურებელ საბუთად იმოწმებენ იმ გარემოებას, რომ სვანები ანტიკური და ბიზანტიური წყაროების მიხედვით, ძველად გაცილებით დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდნენ ვიდრე შემდეგ.

სანიგების სვანებთან გაიგივების სასარგებლოდ მეტყველებს იპოლიტე რომაელის (ახ. წ. IV ს.) ცნობის ერთ-ერთი ვარიანტი, სადაც ვკითხულობთ: „სავნები (Σαβνοι) ე. წ. სანიგები"[44].

განსხვავებული აზრი ჰქონდა ამ საკითხზე ს. ჯანაშიას, რომელიც ემყარებოდა ახ. წ. IV ს-ის ავტორის ევსებიოსის ჩვენებას სანიგებისა და მეგრულ-ჭანური ტომის სანების იგივეობის შესახებ. ევსებიოსთან ვკითხულობთ: „სანნები, რომლებიც იწოდებიან სანიგებად"[45]. მოტანილი ცნობის საფუძველზე მკვლევარმა სანიგები მიაკუთვნა მეგრული მოდგმის ტომს, რომლის არსებობა, მისი აზრით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე „აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარეს, უეჭველობით არის საგულისხმებელი"[46]. მკვლევრის დაკვირვებით, სახელწოდება ამ ტომისა იყო „წანი", რომელიც „ზანისა" და „ჭანის" ფუძეს ეკუთვნის[47].

სანიგთა მეგრულ-ჭანური ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილებას ვარაუდობდა პ. ინგოროყვაც. სანიგთა ვინაობის კვლევისას მან ყურადღება გაამახვილა იმ კავშირზე, რომელიც არსებობს ბერძენ-რომაელ ავტორთა სან-სანიკებს-სანიგებსა და ჰენიოხებს შორის[48].

ჩვენი აზრი სანიგთა ეთნიკური შედგენილობის შესახებ შემდეგია: სანიგთა სამთავრო, ისევე როგორც ჰენიოხთა სატომო კავშირები, შერეულტომიანი უნდა ყოფილიყო. სანიგთა სამთავროს აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობა, ვფიქრობთ, ახლოს იდგა სვანურ ეთნიკურ სამყაროსთან და ახლო ენათესავებოდა კიდეც სვანთა მრავალრიცხოვან ტომებს, რომელნიც დიოსკურიის ზემოთ, მთიან ადგილებში ბინადრობდნენ (თვით ქალაქი სანიგთა სამთავროში მდებარეობდა). სამთავროს დასავლეთ ნაწილში, რომელიც მდ. შახემდე ვრცელდებოდა, უმთავრესად განსახლებული უნდა ყოფილიყვნენ მეგრულ-ზანური ტომები, რომლებიც შავიზღვისპირეთის ამ მონაკვეთში კვლავ წამყვან როლს ასრულებდნენ, როგორც სანიგთა პოლიტიკური ერთეულის შექმნაში, ისე მის შემდგომ ცხოვრებაში (ახ. წ. V ს-მდე).

ზანური ელემენტის დიდ ხვედრით წონას სანიგთა სამთავროს დასავლეთი ნაწილის მოსახლეობაში და მის მნიშვნელობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა მონაცემებთან ერთად უნდა მოწმობდეს ფლავიუს არიანეს თხზულებაში სანიგთა სამთავროს უკიდურეს დასავლეთ სექტორში მოხსენიებული

---

[43] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 44.

[44] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 60. იხ. აგრეთვე თ. მიჩბუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 86—89, 150.

[45] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, გვ. 31, 32.

[46] ს. ჯანაშია, თაბალ-თუბალი, ტიბარენი, იბერი. შრომები, III, თბ., 1959, გვ. 11—15.

[47] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

[48] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 135. ჩვენც ამ მოსაზრებას ვუჭერდით მხარს. იხ. მ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის. საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 2, 1960, გვ. 150 და შემდ.

გეოგრაფიული სახელი „ძველი ლაზიკა“, რომელიც ახ. წ. V ს-ის ანონიმი ავტორის მიერ გაიგივებულია ნიკოფსისთან[49] (Anon., § 17), (ქართული წყაროების ნიკოფსი). არიანეს და ანონიმის ამ ცნობებთან ერთად ყურადღებას იქცევს ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ დაცული უძველესი საისტორიო ტრადიცია, რომლის მიხედვით ეგრისი (ანუ ეგროსის წილი ქვეყანა) უძველეს ხანაში დიდ ტერიტორიას მოიცავდა. თარგამოსმა ეგროსს დაუმტკიცა ქვეყანა ლიხის ქედიდან ზღვამდე, „სადა წარსწვდების წვერი კავკასიისა“[50] (ე. ი. კავკასიონის ქედის უკიდურეს დასავლეთ კალთებამდე, რომლებიც სწორედ ძველ ნიკოფსიასთან ეშვებიან ზღვაში).

ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების (არიანე, ანონიმი) შუქზე ლეონტი მროველთან დაცული ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ადრინდელ ხანაში „ეგრისის წილი ქვეყნის“ ანუ ეგრისის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის შესახებ ჩვენ ძალიან მნიშვნელოვნად გვეჩვენება. ორივე ეს მითითება არიანეს იმ ჩვენებასთან ერთად, სადაც სანიგთა სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად მდ. აქეუნტია (დღ. შახე) დასახელებული, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ მეგრულ-ზანური (ლაზური) სატომო ბირთვის პოლიტიკური გავლენა ახ. წ. II ს-სათვის შორს ვრცელდებოდა და, შესაძლოა, მართლაც, კავკასიონის დასავლეთ კალთებს აღწევდა. მაგრამ იმავე ანონიმის ნაშრომში შემორჩენილი ცნობების განხილვა ნათელყოფს, რომ ახ. წ. II ს-დან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ამ სექტორში არსებული ეთნო-პოლიტიკური ვითარება თანდათანობით იცვლება. ამ ცვლილებებს სათავე წინა საუკუნეებში უდევს. აღნიშნული პროცესი ჯერ კიდევ ძვ. წ. II—I სს-ში დაწყებულა ჰენიოხების დასავლეთით ჯიქების (ბერძნული წყაროების ძიქების) ჩამოსვლა-დამკვიდრებით.

მანამდე ჯიქები ამიერკავკასიაში იხსენებიან, ძვ. წ. I საუკუნეში კი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობად გვევლინებიან[51].

ამავე ხანის (ძვ. წ. II—I სს.) წყაროების მიხედვით დღ. აფხაზეთის მთიანი ზონა ძირითადად სარმატული ტომებით დასახლებული მოჩანს, სარმატებში კი, როგორც ცნობილია, სხვა ჩრდილო-კავკასიურ მთის ტომებთან ერთად იკულისხმებიან ჩერქეზულ-ადიღეური ტომებიც[52]. სტრაბონის ცნობებიდან ირკვევა, რომ აღებულ ხანაში დიოსკურიის ზემოთ, მთიან ადგილებში (სვანების მეზობლად, მათ დასავლეთით) ცხოვრობდა მრავალი წვრილი ტომი, რომელთა დიდ ნაწილს სარმატები შეადგენდნენ, ხოლო ყველანი ერთად კავკასიელებად იწოდებოდნენ (Strabo, XI, 2, 16)[53]. დღევანდელი აფხაზეთის მთებში იხსენიებს სარმატულ ტომებს პლინიუსიც. მისი ცნობით, დიოსკურიის, ჰერაკლეისა და პიტიუნტის მახლობლად, ქვეყნის შიგნით, „კავკასიის მთებში“ უცხოვრია სარმატულ ტომს — „ეპაგერიტებს“ (Plin., VI, 16).

სარმატული ტომების დამკვიდრება ძვ. წ. II ს-დან დღ. აფხაზეთის მიწა-წყალზე, უთუოდ იმ ადგილების მეზობლად, სადაც წყაროების მიხედვით ქართველური მოსახლეობაა დადასტურებული (კოლები, კორაქსები, მოსხები) მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული დიდ ეთნიკურ ძვრებთან (ძვ. წ. III—

---

49 ნიკოფსია ლოკალიზებულია ნოვომიხაილოვსკაიას მახლობლად.

50 ქ-ც. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 5.

51 მ. ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

52 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 528.

53 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 123.

II სს-ში ჩრდილო-კავკასიისა და სამხრეთ უკრაინის ვრცელ ტრამალებზე სარმატულ ტომთა ახალი მასების მოზღვავებასთან)[54].

ზემოთქმულთან დაკავშირებით ფრიად საგულისხმოდ გვეჩვენება სოხუმის მახლობლად ეშერის ნაქალაქარზე სკვითურ-სარმატული ტიპის ძვ. წ. III—II სს-ის საბრძოლო იარაღის აღმოჩენა[55].

სარმატული ტომების მოწოლის შედეგად ადიღეური (ჩერქეზული) ტომების ახალი ნაკადის—ჯიქების ჩამოსახლებამ დღ. აფხაზეთის სანაპიროს დასავლეთ სექტორში, აქ მობინადრე მეგრულ-ზანური ტომების—ჰენიოხ-სანიგების გვერდით, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შეცვალა ამ მხარის ეთნიკური სურათი. სახელდობრ, თუკი არტემიდორეს მიხედვით კერკეტები (იგივე ჩერქეზები) ჰენიოხების დასავლეთით მოსახლე ტომებად გვესახებიან, მითრიდატეს ომების აღმწერი ისტორიკოსები, რომელთაც, სტრაბონის სიტყვით, უფრო დაეჯერებათ, ვიდრე არტემიდორეს, კერკეტების ადგილას ასახელებენ ზიხებს (ძიქებს, ანუ ჯიქებს), ხოლო თვით კერკეტებს ჰენიოხების აღმოსავლეთ მეზობლად, მოსხების გვერდით მოსახლე ტომად წარმოგვიდგენენ (ე. ი. დღევანდელი აფხაზეთის შიდა რეგიონში ათავსებენ) (Strabo, XI, 2, 14).

მომდევნო პერიოდში ჩრდილოეთიდან ტომთა ახალი ნაკადის ჩამოსახლების შედეგად ჩერქეზულ-ადიღეური ეთნიკური ელემენტის მომძლავრების პროცესი კვლავ გრძელდება. V ს-ის ანონიმი გვამცნობს, რომ ძველ ლაზიკეში მის დროს არსებობდა ე. წ. ნიკოფსისი (ქალაქი?), რომლის ახლოს მოედინებოდა მის დროს ფსახაფსისად წოდებული მდინარე[56]. სახელი შეცვლია სხვა მდინარეებსაც. ძველ აქაიასთან არსებულ მდინარეს ტოფსიდა დარქმევია, ხოლო მდ. აქეუნტს ბასისი (Anon., 15, 17). ეს ცვლილება, რომელიც ანონიმის მიხედვით, სანიგთა ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სანაპიროს ტოპონიმიკას განუცდია, ტომთა იმ ადგილგადანაცვლების შედეგი უნდა ყოფილიყო, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ანალოგიური პროცესი ადიღეური ტომების გაძლიერება-მოძალებისა, როგორც ჩანს, მიმდინარეობს სანიგების სამთავროს აღმოსავლეთით, ამ უკანასკნელთა და ლაზებს შორის მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე ქვეყნის შიდა რეგიონში, სადაც ანონიმის მიერ აგრეთვე დამოწმებულია მდინარეთა სახელწოდებების ცვლა. ანონიმი წერს: მდინარე ტარსურიდან მდინარე ჰიპოსამდე (ახლა რომ ლაგუმფსა ეწოდება), ას ორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი. მდინარე ჰიპოსიდან მდინარე ასტელეფამდე (ახლა რომ ევრიპოსი ჰქვია...), ოცდაათი სტადიონია, ოთხი მილი (Anon, § 6). მაგრამ ნიშანდობლივია, რომ პიტიუნტის ჩრდილოეთით მდ. აბასკოსი კვლავ ინარჩუნებდა თავის სახელს.

სანიგებსა და ლაზებს შორის მდებარე ტერიტორიაზე ტოპონიმიკის შეცვლა, როგორც ჩანს, თან ერთვოდა აქ ახალი ეთნო-პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნას, რაც ამ მხარეში ადიღეური ტომის — აფსილების გაძლიერებას-

---

[54] К. Ф. Смирнов, Сарматские племена Северного Прикаспия, КСИИМК, XXXIV, 1950, с. 103, 104.

[55] Г. К. Шамба, Эшерское городище, Тб., 1980, с. 47, 50.

[56] Anon, 17. ნიკოფსია, უკეთ ნიკოფსი, კარგად არის ცნობილი საქართველოს ისტორიიდან და ეს სახელი შენახულია დღემდის ადგილობრივ „ნიგეფსუხუ"-ს სახით; მდ. ნიგეფსუხუს სათაეებთანვე იღებს თავის სათავესაც ჩრდილოეთისაკენ მიმდინარე „ფსაჯუაფსა", რომელიც უნდა იყოს ანონიმის „ფსახაფსისი".

თან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ ვიდრე ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ მომენტზე.

მართალია, სანიგთა ეთნო-პოლიტიკური გაერთიანების გარშემო ახ. წ. I ს-სათვის (და ამის შემდეგაც) შეინიშნება ჩერქეზ-ადიღეური ტომების მომძლავრება, ამასთან არიანეს მიერ სანიგთა ტერიტორიაზე მდინარე აბასკოსის (=ბზიფს) აღნიშვნა გვაუწყებს უკვე ამ დროს მის მახლობლად (საფიქრებელია მის სათავეებთან) აბასკ-აბაზგებად წოდებული ეთნიკური ჯგუფების არსებობას, მაგრამ არ შეგვიძლია კრიტიკული თვალით არ შევხედოთ იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით, სანიგებში ძირითადად უნდა ვიგულისხმოთ აფხაზურ-ადიღეური ტომების მონათესავე საძების წინაპრები.

სახელდობრ, ზ. ანჩაბაძე თავის რეცენზიაში პ. ინგოროყვას წიგნზე „გიორგი მერჩულე“ უარყოფდა სანიგების მეგრულ-ჭანური სამყაროსადმი კუთვნილებას და ვარაუდობდა, რომ სანიგები წარმოადგენდნენ ადიღეურ-ჩერქეზული ტომების მონათესავე უბიხებისა და საძების (ჯიქების) წინაპრებს[57].

სანიგთა ეთნიკური ვინაობის საკითხი განხილულია მის წიგნშიც **«Из истории средневековой Абха'зии»**, რომელშიც უკვე საუბარია მხოლოდ სანიგების და საძების იდენტურობაზე. სანიგების და საძების ეთნიკური იგივეობის დამადასტურებელ ძირითად საბუთად ავტორს მიაჩნია ის გარემოება, რომ ახ. წ. VI ს-ში სანიგებს თითქოს ეჭირათ ის ტერიტორია, რომელზედაც შემდეგ საძები ბინადრობდნენ (ბზიფის ჩრდილოეთით, გაგრისა და ადლერის რაიონები)[58].

ანალოგიურ თვალსაზრისს სანიგთა ვინაობის შესახებ ავითარებს შ. ინალ-იფა. მისი აზრითაც, სანიგები იგივე საძები არიან. შ. ინალ-იფა ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ იმ მოსაზრებას[59], რომ „სანიგის“ ფუძე „სან“ შემოინახა გეოგრაფიულ სახელწოდებაში ცან-დრიპი, რომელიც თითქოს საძების ტომთა ერთ-ერთი ძირითადი განშტოების სახელია[60]. მაგრამ თუნდაც რომ „სანიგის“ ფუძე „სან“-ში „ცან-ი“ დავინახოთ და მისი ფუძიდან ნაყარ ისეთივე ვარიანტულ სახესხვაობად მივიჩნიოთ, როგორიც იყო ზანი, წანი, ჭანი, — შესაბამისად დავუშვათ, რომ სანიგთა სამთავრო ცანების ეთნო-პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რა საფუძველზე უნდა ჩამოვაშოროთ ეთნონიმები „სან“-ი, „სანიგი“ და ამ სახელწოდებების მქონე ტომები დასავლურ-ქართულ ეთნიკურ სამყაროს (ჭანებს, სვანებს) და ისინი მაინცდამაინც დავუკავშიროთ აფხაზურ-ადიღეურ ტომს საძებს, რომელნიც მხოლოდ XVII ს-დან არიან ცნობილნი დასახელებულ ტერიტორიაზე. სხვა არსაიდან არ ჩანს, რომ ამაზე ადრე ასეთი სახელწოდების ტომი ცხოვრობდა სანიგთა განსახლე-

---

[57] З. В. Анчабадзе, Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороква, Георгий Мерчуле — грузинский писатель X века, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტ. და ისტ. ინსტ. შრომები, XXVII, 1956, გვ. 268 და შემდ.

[58] З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (V—XVII вв.), Сухуми, 1959, გვ. 15 და შემდ. ზ. ანჩაბაძის მოსაზრებები სანიგთა ეთნიკური კუთვნილების), შესახებ დაწვრილებით არის განხილული ჩვენს წერილში (იხ. მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 151—156).

[59] Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка. Тб., 1964, с. 283.

[60] Ш. Д. Инал-ипа, Абхазы, Сухуми, 1965, с. 97.

ბის ადგილას, ე. ი. დღ. სოხუმისა და ბიჭვინტის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც მათი ოდითგან ბინადრობის დამტკიცებას ცდილობს შ. ინალ-იფა[61].

ახ. წ. I ს-დან წერილობით წყაროებში სანიგებისა და ლაზების მეზობლად, მათ შორის მდებარე ტერიტორიაზე აფსილებად («Ἀψίλοι») წოდებული ტომი ჩნდება. პლინიუს უფროსი აფსილებს იხსენიებს მდინარე ასტელეფოსის (კოდორი) და მდინარე ხრისოროასის (კელასური) მახლობლად, ხოლო ფლავიუს არიანე ასახელებს მათ მეფეს („ბასილევსს") იულიანეს, რომელსაც სამეფო ხელისუფლება ადრიანეს მამის, იმპერატორ ტრაიანესგან მიუღია. პლინიუსის ჩვენებებიდან გამომდინარე, აფსილებს აღებულ ხანაში (ახ. წ. I—II სს.) უნდა სჭეროდათ მდ. კოდორის ხეობა (წებელდის მხარე). ჩრდილო-დასავლეთით მათი მიწა-წყალი უთუოდ ც-ხე-ქალაქ სებასტოპოლისამდე (დღ. სოხუმამდე) აღწევდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი სვანთა ქვეყნამდე. მაგრამ პლინიუსის ცნობიდან, არ ჩანს, რომელ ტერიტორიაზე ეჭირათ აფსილებს შავი ზღვის სანაპიროზე. თუ გავითვალისწინებთ ახ. წ. II ს-ის გეოგრაფის კლავდიუს პტოლემაიოსის ჩვენებას, რომლის შესაბამისად კოლხეთის სანაპირო ზოლს ამ დროს ლაზები ფლობდნენ, ასევე მემნონის ჩვენთ მოყვანილ ცნობას, რომელშიც ჩრდილოეთ კოლხეთის ზღვისპირეთის მოსახლეობად მხოლოდ ორი ეთნიკური ერთობა — ლაზები და სანიგებია დასახელებული, მაშინ აფსილებს ამ ხანაში (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.) სანაპირო ზოლის დიდი მონაკვეთი არ უნდა სჭეროდათ.

პ. ინგოროყვას აზრით, აფსილები ცხოვრობდნენ მდინარე კელასურის (ძველი კორახის, კორაქსის) ხეობის ზემო ნაწილში, გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე[62].

აფსილთა ეთნიკური ვინაობის საკითხი ერთ-ერთი რთული საკითხია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ეს აიხსნება პირველყოვლისა იმით, რომ ანტიკური ხანის წყაროებში არავითარი პირდაპირი მითითება არ არსებობს მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. მკვლევართა დიდი ნაწილი დღესდღეობით იმ აზრისკენ იხრება, რომ ისინი აფხაზურ-ადიღეური წარმომავლობისა იყვნენ. ამის ერთ-ერთი მყარი საფუძველი არის აფხაზთა დღევანდელი სახელწოდება „აფსუა", რომლის ფუძე „აფს" ემთხვევა აფსილთა სატომო სახელწოდების ფუძეს.

ბოლოკიდური -ილ ელემენტი ამ ეთნონიმში ქართული სადაურობის -ელ სუფიქსის ვარიანტი უნდა იყოს. სატომო სახელწოდება აფსილი თავისი ფუძით აფს უკავშირდება ძვ. წ. IV ს-ის ბერძნულ წყაროში (ფსევდო-სკილაქსთან) მოხსენიებულ მდინარის სახელს — „აფსარ" (დღევანდელი ჭოროხი) და ეთნონიმ აფსარ-ს, რომლებშიც -არ ელემენტი უნდა აიხსნას როგორც სადაურობის -ელ სუფიქსის ზანური (მეგრულ-ჭანური) შესატყვისი. ამიტომ აფსარ ფორმა სუფიქსის მიხედვით აფს- ძირიანი სახელწოდების აღმნიშვნელ ზანურ

---

61 ინალ-იფას მოსაზრებები სანიგთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ საფუძვლიანად აქვს განხილული ლ. ლავროვს — Л. И. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, Ленинград, 1978, с. 44 и сл.; იხ. აგრეთვე, ნ. ლომოურის წერილი „აფხაზეთის ადრეული ისტორიის ზოგიერთი საკითხი" (პასუხი პროფ. შ. ინალ-იფას). „მაცნე". ისტორიის სერია, № 3, 1990, გვ. 158—174.

62 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 135, 136.

ეთნონიმად უნდა იქნეს მიჩნეული[63]. რჩება ძირი აფს, რომელიც აფხაზების თვითსახელს აფსაუა-ს უკავშირდება[64].

როგორც ცნობილია, ადიღეური მოსახლეობის ოდითგანვე არსებობას დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ვარაუდობდა ივ. ჯავახიშვილი. ამ მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარი ყურადღებას ამახვილებდა იმ გეოგრაფიულ სახელებზე, რომელთა მეორე ნაწილსაც ფსგ, ფს და ფშ ელემენტი შეადგენს, ასეთებია მაგალითად, მდინარის სახელები აფხაზეთში: ახგფს, ააფსგ, ხგფსგ, ლაშაფსგ, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ჯულრგფშ, ხეცრგფშ, დარარგფშ, დრგფშ, გაგრგფშ და რაფშ. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ყველა ზემომოყვანილი სახელები იმით არის საყურადღებო, რომ ამ მდინარის სახელებში ფს-სა და ფშ- ნაწილებს აფხაზურად ვერავითარი განმარტება ვერ ეძებნება, სამაგიეროდ კი ფსე ჩერქეზულად წყალს ნიშნავს, ფსუხუო კი მდინარეს. ივ. ჯავახიშვილი იმასაც აღნიშნავდა, რომ „თუმცა ფშ კომპელქსი თანამედროვე ჩერქეზულს წყლის სახელად აღარ აქვს, მაგრამ წინათ რომ ჰქონია ეს იქითგანაც ჩანს, რომ ქვიშას, ლამს ჩერქეზულად ეხლაც ფშახუა და ყაბარდოულად ფშაჯო ეწოდება“... ყველა ზემოაღნიშნულ ტოპონიმთა საფუძველზე მკვლევარი მათ სახელმდებლად ჩერქეზ-ყაბარდოელთა ტომებს ვარაუდობდა[65].

ამასთან ფს- ბოლოკიდურიანი ტოპონიმების — „სუფსა“, „აკამფსისი“ დადასტურება სამხრეთ კოლხეთის მიწა-წყალზე მკვლევარს საფუძველს აძლევდა მის ძველისძველ მოსახლეობაშიც ადიღეური ელემენტი დაენახა[66].

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ აფხაზეთის მდინარეთა სახელებში გვხვდება „სხა“ ბოლოკიდურიანი ჰიდრონიმები, მაგალითად, ფსჳრტსხა. ასეთი სახელების დაბოლოებას, მკვლევრის აზრით, აფხაზური განმარტება არ მოეძებნება, ჩერქეზულად და ყაბარდოულად — კი თავს და სათავეს ნიშნავს[67].

ფსა- დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელების, ისევე როგორც ყვა- მაწარმოებლიანი ტოპონიმების საფუძველზე ჩერქეზული თუ ადიღეური მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (გუდაუთა-ჩხარასა და სხვა ადგილებში) ვარაუდობდა ს. ჯანაშიაც[68].

თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევის საქმეში, მართალია, ს. ჯანაშიას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა ტოპონიმიკურ მასალას, მაგრამ ამ მასალის გამოყენებისას მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს. მისი სიტყვით, „ტოპონიმიკა ადვილად შესაძლოა ზღვა შეცდომების წყაროდ იქცეს მეთოდოლოგიური სიმკაცრის ოდნავი შესუსტების პირობებში“[69].

---

63 ეკ. ო ს ი ძ ე, აბასკ/აბასგ ეთნონიმის წარმომავლობისათვის. კრებულში: „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ., 1992 (იბეჭდება).

64 თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, კვლავ ეთნონიმ „აფხაზისა“ და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ. იმავე კრებულში.

65 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 43.

66 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, 44.

67 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

68 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 117—127.

69 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, 118.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში (60-იანი წლებიდან დღევანდლამდე) თავი იჩინა ტენდენციამ ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებებზე დაყრდნობით დამკვიდრდეს დებულება უძველეს ხანაში არა მარტო დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში, არამედ მის მთელ სანაპიროზე აფხაზურ-ადიღეური ტომების განსახლების შესახებ; ფს- ძირიან ტოპონიმებს ზოგიერთი მეცნიერი საკმაოდ შორს მიმავალი დასკვნების გასაკეთებლად იყენებს კოლხეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხებზე მსჯელობისას და მას მთელ დასავლეთ საქართველოში ქართველთა წინაპრების მოსვლამდე აფხაზურ-ადიღეური სუბსტრატის არსებობის დამამტკიცებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად წარმოგვიდგენს[70]. მაგრამ კოლხეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხების განხილვისას არ უნდა დავივიწყოთ ცალკეულ ადგილებში ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ტომთა სპორადული დასახლებების წარმოქმნის შესაძლებლობები, და არც ის, რომ სხვადასხვა ხალხებს, მით უმეტეს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ტომებს შორის ხშირია ცალკეულ სიტყვათა, ფუძეთა, აფიქსთა სესხება[71].

ამას გარდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შენიშნულ თითოოროლა ადიღეურ სახელებსაც დამაჯერებელი დათარიღება სჭირდება (იმისი განსაზღვრა თუ როდინდელი წარმოების სახელებთან გვაქვს ჩვენ საქმე). უამისოდ მათი გამოყენება რამდენიმე ათასი წლის წინანდელ ვითარებაზე მსჯელობისათვის შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს[72].

დაბოლოს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსად, არც ერთ თავის ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია ზემოთ განხილულ ტოპონიმებს არ უკავშირებდნენ საკუთრივ აფხაზურ ეთნიკურ წრეს. ყველა, როგორც ფს- დაბოლოებიანი, ისე ყვა- ნაწილაკიანი ტოპონიმი მათ მიერ მხოლოდ ადიღეური (ჩერქეზული) ენის საფუძველზე იხსნება.

ძვ. წ. IV ს. — ახ. წ. I ს-ით დათარიღებულ წერილობით წყაროებში დამოწმებული აფს- ძირიანი სახელები: ერთი მხრივ, ლაზების ჩრდილოეთით მოსახლე ტომის ეთნონიმი — აფსილი, მეორე მხრივ, სამხრეთ კოლხეთის მდინარე ჭოროხის სახელწოდება აფსაროსი, აფსარი, უფლებას გვაძლევს ძვ. წ. IV ს-ისათვის კოლხეთის ზოგიერთ რეგიონში ადიღეური ეთნიკური ჯგუფების ბინადრობა ვივარაუდოთ. მაგრამ „აფს“ ძირიანი სახელების გაფორმება ქართულ-ზანური (ელ-ილ-არ) სუფიქსებით, იმის მაუწყებელიც არის, რომ ეს ადიღეური ტომები აქ თანაარსებობდნენ ქართულ მოსახლეობასთან ერთად და გარკვეული ხნის განმავლობაში ქართული ეთნიკური სამყაროს გარემოცვაში იმყოფებოდნენ.

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სტრაბონის ცნობაზე, საიდანაც ირკვევა აფსარ-ჭოროხის შესართავის მახლობლად ძველადვე მეგრულ-ჭანური მოსახლეობის მეზობლად კერკეტების (ჩერქეზების) ეთნიკური ჯგუფის განსახლება. ასევე ადრეულ ხანას შეიძლება მივაკუთვნოთ აფს- ძირიანი ეთნონი-

---

70 უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ამ თვალსაზრისს ენერგიულად იცავს შ. ინალ-იფა თავის ნაშრომებში: Ш. Л. Инал-ипа. Абхазы და Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми. 1976, с. 420

71 რ. გორდეზიანი, „ფაზისის“ ეტიმოლოგიისათვის, თსუ შრომები, В 2 (140), თბ., 1971, გვ. 191—186.

72 გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 47.

მის მჭონე ტომის — აფსილების ბინადრობა კოდორის ხეობაში, სადაც იგი ემეზობლებოდა სვანურ, ზანურ, მესხურ ტომობრივ სამყაროს, ყოველ შემთხვევაში ის ქართული მოსახლეობის გარემოცვაში არსებობდა ახ. წ. I ს-ზე ადრე, რადგან ამ დროს ეთნონიმი — აფსილი უკვე ქართული სუფიქსით გაფორმებული შედის ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: თუ კი აფსარ-ჰოროხის შესართავის მახლობლად მოსახლე კერკეტ-ჩერქეზების მეზობელ დასავლურ-ქართველურ ტომებთან შერწყმა-გათქვეფის პროცესი შედარებით ადრე დასრულდა (ამ კერკეტების ადიღეური წარმომავლობის კვალი უთუოდ მდინარე აფსაროსის და მითიური პერსონაჟის აფსირტეს სახელებში შემორჩა), ჩრდილოეთ კოლხეთში, კოდორის ხეობაში მობინადრე აფსილები უფრო დიდ ხანს ინარჩუნებენ საკუთარ ეთნიკურ სახელს, ამასთან ცალკე ეთნო-პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებულნი საუკუნეების მანძილზე განაგრძობენ არსებობას. აღნიშნული გარემოება, ჩვენი აზრით, ძირითადად ორი ფაქტორით იყო განპირობებული.

ფლავიუს არიანეს მონათხრობის მიხედვით აფსილთა მესვეურს იულიანეს მეფობა (თუ მთავრობა) იმპერატორ ტრაიანესაგან მიუღია [Arrian., § 10]. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აფსილების სამთავრო ახ. წ. I ს-ის დასასრულს უკვე არსებობდა. აფსილთა სამთავროს წარმოქმნა ლაზებისა და სანიგების „სამეფოებს“ შორის ზღვისპირეთიდან დაშორებულ ხეობებში, რომელთა მეშვეობით ადვილი იყო ჩრდილო კავკასიის ტომებთან დაკავშირება, ამასთან მისი ხელისუფლის დამტკიცება რომის იმპერატორის მიერ, ნიშანდობლივი ფაქტებია და უთუოდ გასათვალისწინებელია აფსილებში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური პროცესების გარკვევის თვალსაზრისით. სახელდობრ, ეჭვი არ არის, რომ ამ ეთნიკური ერთეულის ჩამოყალიბება და მისი გამოსვლა პოლიტიკურ სარბიელზე, ისევე როგორც აბაზგების წინ წამოწევა (ამის შესახებ ქვემოთ) გამოწვეული იყო რომის მცდელობით ზურგიდან საფრთხე შეექმნა და ხელი შეეშალა პოლიტიკურად მზარდი სანიგთა, განსაკუთრებით კი ლაზთა სამეფოების შემდგომი გაძლიერებისათვის. აფსილთა სამთავროს დაწინაურებით და მასზე თავისი პოლიტიკური გავლენის დაწესებით რომი მყარ პოზიციებს იქმნიდა ლაზთა სამეფოს ზურგში, ამასთან აფსილთა მიწა-წყალზე მდებარე დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ გზებს თავის მეთვალყურეობის ორბიტაში აქცევდა[73]. ლაზთა და სანიგთა სამთავრო-სამეფოების მორჩილებაში ყოლის მიზნით რომმა არანაკლებ ძხიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სანაპირო ზოლშიც პიტიუნტის, სებასტოპოლისის, ფასისის სიმაგრეების დაარსებით და აქ თავის მეციხოვნე რაზმების ჩაყენებით. ბიზანტიელ ავტორთა ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ლაზიკაში ამ პოლიტიკის გამგრძელებლებად მომდევნო ხანაში აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელისუფალნი გამოდიან.

რომის მჭიდრო პოლიტიკურ კავშირს აფსილთა სამთავროსთან და მის დიდ გავლენას ამ სამთავროზე სხვა მონაცემებთან ერთად უნდა მოწმობდეს აფსილთა „მეფის“ სახელი — იულიანე, ასევე მისი საგამგეო ერთეულის ადრე მოქცევა რომის პოლიტიკური ინტერესების სფეროში[74].

---

[73] ლეონტი მროველთან დაცული „ფარნავაზის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ელინისტური ხანის დასაწყისში კოლხეთ-ეგრისის სამეფო ფლობს სვანეთის გადმოსასვლელ გზებს და კარგად იყენებს მათ ჩრდილო კავკასიის მთიელთა სამხედრო ძალების გადმოსაყვანად.

[74] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 546; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ეგრისისი სამეფოს ისტორია, თბ., 1968.

მეორე მხრივ, აფსილთა სამთავროს ჩამოყალიბება-დაწინაურებაში, ჩვენი აზრით, დიდი როლი უნდა შეესრულებინა ახ. წ. I—IV სს-ის განმავლობაში მათ ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან ადიღეური ტომების ახალი დიდი ნაკადების ჩამოსახლებას, რის შესახებ ანონიმთან დაცული ტოპონიმიკური მასალის საფუძველზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამას აფსილთა სამთავროს სამხედრო პოტენციალი მნიშვნელოვნად უნდა გაეზარდა. მაგრამ ტოპონიმიკურ მონაცემებთან ერთად ჩვენ ხელთაა კოდორის ხეობაში წებელდის არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ღირსშესანიშნავი მასალები, რომელთა შესწავლა ადრებიზანტიურ და ქართულ წყაროებთან ერთად შესაძლებელს ხდის თვალი გავადევნოთ მათ სამთავროში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, რომ ახ. წ. I ს-დან აფსილთა სამთავრო საკმაოდ დაწინაურებული პოლიტიკური ერთეულია, რაც თავისთავად გულისხმობს აფსილთა ეთნიკურ ერთობაში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და კულტურის განვითარების გარკვეული დონის არსებობას.

ამას ადასტურებს აფსილთა პოლიტიკური ცენტრის — წებელდისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები[75].

წებელდის კულტურა, რომელიც ახ. წ. II—IV სს-ის ქრონოლოგიური ჩარჩოებით იფარგლება, აღმოცენდა ადგილობრივ ბაზაზე. იგი კოლხური კულტურის ტრადიციების შემდგომი განვითარების შედეგია, მაგრამ ამავე დროს მასში შეინიშნება მთელი რიგი თავისებურებანი. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა წებელდის სამაროვანზე გვიანსარმატული მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი ჩაკინის იარაღის (ისრისპირების, მახვილების და სხვათა) აღმოჩენა. ეს იარაღი ადგილობრივ არის დამზადებული გვიანსარმატული ნიმუშების მიხედვით.

აფსილთა ქვეყანა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ადვილად უკავშირდებოდა, ერთი მხრივ, კოლხეთის შიდა და ზღვისპირა რეგიონებს, მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიას, რის შედეგად კულტურულ და პოლიტიკურ სფეროში, ასევე ეთნიკური თვალსაზრისითაც შეინიშნება აფსილთა მჭიდრო ურთიერთობა როგორც მეზობლად მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასთან, ისე ჩრდილოკავკასიის ტომებთან. ყველაფერი ეს ზეგავლენას ახდენდა წებელდის კულტურის თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე, ასევე მისი ისტორიის შემდგომ მსვლელობაზე.

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება აგრეთვე კულტურული ურთიერთობანი და სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები რომაულ სამყაროსთანაც (რომაული მონეტები). შეინიშნება ბერძნული კულტურის გარკვეული გავლენაც ვრცელდება ბერძნული ენა, მონეტის სამარხში ჩატანების წესი და სხვ.

ყველაფერი ეს მიუთითებს აფსილთა ეკონომიკურ დაწინაურებაზე; როგორც ჩანს, აფსილთა ამ ეკონომიკური განვითარების პროცესს თავისი აღმავლობისათვის მიუღწევია ახ. წ. IV ს-ში, რაც თავის გამოხატულებას პოვებდა სოციალურ ურთიერთობებშიც, გამოიყოფა პრივილეგირებული ზედაფენა (სამარხებში აღმოჩენილია ოქროს ნივთები და სხვა მდიდრული ინვენტარი). მოსახლეობის ღანარჩენი ნაწილი შეადგენდა ქვეყნის სამხედრო ძალას.

---

[75] М. М. Трапш, Культура горной Абхазии в начале эпохи средневековья, Труды, 4, Тб., 1975, с. 9—70.

ქართული მოსახლეობის გარემოცვაში მოხვედრა (აქ იგულისხმება მეგრულ-ჭანური, სვანური და აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობაც) და მასთან ხანგრძლივი კონტაქტი უთუოდ ზეგავლენას ახდენდა აფსილთა ენასა და კულტურაზე. მათ მიწა-წყალზე დადასტურებულია არა ერთი ქართული, მათ შორის სვანური ტოპონიმი, რაც აფსილთა ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის კიდევ ერთი მოწმობაა.

ბიზანტიურ წყაროებში დაცულია აფსილთა მთავარი პოლიტიკური ცენტრის სახელწოდება — წიბელი-უსი (დღ. წებელდა), რომელსაც ჩვეულებრივ უკავშირებენ ქართულ სიტყვას წიფელი. თუ ეს, მართლაც, ასეა, მაშინ გამოდის, რომ ეს სიტყვა წარმოდგენილია აღმოსავლურ-ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმით წიფელ-ი, ჭანური წიფ-ურ-ი, წიფ-რ-ი, მეგრული წიფ-ურ-ი, სვანური წიფ-რა[76].

ძლიერი ჩანს აფსილების და სვანების ენობრივ-კულტურული კონტაქტებიც. VII ს-ის ბიზანტიელი ავტორი თეოდოსი განგრელის გადმოცემით, აფშილებისა და მისიმიანების მხარეებში მდებარეობს ფუსტას ციხე. აფსილების საზღვართან მდებარეობს თუსუმე და მოქვი, როგორც შენიშნულია, სვანურ ღვთაებათა პანთეონში ფუსტას ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი ეჭირა, როგორც უზენაეს ღვთაებას (ფუსტა ნიშნავს უფალს, ბატონს)[77].

აფსილთა და მათ მეზობლად მცხოვრებ სვანთა ენობრივი დაახლოების თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობებია დაცული ბიზანტიურ წყაროებში. აგათია სქოლასტიკოსის გადმოცემით, აფსილთა მეზობლად ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები მისიმიანები (მისიმიელები) განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ, განსხვავებულ კანონებს მისდევდნენ და აფსილთა მონათესავენი იყვნენ (Agath., De regno Iust.. III, 5).[78]

საინტერესო ის არის, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი მისიმიელებს სვანთა ერთ-ერთ ტომად მიიჩნევს. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ისინი ერთ-ერთ სვანურ გაერთიანებას შეადგენდნენ (ეს სახელი სვანთა სახელის ადგილობრივი ფორმის მუშვან-ის სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს)[79]. მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისიმიანები აფსილთა და სვანთა ნარევი მოსახლეობისაგან შემდგარი გაერთიანებაა, რომელიც ამ ორი ეთნოსის ხანგრძლივი თანაარსებობისა და მჭიდრო კონტაქტის შედეგად წარმოიშვა აფსილებისა და სვანების მოსაზღვრე ტერიტორიაზე. თუ მისიმიანთა სატომო სახელწოდების მიხედვით ვიმსჯელებთ, წამყვანი ეთნიკური ელემენტი მათ გაერთიანებაში სვანთა ერთ-ერთი ტომი უნდა ყოფილიყო.

როგორც წყაროების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, ასეთივე პროცესი მიმდინარეობს აფსილთა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, რომლითაც იგი ლაზთა სამეფოს ესაზღვრებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლაზთა გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო აფსილთა ტომის იმ ნაწილზე, რომელსაც ზღვისპირეთი ეჭირა (კოდორსა და ღალიძგას შორის მდებარე სექტორში). ლაზ-აფსილთა შერწყმის პროცესი, რაც გამოიხატა აფსილთა გა-

---

[76] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 101.

[77] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 44, 50; თ. მიჩბუანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 319, 320.

[78] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 3, გვ. 86, 161—162.

[79] ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I. ტფ., 1936, გვ. 277—280.

ლაზებაში, VI ს-სათვის უკვე თვალსაჩინო იყო[80]. ამას უთუოდ ხელი შეუწყო ლაზთა მიერ აფსილთა პოლიტიკურმა დაქვემდებარებამ ახ. წ. IV-V სს-ში და უთუოდ ლაზებთან ერთად აფსილთა ადრე გაქრისტიანებამ (ახ. წ. IV ს-ში).

პროკოპის გადმოცემით, „აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან“ [Proc., BG VIII, 2][81]. აქედან ჩანს, რომ ახ. წ. III—IV სს-ში პოლიტიკურად და სამეურნეო თვალსაზრისით გაძლიერებული ლაზები აფსილებს თავის გავლენის ქვეშ აქცევენ. ახ. წ. VI ს-ის ამბების აღწერილობაში არაფერია ნათქვამი აფსილთა მთავარზე. ამასთან ლაზთა მეფეს აფსილეთში თავისი მოხელეები (მაგისტროსი) ჰყავდა [Proc., BG VIII. 10]. აღნიშნული გარემოება ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ აფსილეთი VI ს-ში უშუალოდ იყო შესული ლაზების სამეფოს შემადგენლობაში[82].

ახ. წ. III—IV სს-ში აფსილთა და ლაზთა შორის დამყარებული ეს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა რელიგიურ სფეროშიც პოვებს თავის გამოხატულებას. აღნიშნული გარემოება კარგად აისახა ბიზანტიელი ავტორის იმ ცნობაში, სადაც იგი მოგვითხრობს აფსილთა ლაზების ქვეშევრდომობაზე და იქვე დამატებით გვამცნობს, რომ ისინი ძველითგანვე ქრისტიანები იყვნენ [Proc., BG VIII, 2]. მოტანილი ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ აფსილთა და ლაზთა პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტი მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ,რომ ლაზების მიერ ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოცხადებას IV ს. უნდა ჰქონოდა ადგილი[83]. ზემოთ მოტანილ ცნობაზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, ამავე ხანებში უნდა მიეღოთ ქრისტიანობა აფსილებსაც. საინტერესოა, რომ აფსილთა ცენტრალური ციხე-ქალაქის — წებელდის სამაროვანზე აღმოჩენილ კერამიკულ ჭურჭელსა და მინის სასმისებზე გვხვდება ჯვრის გამოსახულებები. IV ს-ით თარიღდება ვერცხლის მედალიონი ქრისტიანული წარწერით — „ერთარსი ღმერთი. მშველელი შემწირველთა“ და ოქროს პატარა ჯვარი. წებელდის ნეკროპოლის სამარხთა უმეტესობის დამარხვის წესიც წმინდა ქრისტიანულია[84]. ყოველივე ეს კი მოწმობს, რომ ქრისტიანობას აფსილთა ქვეყანაშიც გზა ადრე გაუკვლევია[85].

აფსილთა [ისევე როგორც მათ ჩრდილო-დასავლეთ მეზობელ სანიგთა] გაქრისტიანებაში და ქრისტიანობის აქ მყარად დამკვიდრებაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა უკვე IV ს-ის პირველი მეოთხედის დასასრულს ბიჭვინტაში არსებულ საეპისკოპოსო კათედრას, რომლის მღვდელმთავარი ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე იყო.

აფსილების ადრე გაქრისტიანებამ მყარი საფუძველი შეუქმნა აფსილთა შემდგომ დაახლოვებას ქართულ სამყაროსთან.

საწინააღმდეგო პროცესი მიმდინარეობს აფსილთა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით. ეს პროცესი იმით იწყება, რომ აფსილები ჯერ ჩრდილოეთ მეზობელ სანიგთა სამთავროს აღმოსავლეთ ნაწილს იკავებენ, დაახლოებით ციხე

---

80 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

81 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 128—162.

82 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 546 და ტ. II, თბ., 1973, გვ. 166.

83 იქვე, ტ. II, გვ. 187, 188.

84 М. М. Трапш, Материалы по археологии средневековой Абхазии, Сухуми, 1975, Труды, т. 4.

85 დ. ლეთოდიანი, აფხაზების (აბაზგების) გაქრისტიანების თარიღებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, თბ., 1989, გვ. 52—54.

ანაკოფიამდე (ახალ ათონამდე), რის შედეგად ქალაქი სებასტოპოლისი (ქართული წყაროებით ცხუმი), რომელიც ახ. წ. II ს-ში არიანეს მიერ სანიგთა სამთავროს მიწა-წყლის ფარგლებშია დასახელებული [Arrian, §10], მომდევნო საუკუნეებში აფშილთა კუთვნილ ქალაქად იქცევა. ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი შენიშნავს: „და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფისასაო[86]. ამ ცნობის მიხედვით, სებასტოპოლისი — ცხუმი აფშილთა კუთვნილი ქალაქია. აქედან ჩანს, რომ აფშილები ამ ქალაქს დაეუფლნენ VI—VII სს-ში.

მას შემდეგ, რაც აფშილები იერთებენ სანიგთა სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ციხე ანაკოფიამდე, ბიზანტიური წყაროებით ციხე ტრაქეამდე (თანამედროვე ახალი ათონი, თუ გაგრა?), ისინი უმეზობლდებიან აბაზგებს. აქ უკვე საჭიროა შევეხოთ აბაზგთა საცხოვრისის, მათი პოლიტიკური ერთეულისა და ეთნიკური ვინაობის საკითხებს.

აბაზგებს ფორმით „აბასკოი“ „**Αβασκοί**“ პირველად არიანე იხსენიებს „პერიპლუსში“ — აფსილების და სანიგების მეზობლად. არიანე სადგომ პიტიუნტის ჩრდილოეთით ასახელებს ამავე სახელწოდების მდინარეს (აბასკოს), რომელიც დღევანდელ მდ. ბზიფს უნდა უდრიდეს. არიანე მეტს არაფერს გვამცნობს აბაზგთა ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ ის გარემოება, რომ აფსილების ჩრდილო-დასავლეთით უშუალოდ სანიგები სახლობდნენ, რომელთა მიწა-წყალი სებასტოპოლისიდან მოკიდებული მდ. აქეუნტამდე (შახემდე) ვრცელდებოდა, გვაძლევს საფუძველს გავიზიაროთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, ახ. წ. II ს-ში აბაზგთა აფხაზეთის მთიან რეგიონში განსახლების შესახებ[87].

ახ. წ. II ს-ზე ადრეულ ბერძნულ-რომაულ წყაროებში აბაზგთა ტომის მოუხსენებლობა არ გამორიცხავს მათი მცირე ეთნიკური ჯგუფების არსებობას იმ მთიელ ტომთა შორის, რომელთაც სტრაბონის გადმოცემით, საერთო, კრებითი სახელი კავკასიელები ეწოდებოდათ. მაგრამ უდავოა ისიც, რომ აბაზგთა ეთნონიმის მქონე ტომი ამ დროს არ ასრულებდა რაიმე ღირსშესამჩნევ როლს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ცხოვრებაში, ხოლო ახ. წ. II ს-ის დასაწყისიდან არიანეს მიერ მოხსენიება აბასკების მთავრისა, რომელსაც იმპერატორ ადრიანესაგან მიუღია „მეფობა“, იმის მაუწყებელია, რომ აბასკ-აბაზგები ამ დროისათვის ისეთ პოლიტიკურ ძალად იქცნენ, რომელთანაც რომის იმპერიას სჭირდებოდა გარკვეული ურთიერთობის დამყარება; ამით ლაზთა სამეფოს ზურგში ძლიერი სამხედრო პოტენციალის მქონე სამთავროს შექმნა და მისი მეშვეობით კავკასიონის გადმოსასვლელების საიმედო დაცვა.

---

[86] ქ˙ც, I, გვ. 235.

[87] აბაზგ-აფხაზთა ამდროინდელ საცხოვრისს კოლხეთის მთიან ადგილებში ვარაუდობდა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი. იგი შენიშნავდა: „კოლხეთის ჩრდილოეთი მაღლობი ადგილები აფშილებსა და აფხაზებს სჭერიათ; პირველთა ქვეყანაში ციხე წიფელდა ყოფილა, ხოლო უკანასკნელებს მთა ადგილებში უცხოვრიათ. აფშილთა და აფხაზთა აღმოსავლეთით მდებარეობდა სვანეთი და სკვიმნია“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა; ქართველი ერის ისტორია, წ. I, დამატ. I, თბ., 1951, გვ. 420); ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული პ. ინგოროყვას (გიორგი მერჩულე, გვ. 137).

აბასკ-აბაზგთა გაძლიერებას, ჩვენი აზრით, ბიძგი მისცა ჩრდილო კავკასიიდან ახ. წ. I—II სს-სათვის აფხაზურ-ადიღეურ ტომთა დიდი ნაკადის ჩამოსვლამ დღ. აფხაზეთის ცენტრალურ მთიან ზონაში.

კავკასიონის უღელტეხილებთან ახლო მცხოვრები ტომები, როგორც ჩანს, მოხერხებულად იყენებდნენ ახლად ჩამოსახლებულ ჩრდილო-კავკასიელთა სამხედრო ძალებს თავიანთი პოლიტიკური გაძლიერებისათვის.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ პლინიუსი [ახ. წ. I ს.], რომელიც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აბაზგებს ჯერ კიდევ არ იხსენიებს (ასახელებს მხოლოდ აფსილებს), ჩრდილო კავკასიაში, მეოტიდისა და კასპიის ზღვებს შორის, ამ უკანასკნელის ახლოს, აღნიშნავს „აბზოე“ სახელწოდების მრავალრიცხოვან ტომებს სხვა სარმატული ეთნიკური ჯგუფების გვერდით (Plin., VI). თუ დავუშვებთ, რომ ამ ცნობის ავტორს ხელთ არ ჰქონდა ზუსტი გეოგრაფიული ორიენტირები აბზოე ტომების საცხოვრისის განსაზღვრისას, რასაც თვით ცნობაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს (ამას ВДИ-ს კომენტატორიც შენიშნავს)[88], აბზოე ტომები უფრო დასავლეთით, აზოვის ზღვასთან უნდა იქნენ ლოკალიზებულნი (სარმატულ ტომებთან ერთად), მაშინ შესაძლებელია გარკვეული კავშირი დავინახოთ ამ ეთნონიმსა და კრებით სახელს „აბაზა“-ს შორის, რომელიც XIX ს-მდე ყველა აფხაზის საერთო სახელად იხმარებოდა[89]. და თუ ეს ასეა, მაშინ პლინიუსის ცნობა იმ მოსაზრების კიდევ ერთ საბუთად უნდა მივიჩნიოთ, რომ აბაზგთა მთავარი ეთნიკური ბირთვის ჩამოსახლება ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთის მთიან რეგიონში, მართლაც, ახ. წ. I ს-დან არის სავარაუდო.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ახ. წ. II ს-დან გაძლიერებული აბასკები (აბაზგები) აფხაზეთის მთიანი რეგიონებიდან თავიანთ პოლიტიკურ გავლენას ავრცელებენ სანაპირო ზოლზე მდებარე სანიგების სამთავროზე. აღნიშნული პროცესი კარგად ჩანს ფლავიუს არიანეს (ახ. წ. II ს.) ცნობების შედარებიდან ახ. წ. V ს-ს ანონიმური ავტორისა და პროკოპი კესარიელის (ახ. წ. VI ს.) ცნობებთან. სახელდობრ, თუ კი II ს-ში სანიგებს ვრცელი სანაპირო მიწები ეჭირათ ქ. სებასტოპოლისიდან მდ. აქეუნტამდე (შახემდე), V ს-ისათვის სანიგებს ამ ტერიტორიის მხოლოდ ნაწილი შერჩენიათ მდ. აბასკოსიდან (ბზიფიდან) აქეუნტამდე. სანაპირო ზოლი კი მდინარე ბზიფიდან დაახლოებით დღევანდელ ახალ ათონამდე (ძველი ანაკოფია) აბასკების პოლიტიკურ ერთეულში იყო შესული. აბასკთა მიერ სანიგების მიწების შეერთება ამაზე არ შეჩერებულა. ეს პროცესი გრძელდებოდა V ს-ის შემდეგაც. VI ს-ისათვის აბაზგების პოლიტიკურ გაერთიანებაში ექცევა სანიგთა სამთავროს დანარჩენი ნაწილიც. საყურადღებოა ამ მხრივ ის გარემოება, რომ პროკოპის აბაზგების დასავლეთ მეზობლებად დასახელებული ჰყავს უკვე არა სანიგები, არამედ ბრუქები და ძიქები (იგივე ჯიქები) (Proc., BG VIII, 4)[90].

როგორც უკვე აღინიშნა, ამავე ხანებში სანიგებს აღმოსავლეთიდან ავიწროებენ აფსილები, რომელნიც თავიანთ სამთავროს ფარგლებში აქცევენ ოდესაც სანიგთა მიწა-წყალზე მდებარე სებასტოპოლის-ცხუმის მიდამოებს და თავიანთ პოლიტიკურ გავლენას ავრცელებენ ტრაქეის ციხემდე. ეს იყო აბაზგთა

---

88 იხ. ВДИ, 1949, № 2, გვ. 302, შენ. 2.

89 მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

90 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. ტ. 2, გვ. 135.

მიერ აგებული სასაზღვრო სიმაგრე, რომლითაც ისინი თავს იცავდნენ აფსილებისაგან და ამავე დროს ემუქრებოდნენ მათ.

ამრიგად, ახ. წ. VI ს-სათვის დღევანდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე იქმნება, ერთი მხრივ, სამეურნეო და კულტურის განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომი აფსილთა ეთნო-პოლიტიკური ერთეული, რომლის სამხრეთი ნაწილი გალაზებულია, ჩრდილო-აღმოსავლეთი კი სვანთა გავლენის სფეროშია მოქცეული, ხოლო — მეორე მხრივ, დიდი სამხედრო პოტენციალის მქონე აბაზგთა გაერთიანება.

ახ. წ. VI ს-დან აბაზგთა პოლიტიკურ აღმავლობას ხელს უმართავს ბიზანტია. ისევე როგორც წინა საუკუნეებში (რომის იმპერატორების დროს), ეხლაც ბიზანტიის ხელისუფალთა მხრივ ეს იყო ლაზთა მეფის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება. ამასთან აღებულ ხანაში ბიზანტია ლაზებსა და სპარსელებთან ომში იყო ჩაბმული. აბაზგთა ქვეყანაში თავისი პოზიციების განმტკიცების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად იმპერატორ იუსტინიანეს მათი გაქრისტიანება მიუჩნევია. შემთხვევითი არ არის პროკოპი კესარიელის მიერ ხაზგასმით იმის აღნიშვნა, რომ „აბაზგები ქრისტიანენი არიან და ძველითგანვე რომაელთა მეგობრები“ [Proc., BG, II, 29][91]. აქედან კარგად ჩანს, რომ აბაზგთა გაქრისტიანება იუსტინიანესთვის პირველ რიგში პოლიტიკური მნიშვნელობის აქცია იყო. აბაზგთა მოქცევა, ისევე როგორც მათ ქვეყანაში იუსტინიანეს მიერ საგანგებოდ ჩატარებული სხვა ღონისძიებები, აბაზგთა და რომაელთა შორის „ძველითგანვე არსებული მეგობრობის“ შემდგომ განმტკიცებას და იმპერიის ხელისუფლებისადმი მათი ერთგულების უზრუნველყოფას ემსახურებოდა[92].

ამრიგად, თუ კი ახ. წ. IV სს-ში აფსილების დიდი ნაწილი ლაზთა სამეფოსაკენ იხრება და ქართულ სამყაროსთან დაახლოების, მასთან შერწყმის ტენდენციას ავლენს, აბაზგები (ანუ აფხაზები) ძირითადად ბიზანტიურ ორიენტაციას არჩევენ და ბერძნული კულტურის გავლენაში ექცევიან[93].

პოლიტიკური მომძლავრების მიუხედავად აბაზგია ახ. წ. VI ს-ში თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით საგრძნობლად ჩამორჩებოდა როგორც ლაზთა სამეფოს, ისე მის მეზობელ აფსილთა სამთავროს. დაკვირვება პროკოპი კესარიელის ცნობებზე ნათელყოფს, რომ აღებული ხანისათვის აბაზგებს ჯერ კიდევ არ გადაულახავთ ტომობრივი დაყოფის ჩარჩოები. ამ დროს ქვეყანაში არსებობს ორი ეთნო-პოლიტიკური ერთეული, რომელთაც თავიანთი მთავრები განაგებენ (Proc., BG, VIII, 3). აღნიშნული გარემოება მოწმობს, რომ აბაზგებში ტომობრივი საზღვრების საბოლოო წაშლის პროცესი ნელა მიმდინარეობდა და მათი ეროვნებად ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა იყო გასავლელი. აბაზგთა დარჩენას ტომურ ჩარჩოებში ხელს უწყობდა მათი ეკონომიკის სუსტი განვითარება. წყაროების მიხედვით, ქვეყანაში ამ დროს არ არსებობდნენ ქალაქები (ბიჭვინტა და სებასტოპოლისი ბიზანტიელთა ციხე-სიმაგრეებია). საზოგადოებრივი წყობის თვალსაზრისითაც არ ჩანს, რომ აბაზგები დიდად დაწინაურებულნი ყოფილიყვნენ. ამის დასტურია მათი მთავრების მიერ ბავშვებით ვაჭრობა და აგრეთვე ქვეყანაში გამეფებული წარმართობა. პროკოპის გადმოცემით, მათ მხოლოდ იუსტინიანეს

---

91 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. 2, გვ. 100.

92 ამის შესახებ დაწვრილებით იხ. დ. ლ ე თ ო დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45, 46.

93 ქართულ საისტორიო წყაროებში ეგრისწყალს ქვემოთი ქვეყანა, ანუ „აფხაზეთი“ განიხილება როგორც ბერძენთა სამფლობელო (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990, გვ. 577).

მცდელობით (ე. ი. მისი ძალდატანებით) აღიარეს ქრისტიანობა: „მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები (Proc., BG VIII, 3)[94].

ასეთი ვითარება იყო აბაზგიაში ახ. წ. VI ს-ში, როცა მის მეზობლად ჯერ კიდევ არსებობდა აფსილთა პოლიტიკური ერთეული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წინა ხანაში აფსილებს მკვეთრად უპირისპირდებოდნენ აბაზგები (ამის მანიშნებელია, როგორც ითქვა, აფსილთა ქვეყნის საზღვარზე მათ მიერ „ძველთაგანვე“ ტრაქეის ციხის აგების ფაქტი), მაგრამ VIII ს-დან პოლიტიკურად ძლიერი აბაზგები თავის სამთავროს ფარგლებში აქცევენ აფსილებსაც, ჩაჩის ტომის გარდა, რომელიც ლაზებს შეერწყა[95]. ამიერიდან აფშილების ქალაქი ცხუმი აფხაზეთის ქალაქი ხდება, აქვე არსდება აფხაზეთის სამთავარეპისკოპოსო ცენტრი.

ამავე დროს (ახ. წ. VI—VII სს.) მიმდინარეობს სანაპირო ზოლზე ძველთაგანვე მოსახლე დასავლურ-ქართველური ტომების — სანიგების შერწყმა აბაზგებთან[96].

ყოველივე ამის შედეგად VII ს-დან სახელწოდება „აბაზგი“ სცილდება ვიწრო ეთნიკურ ფარგლებს და პოლიტიკურ ტერმინადაც იქცევა. ამიერიდან „აბაზგი“ ნიშნავს არა მხოლოდ ერთი წარმომავლობის ტომს, ან ტომებს, არამედ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ ქართულ და არაქართულ მოსახლეობას, რომელიც ამ დროიდან აბაზგთა სამთავროში შედიოდა. საზოგადოებრივი განვითარების მხრივ (VII ს.) აფხაზეთის მოსახლეობა ორი სხვადასხვა სახეობისა ჩანს. პირველი — ბარის, ეგრის წყლის (დღ. ღალიძგას) „ქვემოთი“, ანუ მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სანაპირო ზოლის მცხოვრებნი — ძველიდანვე ქრისტიანული, ქართული კულტურის ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფი, გალაზების გზაზე მდგომი აფსილები და ზანური წარმომავლობის სანიგები, მეორე — მთიანი ზონის მოსახლეობა, რომელსაც შედარებით ნაკლებ განვითარებული მეტწილად აფხაზურ-ადიღეური ტომები შეადგენდნენ.

მომდევნო ხანაში აფხაზთა ერისთავი ლეონ II ისარგებლებს ბიზანტიის დასუსტებით („რა ჟამსა მოუძლურდეს ბერძენნი“), ხაზართა მეფის დახმარებით („ძალითა მათითა“) განუდგება ბერძნებს და აფხაზეთს ლაზიკას (ეგრისს) შეუერთებს[97], რის გამო სახელწოდება „აბაზგი“ — „აფხაზი“ კიდევ უფრო ფართო პოლიტიკურ მნიშვნელობას იღებს. ამიერიდან გაძლიერებული აფხაზთა სამთავრო დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოდის, და

---

94 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 2, გვ. 134. 135.

95 ჩაჩ ტომი აფშილების მონათესავე უნდა ყოფილიყო და, როგორც ვარაუდობენ, ეგრისის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ამასთან დაკავშირებით იმასაც აღნიშნავენ, რომ ჩაჩ ტომს „აფხაზებს“ არ ეძახდნენ, არამედ ჩაჩ-შარვაშიძეს „ქართველს“ უწოდებდნენ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 605—607).

96 სანიგები ახ. წ. V ს-დან აღარ ჩანან პოლიტიკურ სარბიელზე, თუმც ზოგიერთი ავტორი (პროკოპი კესარიელი და სხვ.) იხსენიებს მათ ადრინდელი წყაროების მიხედვით (იხ. მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150—155).

97 С. Н. Джанашиа, Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование «Абхазского царства»: „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, № 2, გვ. 41-45; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ. 1990, З. В. Анчабадзе, Очерк этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976, с. 50, 51.

პოლიტიკური სახელწოდება — „აფხაზეთი“ მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდება.

აფხაზთა სამთავროსთან აფსილთა შეერთების შემდეგ, როგორც საფიქრებელია, უფრო ძლიერდება ამ უკანასკნელთა ენის გავლენა მათ მომიჯნავე მთის აბაზგ-აფხაზთა ენაზე, რასაც, ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, უნდა მოჰყოლოდა აბაზგთა ძველი ენის შევიწროება და მათ შორის განსხვავებული დიალექტების გაჩენა[98]. ამ თვალსაზრისით უთუოდ ნიშანდობლივია ქართულ საისტორიო ტრადიციაში აფხაზთა ენის აფსართა (ანუ აფსილთა) ენად ხსენება. ამ წყაროში დაცული შენიშვნა გვამცნობს: „ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა [აფსართა ენითა]“[99]. აქ აფსართა ენაში აფხაზური ენა იგულისხმება.

აფსილთა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შერევა აბაზგებთან, აფსილთა ენის ზეგავლენა მათზე, იმაშიც პოვებს თავის გამოხატულებას, რომ ამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აფსილებისაგან ითვისებს მათ სატომო სახელწოდებასაც — აფსილი, აქედან აფს-უა, რომელიც თანდათან მთელ აფხაზურ მოსახლეობაზე ვრცელდება და მისი თვითსახელი ხდება. აფხაზები დღესაც თავის თავს აფსუას უწოდებენ.

ამრიგად, მთელი ზემოთ განხილული მასალა ნათელყოფს, რომ აბაზგ-აფხაზთა ეროვნული კონსოლიდირების პროცესი სწორედ იმ ხანაში მიმდინარეობს, როდესაც ისინი თავს აღწევენ ბერძნულ-ბიზანტიურ გავლენას და მათი პოლიტიკური ორიენტაცია ბიზანტიიდან საქართველოსკენ იხრება. ამიერიდან აფხაზები, როგორც აქტიური სამხედრო ძალა, მონაწილეობენ დასავლეთ საქართველოს მთელ მოსახლეობასთან ერთად ქართული სახელმწიფოს შექმნაში, რის შედეგად აფხაზეთის ბარის მკვიდრნი, განსაკუთრებით მათი ზედაფენა ეზიარება და ითვისებს ქართულ კულტურას, ქართულ ენას, სარწმუნოებას, დამწერლობას და ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილი ხდება[100]. აფხაზეთის ბარის მკვიდრთა ქართველ ხალხთან კონსოლიდაციაში, ვფიქრობთ, თავისი წვლილი შეიტანეს ლაზების მოსაზღვრე, გაქართველების გზაზე მდგომმა აფსილებმაც, ხოლო რაც შეეხება აფხაზეთის მთიანი რეგიონების მცხოვრებთ, რომლებშიც მეზობელ, მონათესავე აფსილებთან შერწყმის თანმხლები ეთნოპროცესები მიმდინარეობდა, ისინი მაინც ინარჩუნებდნენ თავიანთ განსხვავებულ აფხაზურ-ადიღეურ ეთნიკურ სახეს და ენას.

იმისათვის, რომ ბოლომდე თვალი გავადევნოთ აფხაზეთის ძველი მოსახლეობის მიერ განვლილ ისტორიული განვითარების გზას, საჭიროა აქვე უფრო დეტალურად შევეხოთ აფხაზთა ეთნიკური კუთვნილების საკითხს, რომლის კვლევა-ძიების შედეგად სამეცნიერო ლიტერატურაში ფრიად საყურადღებო, მაგრამ ზოგ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. მკვლევართა დიდ ნაწილი — ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ქ. ლომთათიძე, გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოური და სხვანი ბერძნული წყაროების აბაზგებს აფხაზურ ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნებენ. ერთ-ერთი რეალური საფუძველი ასეთი დებულების წამოყენებისათვის არის ის, რომ ხალხი, რომელიც ეთნონიმ „აბაზგის“ მსგავსი სახელწოდების „აფ-

---

98 Л. И. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, Л., 1978, с. 14, 15.

99 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქ˝ც, II, თბ., 1959, გვ. 58.

100 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. გვ. 599 და შემდ.; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი.

ხაზის“ მქონეა და დღეს დაახლოებით იმავე მიწა-წყალზე ცხოვრობს, რომელზედაც ანტიკურ ხანაში აბაზგები სახლობდნენ, აფხაზური წარმოშობისაა. ასეთი მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარნი იმასაც ითვალისწინებენ. რომ სატომო სახელწოდების „აბაზ-გი“, „აბაზ-ხი“ ფუძიდან „აბაზ“ ნაწარმოები სახელი „აბაზა“ XIX ს-მდე იხმარებოდა შემკრებელობით-გამაერთიანებელ ტერმინად ადიღეველ-ჩერქეზთა და აგრეთვე თვით აფხაზთა მიერ, როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ კავკასიის აფხაზთა მიმართ, ხოლო XIX ს-ის შემდეგ იგი მკვიდრდება საკუთრივ ჩრდილო-კავკასიაში მოსახლე აფხაზთა სახელწოდებად[101].

აფხაზთა ეთნიკური კუთვნილების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სახელწოდებათა „აბასკ“/„აბაზგი“ და „აფხაზის“ ენათმეცნიერულ კვლევას. რომელიც მათი ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევას ისახავს მიზნად. ამ კვლევა-ძიების შედეგებიდან ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ წერილობით წყაროთა შუქზე ყურადღებას იმსახურებს შემდეგი დებულებები: ქართული „აფხაზის“ პარალელურად ბერძნული „აბასგი“ ფორმის არსებობა ს. ყაუხჩიშვილს საფუძველს აძლევდა გამოეთქვა აზრი. რომ „გ“ ყოფილა „ხ“-ს მაგიერ. ამ მხრივ მკვლევრის ვარაუდით. უფრო ძველი (ამოსავალი) ვითარებაა დაცული ქართულში. სადაც ხ გვაქვს, ხოლო ბერძნული — გ მეორეულია. თუ -ხ უფრო ძველია და ამ თვალსაზრისით ქართული უფრო არქაულია. ფუძის სტრუქტურის მხრივ [„აბაზ“] **უფრო ძველი ვითარება ბერძნულში გვაქვს** დაცული და არა ქართულში. აღნიშნული გარემოება ს. ყაუხჩიშვილს უფლებას აძლევს „აბაზხ“ ფორმის აღსადგენად. ამრიგად, იქმნება მწკრივი აბხაზი-აბაზხი-აბაზგი-აბასკი[102].

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამდა ნ. მარიც. მისი, ისევე როგორც ს. ყაუხჩიშვილის მტკიცებით. ამოსავალი ფორმაა აბაზ-ხ. აბას-ხ ე. ი. ხ-ანიანი ფორმა[103].

საყურადღებოა ქ. ლომთათიძის დაკვირვებაც. რომლის მიხედვით ბერძნულ აბასკ-ისათვის ამოსავლად **უნდა ვივარაუდოთ არა ხ-ანი ვარიანტი, არამედ** ქ-ანი აბაზ-ქ. ამრიგად. არ არის გამორიცხული ისიც ვიფიქროთ. რომ ბერძნული აბასკ-ის კ- ელემენტი აბაზური წარმოშობის ქ- ფორმანტია. ხოლო ფუძე „აბას“ იმავე პრიქითა აფხაზთა ტომის სახელს — აბაზა-ს უკავშირდება[104].

ს. ჯანაშიას მიერ შედგენილი აღწერილობის მიხედვით, აბაძახები ანუ აბძახები ჩერქეზული ტომი იყო კიახური ჯგუფისა. რომელიც XIX ს-ის სამოცდაან წლებამდე ცხოვრობდა დასავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე. სახელ-

---

101 ქ. ლომთათიძე. აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი. თბ., 1944; მ. ინაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

102 ს. ყაუხჩიშვილი. „გიორგი მერჩულეს“ გარშემო, წერილი მეორე. „მნათობი“. 1957, თებერვალი, № 2, გვ. 134.

103 იხ. Н. Я. Марр, История термина «абхаз». კრებულში „О языке и истории абхазов“. М.-Л.. 1938, 44—52.

მსგავსი შეხედულება აქვს ამ საკითხზე ოტ. კახაძეს. მის მიერ ჩატარებული ანალიზით. ქართული აბხაზ-ისა (აფხაზ-ი) და მეგრული აბხაზა-ს (აფხაზა) ამოსავალი ფორმა უნდა იყოს აბაზახა. რომელსაც ფუძითაცა და ხა ფორმანტითაც ადიღეურ (ჩერქეზულ)-ყაბაროულ ენობრივ სამყაროსთან მივყავართ (ოტ. კახაძე, აფხაზ-აფხაზა ფუძის თაობაზე. იბეჭდება კრებულში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია თბ., 1992).

104 ქ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი.

წოდებას „აბძახ“, „აბაძახა“, მკვლევრის ცნობით, უაბარდოელები გამოთქვამენ როგორც „აბაზახა“[105].

ეთნონიმ აბასკ-აბაზგის წარმომავლობისა და აფხაზ-თან მისი ურთიერთობის შესახებ ზემოთ განხილული შეხედულებებისაგან განსხვავებული დებულება წამოაყენა თ. გამყრელიძემ. საკითხის შესწავლას მკვლევარი იმ დასკვნისკენ მიჰყავს, რომ ქართულსა და აღმოსავლურ წყაროებში დადასტურებული „აფხაზ“-„აბხაზ“ ეთნონიმი პირველადი ფორმაა და იგი თავდაპირველად დასავლურ-ქართველური წარმომავლობის სატომო სახელწოდება უნდა ყოფილიყო. „აბაზგ“ — ფორმა პირველადი „აფხაზ“ ფორმის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია ბერძნული ფონეტიკური ნორმების შესაბამისად და არავითარ კავშირში არ არის ერთი შეხედვით მის მსგავს „აბაზა“ სახელთან. თვით ეს უძველესი „აბაზა“ ფორმა დასაბამს აძლევს თანამედროვე აფხაზთა თვითსახელ „აფსუა“-ს, რომელიც უნდა წარმოადგენდეს „აბაზა“ ფორმის ვარიანტს. ეს „აფსა“ — ძირი საფუძვლად უდევს თანამედროვე აფხაზთა თვითსახელს — აფსა-უა-აფსუა.

ერთიანი „აფხაზეთის სამეფოს“ დაშლის შემდეგ ხდება „აფხაზ“ ეთნონიმის დავიწროება და ამ სახელით ქართულ ენობრივ სამყაროში მხოლოდ იმ ხალხის აღნიშვნა, რომლებიც თავიანთ თავს „აფსუებს“ უწოდებდნენ. თ. გამყრელიძე აქვე შენიშნავს, რომ გასარკვევი რჩება მხოლოდ საკითხი, თუ როდის და რა ვითარებაში ხდება ეთნონიმ „აფხაზის“ დავიწროება და დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მკვიდრ ეთნოსზე, საკუთრივ „აფსუა“-ზე გადატანა[106].

მკვლევრის წინაშე წამოჭრილი ამ ბოლო კითხვიდან ჩანს, რომ ამის შიერ გამომუშავებული თვალსაზრისის უფრო სრულყოფილად ჩამოყალიბებისათვის საჭიროა არა მხოლოდ ზემოგანხილული ეთნონიმების ენათმეცნიერულ-ეტიმოლოგიური კვლევა, არამედ ამ საკითხის ისტორიულ ჭრილში გაშუქებაც (ამის ცდა წერილში არის მოცემული, რაც სათაურიდანაც ჩანს).

წერილობითი წყაროების შესწავლამ გვიჩვენა, რომ აფხაზები აფსილებს იძორჩილებენ და იერთებენ ახ. წ. VIII ს-დან, როდესაც „აფხაზი“ დასავლეთ საქართველოს ყველა მკვიდრთა: ქართების, ასევე ლაზთა ანუ მეგრელთა, ჭანთა, სვანთა და სხვ. შემკრებელობით-პოლიტიკურ სახელად იქცევა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამავე დროს ემთხვევა აფსილების აფხაზებთან ეთნიკური შერწყმის პროცესიც, რის შედეგად აფხაზი მისი მონათესავე აფსილის პოლიტიკური სახელწოდებაც ხდება, ხოლო აფსილის ეთნონიმი კი თანდათანობით ვრცელდება საკუთრივ აფხაზებზე, როგორც მათი თვითსახელი — აფსუა. და თუ ეს პროცესი, მართლაც, ამგვარად წარიმართება, მაშინ გამოდის, რომ აფსილების აფხაზებად გადაქცევა მიმდინარეობს აბაზგ-აფხაზთა გაძლიერების ხანიდან და არა გვიანშუასაუკუნეებში, „აფხაზის“ მნიშვნელობის დავიწროების დროს.

გარდა ამისა, თუ აბაზგ-აფხაზები წარმომავლობით ქართველები იყვნენ და აფსილების ეთნოპოლიტიკური შერწყმა მათთან აფხაზთა ძლიერების ხანიდან უნდა ვივარაუდოთ, მაშინ ამ შერწყმა-შეერთებას საბოლოოდ უნდა მო-

---

105 ს. ჯანაშია, საენციკლოპედიო მასალა, შრომები, VI, თბ., 1988, გვ. 227, 228.

106 თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან, „აფხაზ“ — „აბაზგ“ და „აბაზა“ — „აფსუა“ ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1991, თბ., გვ. 6—17.

ჰყოლოდა აფსილთა ქართველ აფხაზებად გადაქცევა და არა პირუკუ, ამ პოლიტიკურად ძლიერ ქართველ აფხაზთა აფსუებად ქცევა.

ამასთან თუ აბაზგი წარმომავლობით ქართველი იყო, ხოლო აფხაზთა საერისთაოს მოსახლეობა მთლიანად ქართული, მაშინ გაუგებარია ისიც, თუ რატომ მოხდა სახელწოდება აფხაზის დავიწროება მთლიანად აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველი აფხაზების გაქრობის ხარჯზე და რატომ შემორჩა ეს სახელწოდება („აფხაზი") მაინცდამაინც ადიღეური წარმომავლობის აფსილებს (აფსუ-ებს).

გარდა საკითხის ისტორიულ ასპექტში გააზრებისა, აბაზგ-აფხაზთა ქართული წარმომავლობის თვალსაზრისს გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის ზემოდასახელებულ მკვლევართა მიერ არაერთგზის აღნიშნული კავშირი ბერძნული წყაროების „აბაზგ" ეთნონიმისა ადიღეურ (ჩერქეზული) ტომის სახელწოდებასთან „აბაზახა", „აბზახა". „აბაზგ" — „აბაზხის" კავშირს „აბაძახასთან", და „აბაზა-სთან, როგორც ზემოთ დავინახეთ, გვერდი ვერ აუარა ნ. მარმაც, რომელიც აფხაზთა ქართველური, სახელდობრ, მესხური წარმომავლობის დებულების ფუძემდებელი იყო.

ნ. მარის აზრით, ტერმინი აფხაზი და მისი ნაყარი ფუძეები მომდინარეობს აფხაზური აფსუა ტერმინისაგან, რომლისთვისაც, თავის მხრივ, აღსადგენია ფას-ბას ძირი. ქართული „აფხაზი"-სათვის ამოსავალი ფორმაა აფასხ|აბასხ, სადაც „ხ" ნ .მარის აზრით, მრავლობითი რიცხვის სუფიქსია, ხოლო ფას- ბას ფუძე. შემდეგ მკვლევარი ამ ფუძეს აკავშირებს მესხ, მოსოხ, მასხ- ფუძეებთანაც[107].

მოსაზრება მოსხ-მესხის და აფხაზის ურთიერთკავშირის შესახებ შემდეგში განავითარა პ ინგოროყვამ. მკვლევრის მიერ წამოყენებული დებულების საფუძველზე, აბაზგები ისეთივე ქართველი ტომები იყვნენ, ქართულის წარმოშობისა და ქართულ დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ტომები — ქართები, მეგრელები, სვანები[108].

პ. ინგოროყვას მტკიცებით, ანტიკური ხანის ყველა საისტორიო წყაროში (ძვ. წ. V ს-დან I ს-მდე) აბაზგებს ეწოდებოდათ მხოლოდ ეს სახელი — „მოსხი". რაც შეეხება ტერმინებს „აბასხი", „აფხაზი", რომლებიც მისი აზრით, დიალექტური სახესხვაობაა იმავე ძველი სატომო სახელწოდებისა „მოსხი", ესენი ბევრად უფრო გვიან შემოდიან ხმარებაში. დღევანდელი აფხაზების წინაპრები ე. წ. აფსუები, პ. ინგოროყვას შეხედულებით, ამ მიწა-წყალზე შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ, ხოლო სახელწოდება „აფხაზი" აქ ოდითგანვე მცხოვრებ ქართველი აფხაზებისაგან მიიღეს[109].

წერილობითი წყაროების განხილვამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ აფხაზეთის შიდა რეგიონებში ძვ. წ. VI—II სს-ში ძლიერია კოლხური ელემენტი, ამასთან, აქვე საკმაოდაა მოსხური ეთნიკური ჯგუფების ბინადრობაც, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომდევნო ხანაში ამ მიწა-წყალზე ჩამოსახლებული ტომების მთავარი ეთნიკური ბირთვი ახ. წ. II ს-სათვის აბაზგთა სატომო სახელწოდების მქონე პოლიტიკურ ერთეულს ქმნის.

ამდენად, ჩვენ ხელთ არსებული მასალა საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ არა მოსხებისა და აბაზგების იგივეობაზე, არამედ ვივარაუდოთ, რომ ძველ-

---

[107] Н. Я. Марр, დასახ. ნაშრომი.

[108] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

[109] იქვე, გვ. 137—139.

თაგანვე აფხაზეთის მკვიდრი ქართველური ტომები მოსხები, კოლხები და სხვა აღებულ ხანაში (ახ. წ. II— ს-დან) აბაზგთა ახლად შექმნილი სამთავროს ფარგლებში შედიან და სანაპიროზე მცხოვრებ მეგრულ-ზანურ მოსახლეობასთან— სანიგებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ აბაზგთა სამთავროს შემდგომ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში[110].

ამრიგად, როგორც დავრწმუნდით, არსებობს მთელი რიგი არგუმენტები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია აბაზგთა ანუ თავდაპირველ აფხაზთა წარმომავლობის საკითხის კვლევა-ძიების დროს.

სახელდობრ, ერთი მხრივ, ჩვენ ხელთაა მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ გამომუშავებული დებულება, რომლის მიხედვით ეთნონიმი აბასკი-აბაზგი-აბაზხი ეკუთვნის აფხაზურ-ადიღეურ ეთნიკურ სამყაროს და აქედან მომდინარეობს, ხოლო, მეორე მხრივ საისტორიო წყაროები, რომელნიც ადასტურებენ, რომ აბაზგ-ეთნონიმის მქონე ტომის გამოჩენა და გაძლიერება აფხაზეთის მთიან რეგიონში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამავე ხანებისათვის ადიღეური (ჩერქეზული) წარმომავლობის აბაძეხი (აბაზეხი) და აბაზა ტომების გააქტიურებასთან ჩრდილო კავკასიაში, საიდანაც ხდება მათი ეთნიკური მასების ჩამოწოლა ახ. წ. I ს-ის დასასრულს და დასავლეთ კავკასიონის სამხრეთი კალთებისა და ხეობების დაკავება. ბუნებრივია, რომ აბაზა-აბაზახ ტომებს თავიაი წვლილი შეეტანათ აბაზგთა პოლიტიკური ერთეულისა და მისი სახელწოდების შექმნაშიც. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სწორედ ადიღეურ (ჩერქეზული) სამყაროდან ვრცელდება სახელწოდება აბასკი-აბაზგი ბერძნულ მწერლობაში. როგორც ვარაუდობენ, აბზა-ხა, აბაზა-ხა-დან იქნა მიღებული მეგრული აბხაზაც[111]. რაც შეეხება სახელწოდება „აფხაზს“, სავსებით მოსალოდნელია, რომ აღმოსავლურ-ქართულ მეტყველებაში და საისტორიო მწერლობაში იგი შევიდა ზანური სამყაროდან, რომელიც ტერიტორიულად გაცილებით ახლო იმყოფებოდა აფხაზეთში მოსახლე აბაზგებთან, ვიდრე ქართის ტომები.

საისტორიო წყაროებში სახელწოდება „აფხაზები“ VIII ს-ზე ადრე არ არის დადასტურებული, ეს ტერმინი ქართულ მწერლობაში ჩნდება იმ ხანიდან, როდესაც იგი აღნიშნავს არა მხოლოდ საკუთრივ აბაზგთა ეთნოსს, არამედ საერთოდ აფხაზეთის მიწა-წყლის მკვიდრთ, რომლებშიც მეგრულ-ზანური, სვანური და აღმოსავლურ-ქართველური ტომებიც იგულისხმება. აღებულ ხანაში სახელწოდება აფხაზი კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობის შემკრებლობითი ტერმინიც ხდება. იგი მოიცავს დასავლეთ საქართველოს ყველა იმ ქართველური და არაქართველური წარმომავლობის ტომს, რომელიც „აფხაზთა სამეფოში“ შედის და აღმავალ ფეოდალურ ურთიერთობათა გზაზე მდგარი, ქართული ქრისტიანული ეკლესიის გარშემო შემოკრებილი საზოგადოების ნაწილს შეადგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ, მართალია, დასავ-

110 რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ აფხაზები მხოლოდ გვიანშუასაუკუნეებში იღებენ თავიანთ თვითსახელს — აფსუას, ზემოთ განხილული წყაროები უფრო მხარს უჭერენ მკვლევართა მიერ არაერთგზის გამოთქმულ იმ ვარაუდს, რომ თვითსახელი „აფსუა“ აფხაზებმა მიიღეს მეზობელი მკვიდრი აფხილებისაგან. ამასთან დაკავშირებით უთუოდ ანგარიშგასაწევია ის ვა რემოებაც, რომ სადღეისოდ თუკი ყველა პირაქეთა აფხაზის თვითსახელი არის აფსუა, ჩრდილოეთ კავკასიის აფხაზთაგან ძირითადად მხოლოდ მდინარე ზელენჩუკის ველზე მობინდრე აშხარელთა სამი სოფელი უწოდებს თავის თავს აფსუას. ეს აშხარელებიც ამ ადგილებში XIX ს-ში დასახლებულან (К. В. Ломтатидзе, Ашхарский диалект и его место среди других абхазско-абазинских диалектов, с текстами, Тб., 1954, 339, 340, 348, 350).

111 ოტ. ჯახაძე, აფხაზ-აფხაზა ფუძის თაობაზე (იბეჭდება).

ლეთ საქართველოს ეს სამეფო აფხაზთა მთავრების მესვეურობით შეიქმნა, მაგრამ მასში წამყვანი ადგილი ეჭირა ქართულ მოსახლეობას, ქართულ კულტურას, ენას, დამწერლობას, სარწმუნოებას, ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ „აფხაზთა სამეფო" ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო აფხაზი ფართო ეკუმენით ამ დროს ნიშნავდა ქართველს.

ლიხთიქითში ქართული სამეფოს შექმნას დიდად ხელს უწყობდა არა მარტო ის გარემოება, რომ ქართები და მეგრელები საერთო კულტურის შემოქმედი ღვიძლი ძმები იყვნენ და საერთო ინტერესების თვალსაზრისით ერთ საფეხურზე იდგნენ, არამედ ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში (არგვეთი, მოხირისი, საჯავახო, გურია, რაჭა, აჭარა) აღმოსავლურქართული მოსახლეობის შეღწევის პროცესი VIII ს-სათვის ძირითადად უკვე დასრულებული იყო[112].

М. П. ИНАЛДЗЕ

ВОПРОСЫ ЭТНО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ИСТОРИИ ДРЕВНЕЙ АБХАЗИИ

Резюме

Исследуются вопросы этнического происхождения и истории племен, проживавших на территории Абхазии. Детальный анализ сведений греко-римских авторов (Гекатея Милетского — VI в. до н. э., Псевдо-Скилака Кариандского — IV в. до н. э., Страбона — I в. до н. э. — I в. н. э. и др.) приводит к заключению, что к северо-западу от города Диоскурии (нын. Сухуми) в VI—I вв. до н. э. как в прибрежной полосе, так и в предгорье проживали западно-картвельские племена (колы, кораксы, гениохи). В горных регионах можно также предполагать наличие отдельных этнических групп мосхов, оказавшихся в этих местностях, вероятно, в результате их миграции из юго-западных регионов Закавказья.

В доантичную и раннеантичную эпохи среди населения восточного сектора территории Абхазии в политическом и этническом отношении ведущее положение занимал колхский элемент, являющийся носителем традиций Колхидской культуры.

Рядом с западно-грузинскими племенами-гениохами, к северо-западу от них (от нын. Туапсе до Новороссийского региона) древне-греческие авторы упоминают племя керкетов (те же черкесы).

Со II в. н. э. на побережье нынешней Абхазии господствующее место занимает политическое образование занско-сванских племен — санигов. В это же время в горных регионах нын. Абхазии усиливаются абхазско-адыгейские племена, создавшие со II в. н. э. княжество абазгов. Во второй половине I в., в ущелье р. Кодори, создается и княжество апсилов — племен адыгского происхождения.

К IV в. н. э. апсилы, проживавшие в прибрежной полосе страны, испытывают сильное культурное и политическое влияние лазов. А от-

---

112 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 599—605.

дельные этнические группы апсилов смешиваются с граничащими с ними с северо-востока сванами (миссимияне византийских источников). С VI в. н. э. усилившееся княжество абазгов присоединяет сначала соседних санигов, а впоследствии (с VII—VIII вв.) и апсилов. В городе апсилов Цхуми (нын. Сухуми) образуется архиепископический центр Абхазии.

Вслед за указанным политическим процессом наименование княжества абазгов распространяется на санигов, так же как и на апсилов, а этноним последних — апсуа — становится самоназванием абазгов.

С интенсивным развитием феодальных отношений в Грузии княжество абазгов включается в протекавшие общие процессы социально-политического и культурного расцвета страны. Абхазы, в качестве активной военно-политической силы, участвуют вместе с населением всей Грузии в создании грузинского государства; в результате жители низинных регионов Абхазии, особенно их высшие слои, приобщаются к грузинской культуре, воспринимают грузинский язык, религию, письменность и становятся частью грузинского феодального общества. Этому способствовало и то обстоятельство, что в большей части Западной Грузии (Аргвети, Саджавахо, Мохириси, Гуриа, Рача, Аджара) процесс проникновения и оседания восточно-картвельского населения к VIII в. в основном был закончен.

მიხეილ ჩართოლანი

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემა დიდი ხანია მეცნიერების კვლევის სფეროშია მოქცეული. ამიერკავკასიაში ეთნოგენეზის პრობლემის კვლევას დიდხანს აბრკოლებდა ის, რომ ამ ტერიტორიაზე არ იყო აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ნაკვალევი[1]. 30-იანი წლებიდან ფართოდ გაიშალა საქართველოს არქეოლოგიური კვლევა-ძიება. აღმოჩენილია კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის უმდიდრესი მასალა, მთელი პალეოლითის პერიოდისა (ქვედა პალეოლითი, გვიან პალეოლითი, ნეოლითი)[2].

არქეოლოგიური კვლევა-ძიების „ქვის ხანა“ დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში (სვანეთი, რაჭა) ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. ამიტომ ამ რეგიონში თავდაპირველი დასახლებაც ამ პერიოდში ჯერჯერობით გამორიცხული ჩანს.

საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მდიდარი მასალა დაგროვდა ენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურაზე (1. ენეოლითური კულტურა. 2. ადრებრინჯაოს კულტურა)[3]. ამ აღმოჩენების წყალობით უეჭველი ხდება, რომ სამხრეთ კავკასიაში გვქონდა არა მარტო შუა, არამედ ძველი ბრინჯაოს ხანაც, რომელსაც ამ ტერიტორიაზე მეტალურგიული წარმოების დასაწყისი ძვ. წ. III ათასწლეულში გადაყავს[4], რომ ამ კულტურის მატარებელია, ძირითადად, კავკასიური ეთნიკური ერთობის მქონე ხალხი. ამ კავკასიურ ერთიან წრეში ექცეოდა ერთიანი არქეოლოგიური კულტურა, რომელსაც ჰქონდა, აგრეთვე, ეთნიკური და ენობრივი ერთობაც[5].

კავკასიურ ერთიან წრეში, რომელსაც ჰქონდა ერთიანი არქეოლოგიური კულტურა და ენობრივი ერთობა[6], უნდა მომხდარიყო ქართველთა ეთნოკულ-

---

1 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979, გვ. 48.

2 გ. ნ ი ო რ ა ძ ე, პალეოლითური ადამიანი დევის ხვრელში, საქართველოს მუზეუმის შრომები. VI, 1933, გვ. 78; მ ი ს ი ვ ე, ქვის ხანის ადამიანი საკაჟიის გამოქვაბულში, თბ., 1953, გვ. 87–99. ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1970, გვ. 77; დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური დაზვერვები ყვირილის ხეობაში, სმმ, ტ. XIII, 1962; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, წინაპართა ნაკვალევი, თბ., 1958.

3 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ენეოლითური კულტურა, ადრებრინჯაოს კულტურა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 129.

4 ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, კავკასიაში ქართული კულტურის უძველესი ფესვების საკითხისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით: „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. XII—B, თბ., 1944, გვ. 333.

5 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 35.

6 იქვე, გვ. 35.

ტურის ჩამოყალიბება. ბრინჯაოს ხანაში გვაროვნული საზოგადოებათა ბაზაზე იქმნება ტომობრივი გაერთიანებები[7].

ქართველი ტომების წარმომავლობის პრობლემის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალას. ამ თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობისაა ეთნოგრაფიული მონაცემებიც. ძნელია თანამედროვე ხალხის ყოფის ამსახველი მასალების მიხედვით ენეოლითის ხანაზე მსჯელობა, მაგრამ თუ გავიაზრებთ არქეოლოგების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ნეოლითურმა რევოლუციამ კაცობრიობას ბევრი რამ უანდერძა ისეთი, რომლებიც დღესაც ადამიანის ერთ-ერთი საზრუნავია, მაშინ ამ „ძირითად საზრუნავში“ არ შეიძლება არ გამოჩნდეს ნიშნები, რომელთა ერთი ნაწილი მაინც, უძველესი ხანიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ბრინჯაოს ხანის მიმართ, როცა ქართველმა მელითონეებმა კავკასიის მაღალმთიანეთში ლითონის მადნებს მიაგნეს.

ნ. რეხვიაშვილმა ეთნოგრაფიული მასალებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დაადგინა ლითონების საბადოების კვალი შარაულას, რიცხულას, ჯეჯორის და რიონის ზედა წელის ხეობებში. წედისის მადნის დამუშავების ძველი წესები მან ეთნოგრაფიული მასალებით გამოაცოცხლა[9]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გ. გობეჯიშვილმა მიაკვლია სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთებს ზემო რაჭაში, სოფ. ღებთან[10].

ცნობილია, რომ ყუადაქანებულ-ყუამილიანი ცულები კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში გავრცელებული იყო ბრინჯაოს კულტურის ადრეულ და შუა საფეხურზე. ყუამილიანი ცულები ნაპოვნია სვანეთში, ჭიათურაში, ივანწმინდაში და სხვ.[11]. ბრილის სამაროვანში ამ ტიპის ცულები აღმოჩნდა შუა-ბრინჯაოს ხანის სამარხებში.

სამთამადნო მეტალურგიული წარმოების ნაშთები აღმოჩენილია მდ. რიონის სათავეებში და მის შენაკადებში (ზოფხითური, ჩუქშური, ლუხუნი). აქ ნაპოვნია სპილენძის, ანტიმონის და დარიშხანის გამონამუშევრები და მეტალურგიული წარმოების ნაშთები[12]. აქ, მაღალ ციცაბო კლდეებში მიკვლეულია 25 მღვიმე; საფიქრებელია, რომ ზოგი მათგანიდან მადანი გამოთხრილია ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში, ზოგიც ეკუთვნის კულტურის მომდევნო საფეხურებს[13].

ბრილის სამაროვნის ინვენტარით მტკიცდება, რომ აქ მიცვალებულთა დაკრძალვა უწყვეტლივ მიმდინარეობდა ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ახ. წ. III—IV სს-მდე.[14]. ამ მასალის საფუძველზე, არქეოლოგების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბრილის მოსახლეობა ბრინჯაოს ხანის დასაწყისში უნდა შესულიყო საქართველოს ბარიდან თუ მთისწინა ზონიდან. ბრილის სამაროვანში ნაპოვნია „პრიმიტიული სატევრის პირები“, ყუამილიანი ცულის მასრა, რომლის ერთი ბოლო ირიბადაა ჩამოკვეთილი, ხოლო მეორეს ალბათ ვერძის

---

7 ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

8 იქვე, გვ. 35.

9 ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 21, აქვე იხ. ლიტერატურა.

10 გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები, ს. ღებთან, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, 1953.

11 საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 109.

12 იქვე, გვ. 109.

13 იქვე.

14 იქვე, გვ. 111.

თავის ქანდაკება, აქვეა ნაპოვნი ლითონის... მარტივი ფორმის სამაჯურები, ამავე სამარხის ინვენტართან არის კაჟისაგან ნაკეთები ორმხრივ დამუშავებული, ჭუსლამოღარული, პირდაკბილული ხელშუბის წვერები[15].

შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში კაჟის ნივთები არ გვხვდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი ბრილში ამ დროისათვის ლითონმა განდევნა, არც თიხის ჭურჭელია, ალბათ ხის ჭურჭელი ჰქონდათ. სამაგიეროდ აქ მდიდრადაა წარმოდგენილი ბრინჯაოს სატევრები, ცულები, სხვადასხვანაირი საკიდები, ქინძისთავები, სამაჯურები, სასაფეთქლეები, გულსაბნევეები და სხვ.[16].

ბრილის ნივთების ჩრდ. კავკასიის, განსაკუთრებით დიგორის კულტურასთან ახლო მსგავსებასთან დაკავშირებით გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება, ორივე მხარის მოსახლეობის ტომობრივი ნათესაობის შესახებ[17]. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს დიგორული დიალექტის საენათმეცნიერო გამოკვლევები, რომელთა მიხედვითაც დიგორის ძველი, ოსური წინამკვიდრნი მიეკუთვნებიან იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებს[18].

რაჭის მაღალმთიანეთში მიკვლეული ძეგლების მიხედვით შეიძლება არა მარტო ნივთიერი კულტურის ისტორიის საკითხების კვლევა, არამედ ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კვლევაც. არქეოლოგების მიერ მიღებულია უდავოდ სწორი დებულება, რომ ერთნაირი არქეოლოგიური კულტურა გარკვეულ ეთნოსს უკავშირდება, რომ კულტურული ერთობა — ეს ეთნიკური ერთობაა[19].

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონში გამოვლენილია ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის ნივთები. ბრინჯაოს ეპოქის მდიდარი მასალა აღმოჩენილია ღების მიდამოებში, ზღვის დონიდან 1500—2000 მეტრის სიმაღლეზე. რაჭაში მიკვლეული იქნა მაღალ ღონეზე დამუშავებული მაღაროები, საიდანაც ასიათიასობით ტონა მადანია გამოტანილი და უთუოდ დამუშავებულიც ადგილობრივ სახელოსნოებში[20]. სოფ. ბრილის სამაროვანში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა, უთუოდ ადგილობრივ დამზადებული, საფლავში ჩაყოლებული ნივთები: კაჟის ხელშუბის წვერები, ბრინჯაოს ხელშუბის წვერები, ძლიერი პრიმიტიული სატევრის პირები, ქინძისთავები, სარდიონის მძივები, ცულები.

გ. გობეჯიშვილის აღწერით, ნივთებს შორის არის ცულების ერთი ნაწილი, რომელთაც თავის სამუშაო თვისება დაკარგული აქვთ და წარმოადგენენ საკულტო-სარიტუალო ან საზეიმოდ გამოსატან ცულებს. ზოგიერთ მათგანზე არის ცხვრის თავის რელიეფური გამოსახულება და გეომეტრიული ორნამენტი. აქვეა უცნაური მოყვანილობის ცული თუ ნამგალი, რომელიც, მკვლევრის აზრით, დროშის თავი უნდა ყოფილიყო; მას პარალელი ეძებნება ინდოეთში აღმოჩენილ პატარა ხერხებთან, რომელიც ეკუთვნის ინდოევროპელთა წინარე მოსახლეობას — ხეთურ-იბერიული ხალხების წინაპრებს[21].

რაჭაში აღმოჩენილი უნიკალური ნივთები, გ. გობეჯიშვილის აზრით, ამ კულტურის კვალს წარმართავენ სვანეთისაკენ, შემდეგ აფხაზეთისაკენ[22]. ამ

---

15 საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 112—113.

16 იქვე, გვ. 113.

17 იქვე.

18 იქვე, გვ. 115.

19 იქვე.

20 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 54.

21 იქვე, გვ. 58.

22 იქვე, გვ. 61.

საბუთს. რომლის მიხედვითაც XV ს-ში, რაჭის ეს მაღალმთიანი რეგიონი, ჯაფარიძეების სისხლის საფასურში უნდა მიეცათ რაჭის მოსისხლე ჯაფარიძეებისათვის და იმოწმებს პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებულ სიგელს[23]. ამ სიგელის მიხედვით რაჭის ეს მხარე ნასვანარია.

სასისხლო საქმის სიგელში „მამულის გარეთ“ ჩამოთვლილია განძეულობა, რომელიც ეკლესიებში ინახებოდა. მათ შორის არის: ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ნივთები, სულ 1009 ერთეული, 13 ეკლესია, 7 ციხე და 13 სოფელი, 716 ათეული კაცით. სიგელში მამულის გარეთ ჩამოთვლილ სიებში არ ჩანს ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ნივთები, რომელთა არსებობა ისეთ ძველ ეკლესიებში. როგორიც იყო ხერიას, ხიდურას გუმბათიანი ეკლესია, საჯანის, ბრილის, თევარეშოს, ზედქალაქის გუმბათიანი საყდარი, ღების (?), შოდას, ჭიორას, ზუბას ეკლესიები — საეჭვო არ არის. ამ ეკლესიათა ნანგრევების გათხრა-გამოწვენდა ბევრ საინტერესო მასალას გამოავლენს. ეს მრავალმხრივ საინტერესო საბუთი („სასისხლო სიგელი“) აქ იმიტომ მოვიხსენიეთ, რომ XV ს-ის დასასრულისთვის, ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები სვანეთის საზღვრებშია მოქცეული; სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ სვანებს სისხლის საფასურში. რაჭის თავადებისათვის მოსისხლეებისათვის სხვისი მიწა მიეცათ და, ამასთან ერთად, ან ტერიტორიაზე არსებული საგანძურებიც სადაც, გარდა საეკლესიო-საკრალური დიდად ფასეული ძეგლებისა, ჩამოთვლილია ისეთი ნივთებიც, რომელთა ერთი ნაწილი შეწირული ჩანს ეკლესიებში XV ს-ზე უფრო ადრე. უთუოდ ეს მონაცემებიც აქვს მხედველობაში გ. გობეჯიშვილს, როცა წერს, რომ რაჭის მაღალმთიანეთში აღმოჩენილი ძეგლები ამ კულტურის კვალს წარმართავენ სვანეთისაკენ და შემდეგ აფხაზეთისაკენ. მაგრამ ეს საკითხი მარტო ამით არ ამოიწურება. გ. გობეჯიშვილი დიდად დაინტერესდა სვანური მასალებით. სამოციან წლებიდან ო. ღამბაშიძესთან ერთად დაიწყო სვანეთში დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები. ასპირანტურაში აიყვანა ადგილობრივი კაცი (შ. ჩართოლანი) და ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები ჭუბერში და დაზვერვითი სამუშაოები სხვა სოფლებში. მოპოვებული მასალების საფუძველზე აშკარა გახდა, რომ სვანეთისა და რაჭის არქეოლოგიური ძეგლები ერთი და იგივეა. ამის შესაბამისად ერთნაირია ეთნიკური ერთეულიც, რომელმაც შექმნა, მოიხმარა და ვინც ჩვენს დრომდე უწყვეტლივ მოიტანა ეს კულტურა. ზემოთ მოტანილი „სასისხლო სიგელის“ მიხედვით, ამ რეგიონში XV ს-ის დასასრულამდე სვანები ცხოვრობდნენ. ცხადია, რაჭის არქეოლოგიური კულტურაც მათი შემოქმედებაა.

სვანეთში უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების და სვანეთის საგანძურების აღრიცხვისა და აღწერის მიხედვით ნივთების დიდი კოლექციები აღმოჩნდა. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1972 წელს წამოიწყო სვანეთის საგანძურების აღწერა-აღრიცხვა. დღეისათვის ფიქსირებულია 15 ათასზე მეტი ნივთი[24]. მათ შორის ჩვენი კვლევის თემისათვის განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ბრინჯაოს ნივთები. ამ ნივთებიდან ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება 16 ცული, 23 ნივთი შუაბრინ-

23 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ., 1941, გვ. 31.

24 შ. ჩართოლანი, სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლისათვის, კრებული, „სვანეთი“, I, 1977; იხ. აგრეთვე, ამავე კრებულში დაბეჭდილია ექსპედიციის წევრების წერილები.

ჯაოს, ხოლო 74 ცალი გვიანბრინჯაოს[25]. ამასთან ერთად, სვანეთში აღრიცხულია სხვადასხვა დანიშნულების ბრინჯაოს ნივთები: სპილენძის ზოდები, სარიტუალო ხვითოები (კერპები), ნამგლები, შუბის პირები, ისრისპირები, სატევრები და სხვ.[26]. ამ ნივთების მნიშვნელოვანი ნაწილი აღრიცხულია ეკლესიებსა და კერძო ოჯახებში, ხოლო მეორე ნაწილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად. მასალის დათარიღება ემყარება ზოგად ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას, რაც თითქოს საეჭვოს ხდის ამ ნივთების ადგილობრივ სვანურ წარმომავლობას. მაგრამ აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს, პირველ რიგში, ძეგლების ეთნოკულტურული წრე, რომელშიც უკანასკნელ დრომდე ხვრ კიდევ მიმოქცევაში იყო ბრინჯაოს ნივთები, განსაკუთრებით „სარიტუალო ცულები“ (გ. გობეჯიშვილი) და ხვითოები. მაგალითად, სარიტუალო ცული, გარდა ეკლესიებისა, გამოყენებული იყო ოჯახებშიც, კალოზე იგი მოთავსებული იყო გასანიავებელ ზვინთან — მარცვალთან ერთად, რომელსაც ხალხის რწმენით, მაგიური ძალა ჰქონდა ავი ძალების წინააღმდეგ, იცავდა ხვითო-ლახვარისაგან. ეს უკანასკნელი ლითონისაგან („ნახე“) ჩამოსხმული ბაყაყის ფორმის ფიგურას წარმოადგენდა, რომელსაც, ხალხის წარმოდგენით შეეძლო სხვის კალოდან თავის პატრონის კალოზე გადაეტანა მარცვალი[27]. აქედან უნდა მიეღო სახელწოდებაც „ლახვარი“, რომელიც მოძრებს, მომხვეჭს ნიშნავს. ეკლესიებში აღმოჩნდა ცხვრის ფორმის ხვითოები („ცხვარჩიტა“), ძაღლის, ხარის, ცხენის (ხისა), ფრინველის ქანდაკებანი, გულსაკიდი, ბალთები, შტანდარტი, მშვილდსაკინძი[29] და მრავალი ქვის ქანდაკება, სარიტუალო ქვები, გახვრეტილი ქვის მძივები, ყველა (ქვის) გუნდა („ქუთი ყვაბ“), ქვის გული („ბაჩა გუგუ“), მეზირის სალოცავი ქვა-კერპი („ჩხუდან“)[29].

სვანეთის საგანძურებში არსებული ნივთები ქრონოლოგიურად მოიცავს ისტორიის დიდ მონაკვეთს: ადრებრინჯაოს ხანიდან დაწყებული ანტიკური, ფეოდალური დროის და თანამედროვე ნივთებით გათავებული.

წარმომავლობის მიხედვით ეს ნივთიერი მასალა, ძირითადად, ადგილობრივ სახელოსნოებში ჩანს დამზადებული: ლითონი, რომლისგანაც მზადდებოდა ნივთები, ადგილობრივ საბადოებიდან არის გამოღებული. ასეთი საბადოების არსებობა, გარდა რაჭის მაღალმთიანეთისა, მიკვლეულია სვანეთშიც. კერძოდ, ლენტეხის რაიონში: სკალდში — აწოლირის კლდეებში, სოფ. საყდართანლილაში, ცხენისწყლის სათავეებში ლაფურში (ხიდურა) ლაკვცირის მყინვარის ძირში, მესტიის რაიონში: უშგულში—მყინვარმწვერვალი შხარას კლდეში, ხალდეში—თეთლუნდის მწვერვალის ძირში, იფარის მდინარე ლასილის სათავეებში, მულახში წანერისა და მულხურას მდინარეების სათავეებში, მესტიაში გვალდის ხეობისა და მესტიის ჭალის სათავეებში, სამჭედურებში („ლაშკარ“), ლატალში ლაჰილის და ჰარაშის ხეობებში, ბეჩოში მწვერვალ უშბის კალთებში, ეცერში უსგვირის ხეობაში, ცხუმარში-ლაჰილის ხეობაში, ფარში და თავრალ-

---

25 შ. ჩართოლანი, სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1977. გვ. 60.

26 Ш. Чартолани, К истории нагорья Западной Грузии до классовой эпохи, Тб., 1989; მისივე, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, 1976. გვ. 59.

27 ე გ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925.

28 შ. ჩართოლანი, სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური მასალების შუქზე, კრებული „სვანეთი“, I, თბ., 1977, გვ. 83. ტაბ. 92—128.

29 მ. ჩართოლანი, ჩხუდან-სვანური სახლის კერპი, კრებული „სვანეთი“, I, თბ., 1977, გვ. 110. ტაბ. 132—145.

ში მდ. ნაკრას სათავეებში. ჭუბერში-მდინარე ჭუბრულას სათავეებში ეს კოდორის ხეობაში, მდ. ჩხალთისა და ბზიფის სათავეებში.

გეოლოგების მიერ ჩატარებულმა სამთოგეოლოგიურმა ძიებამ დაადასტურა სვანეთის მთებში სხვადასხვა ლითონის საბადოების არსებობა[30].

რაჭისა და სვანეთის ზემოთ ჩამოთვლილი ლითონის საბადოებთან უველგან ინტენსიური დასახლება იყო განვითარებული, ამ მთის მაღალმთიან სოფლებში უველგან იყო სამჭედლოები, როგორც რაჭაში, ისე სვანეთში, (რკინა, სპილენძი, ოქრო, ვერცხლი). ამ სამჭედლოებში ჩანს დამზადებული სალოცავებში შეწირული ნივთების დიდი ნაწილი, რომელიც ისტორიის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება: ბრინჯაოს ცულები, ნამგლები, სატევრები, დანები, ბეჭდები, სამაჯურები, სპილენძის ქვაბები, თასები, კათხები, ხვითოები[31].

ანტიკური ხანის ნივთებიდან, განსაკუთრებით მდიდრად არის წარმოდგენილი სამკაულები, მცირეაზიური და ეგვიპტური მძივები.

ფეოდალური ხანის ნივთებიდან აღსანიშნავია ჯვარ-ხატები (IX—XVIII სს.), რომელთა რაოდენობამ 600 ერთეულს გადააჭარბა. ოქროს, ვერცხლის და სპილენძის მონეტები; III საუკუნიდან მოყოლებული უველა დროის მონეტებია აღრიცხული. ეკლესიებში უველგან გვხვდება ვერცხლის და სპილენძის თასები, თუნგები, კათხები. ბევრ მათგანზე არის შემწირველის გვარი და სახელიც.

მნიშვნელოვანი რაოდენობით არის აღრიცხული წერილობითი ძეგლები შესრულებული ასომთავრული ქართული მწერლობით ქვაზე, ტყავზე და ხეზე დაწერილი[32].

შეუძლებელია, თუნდაც ჩამოთვლაც კი იმ მრავალრიცხოვანი ნივთებისა, რომლებიც სვანეთის საგანძურებში აღირიცხა. მათ შორის არის საკმაო რაოდენობით, უცხოური, აზიისა და ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილი. დიდად ღირებული ნივთები[33]. აქ შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რაც უფრო ღრმად ჩავიხედავთ ამ საგანძურში, მით უფრო მეტი აზრი ჩნდება იმის თაობაზე, რომ სვანეთის სალოცავებს ადრეფეოდალურ ხანაში მეტი უცხოური მლოცველი ყავდა, ვიდრე შუა და მის მომდევნო პერიოდში. ამიტომ სრულ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ უცხოური ნივთი სვანეთში მოხვდა, მორწმუნეთა უშუალო კონტაქტით სალოცავთან. ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს ქართველი მეფეების და ქართველი წარჩინებული ფეოდალების მიერ შემოწირული წარწერიანი ნივთები შემომწირველის „სახად“ და „გასამარჯვებლად[34].

სვანეთი, როგორც ეს ჩანს ბერძნული წყაროებიდან, ადრიდანვე გაცნობ ცივილიზებულმა ქვეყნებმა,, ასეთი ვითარების დაშვება შეიძლება იმ დროისათვის, როცა კავკასიის მთებში მადანი აღმოჩნდა, ხოლო მდინარეებში ოქრო

---

30 ბ. გოიშვილი, ცანის მადნიანი ველის გეოლოგიური საკითხისათვის, „სვანეთი“, II, თბ., 1979, გვ. 8; ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1984. მისივე მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953; გ. ბაკაშვილი, 6 თვე გამოქვაბულში, თბ., 1990.

31 რ. უენია, ვ. სილოგავა, უშგულის ეკლესიებში დაცული ჯვრებისა და ხატების კატალოგი, თბ., 1980; რ. უენია, სვანეთის ჰედური ხელოვნების ძეგლთა თავისებურება, თბ., 1983, გვ. 12; ლ. ბოჭორიშვილი, ოქრომჭედლობა სვანეთში, მსე, VII, თბ., 1956; მ. ჩართოლანი, სვანური სევადი (ლიპელვე) და მისი ადგილი ქართულ ოქრომჭედლობაში, „სსმ. მოამბე“, ტ. XXII—B, თბ., 1960. მისივე, ხალხური მეტალურგიის ძეგლები დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, თეზისები, თბ., 1981, გვ. 23.

32 ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II თბ., 1987; მისივე, ქტიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში, კრებული „ხვანეთი“, I, გვ. თბ., 1977, გვ. 43.

33 კ. მაჩაბელი, სვანეთის საგანძურიდან, თბ., 1982.

34 ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1987, II, თბ., 1988.

(სტრაბონი). რომელმაც სვანეთს ეკონომიკურ დაწინაურებასთან ერთად, პოლიტიკური ძლიერებაც მიანიჭა. სტრაბონი (I საუკ.) წერს: სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრით. თლობენ ირგვლივ (ყველაფერს) და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები[35]. მენანდრეს (4 ს.) ცნობაც ამას ადასტურებს: სვანები იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს[36].

სვანების ძლიერების ხანა ბრინჯაოს ხანიდან არის სავარაუდებელი, როცა ლითონის ძეგლებისა და მისგან დამზადებულმა სამეურნეო თუ საბრძოლო სანადირო იარაღებმა მსოფლიო შეძრა. ცნობილია, რომ სვანური ბრინჯაოს ნივთები ანტიმონი და დარიშხანიანი. ანტიმონის და დარიშხანის წარმოების ძველი ნაშთები აღმოჩენილია რაჭის მაღალმთიანეთში (ზოფხითი, ჩუეშო, ლუხუნი)[37]. საბადოების არსებობას ადასტურებს ბერძნული წყაროებიც: კოლხეთის მეფე აეტის შთამომავალს სავლაკეს (Saulaces) სვანეთში ოქროსა და სხვა ლითონების საბადოები ჰქონდა[38]. სტრაბონის მიერ ოქროს საწმისის შესახებ გზმოცემაც ოქროს მოპოვების ხალხურ წესებს უკავშირდება. კოლხეთის ლეგენდარული სახელმწიფოს სუან-კოლხების ქვეყანას მძლავრი ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. უცხოელ დამპყრობთა ინტერესიც სვანეთისადმი სწორედ ამ ფენომენით შეიძლება განისაზღვროს პირველყოვლისა[39].

ყოველივე ამის გათვალისწინებით მივიდით დასკვნამდე, რომ სვანების ეთნიკური ერთეულის ჩასახვა და მისი განვითარება იწყება სვანეთის ტერიტორიაზე დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ხეობებიდან. დაახლოებით, როგორც ამას არქეოლოგები და ენათმეცნიერები ამტკიცებენ, III ათასწლეულიდან. საქართველოს მაშინდელი ბარის ქართველი მოსახლეობა უთუოდ იცნობდა რიონის, ცხენისწყლის, ენგურის და კოდორის მთიან ხეობებს, ჯერ კიდევ დაუსახლებელ მხარეს შეიძლება სვანეთი სვანურად (შუან, შან, მეგრულად შონ) ერქვა, ხოლო სვანეთის ტერიტორიაზე გადასახლებულ საერთო ქართული კულტურისა და ენის მქონე მოსახლეობას სვანები (სვანურად შანარ, შანარ, მეგრულად შონები) დაერქვათ ადგილის სახელწოდების მიხედვით, ე. ი., დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში თავდაპირველი მოსახლეობა საერთო ქართულიდან იწყება. ვინ იყვნენ ეს თავდაპირველი მოსახლენი—ქართები (კარდუხები), სანები, სანიკები, ზანები, ჭანები, ივ. ჯავახიშვილის აზრით, გამოსარკვევია[40]. მაგრამ მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ სვანური ტომი ქართველურის განშტოებაა. პირველია ქართული, ხოლო მეორე სვანური.

ენათმეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით იბერიულ-კავკასიური ენათა განვითარება ერთიანი წინარე ენიდან მომდინარეობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ენობრივი ნათესაობა (ერთობა), საიდანაც სათავეს იღებს თანამედროვე კავკასიური ენები, ბასკური და აგრეთვე წინააზიის ზოგიერთი მკვდარი ენა, ძალიან შორეულ ხანაში ძვ. წ. V—VI ათასწლეულში უნდა არსებულიყო. კავკასიისმცოდნეთა მეტი წილი ვარაუდობს კავკასიურ

---

35 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 19, 126; გეორგიკა, III, გვ. 221.

36 მენანდრე პროტიოკტორი, გეორგიკა III, გვ. 215.

37 საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 109.

38 ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთის თქმულება, თბ., 1964, გვ. 103.

39 კლავდიოს პტოლემაოსი, „გეოგრაფიის სახელმძღვანელო", მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955.

40 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960.

ენათა ყველა შტოს დასაბამიერ, გენეზისურ ნათესაობას, წერდნენ ევგ. ბაკაროვი და გ. კლიმოვი, კრებულში „იბერიულ-კავკასიური ენები“[41]. ახლა უკვე შეიძლება გარკვევით ვთქვათ, რომ გასაცარი ნაირგვარობა მეორეული მოვლენაა, ნათესაური თვისებები — პირველადია: ამრიგად, ძირითადად დადებითად წყდება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ერთიანობის საკითხი[42].

მკვლევართა აზრით, ძვ. წ. III ათასწლეულში უკვე არსებობდა იბერიულ-კავკასიური ენების ცალკეული ჯგუფები (საერთო ქართველური, საერთო დაღესტნური)[43] კლიმოვის აზრით, II ათასწლეულის დასაწყისისათვის უნდა დაწყებულიყო საერთო ქართველური ფუძე ენიდან სვანურის გამოცალკევების პროცესი, ხოლო ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლა ივარაუდება ძვ. წ. VIII საუკუნიდან. ეს მოსაზრება ემყარება ქართველურ ენათა მასალის ანალიზს, ე. წ. გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს. მაგრამ ქართველი მკვლევრების თ. გამყრელიძის და გ. მაჭავარიანის აზრით, ამ მეთოდით მიღებული შედეგი შეიძლება სადავო იყოს. უფრო მართებული იქნებოდა, წერენ ისინი, ამ საკითხის გადაწყვეტისას საფუძვლად მიგვეღო ლექსიკის ტოპო და ეთნონიმიკის მონაცემები[44].

იბერიულ-კავკასიური ენების, განსაკუთრებით მთის კავკასიურ ენათა შესწავლას დიდი ამაგი დასდო ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც სპეციალური მონოგრაფია უძღვნა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობას[45]. ნაშრომში განხილულია: გრამატიკული სქეს-კატეგორიები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები ქართველურსა და კავკასიურ ენებში. მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ ქართულში (და სხვა ქართველურ ენებში) ძველად გრამატიკული სქეს-კატეგორია (ე. ი. სახელთა გრამატიკული კლასები) გამოირჩეოდა დაახლოებით ისევე, როგორც მთის კავკასიურ ენებში ამჟამად, ამით დამტკიცდა კავკასიურ ენათა ოდინდელი ისტორიულ-გენეზისური კავშირი და გაუხსნა მეცნიერებას გზა იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეზისის კვლევას არამარტო კავკასიურ ენებს შორის, არამედ წინა აზიის და მცირე აზიის ძველ. აწ მკვდარ ენებთან (როგორც ურარტული, ხურიტული, პროტოხეთური, შუმერული) და ცოცხალ ბასკურ ენასთან[46].

დ. ჩუბინაშვილის ნაშრომში „ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაბადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეობა“, მოცემულია: I ქართველი ერის მოკლე დახასიათება; ქართველნი (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამცხე-სათაბაგო და მეგრელნი და ჭანელნი)[47].

---

41 Языки народов СССР, IV Иверийско-кавказские языки, 1967, с. 10.

42 არნ. ჩიქობავა, თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XVII, 1970, გვ. 10.

43 Г. Климов, Этимологической теории М., Сведена, ост. Вопросы теории языка в современной зарубежной лингвистике, М., 1961, с. 239—253. Е. А. Бакарев, Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков, Махачкала, 1961, с. 17—18.

44 თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონატთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 17.

45 ივ. ჯავახიშვილი, „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, თბ., 1938.

46 არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

47 ალ. ჭყონია, ისტორიული ნარკვევები, თბ., 1890, გვ. 49.

დ. ჩუბინაშვილი იმოწმებს, კიპერტის ცნობების მიხედვით, ქართულ სახელწოდებებს მთებისა. ქალაქებისა და მდინარეებისა. ასე, მაგალითად, თემი თიანეთისა და ქალაქი თიანი; თავია დაბა, თამარშე ურგუბე (ორგუბე), ჰიჰაკის მთა; ორთაყვის მთა, ფარხალი; დედა მთა.

დ. ჩუბინაშვილი გეოგრაფ მწერალ, მუსულმან ხაჯი ხალიფის მიხედვით ასახელებს რამოდენიმე ადგილს, რომელიც ქართულია: ქუთაია, გომიში (კამბეჩი მეგრულად) ჭალა; ტაზის კარი (ტაშისკარი); თავშანი, მენდერი (მდინარე), ბანა, ენგური, კარიბზარი და სხვ. პაფლაგონიაში ქართული სახელით მოიხსენებიან, მაგ., ენგური; მენდერჩაი (მდინარე), ქალაქი ჭოზიკი...

კაბადოკიიდან იყვნენ ქრისტიანობის გამავრცელებელნი: წმინდა გიორგი, წმ. გიორგის მონათესავე იყო წმ. ნინო, იოანე ზედაზნელი — თორმეტი მოწაფითურთ, მეუდაბნოელნი: სიმონ დიდი მესვეტე (390—460); სვიმონ მცირე მესვეტე (521—592). ყველა მათგანი იყო ქართველი, იცოდნენ ქართული და ქართული ენით იქადაგეს საქართველოში და დაამყარეს ქრისტიანობა, მათ შემოიღეს წელთაღრიცხვა იანვრიდან რომის კეისრის იულიანეს მიერ დაწესებული[48].

ალ. ცაგარელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართველურ ენათა შესწავლას პეტერბურგში (1870—1880 წწ.), დიდი წარმატებით ეწეოდა ქართული ენის გამოკვლევას და ქართველური სიტყვების შედარებას სხვა ენებთან თავის გამოკვლევაში[49]. აკრიტიკებს, რა მკვლევრებს, რომლებიც ქართულ ენას აკუთვნებენ ინდო-ევროპულ (ლაიბნიცი, მ. ბროსე, ბიუფელდი, ბოპპი) თუ თურანის ენათა მოდგმას (მაქს მიულერი), იცავს დებულებას ქართველურ და კავკასიის სხვა ენებთან ერთად „ენათა ცალკე მდგომარე ჯგუფის“ არსებობას (კლაპროტი, ბლაიხერი, ჰოპტი, ლეპსიუსი, ფრ. მიულერი, შპიგელი და სხვ.).

ალ. ცაგარელი იცავს ქართველურ ენათა ოჯახის არსებობას და საჭიროდ თვლის ქართული ენის, მისი მონათესავე იდიომების — მეგრულის, ჭანურისა და სვანურის შესწავლას და აღდგენას, შედარებისა და დედუქციის გზით, ძველისძველ ივერიულ ენისა, რომელიც საფუძვლად დასდებია ქართულის დარგის ხსენებულს ენებს[50].

რუსი ორიენტალისტი ი. დიაკონოვი წერს: ყველაზე უფრო სავარაუდოა პროტოხეთურის (ხათურის) ახლო ნათესაობა აფხაზურ-ადიღეურ ენებთან. ყოველ შემთხვევაში, წერს იგი, სტრუქტურული სიახლოვე ამ ენებისა მეტად დიდია... (პრეფიქსაცია)[51].

სვანური ტერმინი „ბერეჟ“ ქართული რკინის სახელია. ქართული ბრინჯაოს (brinǯao) ასირიული bereᵭ, უგართული briǯ, აკადური barzeillu ყველა ერთი წარმოშობისაა.

ქართველური ენების შესწავლის თანამედროვე დონეზე დღეს დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს სვანური ენის ჩამოდინარეობა ფუძეენიდან. ასევე ქართველური და კავკასიური ენების თანდაპირველი ნათესაობის შესწავლის პრობლემას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა, შემდეგ ბევრმა მკვლევარმა ჩინოგრაფიები უძღვნა. ამ პრობლემაზე განსაკუთრებით ნაყოფი-

---

48 დ. ჩუბინაშვილი, ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკის ან ჰახეთის მკვიდრთა მოსახლეთა, თბ., 1990; ალ. ჯუონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

49 А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб. 1873.

50 მისივე, ისტორიული ნარკვევი, თბ., 1980, გვ. 64.

51 И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М., 1967, с. 172—173.

ერად მუშაობს თ. გამყრელიძე. იგი ვ. ივანოვთან ერთად ახლახან დაბეჭდილ წიგნში[52] ამტკიცებს, რომ ენებს შორის სიტყვათა ფორმალური სემანტიკური მსგავსების ყველა სახე არ შეიძლება სესხების გზით იყოს გაჩენილი, ერთ შემთხვევაში იგი ურთიერთობის (გარემოცვის) შედეგად შეიძლება იყოს გაჩენილი, მეორე შემთხვევაში იგი შეიძლება ბაზისიდან მომდინარეობდეს, რომელიც საერთოა რომელიმე ენობრივი სისტემისათვის.

მცირე აზიაში უძველესი წერილობითი ძეგლების (თიხის ფირფიტები) აღმოჩენის შემდეგ საგრძნობლად გაძლიერდა ენათმეცნიერთა ინტერესი ქართველური ენების საფუძვლიანი შესწავლის მიმართულებით. მათ შორის სვანური ენის კვლევაც დიდად დაწინაურდა, სვანური ენით დაინტერესდა ნ. მარი, რომელმაც საგანგებოდ იმოგზაურა სვანეთში. სვანურ ენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არა მარტო ქართველურ და კავკასიურ ენებთან ურთიერთობაში, არამედ მას ბასკურთან და მცირე აზიის ენებთანაც აკავშირებდა[53].

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, სვანური ენის დიდი სპეციალისტი, ვ. თოფურია სვანური ენის მნიშვნელობას, პირველყოვლისა, იმით ასაბუთებდა, რომ ბერძნული წყაროების მიხედვით, სვანები ორი ათასი წლის წინათ იმავე მიწაზე ესახლნენ, სადაც ახლა მკვიდრობენ. გადმოცემები და გეოგრაფიული სახელები, რომელსაც თვითონ იწერდა სვანეთში, გვავარაუდებინებენ, რომ ისინი გარკვეულ ხანაში ფლობდნენ ან ზოგან სახლობდნენ კიდევაც უფრო მეტ სივრცეზე; სახელდობრ, ჩრდილო კავკასიაში, ყაბარდო-ბალყარეთის მთიან, ლეჩხუმსა და რაჭის ჩრდილო ნაწილში, კერძოდ მთა-რაჭაში[54].

სვანთა წარმომავლობის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყოფაში და ენაში შემორჩენილ არქაულ ფორმებს. ივ. ჯავახიშვილი ადასტურებს რომ ღმერთი საერთო ქართული ფუძიდან მომდინარე სიტყვაა. იგი ყველა ქართველურ ტომებში ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვაა. (მათ შორის სვანურშიც — ღერბეთ || ღერმეთ). დიდ მეცნიერს ტერმინი ღმერთი ქალური წარმომავლობის ტერმინად ესახებოდა. მას უკავშირებდა ელამურ ღვთაებას ლაგომარს და მისგან ნაწარმოებ სახელებს: ლაომერ, ლაგომორ და ლაგამარ; თავდაპირველად, ამტკიცებს მეცნიერი, „ღმერთი უნდა რომელსამე მდედრობითი სქესის ღვთაების სახელი ყოფილიყო და მხოლოდ შემდგომ დროთა განმავლობაში გამხდარა საზოგადო სახელად“, სვანურის მიხედვით, რომელმაც ბოლო დრომდე შემოინახა პრეფიქსი „ლა“, ქართული სა-ს შესატყვისობა, ძველ ელამურ ქალურ ღვთაებას ლაგომარს დაუკავშირა[55].

შემდგომში ვ. ბარდაველიძე შეეხო საერთო ქართული უზენაესი ღვთაების ღმერთის ფუნქციას (სვ. „უფალ დეცეშ“ ცის თვალი სვ. ფუსდნაბუაშდიშ— ქვეყნის გამჩენი) და სვანურის შესატყვისი ღვთაებათა სახელები დაადასტურა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში[56].

---

[52] Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Т. I, Тб., 1984.

[53] Н. Я. Марр, Из поездок в Сванию (летом 1911—1912 гг.) Т. II. вып. I, СПб, 1913.

[54] ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების მდგომარეობა და ამოცანები; „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. III, თბ., 1963, გვ. 166.

[55] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 80.

[56] В. В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона, «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952, ст. 302.

ამრიგად, ღმერთი, საერთო ქართული კულტურის დროინდელი უზენაესი ღვთაება, ყველა ქართველურ ტომებში, ხალხის გააზრებით, ყველაფრის შემომქმედია, გამჩენია, დამბადებელია, რომელსაც მიწაზე. წარმართულ ხანაში, კერპთმსახური თავისი ერთგული ესაულები „ძაღლნი" ჰყავდა[57] ხოლო ქრისტიანობის დროს — წმინდანები, ანგელოზები, მახარობლები, მოციქულები, მთავარანგელოზები. ყველა მათგანს თავისი ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. მათ შორის წარმართული ღვთაების ფუნქციაც: ასე მაგ., მუხერის მიქაელ მთავარანგელოზს მითვისებული ჰქონდა ნადირობისა და შვილიერების მფარველის — წარმართული ღვთაების — მუხერის ფუნქცია, რომლის სალოცავის ადგილას ქრისტიანული ეკლესია აუგიათ. იგივე ფუნქციები მიეწერება წმ. გიორგისაც, რომელსაც „ძველი წარმართობის" დროინდელი, ქართველების მთავარღვთაების, მთვარის ადგილი უკავია[58]. ასევე, მუხერის მიქაელ მთავარანგელოზს (ლატალის თემშია), სკარეშის (ლენტეხი), აცის (იფარი) და კაიშის (ფარი) მეზირის (ბეჩო) მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიებს, ხალხის რწმენით, მზის ღვთაების ადგილი ეჭირათ და მამაკაცთა სალოცავებს წარმოადგენდნენ.

სქესის მიხედვით ღვთაებათა ადგილი სარწმუნოებაში კარგად ჩანს ამ ეკლესიებთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში, მთავარანგელოზის, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებში მხოლოდ მამაკაცი შედიოდა სალოცავად: ხოლო წმ. მარიამის და ბარბალეს ეკლესიებში — დედაკაცი.

დიფერენცირებული იყო შესაწირავი კვერებიც. („ლემზირ"). სამამაკაცო ლემზირს სამი ქიმი ჰქონდა, „კაჩ". ხოლო სადიაცოსაც სამი ქიმი, მაგრამ შეჭყლეტილი („ლჭჩიმპ"), პირველს მამაკაცი ავედრებდა ზეცისკენ. (ქიბავ „ლამზირ"), ხოლო ლჭჩიმპ ლემზირს ქალები ქვევით მიწისაკენ („ჩუბავ ლიმზირ"). სვანეთის ყველა ეკლესიასთან მიშენებული იყო „ლადბაშ" (სამლოცველო), რომელშიაც ქალები აცხობდნენ შესაწირავ კვერებს. ცის (ქიბავ ლემზირ) ლემზირებს მამაკაცი ავედრებდა ეკლესიაში, ხოლო ჩუბავ ლემზირს ქალები სამლოცველოში. კაიშის სამლოცველოში ცხვებოდა უზარმაზარი პური „კიხუ, რომელიც მხოლოდ ქალებს ეჭმეოდა. დღეობასაც, სადაც კიხუ ცხვებოდა — კიხობ ეწოდებოდა. მასში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ.

პატარა კვერებს, მიუხედავად მათი ფორმისა და დანიშნულებისა ყველას ლემზირ-ი ეწოდებოდა, რომლის სახელწოდება — „ლემზირ" ღვთაება მზესთან ჩანს დაკავშირებული. ლე-მზირ ანუ სამზეო. ასევე, ყველა სახის ლოცვა-ვედრებას, შინ თუ ეკლესიასთან მზის სახელი ლემზირ ეწოდებოდა. ხოლო ყველა დიდ სარიტუალო პურს ლესკარი ეწოდებოდა, რაც ნიშნავს სა-ლესკარ-ოს. ლესკარ სახელწოდებაში ლე პრეფიქსია და უდრის ქართულ სა-ს, ხოლო სკარ სიტყვის ძირია და ნიშნავს ასტრალურ ციურ ღვთაებას, მისი შესატყვისი უნდა იყოს ქართული „ცისკარი". საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტიც. რომ სადიაცო კვერებს ეწოდებათ — ლამჯრიშ ლემზირი (სამარიამო კვერი). ხოლო სამამაკაცო კვერებს ყველას ეწოდებოდა ჯგჯნჯგი ლემზირი. სქესის მიხედვით დიფერენცირებული სალოცავები, ასევე შესაწირავი კვერების განსხვავებული სახელწოდება და მათი შეწირვის წეს-ჩვეულება (ქიბავ ლიმზირ", „ჩუბავ ლიმზირ") ქრისტიანობამდე არსებული წარმართული ხანის გადმონაშთია, ქრისტიანულ რელიგიასთან შერწყმული, რიტუალებში ჩანს ასტრალურ ღვთაებათა

---

[57] სახარება, გამოცხადება იოანესი, თბ., 1963, გვ. 574, § 15.

[58] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

პერსონაჟები — მზე (მეზირ) და სკარ (სკ3ლდ) და მათთან დაკავშირებულ რიტუალებში ზოომორფული კულტი ხარი (ᒑ3ნ) და მამალი ყოჩი ცხვარი („გიცვარ“).

ისტორიული საბუთებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით მოსკარი, მუსკარი არის სკარეშის ღვთაების შემწირველი სკარეშობის დღეობის, ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანების წევრი[59]. საბუთების მიხედვით ლაჩოგრაშის დღეობას თავისი მუსკარი ჰყავდა წმინდა იონას („იან“) თავისი („ლაჩოგრაშის მუსკართა, იონას მუსკარსა, იონას მუსკართა“)[60]. ასეთივე დღეობები იმართებოდა სოფ. ღუშდერში (ფარის თემი), კაიშის მთავარანგელოზის ეკლესიის სახელზე, მეშხელდის სალოცავში, რომელსაც „კიხობ“ ეწოდებოდა, ლახუშტში (ლატალის თემი) ლესკორბ, ლაჰილის (ლატალი) წმ. გიორგის ეკლესიასთან ლიმხერი, უშგულში წმ. მარიამის სახელობის (ლამარია) ეკლესიასთან — ლიხ3რწი და სვანეთის სხვა თემებში, სადაც დღეობას ზოგან ლიმხერი, სკარეშობა, ზოგან ან სიკობი ეწოდებოდა. დღეობებში გაერთიანებული იყო სოფლის თემის ყველა უბნები ტერიტორიულ-მეზობლური ურთიერთკავშირით და არა გვარების მიხედვით.

ზემოთ ჩამოთვლილი დღეობები შორეულ წარსულში ჩანს წარმოშობილი, მას შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა ტერიტორიული თემი. როდის დაიწყო გვაროვნული თემი, როდის მოხდა სამეზობლო თემის ფორმირება, ამის განსაზღვრა სვანეთის შესახებ არსებული მონაცემებიდან ძნელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია — სტრაბონის მონაცემებით არ მტკიცდება, რომ I საუკუნეში სვანეთში გვაროვნული წყობილება იყო, სხვა საკითხია გადმონაშთები, რომელიც სვანურს უკეთ შემოუნახავს, ვიდრე სხვა ქართველ ტომებს.

ადრიდანვე ჩანს გაჩენილი საკულტო-სარიტუალო სალოცავებიც. ამაზე მიგვანიშნებს სარიტუალო ბრინჯაოს ცულები, რომელთა დიდი ნაწილი ეკლესიებშია აღრიცხული. ქრისტიანულ ეკლესიებში აღრიცხულ ნივთებს შორის დიდი ნაწილი უთუოდ წინაქრისტიანულ ხანაშია შეწირული საკერპოში. ტაბარში, რომელიც შემდეგ გადატანილია ეკლესიებში.

ეთნოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქრისტიანული ეკლესიების დიდი უმრავლესობა აშენებულია ძველი წარმართული სალოცავების ადგილზე[61], ხოლო ეკლესიაში გამართულ დღეობებში წარმართული რიტუალები სრულდებოდა, ზოგიერთი ეკლესიასთან ახლაც არის წარმართული ხასიათის სამლოცველოები[62], სადაც წარმართული ხასიათის რიტუალები სრულდებოდა. ძველ წარმართული სალოცავის დანგრევის შემდეგ, მასში არსებული ნივთები ახლად აშენებულ ეკლესიაში გადაჰქონდათ. ამან განაპირობა ეკლესიებში, წარმართული ხანის ნივთების არსებობა. საბოლოოდ, ამგვარი წესითა და ტრადიციით, საუკუნეების მანძილზე, დაგროვილი ნივთები, უწყვეტი ტრადიციის გააზრების საშუალებას იძლევა, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული დღემდე. ეს

---

59 რ. ხ ა რ ა ძ ე, ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებანი სვანეთში, მსე, ტ. XII—XIII, 1963, გვ. 397.

60 ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, თბ., 1986. გვ. 144. ტ. II. თბ., 1988, გვ. 621.

61 ვ ბ ა რ დ ა ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება. ბარბარ-ბაბარ) თბ., 1941, გვ. 4.

62 მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, წარმართული ხასიათის ძეგლები სვანეთში, კრებული „სვანეთი“, I. თბ., 1977. გვ.

იმას ნიშნავს, რომ ეს ნივთიერი კულტურა ერთი ეთნიკური წრის კუთვნილებაა, რომელსაც არსებობა არ შეუწყვეტია უძველესი ხანიდან დღემდე.

კავკასიური ტიპის ავტოქთონურ წარმომავლობას ამტკიცებენ ანთროპოლოგებიც, კავკასიური ტიპის წარმოქმნა ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის განვითარების შედეგია[63]. ცნობილია, რომ კავკასიური ტიპის წარმოქმნაში გარკვეული გავლენა იქონია ჩრდილოეთურმა ელემენტებმა[64]. ვ. ალექსეევი ამტკიცებს, რომ კავკასიის ქედის ცენტრალურ ნაწილში მოსახლე ხალხები ერთი წარმოშობისანი არიან. მათი იზოლაციის შედეგად ხდება უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების კონსერვაცია, იგი ვარაუდობს, რომ ბალყარელები და ყარაჩაელები წარმომავლობით შეიძლება სვანები იყვნენ: — სვანები ხომ არ არიან — წერს იგი, — იმ უძველესი ეთნიკური ჯგუფის უშუალო შთამომავალნი, რომლებმაც პირველებმა აითვისეს კავკასიის ცენტრალური რაიონების მაღალმთიანი ზოლი[65]. ამის დასასაბუთებლად მას მოტანილი აქვს ქვის ხანის დასასრულის თავის ქალა, რომელსაც კავკასიურ ტიპს უკავშირებს; ამ დებულების გასამაგრებლად იშველიებს სვანურ ენობრივ მასალას და სვანური ეთნოგრაფიული მასალის არქაულ ხასიათს. მისი აზრით, ამ რაიონების ათვისება უნდა მომხდარიყო ნეოლითში, შესაძლოა პალეოლითშიც გადადიოდეს[66].

ირკვევა, რომ ანთროპოლოგების მიერ ჩატარებული გამოკვლევები ემთხვევა არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების მოსაზრებებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ არც ნეოლითში და მით უფრო, პალეოლითში, არ შეიძლება სვანებს აეთვისებინათ ზემოთ აღნიშნული რეგიონები. ეს გადაჭრით შეიძლება ითქვას სვანეთის მაღალმთიან ადგილებზე, სადაც დასახლება IV გამყინვარების შემდეგ (ვირუმის გამყინვარება) დასაშვებია ენეოლითის ხანაში V—IV ათასწლეულიდან[67]. დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ადგილებში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ინტენსიური დასახლება უნდა ვივარაუდოთ ადრებრინჯაოს ხანიდან. ამ დროს, ჩვენი აზრით, სვანების ეთნოგრაფიული ჯგუფი არ უნდა არსებულიყო. ამ რეგიონის ათვისება ხდება უთუოდ „კავკასიური ტიპის“ საერთო ქართველურის დროინდელი ხალხის მიერ, როცა ქართველური ეთნოსი ჯერ კიდევ არ არის ტომებად გათიშული. ასევე, კავკასიაში, და კერძოდ, ჩრდილო კავკასიაში, შეიძლება ვივარაუდოთ არა სვანების, არამედ სვანების წინაპრების, საერთო ქართველურის არსებობა. ამაზე მიგვანიშნებს არა მარტო ანთროპოლოგიური მონაცემები, არამედ არქეოლოგიური კულტურის მსგავსება კავკასიის ჩრდილოეთურ (ყუბანური, დიგორული) და სამხრეთული-

---

63 Абдушелишвили М. Г. Антропология древнего и современного населения Грузии. 1964.

64 Ф. Дебец, Антропологические исследования в Дагестане, «Народы Кавказа», т. I, с. 32.

65 Алексеев В. П. Антропологические данные и проблемы происхождения населения центральных предгорий Кавказского хребта, «Антропологический сборник», 1963, с. 61.

66 იქვე, გვ. 149.

67 ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, 1970, გვ. 37, 96.

მტკვარარაქსის დროინდელი ძეგლებისა და სვანთა განსახლების ნაშთები, რომელიც XIX საუკუნემდე ჯერ კიდევ არსებობდა ამ მხარეში[68].

მაშასადამე: დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის-რიონის, ცხენისწყლის, ენგურის, კოდორის და მათი შენაკადი მდინარეების ხეობების სამეურნეო ათვისება ინტენსიური დასახლება ივარაუდება ძვ. წ. III ათასწლეულიდან. ეს პროცესი დაკავშირებული ჩანს ლითონების საბადოებთან, რაც დამტკიცებულია არქეოლოგებისა და გეოლოგების მიერ. ამ საბადოებთან ყველგან დადასტურებულია ძველი და შემდგომი დროის უწყვეტი დასახლების დამადასტურებელი ძეგლები. სამთომეტალურგიული კერების ახლოს ყველგან სოფლებია გაშენებული. დადგენილია ისიც, რომ სამთომეტალურგიული წარმოების მოშლის შედეგად ზოგიერთი ხეობა (ცანას, ზესხოს, ლაფურის, ლასილის, ლაჰილის, ჰერაშის და უსგვირის ხეობები) დაიცალა და ამ ადგილებზე ნასახლარებიღა დარჩა.

ისტორიული წყაროების მიხედვით (სტრაბონი, აპიანე, არიანე) დადგენილია, რომ ორი ათასი წლის წინათ სვანეთში ოქროსა და სხვა ლითონების საბადოები ყოფილა. ლითონის პირველი აღმომჩენი, პირველი მწარმოებელი და თავდაპირველი მოსახლეობა მაღალმთიანეთში, თანამედროვე სვანების წინაპრები, ქართული საერთო კულტურის მქონენი, რომელთაც კარგათ სცოდნიათ ბუნებრივი მადნის საბადოს მიგნება და ლითონის დამუშავების ტექნიკა. ჩვენი ვარაუდით ისინი მოვიდნენ მადნეულობით მდიდარ ჭოროხის ხეობიდან, სადაც უკანასკნელი გამოკვლევებით ქართველთა წინაპრები: ხალიბები, მოსინიკები და სხვები ცხოვრობდნენ, რომლებმაც ლითონის დამუშავების წესებთან ერთად გეოგრაფიული სახელებიც გადაიტანეს; სვანეთში ლითონებით მდიდარ ხეობასაც ქართული სახელი — შან, ჭანარ, ჭოროხი, კალდე, მისიმიანი — დაარქვეს. რაჭველები და სვანები ადგილობრივ მოპოვებულ მადანს — შანარს, შგნარს, ჭგნარს უწოდებენ. მადნის ამ სახელწოდებიდან (შანარ) უნდა მომდინარეობდეს სვანეთის ადგილობრივი სახელწოდება — შუან, შან.

ძნელი ეკოლოგიურ გარემოში, ისიც III—II ათასწლეულში, დასახლება შეიძლება განვითარებულიყო მხოლოდ საოჯახო მეურნეობის პირობებში, როდესაც გვაროვნული თემი, როგორც ჩანს რღვევის პროცესში იმყოფებოდა და ყალიბდებოდა ტერიტორიული თემი. ასეთ ვითარებაში ძირითადი სოციალური უჯრედი უნდა ყოფილიყო არა გვარი, არამედ საოჯახო თემი ანუ დიდი ოჯახი; მისი დაყოფის შედეგად იქმნებოდა განაყართა პატრონიმული უბანი — საძმო (სვანური სამხუბ). ასეთი პატრონიმული უბნების გაერთიანება ხევების მიხედვით ქმნიდა ტერიტორიულ გაერთიანებას — სასოფლო თემს. თემთა გაერთიანების შედეგად წარმოიშვა უთუოდ სვანეთის სახევო გაერთიანება, საშუალო საუკუნეების „ერთობილი სვანეთის ჯეგი“, „სვანეთის ჯეგბედნიერი“, რომელსაც ყავდა თავისი მმართველი ჩენილთა („ლეთიშ“) სახევო საბჭო, საბჭოს ყავდა უფროსი „მახვში“, მამასახლისი, ხევისთავი („ხერსტავ“), მეჯურჯლე, მელომე და ჰყავდა ლაშქარი („სვანეთის სჭმრა“), რომელიც ატარებდა დროშას „ლემ“ (ლომი), სვანეთის სიძლიერის სიმბოლოს.

---

[68] Л. И. Лавров, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX в., КСИЭ АН СССР, вып. X, 1950; А. И. Робакидзе, Р. П. Харадзе, МСН, Нальчик, 1960; В. П. Алексеев, Происхождение народов Кавказа, 1974; თ. მიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986.

სვანეთის უფროსი — მამასახლისი, მელობე, მეჭურჭლე, წერილობითი წყაროების მიხედვით, შუა საუკუნეებში ცენტრიდან ინიშნებოდა, ხოლო სვანეთის ერთობილი ხევი ამტკიცებდა და აფიცებდა მას ერთგულებაზე. სვანეთის ერთობილ ხევს ჰქონდა „დაწერილი ქვეყნის სამაგრობელი“, რომელიც ყველასათვის („ყველამან“) სავალდებულო იყო. ძალთველობის სისტემა დემოკრატიული იყო, შინაგან საქმეებში ერთობილი საქართველოს ერთგული და დამცველი.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევებით, რომელსაც დღეს ქართველი მეცნიერები ახორციელებენ, მტკიცდება, რომ სვანურმა შემოინახა და დღემდე მოიტანა საერთო ქართულის დროინდელი ნაშთები, როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის, ისე საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში და ენაში, რითაც მტკიცდება სვანურის წარმომავლობა საერთო ქართულიდან. ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება მომავლის საქმეა.

М. И. ЧАРТОЛАНИ

К ВОПРОСУ О ПЕРВОНАЧАЛЬНЫХ ПОСЕЛЕНИЯХ СВАНОВ В ВЫСОКОГОРЬЕ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Третье тысячелетие до н. э. — период интенсивного заселения и хозяйственного освоения высокогорного региона Западной Грузии (ущелья рек Рioни, Цхенисцкали, Энгури, Кодори с притоками). Проводимыми в Сванети и Раче археологическими раскопками засвидетельствованы предметы раннего, среднего и позднего бронзового века, а в Сванети — также памятники вышеупомянутой эпохи. На базе изучения упомянутого материала констатируется местное изготовление бронзовых предметов посредством обработки местной руды. Последнее обстоятельство фиксировано археологическими и геологическими изысканиями.

С учетом результатов археологических, исторических, антропологических и этнографических исследований, в данной работе автором рассматриваются вопросы: первоначального заселения сванами высокогорья Зап. Грузии этносоциального характера их поселений.

Первоначальное заселение и хозяйственное освоение высокогорья Западной Грузии непосредственно связано с горно-металлургическим производством. В пользу данного положения свидетельствует факт наличия памятников материальной культуры, а также непрерывное существование поселений поблизости от рудников, зафиксированных археолого-геологическими изысканиями. Сказанное находит подтверждение и в том, что вследствие прекращения горно-металлургического производства, некоторые сванские ущелья (Цана, Зесхо, Лафури, Лахили, Хераши, Усгвири и др.) опустели, сохранив лишь развалины былых селений, вышесказанное является аргументом в пользу положения о прямой зависимости первоначального заселения, также дальнейшего расселения жителей данного региона в связи с металлообрабатывающим производством. Следует помнить то важное обстоятельство, что согласно древнегреческим авторам (Страбон, Аппиан, Ариан и др.), в Сванети золотые и другие рудники засвидетельствованы более двух тысяч лет назад.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებამ.

მანანა ქიქოძე

ბაქარ ბაგრატიონის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა

ბაქარ ბაგრატიონის პოლიტიკური საქმიანობა

ბაქარ ბაგრატიონი, როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწე, ცალმხრივად არის შესწავლილი. იგი სპეციალურ ლიტერატურაში[1] ძირითადად ცნობილია როგორც მკვლევარი ფილოლოგი, ხოლო როგორც პოლიტიკური სახელმწიფოებრივი მოღვაწე თითქმის უცნობია.

ჩვენ შევეცადეთ შეგვეფასებინა მისი პოლიტიკური საქმიანობა, წარმოგვეჩინა მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა იმ რთულ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებათა ფონზე, რომელშიც იმყოფებოდა აღმოსავლეთ საქართველო XVIII ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც ბაქარ ბაგრატიონი ქართლის ცხოვრების ბედს უშუალოდ განაგებდა.

ბაქარ ბაგრატიონის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა განსაკუთრებით მაშინ გამოიკვეთა, როდესაც ვახტანგ VI-ემ, მისმა მამამ, საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში აშკარად და დაუფარავად ორიენტაცია რუსეთზე აიღო. მან, როგორც ცნობილია, შაჰს გამაჰმადიანებაზე უარი უთხრა, სახელმწიფოს მართვაზე ხელი აიღო და 1712 წელს ირანის კარზე დარჩა. ცხადია, ირანისა შაჰისა და უცხოელი დიპლომატებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ ვახტანგის ირანში დარჩენა გარკვეული პოლიტიკით იყო განპირობებული. იგი ვარაუდობდა, რომ ირანში ყოფნით საერთაშორისო საკითხებზე მეტი ინფორმაცია ექნებოდა და ამით ერთგვარ დახმარებას გაუწევდა თავის სამშობლოს. ვახტანგ VI-ის შაჰისადმი დაუმორჩილებლობის გამო შეშინებულმა მისმა ჯალაბმა — ბაქარ და გიორგი ბაგრატიონებმა, რუსუდან დედოფალთან ერთად, რაჭას შეაფარა თავი. ისინი ფიქრობდნენ, რომ შაჰი მათ უეჭველად დასჯიდა[2]. ქართლის მმართველობის საკითხი კი ასე გადაიჭრა: შაჰმა 1712—1714 წწ. ქართულ-ირანული ორიენტაციის მჭონე სიმონ ბაგრატიონს, ვახტანგის ძმას, ჩააბარა ქართლის მმართველობა. სიმონ ბაგრატიონმა ვახტანგის შთამომავლებს დაანახვა, რომ შაჰი მათ არაფერს ერჩოდა და დომენტი კათალიკოსი, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, პროქართულ საზოგადოებას აშკარა ირანული პოლიტიკის შემსრულებლად ჰყავდათ აღიარებული, მათ მე-

---

1 ო. კასრაძე, სვესვიატსკოეს სტამბა, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1973, გვ. 46—71; ე. იავარდიშვილი, ქართული სტამბები რუსეთში (XVIII-XIX სს.), „მეცნიერება და ტექნიკა", 1967, № 8, გვ. 37—40; ფ. სიხარულიძე, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „მეგობრობა", 1979, გვ. 42; მისივე, ბაქარის ნაჭირნახულევი, „საბჭოთა ხელოვნება", 1980, № 8, გვ. 88—89; ნ. მახათაძე, მოსკოვის კოლონიის ისტორიიდან, „ლიტ. ძიებანი", 1989, ტ. 111, გვ. 354—76; ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული კულტურა, თბ., 1990, გვ. 39—40, 50—53.

2 ს. ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, 1913, თბ., გვ. 29.

ტოქედ მიიჩნია, შეიპყრო „ზაკუთ“ და ბაქარ ბატონიშვილს მიჰგვარა რაჭაში, რათა ქისთვის თვალები დაეთხარათ. ბაქარმა სიმონის ჩანაფიქრი არ განახორციელა და დომენტი კათალიკოსი თავისთან დაიტოვა[3]. ამრიგად, საერთაშორისო საკითხთა გადაწყვეტაში ქართლის სამეფოს კარზე სრულიად ცხადად გამოიკვეთა ორი პოლიტიკური, ურთიერთგამომრიცხავი ორიენტაცია: ერთი მხრივ, ვახტანგ VI-ისა და მასთან ერთად ნაწილობრივ სიმონ ბაგრატიონის და, მეორე მხრივ, დომენტი კათალიკოსისა და ბაქარ ბაგრატიონის პოლიტიკური მრწამსი. პირველნი რუსეთ-ევროპას აძლევდნენ უპირატესობას და მეორენი კი ირანის სახელმწიფოსთან შეთანხმებას ირჩევდნენ. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ „ირანოფილი“ დომენტი კათალიკოსი ბაქარმა მაშინვე შეიკედლა. ორივენი კი ქართლის შინაურ ეკონომიკურ-პოლიტიკური საქმეების მოგვარებას ადგილზე შეეცადნენ. დომენტი კათალიკოსი და ბაქარი ცდილობდნენ ფრთხილი, კომპრომისული პოლიტიკა განეხორციელებინათ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში. ამ ნიადაგზე მოხდა მათი პრინციპული გაერთიანება და, ამდენად, ვახტანგ VI-ის პოლიტიკისაგან გამიჯვნაც. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ VI ირანისადმი აშკარა პროტესტს აცხადებდა და ორიენტაციას რუსეთისაკენ იღებდა. იმ ხანად, 1714 წლისათვის ბაქარ ბაგრატიონი მხოლოდ 14—16 წლის იქნებოდა. მან სრულიად ახალგაზრდამ ქართლის მმართველობის საკითხებში ნეიტრალური პოლიტიკური მრწამსი გამოამჟღავნა. შაჰი ცდილობდა კიდევ უფრო დაესაჯა ურჩი ვახტანგ VI და ადგილზე გაენეიტრალებინა მისი პოზიცია. შაჰმა სიმონ ბაგრატიონი იესე(ალიყულიხანით)შეცვალა, მაგრამ არც ამას დაჯერდა და 1714 წელსვე ქართლის ბაგრატიონთა აქტიური ეროვნული მოძრაობის საშიშროების თავიდან ასაცილებლად, სამეფოს დასამორჩილებლად და ირანული რეჟიმის დასამკვიდრებლად ვინმე სპარსი მოხელე — ხოლოფა გამოგზავნა ქართლში. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს, ხოლოფას დავალებული ჰქონდა ირანის შაჰის კარისაგან დამოუკიდებლად „უკეთუ იცეს ჟამი, თჳთ დაიპყრას ქართლი“[4].

დიახ, შაჰი არა მარტო ზედამხედველობას, არამედ ქართლის ფაქტობრივ დაპყრობას ავალებდა ხოლოფას, რათა ირანის ხელისუფლების პოლიტიკა და ძალაუფლება მთლიანად, დაბრკოლების გარეშე განეხორციელებინა ქართლში. ფაქტობრივად ქართლი ირანის იმპერიის სუვერენული ქვეყნის თვისებებს კარგავდა და დამორჩილებულ ქვეყნად უნდა გამოცხადებულიყო.

ცხადია, არსებული საშიშროება ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან კიდევ უფრო დიდ პოლიტიკურ სიფრთხილეს თხოულობდა. ამრიგად, ქართლში მძიმე პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა ახალი ირანული სამეთვალყურეო აპარატის ჩამოყალიბებითა და მისი საქმიანობით, რომელსაც ცხადია, ქვეყნის ეროვნული, ზნეობრივი და ეკონომიკური საფუძვლის შერყევა ევალებოდა. შაჰი არც ამას დასჯერდა და ირანის იმპერიის დაეჭვებულმა სამეფო კარმა ქართლში დინასტიური ინტრიგები ჩახლართა. თუ ერთი მხრივ, მან იესე ალიყულიხანი დაუპირისპირა სიმონ-ბაქარს, მეორე მხრივ, ბაქარი და სულხან-საბა ორბელიანი წაჰკიდა ერთმანეთს. ცხადია, ქართლში ეროვნული გათიშვის პოლიტიკა ირანის სამეფო კარისათვის ხელსაყრელი იყო. ბაქარისა და საბას დაპირისპირება ცხადი გახდა, როცა პოლიტიკურად დამარცხებული, გაკათოლიკებული და ხელმოცარული სულხან-საბა ორბელიანი 12 კათოლიკე ბერით ევ-

---

3 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 493$_{10}$.

4 იქვე, გვ. 494.

როპიდან სამშობლოში დაბრუნდა. გარდა საეკლესიო მღვდელ-მსახურებისა, როგორც ცნობილია, ქართლის ოფიციალური სამეფო კარის ნაწილიც უარყოფითად განეწყო სულხან-საბასადმი. მიხ. თამარაშვილის ცნობით, ბაქარმა, საბას გაკათოლიკება, რომელიც ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ორიენტაციის თანაზიარებას ნიშნავდა, დაგმო[5]. საბას ეს ნაბიჯი ქართულმა მართლმადიდებლურმა ქრისტიანულმა სასულიერო საზოგადოებამაც უარყოფითად შეაფასა. ბაქარმა საბას გაკათოლიკება არც პოლიტიკურად და არც იდეურად არ გაიზიარა, რამაც მისცა საფუძველი საბას თავის მოგზაურობაში დაეწერა: „ბაქარისათვის ჭირი მენახა და ვისაც გამეფებას ვცდილობდი, მაშინ თხუთმეტი წლისა იყო. მოტყუებით ჩემი სიყვარული და სამსახური დაავიწყეს. მცხეთას კრება მიყვეს და წმიდის მამის (რომის) გინება მომიდვეს“.

ბაქარის საბასადმი უნდობლობა მარტო მისი რელიგიური მრწამსის შეცვლით არ უნდა ავხსნათ. ვფიქრობთ, ვახტანგ-საბას საგარეო პოლიტიკა (ევროპასა და რუსეთზე ორიენტაციის აღება), როგორც ჩანს, ამჯერად ახალგაზრდა ბაქარ მეფისათვის მიუღებელი იყო. მისთვის ცხადი იყო, რომ ევროპის ქვეყნებს ჯერ საფრანგეთსა და მერე ინგლის-ჰოლანდია-პორტუგალიას, რომლებიც ირან-თურქეთს უნდა დაპირისპირებოდნენ, ბუნებრივია, სრულიადაც არ აწყობდათ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება და, ისიც საქართველოს ერთერთი სამეფოს — ქართლისათვის. ჩვენი ვარაუდით, ბაქარმა ამ შემთხვევაში, უფრო მეტი წინდახედულება და პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩინა. მან ალღო აუღო არსებულ საერთაშორისო ვითარებას — ევროპის ქვეყნების ურთიერთობებს ირანსა და ოსმალეთთან, ამიერკავკასიის ქვეყნებისა და კასპიის თუ შავი ზღვის სანაპიროთა საკითხის გადაჭრაში და ევროპა-რუსეთზე ორიენტაციის გამოაშკარავება მიზანშეუწონლად ჩათვალა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ბაქარს საბასთან ურთიერთობა სწორედ ამის გამო გაურთულდა. მას ესმოდა, რომ ამ დროისათვის ირანის იმპერია თავისი გამარჯვების ზენიტში იმყოფებოდა და ამის ანგარიშგაუწევლობა საქართველოსათვის საზიანო იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ირანის სახელმწიფოს დაწინაურებას ევროპის ქვეყნებიც და რუსეთიც აშკარად უწევდნენ ანგარიშს. ამიტომ, ვახტანგის ფარული თუ აშკარა დიპლომატიური და პოლიტიკური კავშირი, ზემოხსენებულ ქვეყნებთან, მარტო ზიანის მომტანი იქნებოდა ქართლის სამეფოსათვის. ახალგაზრდა ბაქარ ბატონიშვილმა ამჯერად სამართლიანად შეაფასა შექმნილი ვითარება და ირანის იმპერიასთან ზომიერი პოლიტიკის განხორციელება ამჯობინა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური მდგომარეობა ქართლში მაინც დაძაბული იყო. ცვლილებები გამოიწვია ლეკიანობის გამძაფრებამ. როგორც ცნობილია, შაჰი იძულებული შეიქმნა ჭირმანს გადასახლებული ვახტანგ VI-სათვის ანგარიში გაეწია და იმპერიის ჩრდილოეთის პოლიტიკური ხაზის გაძლიერებისათვის, ისფაჰანს დაიბარა. შაჰმა ვახტანგს იურიდიულად კვლავ ქართლის გამგებლობა ჩააბარა. ბაქარის მცდელობით ირანული პოლიტიკური ინსტიტუტი ხოლოფას მეთაურობით სრულიად გაუქმდა. ეს ბაქარ ბაგრატიონის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის დიდი გამარჯვება იყო. შაჰმა ვახტანგი ირანში დატოვა, მაჰმადიანობა მიალებინა და ირანის სპასპეტობა უბოძა; შემდეგ (1716 წ.) მას სამმართველოდ ჭ. თავრიზი და ბარდაც გადასცა, ხოლო ქართლის ფაქტობრივი და რეალური მეფობა ოფიციალურად 16—17 წლის ჰაბუკ ბაქარ ბაგრატიონს დაუმტკიცა. რამდენიმე

---

[5] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 334.

[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 495.

ხნის შემდეგ ბაქარი ჩამოვიდა მცხეთას, „რამეთუ თბილისს იყო მოსავალი ჟამი“[6]. — წერს ვახუშტი ბაგრატიონი.

თავის მხრივ, იესე (ალიყულიხანი) არ ეპუებოდა დამცრობას და კოჯრიდან გაბრუნებულთა თავისი ჯარით, რათა ქართლის მეფობის პრეტენდენტს შეპირისპირებოდა. 1716 წ. 17 სექტემბერს ბიძა ძმისწულს შორის მოხდა ბრძოლა, რომელმაც დიდხანს არ გასტანა. 1716 წ. სექტემბრიდან ბაქარ ბაგრატიონი შაჰის დასტურით გამეფდა. ბაქარისათვის მეფობის მოპოვება ამ ეტაპზე მისი პრანოფილური ორიენტაციის შედეგი იყო. „დასტურლამალშიც“ აღნიშნულია, რომ შაჰმა „მოუღო მეფობად ბაქარს მეფემან სპარსეთისამან და მისცა მეფობა“[7]. ეს აქტი ირანისა და ქართლის მეფეების ერთგვარი ურთიერთკომპრომისის შედეგი იყო. ვახუშტის ცნობით, რომელიც ჩვენი ვარაუდით უფრო სანდოა, და განსხვავდება ს. ჩხეიძის ცნობისაგან[8], შაჰის განკარგულებით კახეთიდან ბაქარს ტყვედ მიჰგვარეს, სპეციალურად გამოგზავნილი მურდარის მეშვეობით. იესე ალიყულიხანი[9]. გამარჯვებული ბაქარი არც სახელის შეცვლას მორიდებია; იძულებით მას შაჰნავაზხანი ეწოდა. ბაქარს შაჰმა (მისი სუვერენულ-ვასალური ურთიერთობის დამადასტურებლად) უბოძა სპარსული სამოსელი, ორი ლომი, ერთი ვეფხვი, თვალმარგალიტით შემკული ხმალი და ირანის ყულარაღასობა.

ბაქარმა მმართველობა ორგულთა ალაგმვით დაიწყო. იესე (ალიყულიხანი) როგორც ირანის შაჰის ერთგული ვასალი და ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაშლის ხელშემწყობი, თბილისის ციხეში გამოამწყვდია. ბაქარი ცდილობდა ქსნისა და არაგვის საერისთავოები კეთილმეზობლურ ურთიერთობაში ჰყოლოდა. მით უმეტეს, რომ იგი არაგვის ერისთავების სიძე იყო. მან არასამედო სპასპეტ ლუარსაბ ბატონიშვილის დაჭერა მოინდომა, მაგრამ იგი დედოფალმა იხსნა: ორგულ ერეკლე მუხრან ბატონს თვალები დათხარა და სამუხრანბატონო ერთგულ ლევანს ვადასცა: მოაშთო პაპუნა დიასამიძე, რომელიც იყო „მაშფოთებელი ძმათა“ და ყველა უნდო და ეჭვმიტანილი გადაახალა. ვახუშტის თქმით, ბაქარმა ორწელნახევარს იმეფა, ე. ი. 1716 წ. სექტემბრიდან 1719 წ. გაზაფხულამდე. ბაქარმა მოჩვენებით მიიღო მაჰმადიანობა: „მხოლოდ სიტყვითა და არა საქმით“-ო წერდა ვახუშტი. ეს ის კომპრომისული ხერხი იყო, რომელიც მის მამა-ბიძებს ჰქონდათ არჩეული სახელმწიფოს მართვისა და თავისი ერის გადასარჩენად და, რომელიც ვახტანგ VI-ემ უარყო 1712—1716 წწ-ში. მაგრამ, რამდენადაც ვახტანგმა ირანისადმი თავისი პროტესტით შედეგს ვერ მიაღწია, გადაწყვიტა დათმობაზე წასულიყო. მით უმეტეს, რომ საქართველოს იმჟამად სჭირდებოდა აქტიური დახმარება ლეკების შემოსევების გახშირებასთან დაკავშირებით. ვახტანგმა მაჰმადიანობის მიღების შემდეგ საგარეო პოლიტიკაში ევროპაზე აღებული ორიენტაცია გაუმართლებლად მიიჩნია. ცნობილია, რომ დაღესტნელების მიერ ქართლ-კახური მამულების განადგურება ირანის იმპერიის ჩრდილოეთის სასაზღვრო ხაზის დასუსტებას ხელს უწყობდა; ამდენად, ირანისათვის საქართველოს საკითხი დღის წესრიგში დგებოდა. ვახტანგ VI შექმნილ სიტუაციას უკვე ჯეროვნად აფასებდა, მაგრამ მაინც რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით,

---

[7] დასტურლამალი, გვ. 269—432.

[8] ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[9] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 496.

კვლავ ირანში დარჩენას არჩევდა. რუს დიპლომატებთან ურთიერთობა, რაც ირანის საიმპერატორო კარისათვის ცნობილი იყო და ერთგვარ შფოთში აგდებდა მათ, საფრთხეს უქადდა ქართლ-ირანულ ურთიერთობებს. ქართლში ახლად გამეფებული ბაქარ შაჰნავაზხანი ლეკ-ჭარელთა ბრძოლების შესანელებლად და სამშობლოს დასაცავად სამხედრო ძალებს იკრებდა და თვითონ მეთაურობდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებს. მას 1717 წ. ზაფხულზე სურხაის მეთაურობით ჭარელები შეებრძოლნენ და დიდი შეტაკების გადალახვა მოუხდა. ჭარელ ლეკებს ჯერ ბოლნისი მოერბიათ, შემდეგ ქციის ხევი და თავმრგვალამდე მისულიყვნენ. ბაქარ მეფემ დახმარებისათვის სიმონ ბატონიშვილს უხმო. ნაზარასოფელის ბოლოს მდგარ ბაქარის ჯარს სიმონი 300 მხედრით შეუერთდა და ერთობლივად სძლიეს სურხაის ჯარს. აღტაცებული ვახუშტი აღნიშნავდა: „სვრიდენ ვითარცა ნადირთა“-ო[10]. რამდენადაც სურხაის დიდძალი ჯარი ჰყავდა ქართლელების უკუქცევა ჭარელებმა მაინც მოახერხეს. მათ ქართველებს სდიეს ჭარნეულამდე: გაიარეს ყარაია და რაც რამ ციხესიმაგრე შემოხვდათ, სულ გაანადგურეს. ბაქარის მეთაურობით ქართლელებმა ციხეებში შეღწეული, უწყლობით შეწუხებული ლეკთა ლაშქარი გააქციეს და როგორც ვახუშტი აღნიშნავს, „შორით ვერღარა იკადრეს რბევა ჟამამდე“. ამრიგად, ბაქარმა გონივრული და მამაცური მხედართმთავრობით მტერი მოიგერია.

საინტერესოა გაბრიელ საგინაშვილის დავით გარეჯაში გადაწერილი ერთი ხელნაწერი, რომელშიც აღწერილია ბაქარის თავგანწირული ბრძოლები, ბოლნისის სიონის დასაცავად. ლეკებს ბოლნისის სიონიდან გაუტაცებიათ ტყვეები, ტაძრის ჯარი და ხატი. ბაქარი თავისი ჯარით ეკვეთა მარაბდასთან ლეკებს, გააქცია ძირითადი რაზმები და 300 ლეკი ტყვედ იგდო. ამ ბრძოლებს რვა ქართველი შეეწირა[11]. როგორც ცნობილია, ლეკიანობის გახშირების ტყვეთა სყიდვა სდევდა თან. ბაქარ მეფე აქტიურად ილაშქრებდა ქართლელების სამშობლოდან განდევნის წინააღმდეგ და პირობას დებდა დომენტი კათალიკოსთან, რომ იგი ეცდებოდა, პირველ რიგში, სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი უფლებების დაცვას, რათა ტყვეთა სყიდვა შეეფერხებინა. ამავე დროს, ირწმუნებოდა, რომ იმერეთიდან და ან სხვა ქვეყნიდან მოყვანილი გლეხის შეკედლების ნებას დართავდა და მათ უფლებრივ მოვალეობათა მოშლის წინააღმდეგადაც გაილაშქრებდა[12].

ბაქარი სხვა შემთხვევაშიც „ბატონყმური რიგის“ აქტიურ დამცველად გვევლინება. იგი მწარმოებელი საზოგადოების — გლეხობის ინტერესებიდან ეამოდიოდა და აცხადებდა „გლეხს რბევას მოეხსენით და რაც სამართლიანი გამოსალები იყოს, იმათ გამოართმევდეთო“[13]. ბაქარი უკანონო ექსპლუატაციის შეუწყნარებელი მტერი იყო.

როგორც ერთპიროვნული მეფე ბაქარი სამართლის გამგებლადაც გვევლინება. იგი მრავალ სასამართლო გადაწყვეტილებათა მოთავე და სათავადო სასახლისკაცო რიგის დამდგენი იყო. შეეხებოდა ეს ბარათაშვილებს, თუმანიშვილებს, გოსტაშაბიშვილებს, ჯავახიშვილებს თუ სხვათა[14].

---

10 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 496.

11 ხელნაწ. აღწერილობა, ტ. 1, 1957, გვ. 98, ფ. Q, № 85.

12 დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის, ტ. 1, 1940, გვ. 382.

13 დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის, ტ. 1, 1940, გვ. 176; საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 382.

14 საქართველოს სიძველენი, ტ. 11, გვ. 308; ტ. 1, გვ. 38, 84; დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის, ტ. 1, გვ. 172.

იმხანად, დათუნა ერისთავს ჰურთაში ლეკები შეეშვა და თვითონაც იქ გამაგრებულიყო. ბაქარის განკარგულებით მიტოვებული ქსნის საერისთავო ვახუშტი ბატონიშვილის შეძლებისდაგვარად გაემაგრებია, რათა ქართლის სამეფოს ჩრდილოეთის სამხედრო ხაზის ფორტიფიკაცია მოეხდინა. შანშე დათუნას ძე ერისთავი კახეთიდან ყაზვინს ჩასულა ბედის საძიებლად. შაჰს შანშე ქსნის ერისთავი ვახტანგ VI-ისათვის მიუგებებია, რომელსაც იგი შეუპყრია და დატყვევებული ისევ ქართლში ბაქარისათვის გაუგზავნია, ორგული ერისთავი ბაქარ მეფეს თბილისის ციხეში გამოუმწყვდევია[15].

ქართული ეროვნული გონი და სული მაინც არ ირყეოდა, საქართველოს ერთიანობის სულისკვეთება ისევ მძლავრობდა. ბაქარის საყოველთაო გამარჯვებების მიუხედავად ლეკთა შემოსევები მაინც მატულობდა. ირანის საიმპერატორო კარისათვის სრულიად ნათელი იყო, რომ მარტო ქართლი თავისი გონიერი და მამაცი მეთაურით, ვერ გაუმკლავდებოდა ლეკთა ჯგუფურ თარეშს, რომელსაც თავის მხრივ, ადგილობრივი დიდგვაროვნები უწყობდნენ ხელს. აღმოსავლელი მბრძანებელი კი გაერთიანებულ სახანოთა მეთაურად ქართლის პოლიტიკურ მოღვაწეს ვახტანგ VI-ს მიიჩნევდა. ამიტომაც, იგი 1719 წ. გაზაფხულზე შაჰმა საქართველოში დააბრუნა და ბაქარიც მექანიკურად ქართლის გამგებლობიდან გადადგა. ყაზვინიდან დაბრუნებულ ვახტანგ VI-ეს ლორესთან შეხვდა საბარათაშვილოს სადროშოს სარდალი ლუარსაბი, საამილახოროს სადროშო ამილახორით, არაგვის და ქსნის ერისთავები, სამღვდლო პირნი დიმენტი კათალიკოსის მეთაურობით, ეპისკოპოსნი და ბოლოს, როგორც ს. ჩხეიძე აღნიშნავს, ეს ცერემონიალი დაასრულა ბაქარ ქართლის გამგებელმა „ზნე სრულმა, მხნემ და მშვენიერმა“[16].

ამრიგად, ბაქარ ბაგრატიონის ერთპიროვნული მეფობა ქართლში სახელმწიფოსათვის ძმვიდობიანობის მომტანი იყო, იგი ღირსეულად უძღვებოდა დაკისრებულ ვალდებულებებს, სანამ ლეკიანობის გაძლიერებულმა შემოტევებმა არ მოიცვეს მთელი ამიერკავკასია. ბაქარს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულიად ახალგაზრდას აღმოაჩნდა სახელმწიფოს დამოუკიდებელი მმართველობის ნიჭი, პოლიტიკური ალღო, სამხედრო საქმის ცოდნა და მისი გამოყენის უნარი. ბაქარის დამოუკიდებელი პოლიტიკური მმართველობის პერიოდი, როგორც ტიპიური ფეოდალური მეფისა, სრულიად მისაღები იყო ქართლის სახელმწიფოს სრულქმნილი არსებობისათვის. ბაქარ ბაგრატიონის ქართლში მეფობის დროს შაჰისეული გეგმები, ქართლის გამაჰმადიანებისა და სრული დაშორჩილებისა, ვერ ხორციელდებოდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ შაჰი იძულებული შეიქნა ზედამხედველის ინსტიტუტი (ხოლოფას სახით) მოეშალა, მიზანშეწონილად ბაქარის პოლიტიკის დამსახურებად ითვლება. ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბება თუ ვახტანგ VI-ის ირანში დარჩენის შედეგად მოხდა, მისი მოშლა ბაქარის მცდელობის, მისი გონივრული და ელასტიური პოლიტიკის შედეგი იყო.

შაჰმა ბაქარს საბოძვარი გაუგზავნა, ყულარაღასობა დაუმტკიცა და ლეკებთან საბრძოლველად დახმარება შესთავაზა[17]. ბაქარმა ჯარი შეკრიბა და საომრად მომზადებული ტაშირთან განალაგა. მაგრამ, ვახტანგმა მიზანშეუწონლად და უდროოდ მიიჩნია იმჯერად ბრძოლების გამართვა და უკან გაიწვია ბაქარი.

---

15 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 496.

16 ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

17 იქვე, გვ. 33.

ჩანს, ვახტანგის ეს გადაწყვეტილება მთლად გონივრული არ იყო, ვინაიდან გაგულისებულმა შაჰმა სასწრაფოდ კონსტანტინე ერეკლეს ძე მამადყულიხანს დაუმტკიცა კახეთი. მიუხედავად ამისა, შაჰი მაინც იძულებული გახდა ვახტანგ-ბაქარისათვის ეთხოვა გალეკებულ შირვანზე გალაშქრება. ქართველი მეფეები დაუყოვნებლივ ჩავიდნენ განჯაში. როგორც ცნობილია, XVIII ს-ის 20-იანი წლებისათვის ბაქარს და ვახტანგ VI-ს უშუალო კავშირი ჰქონდათ ახლად ჩამოყალიბებულ სომეხ ჯარსა და აჯანყებულ სომეხთა ძირითად კერებთან, სადაც ისინი თავისი თვალთახედვით ნიშნავდნენ აჯანყებული რაზმების ხელმძღვანელებს[18]. ამ მომენტისათვის თავისი გეო-სტრატეგიული მდებარეობით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა განჯა-ყარაბაღი, იგი აკავშირებდა სომხეთსა და აზერბაიჯანს, როგორც ლეკთა შემოსევების მთავარ სამაგისტრალო ხაზს. ამდენად, ამიერკავკასიელ მოკავშირეთა მიერ განჯა-ყარაბაღის სამხედრო დაცვას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. 1722 წლის შემოდგომაზე ქართლის ჯარი ვახტანგ-ბაქარის მეთაურობით და სომეხ ჯართა თანადგომით, განჯაში უნდა გამაგრებულიყო, იმ იმედით, რომ რუსეთიდან მიიღებდნენ სამხედრო დახმარებას. როგორც ცნობილია, რუსეთის მთავრობამ უარი შეიმოუთვალა მოკავშირეებს დახმარებაზე და ლაშქრობა ჩაიშალა. ეს აქტი ანტიმაჰმადიანურ მოძრაობად იქნა მონათლული და შაჰმა, როგორც მაჰმადიანური სამყაროს მეთაურმა, განჯის ალყა მოხსნა და კვლავ კონსტანტინე მამადყულიხანი დაუპირისპირა ვახტანგ-ბაქარს.

კახმა ბატონიშვილმა თეიმურაზმაც, რომელიც ბაქარის სიძე იყო, უკან არ დაიხია. ჩაება ჭარელების მხარეს ბრძოლებში და ლილომდე მისდია მათ. მაშინ, უკვე ბაქარს მოუხდა თეიმურაზის წინააღმდეგ გალაშქრება და მისმა ვაჟკაცურმა თავდადებულმა ბრძოლებმა ქართლელებს გამარჯვება მოუტანა[19]. ქართლში სიმშვიდე მაინც არ მყარდებოდა.

1723 წლისათვის კონსტანტინე მამადყულიხანმა არაქსის ხეობიდან თბილისის სანახებამდე მოაღწია და კახთა და თუშთა ჯარით თაბორში გამაგრდა, ქართლის ჯარს, რომელსაც ბაქარი მეთაურობდა, დაუპირისპირდა მამადყულიხანის ჯარი, როგორც უცხო მტერი. გიორგი არაგვის ერისთავი მამადყულიხანს შეგებებია, მართალია, თავდაპირველად ბაქარს გიორგი ერისთავი დაუთანხმებია მის მხარეზე ეომნა, მაგრამ ერისთავის გადაბირება მამადყულიხანს არ გასჭირებია[20]. ბაქარს მამადყულიხანი ზავისკენ უბიძგებდა და უთვლიდა, რომ შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ მორიგება ვერ მოხერხდა[21]. ქართლისა და კახეთის გათიშული სამეფოები გაძლიერებული ოსმალეთის წინაშე უძლურ სახელმწიფოდ რჩებოდა. საუბედუროდ, აღმოსავლელ სატრაპთა ქართლ-კახეთის დაპირისპირების პოლიტიკა, ამ შემთხვევაშიც, წარმატებით ხორციელდებოდა. ქართლისა და კახეთის პოლიტიკოსები მტრის ანკესზე ადვილად ეგებოდნენ, რაც დამახასიათებელი იყო გვიანფეოდალურ მეფეთა ბუნებისათვის.

მამადყულიხანსა და ბაქარს შორის კრწანისთან გამართულ მნიშვნელოვან ბრძოლებში, თავი ისახელა ბაქარმა, რომლის სიმამაცეს ი. ტლაშაძე თავის

---

18 გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII სს., თბ., 1982, გვ. 204. П. Арутюнян, Освободительное движение армянского народа I четв. XVIII в. — М., 1954, с. 155—156; В. Мартиросян, Россия и сотрудничество армянск. и груз. народов. Ереван, 1966, с. 11.

19 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 500.

20 ს. ხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25; ი. ტლაშაძე, კათალიკოს-ბაქარიანი, მუხ. 41.

21 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 500.

„კათალიკოს ბაქარიანში“ ტარიელის სიგულადეს ადარებს[22]. ამ ბრძოლებში ბაქარმა მტერი უკუაგდო და გაიმარჯვა. ბრძოლამ 6 საათს გასტანა. მიუხედავად იმისა, რომ მამადყულიხანს ლეკი აბრაგებიც მოეშველნენ, ბაქარმა კახელებს დროშები დააყრევინა და გააქცია, მაგრამ მამადყულიხანი მაინც ვერ შეიპყრო.

ს. ჩხეიძის თხრობით, ბაქარმა თავისი სიმამრი გიორგი არაგვის ერისთავი დაიჭირა, მოაგონა ქართლის სამეფოსადმი ორგულობა და თავი გააგდებინა[23]. ქართველთა სიმამაცის მიუხედავად, კახთა ჯარმა მაინც ავლაბრამდე მოაღწია. მათ პირველად ბაქარი შეებრძოლა, უკუაქცია ისინი და თვითონ კლდისუბანში გამაგრდა. ბაქარმა დედაქალაქის მცველები თვითონ განალაგა. მაგრამ კახი ბატონი არ ცხრებოდა. გამარჯვებულმა ბაქარმა ვახტანგ VI-ეს მოსთხოვა თავის საბრძანებელში დაბრუნებულიყო. ვახუშტის ცნობით, კრწანისში დაწყებულმა ბრძოლებმა სამ თვეს გასტანა. მრავალი ქართველი ქალი წაასხეს ტყვედ, ხოლო ბაქარი კი მამადყულიხანმა, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ტყვედ იგდო[24]. მალე ერთგულმა ყმებმა ბაქარი გაუპარეს. 1723 წლის 20 აგვისტოს მამადყულიხანმა, შაჰის ალიარებით, თავი ქართლის ფაქტობრივ მეფედ გამოაცხადა. ამ დროს ერზრუმის ფაშა საქართველოსაკენ დაიძრა ბაქარსა და ვახტანგს რუსეთიდან უნდა მიეღოთ დაპირებული სამხედრო შეშწეობა. თრიალეთს მომდგარ ოსმალთა ლაშქარს ბაქარი მიეგება ი. ტლაშაძის თქმით. იგი შეეცადა მოლაპარაკება გაემართა, რათა თბილისი საბოლოოდ ეხსნა სპარსთა გარნიზონისაგან და შემდეგ ლეკებისაგან გაეთავისუფლებინა. ბაქარის ვარაუდით მომძლავრებულ ოსმალთა ჯართან მოლაპარაკება საქართველოსათვის შედეგიანი უნდა ყოფილიყო. ზემოაღნიშნული რთული პოლიტიკური ვითარების გამო იგი იძულებული გახდა ორმაგი მაჰმადიანური რელიგია მიეღო. შიიტმა შაჰნავაზ ყოფილმა, ეხლა იძულებით სუნას რელიგიის აღიარება იდო თავს და იბრაჰიმ ფაშად მოინათლა. მან ქართლი, ბორჩალო და ყაზახი დაიმკვიდრა. მაგრამ ოსმალთა რეჟიმთან შეგუება მისთვის შეუძლებელი შეიქმნა, იგი ცხინვალში შეხიზნულ ვახტანგ VI-ეს შეეკრა და ოსმალებს აუჯანყდა[25]. აჯანყებაში ბაქარი გამარჯვებული გამოვიდა. მამადყულიხანი ქართლის მთლიანად ხელში ჩაგდებას ლამობდა და მისგან თავდასაცავად ბაქარი თაბორის ციხეში გამაგრდა. მას თაბორზე ეახლნენ ურჩი ყმანი — არაგვისა და ქსნის ერისთავები და პატიება სთხოვეს. მაგრამ, რამდენადაც მამადყულიხანს იესე ალიყულიხანიც შეუერთდა, მდგომარეობა დაიძაბა. ბაქარმა კვლავ ოსმალთა ჯართან განაახლა მოლაპარაკება. მაგრამ იესე (ალიყულიხანმა) იეშმაკა, და იმის მაგივრად, რომ ბაქარს დახმარებოდა შემოერთებული ჯარით ბაქარის წინააღმდეგ გაემართა[26]. ამრიგად, შინაფეოდალური ომები კვლავ გრძელდებოდა. ოსმალთა სამეფო კარისათვის კი ბაქარის პოზიცია, ისევე, როგორც ვახტანგ VI-ის რუსეთთან კავშირი, სრულიად უდავო ფაქტი იყო. ამდენად, რომელ მოლაპარაკებაზე შეიძლებოდა საუბარი, როდესაც ბაქარი უნდა გამკლავებოდა დარჩენილ ირანთა ჯარს, ლეკებს, იესე ალიყულიხანს და ოსმალთა ლაშქარს. ვახუშტისა და ი. ტლაშაძის ცნობით, ბაქარს ეხლა კახთა

---

22 კათალიკოზ-ბაქარიანი, მუხ. 48.

23 ს. ჩ ხ ე ი ძ ე, იქვე, გვ. 37.

24 კათალიკოზ-ბაქარიანი.

25 ს. ჩ ხ ე ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 37—38.

26 ი. ტ ლ ა შ ა ძ ე, კათალიკოს-ბაქარიანი, მუხ. 67; ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 504.

ფეფე თეიმურაზიც გადაეღობა წინ. მან თბილისში გამაგრებული ბაქარის წინააღმდეგ გაილაშქრა[27]. ბაქარმა ამჯერად, თეიმურაზთან ბრძოლა მოიგო, ხელთ იგდო მამადყულიხანი და ოსმალებისადმი თანაგრძნობის ნიშნად, დატყვევებული მათ ჩააბარა. კახთა მმართველებისაგან მიტაცებული ქონება მოქალაქეებს უკან დაუბრუნა. ბაქარის ეს წინასწარგანზრახული კომპრომისული ნაბიჯი, უშედეგო აღმოჩნდა. მამადყულიხანმა ბაქარს ეშმაკობაში აჯობა, განთავისუფლება გამოსტყუა, იმ პირობით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებაში შემწეობას აღმოუჩენდა. ბაქარი დათმობაზე წავიდა[28]. ამდენად, ბაქარი 1723 წლის მაისში სიღნაღისა და სომხითის მოლაშქრეთ მიმართვას უგზავნიდა, რომ კახეთში ჩასულ პეტრე I-ის ელჩს, რომელსაც სიტყვიერად ჰქონდა დავალებული ქართლ-კახეთის ლაშქართა გაერთიანების ორგანიზაცია, გამოხმაურებოდნენ: „რასაც მაგ ელჩს კარგად მოეპყრობით და მსახურებთ, თქვენწედ ჰკიდია“-ო[29]. ბაქარიც ცხადია, ისევე, როგორც ვახტანგი, ამ დაპირებებს ეჭიდებოდა. 1724 წლის იანვარს მცხეთაში ბაქარი და სომეხი თავკაცები ერთმანეთს შეხვდნენ. აქ მოხდა მათი სიტყვიერი მორიგება ანტიოსმალური კოალიციის წინააღმდეგ. ვახუშტის სიტყვით, ბაქარი არ მოერიდა თრიალეთში ამოეწყვიტა ოსმალები და გამკლავებოდა თბილისის სანახებში დაბანაკებულ ოსმალთა ჯარს. ოსმალებმა საპასუხოდ გორი და ცხინვალი აიწროკეს[30]. გ. მაისურაძის მასალის მიხედვით, ირკვევა, რომ ბაქარს დახმარებისათვის ჯერ ყარაბახში გაუგზავნია თავკაცები, იქაური ხალხის შემოსაკრებად და შემდეგ სიღნაღის გამაგრება დაუვალებია[31].

ასევე, 1724 წლის თებერვალში ბაქარს ყაფანელთა მოთხოვნის საფუძველზე ყაფანის ოლქში 30 სამხედრო სპეციალისტი მიუვლინა[32]. ჩანს, ბაქარი მოსალოდნელ საშიშროებას დროულად აფასებდა, რუსეთთან ურთიერთობა მომგებიანად არ ჩათვალა და ისევ ირანის ხელისუფლებასთან დიპლომატიური ურთიერთობის დაძყარება ამჯობინა. მან ქართლ-კახეთის ტრადიციული კეთილმეზობლური დამოკიდებულებების აღდგენა და ირანოფილ მამადყულიხანთან დამოყვრება მოინდომა, ამით მას ქართლისა და კახეთის სახელმწიფოებისათვის ძლიერი საყრდენი ეწნდოდა გაეჩინა[33]. ბაქარმა ისიც გაითვალწინა, რომ მამადყულიხანი, როგორც განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი და ადერბაიჯანის კეთილმოსურნე ანტიოსმალური მოძრაობის მონაწილე იქნებოდა. გ. მაისურაძე აღნიშნავს, რომ ბაქარისა და მამადყულიხანის მორიგებაში მონაწილეობა მიუღია გავლენიან ყარაბაღელ მელიქს კათალიკოზს ნერსესის ძმას ესაი უბაშს, ვინაიდან „საქმე არა მარტო ქართლისა და კახეთის ძალებს, არამედ ქართველებთან სომეხთა ძალების გაერთიანებასაც ეხებოდა“[34].

მიუხედავად ყველა ცდისა, აღორძინებულმა ოსმალეთმა, 1724 წლისათვის როგორც ამიერკავკასიაში, ასევე საქართველოში „ოსმალობის“ მძიმე რეჟიმის დამკვიდრება გადაწყვიტა.

---

27 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 506; ი. ტლაშაძე, დასახ. ნაშრომი, მუხ. 67.
28 ი. ტლაშაძე, იქვე.
29 М. Броссе, Переписка грузинских царей с российскими государями, с. 156.
30 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 506—501.
31 გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.
32 იქვე.
33 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 622.
34 გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

ბაქარს, მოღვაწეობის ამ ეტაპზე არც დიპლომატიური გონიერება და არც პოლიტიკური ალღო აღარ შველოდა. დაჩიხულ საქართველოში გონიერ და გულად პოლიტიკოსს სახელმწიფოებრივი თუ სამხედრო ღირსებების სრულად გამოვლენის რეალური შესაძლებლობანი ესპობოდა, მაგრამ, ბაქარი თურქეთის ჯარს იოლად მაინც არ ნებდებოდა. იგი კვლავ ახალციხის ფაშასთან ეძებდა დახმარებას, რომელიც თავის მხრივ, ოსმალთა უღელს ვერ ეგუებოდა და ბაქართან კავშირს ესწრაფვოდა. ბაქარი ახალციხის ფაშას შეეკრა და ერთიანი ძალით სომხეთის გავლით ახალციხესთან ბრძოლების განახლების გეგმა დასახა. სულთანმა, ახალციხის ფაშის საქციელი ღალატად ჩათვალა და იგი სასულთნო კარზე გაიწვია. ფაშამ გზაზე თავი მოიწამლა. ბაქარი ისევ მარტო დარჩა. ეხლა თურქეთის მთავრობამ ქართლში ახალი დიანბეგ ფაშა დასვა, რომელმაც კვლავ ქვეყნის აოხრებას მიჰყო ხელი. ბაქარი დარწმუნდა, რომ ბრძოლით ვერაფერს გახდებოდა, მამისა და ქსნის ერისთავის რჩევით, ბრძოლის ველი გაეცალა.

ბაქარმა ბევრი ბჭობისა და საუბრის შემდეგ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ფარხმლის დაყრა ქართველ პოლიტიკოსებს ძვირად დაუჯდათ. მათ ვიჩნიეს, რომ ასეთ ვითარებაში სამშობლოში აღარ ედგომებოდათ და სამშობლო დასტოვეს. ამ გამოუსწორებელი შეცდომის გამო, როგორც ცნობილია, მათ უცხოობაში დალიეს სული.. ასე ნაღვლიანად დამთავრდა ბაქარ ბაგრატიონის რთული და თავგანწირული მოღვაწეობა სამშობლოსათვის.

1724 წლის აგვისტოს ქართველი ლტოლვილები და მათ შორის ბაქარ ბაგრატიონიც რუსეთში ჩავიდნენ. ასტრახანიდან ვახტანგს ბაქარი მოსკოვს გაჰყვა. ბაქარმა რუსეთის მთავრობისაგან სამხედრო ჩინი მიიღო. იგი არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი გახდა და 1729 წ. 30 ნოემბერს მოსკოვის ოლქში საარტილერიო კონტროლის უფროსად დაინიშნა, რითაც გარკვეული პრივილეგიები მოიპოვა. მას, ვახტანგ VI-ისა და სხვა სამხედრო პოსტებზე მყოფ ქართველ თავადიშვილთაგან განსხვავებით, გარდა საყმო-სამამულო ფონდისა, განსამრჯელოდ უფრო დიდი თანხა დაენიშნა, მისი წლიური ჯამაგირი 5243 მანეთი იყო ოქროთი, მაშინ, როდესაც ვახტანგ და ელიზბარ ამილახორებს, ოთარ ჩოლოყაშვილს, ვახტანგ ორბელიანს და ჯაფარ ანდრონიკაშვილს ერთად 3826 მანეთი ჰქონდათ ოქროთი დანიშნული[35].

როგორც ცნობილია, თურქეთმა ისევ გააძლიერა აგრესია სპარსეთსა, კავკასიასა და კასპიისპირეთის წინააღმდეგ. ამდენად, რუსეთის საიმპერატორო კარმა მოინდომა ირანის ხელისუფლების პოზიცია გაერკვია და ირანში ნაღვაწ ვახტანგ VI-ეს ბაქართან ერთად 1727 წ. დაავალა ამ საქმის მოგვარება. რუსეთ-პრუსიის და რუსეთ-ავსტრიის დაზავებით შეშინებული თურქეთი ყურს იყრუებდა შექმნილ სიტუაციაზე. ყოველივე ამის გამო, რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ვახტანგ-ბაქარი იძულებული გახდნენ გილანში გამგზავრებულიყვნენ. მათ გამიზნული ჰქონდათ, ოფიციალურად თუ არა ფარულად მაინც, საქართველოს დაბრუნების საკითხი დაესვათ. ყოველივე ამას თითონ რუსეთის ხელისუფალნი დაუშვებლად არ მიიჩნევდნენ: „უწინარეს ყოვლისა შეეცდებიან (ვახტანგ-ბაქარი) თავისთვინ საქართველო მიიღონ“[36] — ასე აფასებდნენ რუსი დიპლომატები ვახტანგ-ბაქარის მისიას ირანში გამგზავრების წინ.

---

35 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 3078, გვ. 29, 35.

36 Г. Пайчадзе, Русско-грузинские отношения в 1726—35 гг. გვ. 80.

ვახტანგ-ბაქარი, თავის მხრივ, რუსეთის მთავრობისაგან ითხოვდნენ, რომ რუსეთიდან გაეგზავნათ სიმონი და ბაქარი, ხოლო შემდეგ, თავიანთი მიზნების განსახორციელებლად რაჭის ერისთავი და დადიანი უნდა შეერთებოდათ[37]. ამ გეგმის სისრულეში მოყვანის ერთ-ერთი აქტიური წევრი ბაქარ ბაგრატიონი იყო. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ეს გეგმა არ მიიღო. გილანში მოლაპარაკება საერთოდ არ მოხერხდა. საქართველოს საკითხი რუსეთის პოლიტიკის ინტერესების სფეროში არ თავსდებოდა, ვინაიდან რუსეთს თურქეთის დაეჭვების შიში აკავებდა. ბაქარ ბაგრატიონიც სრულიად უმოქმედოდ აღმოჩნდა. 1731 წელს ვახტანგ VI-ემ ანნა დედოფალს თითქოსდა გამოსძალა ბაქარის საქართველოში დაბრუნების დასტური, რომლის მიხედვით მას 294 კაცი თან უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ დასტური ფორმალური აღმოჩნდა. ბაქარს მოქმედების არავითარი საშუალება არ მიეცა და იგი ყოველგვარი დახმარების გარეშე კვლავ მოსკოვში დარჩა.

1732 წლის იანვრის ირან-რუსეთის რეშტის ზავის საფუძველზე საქართველო ირანის პროტექტორატში შევიდა??და, ცხადია, მექანიკურად ოსმალთა უღლისაგან განთავისუფლდა. რუსეთმა რეშტის ტრაქტატით მოიპოვა ირანში უბაჟო ვაჭრობის უფლება და ტრანზიტი ინდოეთში[38], მაგრამ ქართლის მმართველთათვის სამშობლოში დაბრუნება ისევ შეუსრულებელ ოცნებად დარჩა. ისიც ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობას განსაზღვრული ჰქონდა გამოეყენებინა ვახტანგ-ბაქარი (როგორც ამიერკავკასიის ხალხთა გამოსვლების ორგანიზატორები და მეთაურები) რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში. რუსი დიპლომატების აზრით, ვახტანგ-ბაქარის მხარდაჭერით უნდა მომხდარიყო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე რუსეთის პოლიტიკის გავლენის დამკვიდრება. ქართველ პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებით და, **ცხადია, რუსეთის მთავრობის დასტურით,** ბაქარი ვახტანგთან ერთად დერბენდში უნდა ჩასულიყო და ირანთან დიპლომატიური მოლაპარკება გაემართა. მაგრამ რუსეთის მთავრობამ მათი ჩასვლა კვლავ შეაჩერა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი ქართველ მეფეთა ამ პოლიტიკური აქტის წინააღმდეგ იყო, ბაქარმა ვახტანგთან ერთად მაინც დერბენდისაკენ გააგრძელა გზა. იმხანად, ნადირშაჰის გაძლიერებით შეშფოთებული რუსეთის დიპლომატები კატეგორიულად მოითხოვდნენ ბაქარ-ვახტანგის უკან დაბრუნებასა და სომხებთან მათი კავშირის გაწყვეტას. ბაქარი ვახტანგ VI-თან ერთად რჩევას რუსი დედოფლისაგან ითხოვდა[39]. ვფიქრობთ, რომ ვახტანგ VI თავისი ხანდაზმულობის გამო ვერ ახერხებდა ნადირთან მოლაპარაკების გზით (დიპლომატიური ხერხებით თუ ულტიმატუმებით), სამშობლოში დაბრუნებას, ამიტომ ბაქარს, ქართლის ყოფილ მეფეს, ეს მისია თვითონ უნდა ეკისრა. იგი ნადირთან უნდა წასულიყო მოსალაპარაკებლად და სომხების თანადგომით, შეიძლება ერთგვარი წარმატებებისათვისაც კი მიეღწია და ჯერ ოსმალთა მორჩილებისაგან, ხოლო მერე ახალი, ძლიერი და უმძიმესი შემოტევისაგან (რომელსაც ნადირშაჰი უმზადებდა) ეხსნათ საქართველო. „ოსმალობაზე“ არანაკლები „ყიზილბაშობა“ ქვეყანას კვლავ უდიდეს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საფრთხეს უქმნიდა. როგორც აღვნიშნეთ, ნადირშაჰთან შეხვედრა და მოლაპარაკება ქართველ პოლიტიკოსებს რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად აუკრ-

---

[37] Г. Пайчадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[38] Очерки истории, 1954, стр. 606.

[39] Г. Пайчадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

ძალა. ბაქარს როგორც ბაგრატიონთა შთამომავლის მდგომარეობა რუსეთის საიმპერატორო კარზე საკმაოდ პრესტიჟული და მყარი იყო. ბაქარის თანამშრომელი საარტილერიო კანცელარიის გენერალ-პორუჩიკი მიხ. დანილოვი აღნიშნავს, რომ მე და კაპიტანი მიხ. ვოეიკოვი წინასწარ ვაფრთხილებდით ბაქარს, როდესაც დედოფალი ელისაბედ პეტრეს ასული უნდა სწვეოდა სვესვიატსკოეს ილუმინირებულ სასახლესო. რა თქმა უნდა, დედოფალს საკადრისი ვახშმით უნდა გამასპინძლებოდნენ და ისიც ცხადია, დედოფლის სტუმრობა დიდი პატივი იყო ბაქარ ბაგრატიონისათვის[40].

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ანტონ კათალიკოსის წერილი თეიმურაზ II-ის ქალის ანასადმი, რომელიც ბაქარის ქალიშვილის ელისაბედის გათხოვებას და ქორწილის ცერემონიალს აღწერს. წერილიდან ირკვევა თუ რა დიდი პატივით ჩატარდა ბაქარის ქალიშვილის ქორწილი[41].

1736 წ. აპრილს განჯის რუსეთ-ირანის ხელშეკრულების რესკრიპტის (§ 8-ე) საფუძველზე ირანი ქართველ ბაგრატიონებს სამეფო ტახტის მპყრობელად სცნობდა, იმ პირობით, თუ ისინი ირანში ნადირ შაჰს ეახლებოდნენ. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ლოიალური და ელასტიური პოლიტიკით, ახორციელებდნენ ზონიერი ქართველი მეფეები, როსტომ მეფიდან მოყოლებული, საქართველოს პოლიტიკურ აღორძინებას, ქართლის სამეურნეო ცხოვრების წინსვლას, სააღმშენებლო სამუშაოთა გამოცოცხლებას — სარეწთა დაარსებას, ქართული კულტურის აღორძინებას, სოციალური ხასიათის ღონისძიებებს და სხვ. იმჯერად ქართველმა ბაგრატიონებმა, მათ შორის ბაქარმაც, ბოლომდე არ გაითვალისწინეს ქართველ მეფეთა მისია. შეეგუენ საქართველოს ბედს და რუსეთში დარჩნენ. ქართველ ბაგრატიონთა შაჰნადირთან ხლება შეუძლებელი შეიქნა (ეს სირთულე თვითონ ბაქარისა და ვახტანგის ზედმეტი სიფრთხილით იყო გამოწვეული) რუსეთის საიმპერატორო კარის ერთგულებაში დარწმუნებაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ქართველმა ბაგრატიონებმა ვერც ეს შესძლეს.

1735 წ. მაისში როდესაც ბაქარი მოსკოვში იყო, ხოლო ვახტანგი — ასტრახანში, ანნა დედოფალმა მიიღო ქართველი ტახტის მაძიებელთაგან სპეციალური წერილი, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ბაქარი რუსეთის იმპერატორის ნებას იოლად ასრულებდა და არ აპირებდა ნადირშაჰთან შეხვედრას[42].

ბაქარ ბაგრატიონის შემდგომი პასიურობა და საერთოდ მისი მამისეული პოზიცია, რუსეთისადმი სრული ერთგულება და აშკარა პოლიტიკური ოპოზიცია აღმოსავლელი მეფეებისადმი (ოსმალეთისა და ირანისადმი), მძიმე აგრესიაში გადაიზარდა. და, როგორც ზემოთ აღვნიშნე. ეს დამოკიდებულება ჯერ „ოსმალობასა“, ხოლო შემდეგ „ყიზილბაშობაში“ გამოვლინდა. 1735—1742 წწ. „ყიზილბაშობის“ დროს, როდესაც სპარსელებმა დაიპყრეს ქართლ-კახეთი, მას მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი დაცემა, სააღმშენებლო სამუშაოთა შეფერხება, ტყვის სყიდვის გაძლიერება; ლეკიანობის გახშირება და მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები (გივი ამილახვრისა და სხვათა აჯანყებანი უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ). ყოველივე ამას თან დაერთო ქარ-

---

40 ნ. მახათაძე, მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. III, 1989. გვ. 370.

41 მ. ქავთარია, XVIII ს-ის ქართული საზოგადოების ისტორიიდან, 1977, გვ. 124.

42 Г. Пайчадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

თველ მკვიდრთა აყრა-გადასახლება და ეროვნული სახელმწიფოს მოშლა. ვფიქრობთ, ბაქარს რომ უფრო მეტი აქტიურობა გამოეჩინა, საგარეო პოლიტიკაში, მაშინ, შესაძლოა, ახალ დამპყრობელს „ყიზილბაშობის“ დროს ასეთი ზიანი ვეღარ მოეტანა საქართველოსთვის. მით უმეტეს, რომ ბაგრატიონთა ტრადიციული მტრები — ქსნისა და არაგვის ერისთავები რუსეთში გადახვეწილ ბაგრატიონებს უკან დაბრუნებას და აქტიურ სამხედრო დახმარებას აღუთქვამდნენ. სამწუხაროდ, ბაქარ ბატონიშვილმა მიუხედავად იმისა, რომ მას რუსეთის მთავრობისაგან რაიმე რეალური პოლიტიკური და სამხედრო დახმარების იმედი აღარ ჰქონდა, მაინც რუსეთში დარჩენა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია. ბაქარი 1750 წ. მოსკოვში გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა არჩილ II-ის მიერ დაარსებულ დონის მონასტრის მოქვის ეკლესიაში. ბაქარის საფლავის ქვას სამხედრო ორნამენტები ამკობს და მნახველს ამცნობს, რომ იქ განისვენებს: **«Артилерии Генерал-Лейтенант и обоих Российских орденов кавалер грузинский царевич Бакар Багратони»**.

როგორც ჩვენი ნაშრომიდან ჩანს, ბაქარი თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში მამამისისაგან განსხვავებით, სამშობლოს ხსნის საკითხში არ იზიარებდა ევროპასა და რუსეთზე აშკარა ორიენტაციის პოზიციას. საერთაშორისო გონივრული პოლიტიკის გათვალისწინებით იგი, აღმოსავლეთთან, კერძოდ ირანთან ურთიერთობის დათმობით პოლიტიკას ამჯობინებდა. ეს იყო 1716—1719 წწ., როდესაც იგი საქართველოში აქტიურ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. მისი ასეთი განწყობილება სულხან-საბა ორბელიანისადმი ურთიერთობაშიც გამოვლინდა, როდესაც უკანასკნელი გაკათოლიკებული საქართველოში დაბრუნდა. ბაქარის საბასადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო ცნობილი გახდა, როდესაც ბაქარი დომენტი კათალიკოსთან ერთად საერთაშორისო საკითხებში აღმოსავლეთისადმი ნდობის პოლიტიკას დაადგა. ყოველივე ეს მოხდა ბაქარის რუსეთში გადასვლის წინა ხანებში. ვფიქრობთ, რომ ბაქარის პოლიტიკის ეს ხაზი იმ ხანად, ისტორიის იმ მონაკვეთში, უფრო მომგებიანი იყო საქართველოსათვის, ვინემ რუსეთის სახელმწიფოთი დაიმედება და ირან-ოსმალეთთან ოფიციალური, დიპლომატიური თუ რეალური კავშირის გაწყვეტა და აშკარა პროტესტის გამოცხადება, რომელიც უკიდურეს აგრესიაში გადაიზარდა (თურქეთისა და ირანის მხრიდან) და რასაც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლა მოჰყვა.

ბაქარ ბაგრატიონი XVIII ს-ის 20-იან წლებისათვის იცვლის თავის პოზიციას და მამა-ბიძებთან ერთად მთლიანად რუსეთზე იღებს ორიენტაციას. უფრო მეტიც, როგორც ვნახეთ, იგი რუსეთში გადასახლების შემდეგ, შედის რა რუსეთის სამხედრო და სამოხელეო სამსახურში აღარ ცდილობს აღმოსავლეთ საქართველოს ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს ის მძიმე ტვირთი, რაც „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ დამკვიდრებას მოჰყვა თან. საერთაშორისო პოლიტიკური რეალობის გაუთვალისწინებლობამ, რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების ცდამ, ხოლო ქართლის მმართველი საზოგადოების რუსეთში გადასახლებამ, ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას ნიადაგი გამოაცალა. თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე (1724—1744 წწ.) ქართულმა ეროვნულმა სახელმწიფო წყობილებამ შეწყვიტა არსებობა და „ოსმალობამ“ და „ყიზილბაშობამ“ ქართლ-კახეთში ტიპიური თურქულ-ირანული პოლიტიკური რეჟიმი დაამყარა მანამ, სანამ თეიმურაზ II-ემ და ერე-

კლე II-მ არ მოახერხეს ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანება, ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად ქცევა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამ ორ სამთავროს აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეწოდა.

ბაჭარ ბატონიშვილის კულტურულ-საზოგადოებრივი საქმიანობა

ბაჭარის კულტურულ-საზოგადოებრივი საქმიანობა, როგორც მისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა არსებითად ორი ეტაპისაგან შედგება. პირველი მოიცავს საქართველოში გატარებულ წლებს (1712—1724 წწ.), მეორე კი რუსეთში ცხოვრების ხანას (1724—1750 წლებს). ბაჭარმა ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა, კერძოდ, თავისი მეფობის 1716—1719 წწ., როცა ამან საქართველოს ხელმძღვანელობა და მმართველობა იკისრა.

პირველი, რამაც ბაჭარის ყურადღება მიიპყრო, იყო ქართული სტამბის აღორძინება, რომლის საქმიანობა ვახტანგის ირანში წასვლისთანავე შეჩერდა. 1717 წ. თბილისის ქართულ სტამბაში, რომელიც პირველი იყო იმიერ და ამიერკავკასიაში, დაიბეჭდა „ლოცვანი“. ქართული სტამბის აღორძინება ბაჭარმა მესტამბე გაბრიელ საგინაშვილ-გარსევანიშვილის მეშვეობით შეძლო. გაბრიელმა „ლოცვანის“ ტექსტს ვახტანგ VI-ისა და ნიკოლოზ ორბელიანის წინასიტყვაობა წარუმძღვარა და გამოსაცემად მოამზადა[43]. 1709 წ. როდესაც ვახტანგ VI-ემ ქართული სტამბა შექმნა ბაჭარი 9 წლისა იყო. როგორც ცნობილია, ქართული მოწინავე საზოგადოებრიობისა და ვახტანგ VI-ის მცდელობით დაიბეჭდა სასულიერო და საერო ხასიათის ნაწარმოებები — „სახარება“ და „ვეფხისტყაოსანი“, რომელთაც ცხადია, როგორც მომავალი მმართველი — ბაჭარისათვის, ისე ყოველი ქართველისათვის განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბაჭარმა 1717 წ. იმავე გაბრიელ მესტამბის მეშვეობით გამოაქვეყნა „ჟამნი“[44], რომელიც „ლოცვანის“ ანალოგიურად მეორეჯერ დაასტამბინა, რაც უთუოდ ეროვნულ-ლიტურგიკული ლიტერატურის სულიერ მოთხოვნას და საჭიროებაზე მეტყველებდა. ცხადია, მას მაჰმადიანურ გარემოში ერთგვარი პოლიტიკური მნიშვნელობაც კი ჰქონდა, მაშინ, როდესაც ფორმალურად, ვახტანგ VI-ე და ბაჭარი გამაჰმადიანებული იყვნენ და ქრისტიანულ სასულიერო ლიტერატურისადმი ინტერესი არ უნდა დაკარგულიყო. ამით აიხსნება ბაჭარის გაძლიერებული ზრუნვა ქრისტიანული ლიტერატურისადმი. ამიტომაც 5 წლის შემდეგ კვლავ აღდგა თბილისის სტამბა. 1719—1720 წწ. ბაჭარმა სამთავნელ-ეპისკოპოსს კვიპრიანეს, რომელსაც კარგად ჰქონდა ათვისებული „ელინთა ენის საიდუმლოებანი“, საკუთარი „ხარჯებით“ გამოაქვეყნებინა ბერძნულიდან თარგმნილი „კურთხევანი ეკლესიათა“[45].

1720 წელს ბაჭარისავე საფასითა და მცდელობით მოხდა „პარაკლიტონის“ დასტამბვა: „პარაკლიტონის“ წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ წიგნი გაუფორმებია და მოუხატავს თბილისის სიონის მხატვარს გიორგის[46].

---

43 ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, 1941, გვ. 29.

44 იქვე, გვ. 26.

45 იქვე.

46 იქვე, გვ. 26.

XVIII ს-ის 20-იანი წლებისათვის მთავრდება ბაქარის კულტურული მოღვაწეობის პირველი პერიოდი, როდესაც ბაქარი საქართველოს მმართველია და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქრისტიანული ლიტერატურის ბეჭდვასა და გავრცელებას. შემდგომში, 1725 წლიდან მოსკოვში გადასახლებული ბაქარი კვლავ აგრძელებს ქართული კულტურისადმი დიდ ზრუნვას. ამდენად, ბაქარის საქმიანობაში იწყება კულტურული მოღვაწეობის ახალი ეტაპი. ბაქარი ცდილობს ქართული ლიტერატურის გავრცელებას ქართველ კოლონისტთა შორის.

რუსეთში ჩასული ქართველი კოლონისტები, ცხადია, რუსულ ენას დაუფლებული არ იყვნენ. ამიტომ 1725 წელს ბაქარის დავალებით ითარგმნა ლექსიკონის ტიპის რუსული ენის სახელმძღვანელო „ვაკაფა“[47], რომელშიც ქართული ასოებით მოცემული იყო რუსულ სიტყვათა განმარტება. ცხადია, ეს სამუშაო სწრაფად შესრულდა, რის შედეგადაც ქართველ მოსახლეთა რუსეთში არსებობა როგორმე უნდა გაადვილებულიყო და ენობრივი ბარიერი ქართველებსა და რუსებს შორის შესუსტებულიყო. ბაქარის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოსკოვში ქართული სტამბის დაარსება იყო. ქართული სტამბის დაარსებით დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა. იმდენად, რომ მას გერმანული ჟურნალიც კი გამოეხმაურა[48].

სტამბის მოწყობის საქმე 1737 წლამდე გაგრძელდა. რუსეთის საარქივო მასალის მიხედვით, დგინდება, 1737 წლის მაისამდე ქრისტეფორე გურამიშვილი (დავითის ძმა) პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას სთხოვდა ხელი შეეწყოთ ქართული სტამბის მოწყობასა და მის სრულ გამართვაში[49]. 1737 წ. მაისში ბაქარს ქართული სტამბის მოწყობის ნება დართეს. აი, რას სწერდა იგი სინოდს: „ქართულ წიგნებზე დიდი მოთხოვნილების მიუხედავად, დღემდე არ დაგვიბეჭდია სინოდის უკურთხევლად“-ო[50].

სინოდმა ბაქარს საგამომცემლო გეგმა მოთხოვა, შემდეგ კი ქართულ პუბლიკაციათა რუსულთან შედარება გახდა საჭირო. 1737 წ. დეკემბერს „ხელითა საქართველოს სამღვდელო კაცთათა, რომელნიც მოსკოვს იმყოფებოდენ“ დასრულდა „დავითნის“ დაბეჭდვა. „დავითნს“ იოსებ სამებელმა კახეთის მწიგნობართუხუცესის ქვაბულიძის წინასიტყვაობა წარუმძღვარა. სადაც ვკითხულობთ, რომ ბაქარის ბრძანებით, თავისი საფასით შეუძენია ქართული სტამბის ხელსაწყოები და ქრისტეფორე გურამიშვილის თანაშემწეობით მოუხერხებიათ „დავითნის“ დაბეჭდვა[51].

1738 წ. კვლავ მოხდა საღმრთო წიგნის გამოქვეყნება რუსეთში მყოფ ქართველთათვის. მასაც ხუცესმონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი ხელმძღვანელობდა. „ზატიკის“ ბოლოსიტყვაობაში აღნიშნულია, რომ იგი რუსული ტექსტისათვის შეუდარებიათ, დაუმატებიათ ენათა სხვაობანი და ასე დაუბეჭდავთ ქართული ტიპიკონი[52].

ბაქარს 1739 წ. ბერძნული ლიტერატურის ათვისებისა და გამრავლებისათვის მოუკიდია ხელი. მისივე მცდელობით დაბეჭდილა ალექსანდრე არჩი-

---

47 ხელნაწ. ინსტიტუტი, ფ. S, 4719.

48 ფ. სიხარულიძე, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. 30-იანი წლ.) ჟურ. „მეგობრობა“ 1979, გვ. 43.

49 იქვე.

50 იქვე, გვ. 49—51.

51 ქართული წიგნი, გვ. 35.

52 ქართული წიგნი, გვ. 35—36.

ლის ძის 1710-იან წლებში თარგმნილი, ბასილი მაკედონელის თხზულება ე. წ. ტესტამენტი.

1739 წ. კი ბაქარის მცდელობით დაბეჭდილი სასწავლო წიგნი განკუთვნილი ყოფილა პედაგოგებისათვის. სახელმძღვანელოში მოცემული იყო სქემა, თუ რა წესითა და რიგით უნდა აღზრდილიყო ქართველი ახალგაზრდობა. იგი რუსულიდან ქართულად უთარგმნია დარეჯან არჩილის ასულის მოლარეთუხუცესს გაბრიელ ჩხეიძეს, ხოლო რედაქტორება გაუწევია გერმანე არქიმანდრიტს[53].

ამრიგად, ეს პირველი სასწავლო სახელმძღვანელო ბაქარის ინიციატივით იქნა დაბეჭდილი და გამრავლებული. რომელსაც ქართული პედაგოგიური მეცნიერებისათვის მეტად საგულისხმო მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქ კარგად იყო განმარტებული თუ ქართველ ყრმას, რა სახით უნდა შეეთვისებინა საღმრთო რჯული, დაწყებული ანბანით და გათავებული საღმრთო წერილით. ეს პირველი ქართული სახელმძღვანელო, ცხადია, ქართული სწავლა-განათლების საჭიროებას და მოთხოვნას შეესატყვისებოდა და ეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, როგორც ბაქარს, ისე ქართული კოლონიის მოწინავე წარმომადგენლებს. ერთი წლის გამოშვებით 1739 წ. მოღ. ბაქარისავე განკარგულებით და ინიციატივით იბეჭდება ნუსხა-ხუცურით „სახარება“[54].

ბაქარის ინიციატივით მწიგნობართა ჯგუფი კვლავ აგრძელებს თავის კულტურულ საქმიანობას. ორი წლის შემდეგ 1741 წ. იბეჭდება „მარხვანი“[55]. ამგვარად, ბაქარის თაოსნობით მნიშვნელოვანი ლიტურგიული ხასიათის ნაშრომები ითარგმნებოდა მოსკოვში. ბაქარი, მარტო საღმრთო და საერო ლიტერატურით არ იყო დაინტერესებული. მან დიდი გულისყური გამოიჩინა სპეციალური ეკონომიკური ხასიათის მეცნიერებისადმი. მისი პრაქტიკული გამოყენებისადმი. იგი მიიჩნევდა, რომ მის სამშობლოში საჭირო იყო ევროპული თუ რუსული ეკონომიკური ხასიათის გამოცდილებათა გაცნობა. ამ მიზნით მან 1738 წელს პეტერბურგში სვიმონ მაკაცარიძეს ათარგმნინა ფრანგულიდან რუსულ ენაზე უკვე თარგმნილი ე. წ. „იკონომია“. ეს სამეცნიერო წიგნი ასახავდა რა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, მიუსადაგებდა საყოფაცხოვრებო საკითხებსაც[56].

1743 წ. ბაქარს აქტიური მონაწილეობა მიუღია ცნობილი მოსკოვის „ბიბლიის“ დაბეჭდვაში. მთელი ხარჯები თითონ გაუღია. „ბიბლია“ 300 ცალი ტირაჟით იქნა გამოქვეყნებული[57]. ბიბლიის წინასიტყვაობა ეკუთვნის ბაქარს, სადაც იგი მოგვითხრობს თუ როგორ შეუგროვებია გადამწერთა მიერ წარყვნილი, მიმოფანტული ბიბლიის ნაკლული ნაწილები, ებრაულ, ასურულ, ელინურ, ბულგარულ და სომხურ ბიბლიებთან შეჯერების შედეგად მიუღიათ არსებული ბიბლია, რომელიც ძველ ქართულ ლიტერატურულმცოდნეობაში აღნარებულია, როგორც ბიბლიის ერთ-ერთი სრულქმნილი ნიმუში[58].

საგულისხმოა, რომ ბაქარის 1743 წ. „ბიბლია“ წინ უსწრებდა ი. ლიპა-

---

54 ქართული წიგნი, გვ. 39.

55 იქვე, გვ. 40; ნ. მახათაძე, მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, 1989, გვ. 371.

56 ხელნაწ. აღწერილობა, 11, 1962, ფ. S, № 68.

57 ქართული წიგნი, გვ. 44.

58 იქვე.

ტინსკის რუსულ ბიბლიას, რომელიც 1751 წ. ყოფილა დასტამბული[59]. არ არის გამორიცხული, რომ ბაქარისეული ბიბლია იყო ერთგვარი ნიმუში ლიპატინსკის ბიბლიისათვის. ყოველ შემთხვევაში, ბაქარისეული ბიბლია, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღიარებული, ერთ-ერთი სრულქმნილი მეცნიერულ ტექსტოლოგიური შემოქმედების ნაყოფია, რომელსაც ასე რუდუნებით ქმნიდნენ ბაქარის თაოსნობით სამშობლოდან მოშორებით მყოფ სწავლულები[60].

საინტერესოა, რომ მოსკოვში გამოცემული ბიბლიის ცალები იგზავნებოდა პეტერბურგში, ნოვგოროდსა თუ რუსეთის სხვა კუთხეებში, ცხადია, განსაკუთრებით საქართველოში. მათი ეგზემპლარები დღეს საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავის იშვიათ ფონდში ინახება. აღსანიშნავია, რომ ბაქარის ბიბლიის ეს ეგზემპლარები პერსონალურად ეგზავნებოდა საჩუქრად თბილისის ეკლესიებსა და ქერძო პირებს. მაგალითად, ბაქარი წარწერით უგზავნის ბიბლიას წმ. ნინოს ეკლესიას[61], მეორე ეგზემპლარი იგზავნებოდა ყიზლარში[62]. ასევე მინაწერით იქნა გაგზავნილი ბიბლიის ერთ-ერთი ეგზემპლარი კაცხში[63].

ბაქარის ბიბლიას, როგორც ცნობილია, გარდა ბაქარის ბოლოსიტყვაობისა ახლავს ვახუშტი ბატონიშვილის ბოლოსიტყვაობაც, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ერთი წლის მუშაობის შედეგად „გადმოიღო რა ლათინურიდან... ნაწილები“, დაჰყო თავებად და მუხლებად და ასე მოამზადა დასაბეჭდად[64]. საერთოდ, ბიბლია ბაქარის სასახლეში სვესვიატსკოეში ყოფილა დასტამბული. ხოლო რომანოზ მიტროპოლიტს სინოდისადმი მიმართვა გაუგზავნია, რათა ბიბლიის ცალები საქართველოში გადაეგზავნათ[65].

ამრიგად, ბიბლის დაბეჭდვას ეროვნული აზროვნების აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნიშანდობლივია, რომ 1743 წ. ბიბლიის წინასიტყვაობაში მოცემულია ბაქარ მეფის ოჯახის გენეალოგია, რომლის მიხედვით ბაქარს ჰყავდა თანამემცხედრედ გიორგი არაგვის ერისთავის ასული ანნა, რომლისგანაც შესძენია სამი შვილი: ლევანი, ალექსანდრე და ელისაბედი. აქვე მოხსენიებულია მისი ძმა გიორგი.

1743 წელსვე ბაქარის ბრძანებით დაიბეჭდა მეორე მნიშვნელოვანი თხზულება „ჟამნი“, იგი სვესვიატსკოეში აუწყვია მღვდელმონაზონ ქრისტეფორეს.

1744 წ. იმავე კოლექტივმა ბაქარის თაოსნობით დასასტამბად მოამზადა იოანე დამასკელის თხზულება „გარდმოცემა მართმადიდებლისა სარწმუნოებისა“. იგი არსენ იყალთოელს უთარგმნია.

1745 წ. ბაქარის განკარგულებით ითარგმნა ავრეთვე, „მოკლე სიტყვისგება სოკრატისა“[66], რომლის გადამწერი ცნობილი მელქისედეკ კავკასიძე იყო.

---

59 ს. ყაუხჩიშვილი, რუსულ-ქართული კულტურის ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს.. „ლიტერატურული ძიებანი“, X, 1956, გვ. 229.

60 ნ. მახათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 377.

61 საჯარო ბიბლიოთეკა, იშვიათ განყ. ფონდი

62 იქვე. K. 83/609.

63 იქვე.

64 პ. გუგუშვილი, საქართველოს და კავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს.. თბ., 1984, გვ. 18.

65 მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, თბ., გვ. 142.

66 ხელნაწ. ინსტიტუტი, ტ. 11, 1951, ფ. II, 621, ფ. 69.

ეს უკანასკნელი სამუშაო ნიშანდობლივი ფაქტია ბაქარის ერუდიციისა, მისი ფართო შეხედულებითი და მეცნიერული დიაპაზონისა.

ანალოგიური სამუშაო შესრულდა 1749 წელს. ბაქარის მცდელობით რუსულიდან ითარგმნა „წიგნის სამეცნიერო“, სადაც თავმოყრილი იყო ბერძენ ფილოსოფოსთა აფორიზმები და ბრძნული აზრები. წიგნის ანდერძში ვკითხულობთ: „აღიწერა წიგნი ესე სამეცნიერო ბრძანებითა ბაქარ... მრავალჟამიერ ყოს უფალმან. წელსა 1749 15 მარტს“[67].

ბაქარის მოღვაწეობა რუსეთს გარეთაც ხდება ცნობილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბაქარის მეცნიერული მოღვაწეობის წყალობით ფრანგმა სწავლულმა დე ლილმა ხელმისაწვდომი გახადა ქართველ მეფეთა გენეალოგია გერმანელი ფ. ბრენიტენბაუხისა და ფრანგი ისტორიკოსებისათვის, რომელთაც იგი გამოიყენეს სპეციალურ ლიტერატურაში. უნდა აღინიშნოს, რომ XVIII ს-ის ნახევრისათვის ევროპაში მსგავსი ისტორიული მასალა კავკასიისა და საქართველოს შესახებ თითქმის უცნობი ყოფილა[69]. იმავე ხანებში, ავსტრიელი მეცნიერი ი. ადელუნგი, აღნიშნავს, რომ მოსკოვში ჩასვლისთანავე მას გააცნეს მეფე ბაქარისა და მისი ძმის (ვახუშტის) მიერ გამოცემული „ბიბლია“[70].

ამრიგად, ბაქარ ბაგრატიონის კულტურული მოღვაწეობა ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ: 1. საქართველოში ყოფნის პერიოდი 1716—1724 წწ, როდესაც იგი სახელმწიფოებრივ საქმიანობასთან ერთად და სხვადასხვაჯურის მტრებთან ბრძოლების მიუხედავად, მრავალ ღონისძიებას ახორციელებს და 2. 1724 წლიდან 1750 წ., როდესაც იგი თავისი ცხოვრების თითქმის ნახევარს სამხედრო-ადმინისტრაციულ მოღვაწეობას, ქართული აზროვნების განვითარების საქმეს უთავსებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. ბაქარისეული „ბიბლიის“ გამოსაცემად მომზადება, ბერძენ ავტორთა აფორიზმების მოძიება-გადმოქართულება და შემდეგ მათი დასტამბვა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მყოფი ქართველი მოღვაწენი, როგორც ბაქარი, ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში თავის ძალებს არ ზოგავდნენ, მაინც, როგორც ნ. ბერძენიშვილი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს: „საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის კოლონია მშობლიურ კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობასაც არ ქმნიდა“[71]. ასეთი იყო რუსეთში მყოფ ქართველ ე. წ. „კოლონისტთა“ ტრაგედია.

---

67 ხელნაწ. ინსტიტუტი, ტ. 11, 1951, ფ. H, № 2434, გვ. 39; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 380—381; ლ. ძოწენიძე რუსული „აპოვეგმატის“ ქართული რედაქციები, 1959.

68 Н. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII вв., 1965, Тб., с. 178.

69 იქვე.

70 იქვე, გვ. 181.

71 ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 195.

М. Г. КИКОДЗЕ

ОБЩЕСТВЕННО-ГОСУДАРСТВЕННАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ БАКАРА БАГРАТИОНИ

Резюме

К десятым годам XVIII века при картлийском дворе в решении международных вопросов определялись две противоположные, взаимоисключающие тендиции. Вахтанг VI и Сулхан-Саба Орбелиани, взявшие ориентацию на Европу и Россию, противостояли Бакару Багратиону и каталикосу Доментию. Последние стояли на позиции политического соглашения с Ираном и Турцией.

Бакар Багратиони, учитывая существующую политическую обстановку — отношения европейских стран с Ираном и Турцией в решении вопроса Закавказских стран, берегов Каспийского и Черного моря, старался проведением эластичной, тонкой политики нейтрализовать попытку окончательного утверждения исламского режима. Бакар Багратиони искоренил персидский поработительский институт, возглавляемый т. н. Холопом, учрежденный в Картли после того, как Вахтанг VI в 1712 г. остался в Иране.

В период правления в Картли Бакара-Шахнавазхана, в 10-х — 20-х годах XVIII в. началось экономическое и политическое возрождение страны.

Бакар Багратиони был одним из самых активных деятелей из закавказских народов, возглавивших борьбу народов против иноземных завоевателей.

В 1724 г. Бакар проиграл войну с турками и вместе с представителями царского дома переехал в Россию.

В России он, наряду с военной и общественной деятельностью, развернул большую работу в области культуры, особое значение в которой придается изданию и распространению «Библии».

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

ავთანდილ სოლოლაშვილი

ეროვნული ენა და ეროვნული ურთიერთობა საქართველოში

(1921—1925 წწ.)

ეროვნული მოძრაობის აქტივიზაციის კვალობაზე, განსაკუთრებით 80-იანი წლების მეორე ნახევარში მრავალი უმწვავესი პრობლემა დაგვიგროვდა, რომლებმაც ეთნოკონფლიქტების სახით მკვეთრად იჩინეს თავი. ამის მიზეზი კი უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ წლების განმავლობაში უყურადღებოდ რჩებოდა, უფრო მეტიც, იჩქმალებოდა „ხალხთა ურღვევი ძმობის“ მოჩვენებითი ლოზუნგის უკან ამ სფეროში არსებული უამრავი მტკივნეული პრობლემა. აშკარად უნდა ითქვას, რომ მრავალი ასეთი პრობლემა ტაბუდადებული იყო კომუნისტური პარტიის მიერ. მრავალი ეროვნული და ეროვნებათაშორისი საკითხები არასწორად, დამახინჯებულად, ისტორიული ფაქტების აშკარა იგნორირებით, შიშველი ადმინისტრაციულ-ბრძანებლური მეთოდებით წყდებოდა[1].

პოლიტიკოსებმა, თავიანთი აზრით, ერთაშორის შემორიგების უებარი საშუალება აღმოაჩინეს, როცა ღმერთი უარყვეს. „მაგრამ მოხდა ისე, რომ პოლიტიკურმა კომპრომისმა სარწმუნოებრივი კომპრომისი გამოიწვია და ის დრო, რომელიც ღმერთის არსის ახსნასა და შეტყობინებას უნდა მოხმარებოდა, მოხმარდა სარწმუნოებრივი შუღლის გამწვავებას“[2]. ამიტომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა ეროვნული და ეროვნებათაშორისო საკითხები. აუცილებელი გახდა რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის არსებითი რეორგანიზაცია[3].

თუ 1800 წელს არაქართული მოსახლეობა საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 11%-ს შეადგენდა, 1897 წელს არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გაიზარდა. XIX ს-ის დამლევისათვის საქართველო კიდევ უფრო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, ვიდრე წინა საუკუნეში. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი იყო მრავალი სოფელი, რომელთა მოსახლეობა მთლიანად არაქართველთაგან (სომხები, ბერძნები, რუსები) შედგებოდა და ყოფა-ცხოვრებით დიდად განსხვავდებოდა აბორიგენი მოსახლეობისაგან. კიდევ უფრო მრავალეროვანი გახდა ქალაქები, სადაც აღებ-მიცემობას უმთავრესად არაქართველები მისდევდნენ[4].

---

1 ცხოვრება, 1991, 16 თებერვალი.

2 გ. კაჭარავა, ვინ არის იესო ქრისტე, თბ., 1991, გვ. 37.

3 რ. მეტრეველი, კლიოს მფარველობის ქვეშ, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 4, გვ. 8—9.

4 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 766—767.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში არაქართველები 851 557 სულს, ანუ მოსახლეობის 32,3%-ს შეადგენდნენ. ამ დროისათვის საქარველოში ცხოვრობდა 19 კომპაქტურად და 33 გაფანტულად დასახლებული ეროვნება[5]. მოსახლეობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ 20—30-იან წლებში შეიმჩნეოდა ქართველი მოსახლეობის ზრდის შემცირება. მაგალითად. 1922 წელს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 74,7%-ს შეადგენდნენ. 1926 წელს 70,9%-ს, ხოლო 1939 წლის მონაცემებით 64.6%-ს[6].

ქართველი ერის ისტორიულ უბედურებად უნდა ჩაითვალოს მისი ინტერნაციონალური ბუნება იმ დამახინჯებული გაგებით, როგორადაც იგი ეპყრობოდა და ეპყრობა ყველა ჯურის გადამთიელს. სხვა ერებისადმი დამოკიდებულების საკითხში ჩვენმა ზომაგადასულმა სათნოებამ, თვით საქართველოს მტრებისადმიც კი გულთბილმა მოპყრობამ და მათთვის ეროვნული კარის ფართოდ გაღებამ, — სტუმართმოყვარეობის ამ დამახინჯებულმა გაგებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ერს[7].

ერის სიცოცხლისა და სიმხნევის წყარო, მისი ბურჯი და დაუშრეტელი ოაზისი დედა-ენაა. ამიტომაც მტრის მახვილი, მისი მზაკვრული ოინები. პირველ ყოვლისა, დედა-ენის აღკვეთისაკენ, მომავალი თაობის „დამუნჯებისაკენ", ქართველი ხალხის რუსიფიკაციისაკენ იყო მიმართული.

ენის წართმევით ქართველ ხალხს, მოზარდ თაობას ერთმეოდა თავის ქვეყანაში სულიერი კონტაქტის ყველაზე ეფექტური იარაღის გამოყენების აზრის, ჰკუის, ეროვნული მეობის, თავისთავადობის, პიროვნული ღირსებისა და თავისუფალი შემოქმედების საშუალება[8]. დიდი ილია ბრძანებდა, რომ „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამღთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს"[9].

XIX ს-ის დასასრულს და XX ს-ის პირველ ათწლეულში თვითმპყრობელობამ შეძლო ქართული ენის როლის დაკნინება — მკვეთრად შეზღუდა მისი მოქმედების სფერო, დაუშვა რა მისი მოქმედება მხოლოდ საკულტო ადგილების ფარგლებში და აგრეთვე მცირერიცხოვან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში[10]. შემდეგში, რაც მეფის მთავრობამ დააკლო ქართულ ენას ის ბოლშევიკურმა რეჟიმმა შეუსრულა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე, 1922 წლის ივნისის ბოლოს ორჯონიკიძე აღნიშნავდა, რომ „ქართველები საქართველოში — ესენია ოქტიაბრელკორუსები რუსეთში. ესაა „მპყრობელი" ერი — მას არ შეუძლია იცოდეს პარაკოს იმაზე, რომ მას ჩაგრავენ, რადგან ის არის გაბატონებული ერი საქართველოში"[11]. ღიმილს იწვევს საქართველოსა და ქართველების შე-

---

5 ვ. პიტოევი, საბჭოთა არჩევნები და ეროვნული უმცირესობანი, ჟურნ. „საბჭოთა აღმშენებლობა", 1929, № 3, გვ. 33.

6 საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ, თბ., 1991, გვ. 51.

7 შ. მჭედლიშვილი, იმპერიის მარწუხებში, თბ., 1990, გვ. 28.

8 ტ. სარიშვილი, იაკობ გოგებაშვილის ეროვნული პროგრამა და საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა აღზრდა-განათლების საკითხები, თბ., 1990, გვ. 24.

9 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. V, თბ., 1991, გვ. 30.

10 ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო, თბ., 1991, გვ. 192.

11 გ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, თბ., 1986, გვ. 192.

დარება ველიკორუსებთან. ორჯონიკიძის სიტყვით გამოდის, რომ თავის სამშობლოში გაბატონებული ერი „მპყრობელი“ ერი ყოფილა. ე. ი. არ ყოფილა კანონზომიერი, რომ საფრანგეთში ფრანგი, ინგლისში ინგლისელი და საქართველოში ქართველი ყოფილიყო ბატონ-პატრონი თავისი ქვეყნისა. იქვე „ბრძენ პოლიტიკოსს“ (და სხვა გამოსვლების დროსაც) აჭარლები ქართველებისაგან ცალკე ეროვნულ უმცირესობად მიაჩნია[12].

ორჯონიკიძის აზრით, „ჩვენ სომხებს უნდა ვუთხრათ: თქვენ შეგიძლიათ ახალქალაქში აწარმოოთ საქმეები სომხურ ენაზე. თუ ქართველებს სურთ აწარმოონ თავიანთი საქმეები ქართულ ენაზე*, მაშინ სომხებსაც და აფხაზებსაც მიეცით ნება აწარმოონ საქმეები თავიანთ მშობლიურ ენაზე“[13]. აი, კიდევ ერთი ნიმუში სახელმწიფო ენის აბუჩად აგდებისა. გამოდის, რომ საქართველოში რამდენი ეროვნებაც ყოფილა იმდენ ენაზე უნდა ყოფილიყო საქმის წარმოება.

სალაპრაკო ენათა თანასწორობის იდეამ მკვიდრ ეროვნულ მოსახლეობას მომავალში აუმხედრა ეროვნული უმცირესობის ნაწილი. ლოზუნგმა: „საკითხი სავალდებულო სახელმწიფო ენის შესახებ კარგავს თავის სიმძაფრესა და მნიშვნელობასაც კი“ საქართველოს ტერიტორიაზე, მართლაც, დაუკარგა ქართულ ენას ის უპირატესობა, რაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მშობლიურ, სახელმწიფო ენას ენიჭება. ფაქტობრივად სომეხს, აზერბაიჯანელს, ოსსა და სხვ. ისეთივე სურვილები და უფლებები გაუჩნდა, როგორიც მათ უნდა ჰქონოდათ თავის საკუთარ რესპუბლიკებში.

ქართული ენისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას აძლიერებდა ის გარემოება, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებებთან ურთიერთობისათვის ამა თუ იმ ხალხს შეეძლო გამოეყენებინა მშობლიური ენა და პასუხიც მიეღო ამავე ენაზე[14].

სახელმწიფო ენისადმი მცდარი დამოკიდებულება ქართველმა ბოლშევიკებმა გამოთქვეს ჯერ კიდევ რსდმპ(ბ) კავკასიის I სამხარეო (საოლქო) ყრილობაზე 1917 წ. ოქტომბერში ყრილობა „მოითხოვდა სახელმწიფო ენის პრივილეგიის მოსპობას და ენათა თანასწორუფლებიანობას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში“[15]. ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყეს აღნიშნული მოთხოვნის ცხოვრებაში გატარება.

1923 წლის ივნისში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ „...ურთიერთობის ენა ახალქალაქის მაზრასთან — სომხურია, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში — რუსული ან თურქული, თვით მოსახლეობის არჩევანის მიხედვით. ყველა სახალხო კომისარიატი, აგრეთვე ყველა დაწესებულება ვალდებულია გასცეს პასუხი იმ ენაზე, რომელზეც შემოსულია განცხადება“.

იმავე წლის 9 აგვისტოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ახალციხის მაზრაში დაწესდა აზერბაიჯანული, ქართული, რუსული და სომხური. მოცემული თემის ეროვნული შემადგენლობის შესაბამისად ახალ-

---

12 გ. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 192, 193, 244, 250.

* საინტერესოა, საქართველოში ქართველებს რა ენაზე უნდა გასჩენოდათ სურვილი საქმის საწარმოებლად.

13 გ. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 193—194.

14 Борьба за победу Советской власти в Грузии, документы и материалы, Тб., 1958, с. 83.

15 იხ. უ. სიდამონიძე, ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წელი), კრ. „ქართული ისტორიოგრაფია“, თბ., 1968, გვ. 329.

ქალაქის მაზრაში მთავარ ენად სომხური, ხოლო თემებთან ურთიერთობის ენა — რუსული, აზერბაიჯანული, ქართული და სომხური[15].

შესაბამისად ამიერკავკასიის ცაკის 1923 წლის ივნისის დეკლარაციისა და 13 აგვისტოს დეკრეტისა მაზრის იმ დაწესებულებებში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არაქართული ეროვნებისა იყო, საქმე უნდა წარმოებულიყო ამ უმრავლესობის ენაზე.

რაც შეხება სასამართლო წარმოებას, განსაზღვრული იყო, რომ მხარეს, რომელმაც არ იცოდა სახელმწიფო ენა და ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა უმრავლესობის ენა, უფლება ეძლეოდა საჩივარი, განცხადება და სხვ. დაეწერა ამ მაზრის ეროვნულ უმცირესობათა ენაზე და მოეთხოვა პასუხი ამავე ენაზე[16].

ამრიგად, დეკრეტი იცავდა ეროვნულ უმცირესობათა ენის უფლებებს და უგულებელყოფდა ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას. ზემოაღნიშნული აქტით ჩაგრული მხოლოდ ქართული ენა გამოდიოდა. ასეთი მიდგომით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას არავინ ავალებდა ესწავლა და აუცილებლად სცოდნოდა იმ ერის ენა, რომლის ტერიტორიაზეც იყო დამკვიდრებული. პირიქით, ქართველი ხდებოდა იძულებული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველებისათვის მიემართა რუსულად ან მის მშობლიურ ენაზე.

ეროვნული უმცირესობის ენების თანასწორუფლებიანობა იმ ენასთან, რომელიც სახელმწიფო ენაა, ერების პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობასაც გამორიცხავს. ცალკეულ რაიონსა თუ მაზრაში მცხოვრებ მცირე ერებს გაუჩნდათ სინდრომი მათ მიერ დასახლებული ქართული ტერიტორიის მშობლიურად მიჩნევისა და დასაკუთრებისა.

მართალია, უკვე 1921 წელს საქართველოს რევკომმა რამდენჯერმე გამოსცა ბრძანება, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა ქართული ენა ყოფილიყო*. ბრძანების მიხედვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში ვალდებული იყვნენ მტკიცედ შეესრულებინათ ეს მითითება. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მოქმედება პროვოკატორთა ჯგუფმა თბილისში, რომლებიც დუქნებზე, მაღაზიებზე და სხვა დაწესებულებებზე შლიდნენ ქართულ წარწერებს...[17]. თბილისში, მაღაზიების მფლობელთა უმრავლესობა არაქართველი იყო, რის გამოც ძნელდებოდა აღნიშნული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება[18].

1921 წლიდანვე ქართულ ენას პირველ რიგში რუსული ენა დაუპირისპირდა. რუსული ენა გაბატონდა საბჭოთა აპარატის თითქმის ყველა რგოლში, გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში მთელი საქმის წარმოება და ადგილებთან ურთიერთობა რუსულ ენაზე იყო. თბილისში მოკალათებული ძვე-

---

15 ა. ციციაშვილი, საქართველოს კპ მოღვაწეობა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული დონის ამაღლებისათვის (1921—1929 წწ.), თბ., 1968, გვ. 45.

16 გაზ. „კომუნისტი", 1924, 6 აპრილი.

* 1922 წელს მიღებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით რესპუბლიკის სახელმწიფო ენას ქართული ენა წარმოადგენდა.

17 საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921—1978 წწ.) თბ., 1983, გვ. 59.

18 „მუშა", 1923, 11 აგვისტო.

ლი შავრაზმული ჩინოვნიკობა ყველა მოვლენას ისეთ შეფასებას აძლევდა, რომ „საქართველოს ბოლო მოეღო,, ერთიანი განუყოფელი რუსეთი იქნებაო“[19].

ხშირად ზოგიერთ დაწესებულებაში შტატების შემცირების საბაბით ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან მხოლოდ ეროვნებით ქართველს. მოკლე დროში გაუქმებულ თანამდებობას აღადგენდნენ და დანიშნავდნენ რუს ან სხვა არაქართველი ეროვნების წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა საერთოდ არ იცოდა. „ბოლშევიკებმა თავისუფლებისა და ერის დამცველი გვარდიელები, ქართველი ოფიცრობა, ღირსეული მამულიშვილები, მწერლობა — ყოველივე ქართველი და ქართული საქმე ეჭვის ქვეშ დააყენეს, ჯაშუშები მიუჩინეს სამსახურში, დაწესებულებებში, რკინის გზებზე, დეპო-სახელოსნოში — ყველგან და თვით საკუთარ ოჯახშიც ქართველი დევნილი შეიქნა, უცხოელები გააბატონეს...“[20].

1922 წლის თებერვალში თბილისის მაზრის აღმასკომმა ცირკულარები დაუგზავნა თავის განყოფილებებს და მიუთითა, რომ ყარაიაზის, აღბულაღის და წალკის თემების აღმასკომებთან საქმის წარმოება რუსულ ენაზე ჰქონოდათ. ამ გადაწყვეტილებას თბილისის ხელისუფლება უსუსური არგუმენტით ამართლებდა. კერძოდ, ჩამოთვლილ აღმასკომებს თურმე არ ჰყოლიათ ქართული ენის მცოდნე თანამშრომელი, თითქოს ძნელი ყოფილიყო ქართველი თანამშრომლის გამოძებნა[21]. ასეთი მოქმედების შედეგს წარმოადგენდა (სომხების სიჭარბეზე რომ აღარაფერი ვთქვათ) თბილისის გადაქცევა არსებითად რუსულ ქალაქად.

ქართული ენისადმი ასეთი დამოკიდებულება თანამდებობის პირთა უპასუხისმგებლობას როდი მიეწერება. აქ საქმე გვაქვს ცენტრის კარგად ორგანიზებულ და შორს გამიზნულ ჩანაფიქრთან, რასაც მრავალი ქართველი კომუნისტი-ხელმძღვანელი ადგილზე ახორციელებდა.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთი „ტრიბუნა“ სისტემატურად აშუქებდა ქართული ენისა და ქართული ეთნიკური ელემენტის შევიწროების ფაქტებს, რამაც გააბოროტა სომხური გაზეთი „კარმირ ასტღი“. სომხურმა გაზეთმა აშკარა ბრძოლა წამოიწყო „ტრიბუნას“ წინააღმდეგ, რითაც **გამოხატა თავისი პოზიცია და მდგომარეობა უფრო გაართულა**[22].

ფოთში, სადაც მოსახლეობის 99% ქართველები შეადგენდნენ, არსებობდა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის აქციონერული საზოგადოება „ჩემო-ს განყოფილება. სამწუხაროდ, საქმის წარმოება აქაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა არაქართველებს ეკავათ. ანალოგიური მდგომარეობა იყო სოხუმის სახალხო ბანკში[23].

ახალციხის მაზრაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე უპირატესობა ეძლეოდათ თურქულენოვან მოსახლეობას. საქმის წარმოება, როგორც ზევით აღვნიშნეთ ეროვნულ ენებზე ხდებოდა[24].

---

19 ლ. თოიძე, ინტერვენციაც ოკუპაციაც ძალდატანებითი გასაბჭოებაც ფაქტობრივი ანექსიაც. თბ., 1991. გვ. 180.

20 ვლასა მგელაძე. სამხედრო მინისტრის დაკრძალვა. ჟურნ. „მხედარი“, 1991, № 1, გვ.. 58.

21 „ტრიბუნა“, 1922, 11 მარტი.

22 იქვე. 20 ივლისი.

23 იქვე, 1923, 9 მაისი.

24 საქართველოს უახლესი სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ინსტიტუტის არქივი (შემდეგში სუსპია). ფ. 14, აღწ. 2, საქ. 485, ფურც. 2.

ბორჩალოს მაზრის ხელმძღვანელობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა საქმის წარმოებაში ქართული ენის დანერგვის მოთხოვნის გამო. როგორც ჩანს, მთელს აპარატში არ მოიპოვებოდა ერთი ქართველი ან ქართული ენის მცოდნე .ამიტომ მოითხოვდნენ, რომ რესპუბლიკის მთავრობის ყველა უწყებას მათთან საქმე ეწარმოებინა მხოლოდ რუსულ ენაზე[25].

საინტერესოა, რომ ამ პერიოდში მრავალ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაწინაურდნენ სომეხი ეროვნების წარმომადგენლები. მაგალითად, 1924 წლისათვის საქართველოს ცეკავშირში 217 თანამშრომლიდან 35, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში 50-დან 11, ხოლო იუსტიციის სახალხო კომისარიატში 268 თანამშრომლიდან 58 სომეხი იყო. 1925 წლისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში, სავაჭრო ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასაქმებული 43 878 კაციდან 5 892, ხოლო ახალციხის მაზრის ყველა დაწესებულებასა და საწარმოებში 1254 კაცდან 335 სომეხი მუშაობდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა მაზრებში, ქალაქებსა და რაიონებში[26].

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიის შექმნის ინიციატორებად ქემალ ფაშა და ლენინი გვევლინებიან. ოსმალთა უღელქვეშ მრავალტანჯულ აჭარას ყველაზე მეტად სჭირდებოდა სათუთი მოპყრობა და ქართული სულის აღორძინება. საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე არ მიაქციეს სათანადო ყურადღება საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილს. საინტერესოა, რომ აჭარის სახალხო სამეურნეო საბჭოში სულ 233 თანამშრომელი იყო: აქედან 90 რუსი, 48 სომეხი, 7 პოლონელი, 2 უკრაინელი, 13 ბერძენი, 10 რუსი ებრაელი, 3 ლიტველი, 1 რუმინელი, 1 ყარაიაზული, 1 აფხაზი, 2 ოსი, 2 ასირიელი, ქართველი კი მხოლოდ 53. საბჭოს გამგედ და საერთოდ ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არაქართველები იყვნენ დანიშნული. ამასთან ხაზგასასმელია, რომ არც ერთმა მათგანმა ქართული არ იცოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში.

მართალია, ქართველები არაქართველობით არავის იწუნებდნენ. მაგრამ თანამდებობის პირებისაგან სამართლიანად მოითხოვდნენ ქართული ენის ცოდნას.

ყალბად გაგებულმა ინტერნაციონალიზმმა, თუ კადრების შერჩევის შეგნებულად გაზრებულმა პოლიტიკამ აჭარაში, საშიშროება შეუქმნა ეროვნული კულტურის განვითარებას[27].

ამავე პერიოდში დამკვიდრდა ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა, როცა აჭარელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მმართველი (ბოლშევიკური) პარტიის საოლქო, საქალაქო თუ რაიონული კომიტეტების პირველი მდივანი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მისი რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი. ზოგჯერ თანამშრომელიც კი. ფაქტობრივად ეს იყო უზნეო ღონისძიებათა მთელი თაიგული, რომელიც მიზნად ისახავდა მუდმივ დაპირისპირებაში ჰყოლოდა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, აჭარის მკვიდრი მოსახლეობა და დანარჩენი

---

25 სიუსპია, ფ. 14. აღწ. 2, საქ. 282, ფურც. 12.

26 შ. ნოზაძე, საქართველოს კპ მოღვაწეობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის, თბ., 1987, გვ. 44—45.

27 „ტრიბუნა", 1923, 4 იანვარი.

ქართველობა[28]. ბათუმის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ხრუცკი აშკარად აცხადებდა: „ახლა ისეთი კურსია აღებული, რომ საგანგებო კომისიიდან ყველა ქართველი შეიძლება დაითხოვოო"[29].

ჯერ კიდევ 1919—1920 წლებში აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულად ლაპარაკობდა. და ეს ხდებოდა არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთში, არამედ სამურზაყანოშიც, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები შეადგენდნენ[30].

როგორც ცნობილია, აფხაზეთის კონსტიტუციის საფუძველზე 1925 წლიდან საქმის წარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე ხდებოდა. რითაც არ იქნა გათვალისწინებული რესპუბლიკის ეროვნული შემადგენლობა. დამცირებული იქნა როლი და მნიშვნელობა, როგორც აფხაზური, ასევე ქართული ეროვნული ენებისა[31]. მხოლოდ 1926 წლის 27 თებერვლის სამთავრობო გადაწყვეტილებით სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულის თანაბარი უფლებები მიეცა აფხაზურსა და ქართულს[32].

რუსულისადმი პრიორიტეტის მინიჭების შედეგი იყო, რომ 1926 წლის 1 იანვრისათვის ძირითად ცენტრალურ დაწესებულებებში მომუშავეთა ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: რუსები 44,9%, ქართველები 22,3%. აფხაზები 8,9%, ხოლო 1927 წლის 1 იანვრისათვის რუსები 47,1%. ქართველები 22.3%, აფხაზები 8,9%. მიუხედავად იმისა, რომ 1926 წელს აფხაზები შეადგენდნენ 27,8%, ქართველები 36,6%, ხოლო რუსები 6,2%[33].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მხოლოდ აფხაზები ინიშნებოდნენ. აფხაზებს ეძლეოდათ უპირატესობა მილიციაში, ნავსადგურში მუშად მიღების დროს სხვა ეროვნებებთან შედარებით.

ნაციონალიზმის თვალსაჩინო სურათს იძლევა კომკავშირის საოლქო კომიტეტის ცირკულარი ყველა კომკავშირული ორგანიზაციისადმი. სადაც ნათქვამია, რომ კომკავშირში უნდა მიელოთ მხოლოდ აფხაზი ახალგაზრდები. მართალია, ეს ცირკულარი მოგვიანებით უარყოფილი იქნა, მაგრამ მისი ამ სახით გამოქვეყნება აშკარად აჩვენებს რამდენად იყო შოვინიზმი გაბატონებული ახალგაზრდებშიც[34]. საბჭოთა აფხაზეთის ხელმძღვანელობამ თავისი ეროვნული პოლიტიკით აამხედრა მოსახლეობის სამი მეოთხედი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ 20-იან წლებში აფხაზს ყველგან და ყოველთვის ენიჭებოდა უპირატესობა და ამიტომ არააფხაზური ეროვნების წარმომადგენელი იძულებული ხდებოდა თავი აფხაზად გამოეცხადებინა (გააფხაზებულიყო), რათა სამსახური ეშოვნა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1926 წლის

---

28 დ. ხ ხუტაიშვილი. რა მისცა ავტონომიამ აჭარას? ჟურნ. „მაცნე", ისტორიის სერია, 1991, № 3, გვ. 54.

29 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

30 А. Ментешашвили, Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народа, Тб., 1990, с. 51—52.

31 Б. Е. Сагария, Национально-государственное строительство в Абхазии (1921—1931 гг.), Сухуми, 1970, с. 102.

32 ბ. საღარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

33 იქვე. გვ. 121, 122.

34 სუსპია, ფ. 14, აღწ. 2, საქ. 485, ფურც. 52.

აღწერის დროს „რამდენიმე ათასმა კაცმა თავისი თავი აფხაზ ეროვნებას მიაკუთვნა. თუმც მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული (მეგრული)“[35].

1923 წლის აგვისტოში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ცაკმა მიიღო დადგენილება „ოლქის ფარგლებში ოსურის, როგორც სახელმწიფო ენის, შემოღების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „შემოღებულ იქნას თანდათანობით მშობლიური ოსური ენა ყველა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შიგნით. მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენად დატოვებული იქნას რუსული ენა და მოეთხოვოს რესპუბლიკას სამხრეთ-ოსეთთან ხსენებულ რუსულ ენაზე ურთიერთობის წარმოება“. ამრიგად, საქართველოს ისტორიულ ნაწილში საერთოდ უგულებელყოფილ იქნა ქართული ენა[36].

აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რაიონში 1925 წელს ცხოვრობდა 12 709 ადამიანი. აქედან უმრავლესობა (7 388 კაცი) ქართველი იყო. მიუხედავად ამისა ცხინვალის რაიონის საბჭოში 105 წევრიდან ქართველი აღმოჩნდა 31 კაცი. საბჭოს სხდომები მიმდინარეობდა ოსურ და რუსულ ენაზე. საბჭოს ქართველმა წევრებმა ეს ენები არ იცოდნენ და ფაქტობრივად მონაწილეობას ვერ იღებდნენ საბჭოს მუშაობაში. სახალხო კომისრებს შორის არ იყო არც ერთი ქართველი[37].

ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ეროვნებებისადმი 20-იან წლებში დაწყებულმა დახმარებამ 30-იან წლებში გარკვეული შედეგი გამოიღო. ამდენად, „ადრე ჩამორჩენილმა ხალხებმა დაიწყეს დაწინაურება იმ ხალხებთან შედარებით ვინც მათ დახმარება აღმოუჩინა. შემდგომში ასეთი ვითარების შენარჩუნებამ საშიშროება შექმნა ახალი, ფაქტიური უთანასწორობის წარმოშობისათვის“[38].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ენათა თანასწორუფლებიანობის გამოცხადებამ სათავე დაუდო არამკვიდრი ეროვნების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საქართველოს წარსულისა და ქართველებისადმი. საფუძველი ჩაეყარა ერებს შორის ეთნოკონფლიქტების წარმოშობას, რამაც განსაკუთრებით XX ს-ის 80-იან წლებში იჩინა თავი. სხვა საქმე იყო და სავსებით კანონზომიერი რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის ქართველებთან ერთად პოლიტიკური თანასწორობის დამკვიდრება.

წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისში თუ საფრანგეთში თუნდაც კომპაქტურად ყოფილიყვნენ ქართველები დასახლებული ინგლისურთან და ფრანგულთან, რომელიც ჰკუათმყოფელი მიანიჭებდა ქართულს თანაბარ უფლებებს. ან დღევანდელ გერმანიაში კომპაქტურად დასახლებულ თურქ ემიგრანტებს გერმანული ენის თანასწორი უფლებები რომ მინიჭებოდა.

საინტერესოა, თუ ასეთი პოლიტიკა მართებული იყო, რატომ საბჭოთა რუსეთმა არ მისცა ისეთივე თანაბარი უფლებები არარუსი ეროვნების ენებს, რომლებიც ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ?

შემთხვევითი არ არის, რომ მოგვიანებით სომხებს, ოსებს და ზოგიერთ სხვა ეროვნებას ქართული მიწის საკუთრებად მითვისების სურვილი გაუჩნდა.

---

35 **Н. А. Лакоба, Статьи и речи, Сухуми, 1987, с. 213.**

36 **ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწაზე, „ცხოვრება“, 1991, 9 თებერვალი; „მიწის მუშა“, 1923, 4 აგვისტო.**

37 სესპია, ფ. 14, აღწ. 2, საქ. 485, ფურც. 28, 29.

38 **Г. И. Литвинова, К вопросу о национальной политике, Сб. «По страницам самиздата», М., 1990, с. 150.**

რაში ჭირდებოდა და რისთვის დაეუფლებოდა ქართულ ენას სომეხი თუ აზერბაიჯანელი, ოსი თუ აფხაზი, როდესაც საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში ნებისმიერ ეროვნებას შეეძლო თავის ენაზე მიემართა და პასუხიც მისთვის სასურველ ენაზე მიეღო.

რა თქმა უნდა, ამას არავითარი ინტერნაციონალიზმი არ ჭვია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული აგრესია იმ ხელისუფლების მიერ, რომელიც თავს საქართველოს მთავრობას უწოდებდა.

ებრაელი ხალხი, რომელიც 2000 წელზე მეტია საქართველოს მიწაზე ცხოვრობს, თავს მაინც მოსულად თვლის და საქართველო ისრაელის წმინდა მიწის შემდეგ მეორე სამშობლოდ მიაჩნია. ხოლო ოსები, სომხები და ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა ლტოლვილი წინაპრის სასოებით მოპყრობილი სახე დღესაც ცოცხალია მასპინძლის როლში გვევლინება.

არასწორი იყო ზოგიერთი ბოლშევიკი ხელმძღვანელის აზრი, რომ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა ქართული ენა არ იცოდნენ. ჯერ ერთი ვალდებული იყვნენ ესწავლათ. მეორეც, ჯერ კიდევ 1922 წელს აკად. ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრივ ენას წარმოადგენს. მეცნიერის დაკვირვებით იმ დროისათვის ქართულად ლაპარაკობდა „კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აფხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში მობინადრე სომხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ — დიდოელნი, და თურქებიც კი...“[39].

А. В. СОНГУЛАШВИЛИ

НАЦИОНАЛЬНЫЙ ЯЗЫК И НАЦИОНАЛЬНЫЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ В ГРУЗИИ (1921—1925 гг.)

Резюме

Идея равноправия языков, осуществленная в 20-ые годы, в будущем вызвала недовольство части национальных меньшинств против коренного населения. Лозунг: «Вопрос о необходимости государственного языка теряет свою остроту и даже значение» на территории Грузии в действительности утратил для грузинского языка то преимущество, которое во всех цивилизованных странах придается родному, государственному языку. Фактически у армян, азербайджанцев, осетин и других появились те же желания и права, которые у них могли быть в своих собственных республиках. Позднее у некоторых из них возникли желания присвоения заселенных ими грузинских территорий.

წარმოადგინა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრამ

39 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1990, გვ. 42.

ნანა გეგელიშვილი

არჩილ II-ის ბრძოლა იმერეთის ტახტისათვის XVII საუკუნის 80—90-იან წლებში, მისი პირველი მარცხი და შვილების რუსეთში დაბრუნება

XVII ს-ის ფეოდალურ დაქუცმაცებულ საქართველოს ირანისა და თურქეთის აგრესიის მოსაგერიებლად გამუდმებული ბრძოლები უხდებოდა, რის გამოც იგი ძლიერ მოკავშირეს ეძებდა. ასეთ დამხმარე ძალად, საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწილი ერთმორწმუნე მართლმადიდებლურ რუსეთში ხედავდნენ; რუსეთი, პოლიტიკურად ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოადგენდა და მუსლიმანი დამპყრობლების უღელქვეშ მოქცეული ქრისტიანი ხალხების მფარველობაზე პრეტენზიას აცხადებდა.

XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ვითარდებოდა ორმხრივი პოლიტიკური ინტერესების საფუძველზე. ამ ურთიერთობის სულისჩამდგმელი არჩილ II იყო.

პოლიტიკურად ხელმოცარული არჩილ მეფე 1680 წ. გაემგზავრა რუსეთში, რათა მისი დახმარებით თურქეთის წინააღმდეგ გაელაშქრა და იმერეთის ტახტი დაებრუნებინა. არჩილი რუსეთისაგან რეალურ დახმარებას მოელოდა.

1687 წ. არჩილ II თავისი ძმის ქართლის მეფის გიორგი XI-ის მოწვევით სტოვებს რუსეთს და საქართველოში მიემგზავრება. რუსეთი არჩილ II-ეს მხოლოდ ეკონომიკურ დახმარებას უწევს ჯარის დასაქირავებლად. არჩილმა მოსკოვი 1688 წ. 19 ივლისს დატოვა. მას თან ახლდნენ მისი ვაჟიშვილები ალექსანდრე და მამუკა. მეფის ამალაში სულ 66 კაცი შედიოდა, მათ შორის იყვნენ ბერძენი მიტროპოლიტი ლეონტი და მისი 7 თანმხლები[1], რუსეთის მეფეთა სიგელი გაეგზავნა, თერგის ვოევოდას ტიმოფეი ოპუხტინს, რომელსაც ევალებოდა არჩილის ამალის მიღება და შეუფერხებლად საქართველოში გამგზავრება. ასევე სიგელები გაეგზავნათ ჩერქეზ მურზებს დივლეი და კალდი გირეი ხაზბულატოვებს, ყილჩიოსა და ალიმურზა მარდალოვებს:

«чтоб они великим государям службу показали, и о провожания царя Арчила, учинили всякие вспомогательство и когда они, мурзы, царя проводят и тогда к ним мурзам великих государей — милость будет»[2].

1688 წ. აგვისტოში არჩილი უკვე ასტრახანში იყო. როგორც საარქივო საბუთებიდან ირკვევა, საელჩო პრიკაზის დავალებით ასტრახანის ვოევოდას უნდა შეერჩია შესაფერისი პიროვნება, რომელიც არჩილ მეფეს იმერეთში გაჰყვებო-

---

[1] ЦГАДА, ф. 110, опись I, кн. 14, л. 35, 79.

[2] იქვე, 1689 წ. ს, 1, ფ. 12.

და. ასტრახანის ვოევოდამ ამ მოვალეობის შესასრულებლად თავადი ვასილ ბლინოვი შეარჩია, რომელსაც შესაბამისი ინსტრუქცია მიეცა:

«И быть тому Астраханскому дворянину в меретинской земле при нем же Арчила, и что учинетца у него царя в меретинской земле о всем и о всяких таможных поведениях велено писать государям к Москве, отписки посылать на Терек»[3].

არჩილ მეფე 1688 წ. ოქტომბერს ჩავიდა ქ. თერგზე. საარქივო საბუთებიდან ირკვევა, რომ არჩილისა და მისი ამალის ჩამოსვლამდე რამოდენიმე დღით ადრე ქ. თერგზე დიდი ხანძარი გაჩენილა და სულ გადამწვარა[4]. რის გამოც არჩილის გამგზავრება დიდი ხნით შეფერხდა. ამით უკმაყოფილო მეფე არჩილს უსიამოვნებაც კი მოსვლია ვოევოდასთან; საბუთში ვკითხულობთ:

«царь Арчил на него Тимофея грозился и хотел безчестия ево всячески избирать и изувечить»[5].

არჩილის თერგიდან გამგზავრება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1688 წ. ნოემბერს. იგი გაამგზავრა თერგის ახალმა ვოევოდამ ივანე მარტინოვმა[6]. 1688 წ. დეკემბერში არჩილ მეფე სოფ. ზრომაგშია. აქ არჩილმა შეიტყო. რომ მისი ძმა ქართლის მეფე გიორგი XI, რომლის მხარდაჭერითაც ვარაუდობდა ტახტის დაბრუნებას, ქართლის ტახტიდან გადაეყენებინათ და რაჭაში აფარებდა თავს.

1689 წ. 15 იანვარს არჩილ მეფე ოსეთიდან რაჭაში გადადის, ხოლო ბატონიშვილებს ალექსანდრესა და მამუკას ზრომაგში ტოვებს. არჩილისათვის ცხადი იყო რომ, მას იმერეთის მეფე ალექსანდრე IV უბრძოლველად ტახტს არ დაუთმობდა. ამიტომ მოსალოდნელ სისხლისღვრას აარიდა შვილები[7].

რაჭაში არჩილი თავის მომხრეების მოლოდინში დიდ ხანს შეჩერდა.

ჩვენთვის მეტად საინტერესო ცნობებს აწვდის საელჩო პრიკაზს ბატონიშვილების მიერ 1689 წ. აგვისტოში ზრომაგიდან გაგზავნილი პოტაპ გრიგორევი, იგი აცხადებს რომ მეფე არჩილი რაჭაში ელოდა აბგალიის მთავრის ჯარს: «к тому ожидал он Арчил апгалского[8] владетеля с войска которой по владению салтана турецкого а к нему Арчилу склоны»[9].

ამ ცნობის მიხედვით არჩილი 3 თვის განმავლობაში ელოდა ამ ჯარს, მაგრამ ჯარი არ ჩამოვიდა დასახმარებლად. რის გამოც ალექსანდრე იმერეთის მეფეს შესაძლებლობა მიეცა თავის მომხრეთა რიცხვი გაეზარდა, თუმცა მთავარი მისი ძალა ახალციხის ფაშის დამხმარე ჯარი იყო. არჩილის მომხრეთა სიმცირეზე ალექსანდრესთან შედარებით თვით ვახუშტიც აღნიშნავს. „სპანი ალექსანდრესი ძრავლობდნენ, რამეთუ მათ არა შემოჰკრავდათ ჯერეთ“[10]. მომხრეთა სიმცირის გამო არჩილი ვერ ბედავდა ალექსანდრეზე გალაშქრებას.

---

[3] ЦГАДА, ф. 110, опись 1, кн. 13, л. 80.

[4] იქვე, ფ. 55—57.

[5] იქვე, ფ. 54.

[6] იქვე, ფ. 8.

[7] იქვე, 1690., საქ. 1, ფ. 81—82.

[8] ვფიქრობთ, პოტაპ გრიგორევის მიერ საელჩო პრიკაზისათვის მიწოდებულ ცნობაში „აბგალის მთავრის“ სახით აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე იგულისხმება, რადგან ცნობილია, რომ იგი არჩილის მომხრეთა შორის იყო, თანაც აფხაზეთი თურქეთის მფლობელობაში იყო.

[9] ЦГАДА, ф. 110, опись I, 1960 г., 91, л 21.

[10] ვახუშტი, გვ. 850.

არჩილისა და ბატონიშვილების შესახებ ცნობები იგვიანებდა 1689 წ. მაისში არჩილისა და ბატონიშვილების მდგომარეობის შესატყობად მოსკოვში დარჩენილი ქეთევან დედოფალი საქართველოში აგზავნის დიმიტრი ივანოვს[11]. ამ პიროვნების ქართული გვარი გაურკვეველი რჩება, მაგრამ ვიცით რომ დიმიტრი ივანოვი ჯერ კიდევ ბატონიშვილ ერეკლეს ამალას ჩამოჰყოლია საქართველოდან. როგორც ჩანს, იგი რუსეთის კარის სამსახურში შესულა და ერეკლე ბატონიშვილს საქართველოში აღარ გაჰყოლია. ვფიქრობთ, რომ იგი ერეკლეს დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო ვინაიდან ქეთევან დედოფალი მოსკოვის საელჩო პრიკაზს თხოვდა, რომ სწორედ ამ დიმიტრი ივანოვისათვის დაერთოდ ნება საქართველოში გამგზავრებისა. მას დედოფალი თავის ძმასთან ქართლის მეფე ერეკლესთან და არჩილთან ატანდა წერილს:

«Великие государи посылаю в имеретинскую землю к Царю Арчилу Вахтангиевичу и в грузнскую землю к брату своему царю Николаю Давидовичу вышеписанного Дмитрия велите государи того грузинца Димитрия на время с Москвы с письмами моими отпустить»[12].

სამწუხაროდ, ქეთევანის ერეკლესადმი გაგზავნილი წერილის პირს ვერ მივაკვლიეთ. ამდენად, მისი შინაარსი უცნობი რჩება, მაგრამ ცხადია, რომ ქეთევანი თავისი ძმას არჩილსა და ბატონიშვილების დახმარებას მოსთხოვდა. დიმიტრი ივანოვი არჩილთან 1690 წ. აგვისტოში ჩავიდა. საარქივო მასალიდან არ ჩანს ინახულა თუ არა დედოფლის წარგზავნილმა დიმიტრი ივანოვმა ერეკლე ქართლის მეფე. ჩვენ მხოლოდ ქართული წყაროების მიხედვით ვიცით რომ ერეკლეს ირანის შაჰის კარი არ უყურებდა ნდობით, შესაძლოა მის რუსეთთან კავშირსაც არ გამორიცხავდნენ და მისგან კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ არჩილის მოწინააღმდეგე ალექსანდრესთვის მხარი დაეჭირა, ხოლო ზრომაგში გამაგრებული ბატონიშვილები დაეტყვევებინა. ერეკლე „რამეთუ დისწულნი იყვნენ ძენი არჩილისანი ამისნი... გარნა მნებელ არა იყო«[13].

არჩილ მეფემ ძალთა უთანასწორობის გამო ვერ გაბედა რაჭიდან იმერეთში გალაშქრება და გიორგი ლიპარტიანის წინადადებით 1689 წ. ზაფხულში ოდისში გადადის. ხოლო გიორგი მეფე რაჭაში დარჩა[14]. ჩანს, მათ შეიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვით გადაწყვეტილი ჰქონდათ იმერეთის მეფეს ალექსანდრე IV შებრძოლებოდნენ. გზად რაჭიდან სამეგრელოში გადასვლისას არჩილმა და გიორგი ლიპარიტიანმა ლეჩხუმი აიღეს[15].

1689 წ.ზაფხულში სწორედ ლეჩხუმიდან დაიძრნენ ისინი ჭუთაისისაკენ ალექსანდრეს წინააღმდეგ. მაგრამ ვიდრე ქალაქში შევიდოდნენ მდ. რიონზე. მოხდა მოპირდაპირე ძალთა შეტაკება. ალექსანდრეს თურქეთის ფაშა ეხმარებოდა. ამ ბრძოლის დროს ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლი იყო, მაგრამ საბო-

---

11 შესაძლოა, რომ დიმიტრი ივანოვი და დიმიტრი იეზიკიას ძე ერთი და იგივე პიროვნებაა. დიმიტრი იეზიკას ძე ჯერ კიდევ თეიმურაზს 1658 წ. მოსკოვში ხლებია, შემდგომ ბაგრატ იმერეთის მეფე 1670 წ. გამოუგზავნია ელჩად, რომელიც მოსკოვში მყოფ ერეკლე ბატონიშვილს მიემხრო და მოსკოვში დარჩენილა. დიმიტრი ივანოვი არჩილთან სამეგრელოში 1690 წ. აგვისტოში ჩაიდის და 1691 წ. იანვრამდე რჩება.

12 ЦГАДА, ф. 110, опись I, 1690 г., д. 2, л. 1—7.

13 ვახუშტი, ღასახ. ნაშრომი, გვ. 465.

14 ЦГАДА, ф. 110, опись I, 1690 г., д. 2, л. 103—105.

15 იქვე, საქ. 1, ფ. 92—93; М. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российским государством от 1639—1777 гг. СПб, 1861.

ლოდ გამარჯვება ალექსანდრე იმერთა მეფეს დარჩა. არჩილის დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მას უღალატეს და ალექსანდრეს მხარეზე გადავიდნენ მისი მომხრე დიდებულები, რომელთა შორის იყო ვინმე თავადი ნოდარი[16]. საელჩო პრიკაზის ცნობებიდან ჩანს, რომ იგი კახეთის დიდებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, საბუთში მისი გვარი არ არის მითითებული. შესაძლოა იგი თავადი ნოდარ ჯორჯაძეა. თავად ნოდარ ჯორჯაძე თან ახლდა მეფე არჩილს მოსკოვში. ხოლო საქართველოში არჩილის გამგზავრების წინ მას დიდი უსიამოვნება შეემთხვა. თავადმა ნოდარმა თავისი მხლებლებით მოსკოვის სამეფო კართან დაახლოებული ხოხონა და ბაგრატ დავითიშვილებზე კრემლის ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო, რაც კანონით სასტიკად იკრძალებოდა, და რის გამო მას სიკვდილით დასჯა ელოდა. არჩილის დახმარებით ნოდარს სასჯელი ფულადი ჯარიმით შეუცვალეს, ხოლო ეს ჯარიმა საკმაოდ სოლიდური თანხა იმ დროისათვის—300 მანეთი, არჩილს იმ 5 ათასი მანეთიდან დაუქვითეს, რომელიც მას სამეფო ხაზინამ გამოუყო[17].

1689 წ. ზაფხულში არჩილ მეფის ამ დიდი მარცხის შესახებ საელჩო პრიკაზს ინფორმაციას აწვდის, აგრეთვე ასტრახანელი თავადი ვასილ ბლინოვი[18], რომელიც არჩილს საქართველოში გამოაყოლეს რეზიდენტად. საფიქრებელია, რომ არჩილმა იცოდა ბლინოვის მისიის დანიშნულება, რის გამოც იგი თავისთან იმერეთში არ იახლა და შვილებთან ზრომაგში დატოვა. მიუხედავად ამისა, ბლინოვი საკმაოდაა იმფორმირებული და არჩილის შესახებ დაწვრილებით ცნობებს აწვდის საელჩო პრიკაზს. მისი წერილი 1689 წ. არის დათარიღებული. იგი წერს:

«В прошлом 1689 г. августа 27 мне учинилось имеретинский царь Арчил Вахтангиевич собрав разных людей многие число шол из дадианской земли для промислу и и очищения в свою меретинскую землю, а брат его царь Георгий с ратными людьми из Рачи пришол к нему на помоч, а царь Александр которой нине царствует в меретинской земле увидав о приходе их собрав ратных людей вышел из Кутаиса и июля в первых числах встретил с ним на дороге, учинил бой, царь Александр царя Арчила и брата его царя Георгия ратных людей побил многие число потому что ратные их люди изменили и царя Арчил и царь Георги отступили в дадианскую землю и стоят в городе Одыше»[19].

ვ. ბლინოვის ინფორმაცია რეალურ სიტუაციას უნდა ასახავდეს. ალექსანდრე IV იმერეთის მეფე არც ისეთი მარიონეტი ფიგურა გამოდგა, როგორც ეს შესაძლოა არჩილს და გიორგის წარმოედგინათ. როგორც ჩანს, მეფე ალექსანდრემ, თავის მოწინააღმდეგეთა სტრატეგიული გეგმა დროულად ამოიცნო, და სწრაფი მოქმედებით დაამარცხა. გარდა ამისა, მან შეძლო არჩილის მომხრეების გადმობირება.

არჩილ მეფის საქმეები კი სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. 1689 წ. ზაფხულის მარცხის შემდეგ არჩილ II და გიორგი XI თავისი მომხრეებით სამეგრელოში აღმოჩნდნენ, არჩილი რუსეთიდან ეკონომიური დახმარების

[16] ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1690, д. 2, л. 28—33.
[17] იქვე, ფ. 28—53.
[18] იქვე, საქ. 1. ფ. 89.
[19] იქვე, გვ. 3.

მოლოდინში იყო, რომ ჯარი დაექირავებინა ალექსანდრეს წინააღმდეგ. მაგრამ რუსეთმა არჩილს ასეთ დახმარებაზე უარი განუცხადა: 1689 წ. ნოემბერში საელჩო პრიკაზმა ოფიციალურად განაცხადა:

«1689 г. 5 ноября великие государи слушав сей выписки указали против сего челобитие Арчилу Вахтангиевичу царю меретинского отказать потому что при отпуске им с Москвы дано им многие их жалование»[20].

ოდისში დარჩენილი არჩილი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან ვერ მოახერხა ძალების ორგანიზება ალექსანდრეს წინააღმდეგ. არანაკლებ რთულ მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილი ზრომაგში დარჩენილი არჩილის ძენი, ბატონიშვილები ალექსანდრე და მამუკა. ბატონიშვილები ზრომაგში ალყაშემორტყმული იყვნენ ქართლის მეფის (თავიანთი ბიძის) ერეკლე I-ს ჯარებით. ერეკლემ შახის ბრძანებით თავისი დისშვილების დასატყვევებლად ბარძიმ მდივანბეგი გაგზავნა დვალეთში. ბარძიმს კი მოცქრულები გაუგზავნა ზრომაგში მყოფ ჩერქეზებს (ჩანს, ბატონიშვილებს ჩერქეზები იცავდნენ) რათა ალექსანდრე და მამუკა გადაეცათ მისთვის[21].

ბატონიშვილების ირგვლივ შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ მოსკოვში საელჩო პრიკაზს მისი რეზიდენტი ვ. ბლინოვი ატყობინებს, თუმცა მის ცნობაში დაძაბული ვითარება მხოლოდ 1689 წ. სექტემბრის ამბებამდეა მიმოხილული, ქვემოთ მოგვაქვს საინტერესო ამონაწერი ამ ინფორმაციიდან:

«Перситский шах прислал посланика в Грузинскую землю царевичу Николаю Давидовичу и велел ему послать в горах на нас войско и из гор послать вон или взять плен и грузинской царевич Николай Давидович прислал в гори боярина эристава с ратными людми и стоит от нас ближних местах и присылает своих людей в деревне Зромаге, что черкеси нас выдали и Зромацкие Черкесы собрав из околиних деревен и билис с нами восаду и чаемся от господа Бога и царевичи хотят отступить в черческую деревню в малой Кабарды до указу отца чвоего царя Арчила Вахтангиевича»[22].

თავის მხრივ, მოსკოვში დარჩენილი დედოფალი ქეთევანიც ინფორმირებული ყოფილა საქართველოში მეფე არჩილისა და ბატონიშვილების მდგომარეობით, პოტაპ გრიგორევი ატყობინებდა, რუსეთის მეფის კარს, რომ მეფის შვილებს, იქის შემდეგ რაც დამარცხებული არჩილი სამეგრელოში შეიხიზნა, რომელიც 10 დღის სავალზეა მათგან, არავითარი ცნობები არ აქვთ მამამისის შესახებ. ხოლო შვილები ალყაშემორტყმულები არიან, რომ ერეკლესაგან გამოგზავნილი ერისთავი ჯარით ერთი დღის სავალზეა მათგან[23]. პოტაპი თერგზე 1689 წ. 20 სექტემბერს ჩასულა, ხოლო დეკემბერში უკვე მოსკოვშია. პოტაპი გრიგორევი ქეთევან დედოფალმა იმავე თვეს უკან გაგზავნა ბატონიშვილებთან[24]. პოტაპ გრიგორევი 6 თვის შემდეგ 1690 წ. მაისში ისევ მოსკოვშია. როგორც ჩანს, მან ქეთევან დედოფალს სასიხარულო ამბავი, შვილების უვნებლად რუსეთის საზღვარზე გადმოსვლა აუწყა. მოსკოვში ჩასული პატაპ გრიგორევი ამ

20 ЦГАДА, ф. 110, оп. I, д. 2, 1690 г., л. 8.

21 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 851.

22 ЦГАДА, ф. 110, опись I, 1690 г., опись I, д.4, л. 91—93.

23 იქვე, ფ. 81—88.

24 იქვე, ფ. 103.

სასიხარულო ამბის გამო, დედოფალმა ქეთევანმა ყმობიდან გაანთავისუფლა, სათანადო შინაარსის საბუთში ამის შესახებ ვკითხულობთ:

«Волею и помощию Божию пожаловали сие вольное письмо царица Григореву сыну Потапу. И ты похотел ити на волю и мы тебе волю дали, что кроме Бога никому до тебя дела нет и куда хочеш ити. Рукою приписано Екатерина»[25].

მართლაც, არჩილის ძეებმა 1890 წ. იანვრის ბოლოს ზრომაგი დასტოვეს. მათ ელიყანაშვილი დაეხმარა. იგი წინ აღუდგა ბარძიმ მდივანბეგს და ბატონიშვილები დიდგორს გადაიყვანა[26].

დიდი დახმარება გაუწიეს ბატონიშვილებს აგრეთვე ჩერქეზმა დიდებულებმა. ანალუკესა და მის უზდენს ბატონიშვილები ბრძოლით გამოუყვანიათ სამშვიდობოზე[27], ხოლო ჩერქეზ მურზას ყილჩიყო ბაყოვს დიდი საჩუქრების საფასურად ისინი „გრებნის“ კაზაკებამდე გაუცილებიათ“[28].

1690 წ. მარტში ბატონიშვილები თავისი თანმხლები პირებით დაახლოებით 50 კაცით თერგზე არიან. მეფის ძეებს თან ახლდათ დიგორის მფლობელის შვილი ანალუკე და მისი უზდენი, რომლებიც შემდგომ მოსკოვში ალექსანდრე ბატონიშვილმა და ბეჟან ფალავანდიშვილმა მონათლეს[29].

თერგის ვოევოდას — აფანასი კოზლოვს ბატონიშვილები ასტრახანში გაუშვიათ, სადაც 1690 წ. 17 აპრილს ჩასულან. ასტრახანის ვოევოდამ პრიმსკო-როსტოვსკიმ ისინი პატივით მიიღო. ასტრახანში ისინი თვენახევარი შეჩერდნენ, ხოლო 1690 წ. 30 სექტემბერს ბატონიშვილები მოსკოვში ჩადიან.

ამრიგად, არჩილის რუსეთიდან დაბრუნება და ბრძოლა იმერეთის ტახტისათვის უშედეგოდ დაიწყო. მისმა მარცხმა გამოიწვია ქართველთა შორის სიახლისლვრა, რაც შემდგომშიც გაგრძელდა. არჩილის ამ მარცხმა მას დაანახა, რომ თავისი საკუთარი ძალებით ვერაფერს გახდებოდა თუ არ მიიღებდა რეალურ პოლიტიკურ დახმარებას რუსეთიდან. ამიტომ მან ჩათვალა საჭიროდ, რომ ზრომავში მყოფი ბატონიშვილები მოსკოვში დაბრუნებულიყვნენ და იქიდან გაეწიათ დახმარება არჩილისათვის.

Н. М. ГЕГЕЛИШВИЛИ

БОРЬБА ЦАРЯ АРЧИЛА ЗА ИМЕРЕТИНСКИЙ ПРЕСТОЛ. ЕГО ПЕРВОЕ ПОРАЖЕНИЕ И ВОЗВРАЩЕНИЕ СЫНОВЕЙ В РОССИЮ

Резюме

В 1687 г. Арчила II пригласил в Грузию его брат царь Картли Георгий XI, чтобы занять имеретинский трон.

В 1686 г. Арчил II возвратился на родину, однако политическая обстановка в это время в Грузии была весьма неблагоприятной. Иранский шах Сулейман отстранил от трона царя Картли Георгия XI, с помощью которого Арчил II рассчитывал занять трон в Имерети. Несмотря на это, Арчил II в 1689 г. попытался свергнуть имеретинского царя Александра IV с престола, но потерпел неудачу.

После поражения Арчила II, его сыновья царевичи Мамука и Александр были вынуждены вернуться в Россию.

[25] ЦГАДА, ф. 110, опись I, кн. 14, л. 96.

[26] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 465.

[27] ЦГАДА, ф. 110, опись I, кн. 14, л. 81, столбцы, 1961 г. д. 2, л. 28.

[28] იქვე, ფ. 2—3.

[29] იქვე, кн. 4, л. 84 об.

გოჩა ჯაფარიძე

რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან არაბულ ისტორიულ წყაროებში

ქართული ისტორიული წყაროები, როგორც ცნობილია, სიტყვაძუნწები არიან დემეტრე I-ის (1125—1156) მოღვაწეობის შესახებ. მეფეს ან არ ჰყავდა თავისი მემატიანე, ანდა მის თხზულებას არ მოუღწევია ჩვენამდე. ამის გამო, ცხადია, არ შეიძლება ინტერესს არ იწვევდეს ის ცნობები, რომლებიც დემეტრე I-ის დროინდელი საქართველოს შესახებ უცხოელ ავტორებს შემოუნახავთ. ამ ავტორთაგან ამჯერად გვსურს გამოვყოთ და წარმოვადგინოთ ორი არაბი ისტორიკოსი ალ-'აზიმი* და 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი.

პირველი ისტორიკოსი მუჰამმად ბ. 'ალი ბ. მუჰამმად აბუ 'აბდ ალლაჰ ათ-თანუხი, რომელიც ცნობილია ალ-'აზიმის ნისბით, დაიბადა 483/1090 წ. და გარდაიცვალა 556/1161 წ. ჰალაბში[1] (სირია). ის ეკუთვნოდა ათ-თანუხის დიდ საგვარეულოს ერთ-ერთ შტოს, რომელიც ამ ქალაქში დამკვიდრდა. ალ-'აზიმის თხზულებებიდან ჩვენამდე მოაღწია[2] მხოლოდ ერთმა ნაშრომმა: „თა'რიხ ალ-'აზიმი" („ალ-'აზიმის ისტორია"), რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს მოკლე ისტორიას. მასში ამბები — სამყაროს შექმნიდან 538/1143-44 წლამდე[3] — დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით, წლების მიხედვით და აქცენტი გადატანილია სირიაზე.

„თა'რიხ ალ-'აზიმის" ერთადერთი ნუსხა, რომელიც გადაწერილია 633/1235-36 წ., დაცულია სტამბოლში, უმუმის ბიბლიოთეკაში. მისი ერთი ნაწილი, რომელიც 1063—1143-44 წლების ამბებს მოიცავს, 1938 წ. გამოსცა ცნობილმა ფრანგმა ორიენტალისტმა კლოდ კაენმა[4].

მეორე ისტორიკოსი — აბუ 'აბდ ალლაჰ მუჰამმად ბ. მუჰამმად 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი დაიბადა 1125 წ. ისფაჰანში და გარდაიცვალა 1201 წ. დამასკოში[5]. სიჭაბუკის წლები მან გაატარა ისფაჰანში. შემდეგ მსახურობდა ბაღდადში აბასიანი ხალიფასა და ეგვიპტეში სულტან სალაჰ ად-დინის (1171—1193) კარზე. მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი[6], მათ შორის „ნუსრათ ალ-ფათ-

---

* ტექნიკური მიზეზებით არაბ. ع და ح ტრანსკრიფციაში მოცემულია ' ნიშნით.

1 ალ-'აზიმის ბიოგრაფიის შესახებ იხ. C. Cahen. La chronique abrégée d'al-'Azimi. Journal Asiatique. t. 230, 1938, გვ. 353—356; მისივე, al-'Azimi. The Encyclopaedia of Islam (New Ed. შემდნგ: EI²), vol. I, გვ. 823.

2 დაიკარგა ალ-'აზიმის ორი თხზულება: „სირათ ალ-ფარანჯ" („ფრანკთა ცხოვრება") და „თაზიიდ 'ალა თა' რიხ ალ-კალანისი" („ალ-კალანისის ისტორიის დამატება") — უ. რ. ქაჰჰალა. მუ'ჯამ ალ-მუ'ალლიფინ, XI, ბაღდადი (თარიღის გარეშე), გვ. 42. ალ-'აზიმის „თაზიიდ" შემდგომ საფუძვლად დაუდო იბნ ალ-ადიმის (XIII ს.) „ჰალაბის ისტორიას".

3 C. Cahen. La chronique..., გვ. 355.

4 იქვე, გვ. 357—423 (არაბ. ტექსტი), 425—448 (შენიშვნები).

5 H. Massé. 'Imad al-Din Muhammad b. Muhammad al-Katib al-Isfahani. EI², vol. III, გვ. 1157-58.

6 მაგ.: XII ს. არაბ პოეტთა ანთოლოგია, რომელშიც უხვადაა წარმოდგენილი ისტორიული რეალიები (ალ-ისფაჰანი, 'იმად ად-დინ. ხარიდათ ალ-ქასრ ფი ჯარიდათ ალ-'ასრ.

რა ვა'უსრათ ალ-ფითრა“ („დახმარება სიძაბუნისათვის და ქმნილებათა თავშესაფარი“), რომელიც ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს. ეს ნაშრომი წარმოადგენს გადამუშავებულსა და 1194 წლამდე გავრცობილ არაბულ თარგმანს შარაფ ად-დინ ქაშანის (გარდ. 533/1138-39 წ.) მიერ სპარსულ ენაზე დაწერილი თხზულებისა „ფუტურ ზამან ას-სუდურ ვა სუდურ ზამან ალ-ფუტურ“ („დაცემა ვეზირთა ხანისა და ვეზირები დაცემის ხანისა“), რომელიც მოიცავდა სელჩუკთა ისტორიას 1072—1134 წლებში[7].

'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის „ნუსრათ ალ-ფათრას“ ერთადერთი ნუსხა დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (№ 772) და დღემდე გამოცემული არ არის[8]. მაგრამ ის ხელმისაწვდომია ალ-ფათჰ ბ. 'ალი ბ. მუჰამმად კივამ ად-დინ ალ-ისფაჰანი ალ-ბუნდარის (გარდ. 1245 წ.) მიერ 623/1226 წ. შედგენილი ამ თხზულების შემოკლებული ვერსიით — „ზუბდათ ან-ნუსრა ვა ნუხბათ ალ-'უსრა („ნაღები „დახმარებისა“ და რჩეული „თავშესაფარისა“)[9]. გარკვეულია, რომ ალ-ბუნდარის მიერ შემოკლებული ეს ვერსია ძირითადი ისტორიული ფაქტების გადმოცემისას ზუსტად მისდევს 'იმად ად-დინის თხზულებას და შემოკლებები ეხება მხოლოდ უმნიშვნელო ამბებს[10]. ამრიგად, გვაქვს უფლება, რომ 'იმად ად-დინის „ნუსრათ ალ-ფათრას“ შესახებ ვიმსჯელოთ ალ-ბუნდარის „ზუბდათ ან-ნუსრას“ მიხედვით.

ალ-ბუნდარის „ზუბდათ ან-ნუსრა“ 1889 წ. პირველად გამოსცა მ. ჰუტსმამ[11]. 1900 წ. ეს ნაშრომი სხვა სათაურით: „ქითაბ თა'რიხ დავლა ალ სალ-

---

ალ-ქაჰირა, 1951; ბაღდადი, 1955; დიმაშქ, თარიღის გარეშე; თუნის, 1966), სალაჰ ად-დინ - სადმი მიძღვნილი ორი ისტორიულ- ნაშრომი („ქითაბ ალ-ფათჰ ალ-კუსი ფი ფათჰ ალ-კუდსი“ —'Imad ed-din el Katib el-Isfahani. Conquête de la Syrie et de la Palestine par Salah ed-din, publiée... par C. de Landberg. Texte arabe. I. Leyde. 1888 და „ქითაბ ალ-ბარქ აშ-შამი“, რომლისაც შემორჩა ალ-ბუნდარის მიერ შემოკლებული ვერსიით—„Sana al-bark al-Shami“, pt. I. ed. R. Şeşen. თარიღის გარეშე და „ქითაბ ალ-ბარქ აშ-შამი“, ალ-ქაჰირა, 1979), იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის მიერ არის შედგენილი სალაჰ ად-დინისადმი თამარის „ფიცის წიგნი“, რომელიც ამ მცირე ხნის წინათ გახდა ცნობილი. იხ. მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბ., 1979, გვ. 26—27, 74—82.

[7] ამ თხზულების შესახებ იხ. В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия. Сочинения, т. I. М., 1963, გვ. 74; З. М. Буниятов. Государство атабеков Азербайджана. Баку, 1978, გვ. 9; ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 10—11.

[8] ამ ნუსხას გამოსაცემად ამზადებს მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრკორესპონდენტი ძეგლების გაბუოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. კურპელიდისე.

[9] В. В. Бартольд. Туркестан..., გვ. 74; Ч. А. Стори. Персидская литература. ч. II. М., 1972. გვ. 746; ნ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—11.

[10] В. Розен, Арабские сказания о поражении Романа Диогена Алп-Арсланом. II. Имад ад-дин Испаганский, ЗВОИРАО, III, СПб, 1887, с. 190. ნ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

[11] Recueil de textes relatifs à l'histoire des Seljoucides. II. Histoire de Seljoucides de l'Iraq par al-Bondari d'après 'Imad ad-din al-Katib al-Isfahani. Texte arabe publié... par M. Th. Houtsma. Leide 1889.

ამ გამოცემიდან არის შესრულებული თხზულების თურქული თარგმანი: Iraq ve Horasan Selçuklulari Tarihi Imad ad-din al-Katib al-Isfahanini al-Bondari tarafindan ihtisar edilen Zubdat al-Nusra ve Nuhbat al-usra adli Kitabinin tercümesi. M. Th. Houtsma terafindan 1889 da Leidende naşredilen metindan türkçeye çeviren Kivameddin Burslan Istanbul. 1943.

ჯუკ" („სელჩუკთა საგვარეულოს სახელმწიფოს ისტორიის წიგნი") ხელახლა დაიბეჭდა კაიროში[12].

ახლა შევეხებით იმ მასალებს დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან, რომლებიც დაცულია ალ-'აზიმისა და 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის[13] ზემოდასახელებულ თხზულებებში.

ალ-'აზიმის ცნობები უაღრესად ლაკონიურია. ჰიჯრის 520/17. I. 1126—16. I. 1127 წ. ამბების გადმოცემის დროს ის მოგვითხრობს: „ჩამოვარდა შფოთი ქართველებს (ალ-ქურჯ) შორის და მიიტაცა ხელისუფლება კაცმა, რომელიც არ იყო სამეფო სახლიდან"[14].

მსგავსი რამ 1126 ან 1127 წ. დამდეგის საქართველოში სხვა (ქართული თუ სომხური) წყაროებისთვის უცნობია. ერთადერთი აჯანყება მეფის წინააღმდეგ ამირსპასალარ ივანე აბულეთის ძისა და უფლისწულის (ცვტა?) მონაწილეობით, ვარდანის მიხედვით (თუ კი მისი ქრონოლოგია სწორია), მოხდა 1130 წ.[15].

ჰიჯრის 524/15. XII. 1129—3. XII. 1130 წ. ამბებში ალ-'აზიმი გვაწვდის სამ ცნობას ქართველთა შესახებ. მათგან ორი სელჩუკებთან კონფლიქტს ეხება: „დალაშქრეს ქართველებმა (მუსლიმები), დაიცა მათ სულტნის ლაშქარი და დაიბრუნა ნადავლი"[16]... „დალაშქრეს ქართველებმა ირანის ქვეყანა და დაიცა მათ სულტანი თოღრული"[17].

ალ-'აზიმის ზემომოტანილ პირველ ცნობაში არ ჩანს ქართველთა ლაშქრობის კონკრეტული მიმართულება და არც სულტნის სახელი იხსენიება. მაგრამ უკანასკნელი უნდა იყოს არა მაჰმუდ ბ. მუჰამადი, არამედ მისი ძმა თოღრული[18]. მართალია, მან ტახტი მხოლოდ 1132—1133 წწ. დაიკავა. მაგრამ სულ-

---

12 ქითაბ თა'რიხ დავლა ᾱl სალჯუკ მინ ინშა' 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი, იხთისარ აშ-შაᾱბ ალ-იმამ ალ-ფათჰ ბ. 'ალი ბ. მუჰამმად ალ-ბუნდარი ალ-ისფაჰანი. მისრ, 1318/1900 (შემდეგ: 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ--ბუნდარი).

13 უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ავტორებს მოეპოვებათ ცნობები საქართველოს ისტორიის წინა პერიოდებისათვისაც. ალ-'აზიმი მოგვითხრობს 489/1047 წ. იბრაჰიმ ინალის მიერ ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის ღატყვევების შესახებ(V. Minorsky. Studies in Caucasian History, London. 1953. გვ. 62. შენ. 2), რაც არ შესულა კ. კაენის გამოცემაში და 1121 წ. დავით IV-ის მიერ მუსლიმთა კოალიციის დამარცხებისა და მეფის გარდაცვალების თაობაზე (C. Cahen. La chronique... გვ. 388, 392), 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი კი—XI ს. 60-იან და XII ს-ის. 20-იან წლებში საქართველოსა და სელჩუკთა ურთიერთობათა შესახებ ('იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი ალ-ბუნდარი, გვ. 30, 37).

11 C. Cahen. La chronique... გვ. 397.

Всеобщая история Вардана Великого, перевел Н. Эмин, М., 1861, გვ. 13[illegible]ის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1963, გვ. 223-224. რ. მეტრეველი, შიდაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე), თბ., 1977, გვ. 116-117. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან, თბ., 1974, გვ. 128, შენ. 88; მისივე, საქართველო XII და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. თბ., 1985, გვ. 69—70; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979. გვ. 185.

16 C. Cahen. Le chronique... გვ. 402.

17 იქვე, გვ. 404.

18 ეს ის თოღრულია, რომელიც 1121 წ. დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დიღგორში. თოღრული უპირისპირდებოდა თავის ძმას სულტან მაჰმუდს. 1125 წ. ის იძულებული გახდა თავი შეეფარებინა დიდ სელჩუკთა სულტნისათვის სანჯარისათვის ხორასანში. სანჯარის მხარდაჭერით 1127 წ. მას'უდთან ერთად თოღრული კვლავ დაბრუნდა არრანში (C. Bosworth, The Political and Dynastic History of the Iranian World, The Cambridge History of Iran.

ტნის ტიტულით არაბულ წყაროებში ის უფრო ადრეც იხსენიება[19]. 1120—1124 და 1127—1131 წწ. თოღრული განაგებდა არრანს. ამდენად, უფრო მართებული იქნება, თუ ალ-'აზიმის მეორე ცნობაში ირანის ნაცვლად, რომლის წაკითხვასაც გვთავაზობს კ. კაენი, აღვადგინოთ ა რ რ ა ნ ი.

ალ-'აზიმის მიხედვით საომარი მოქმედებების ინიციატივა ქართველებს ეკუთვნოდათ. პირველ კონფლიქტში ჯერ მათ ჰქონდათ წარმატება. მაგრამ შემდეგ მუსლიმებმა დაიბრუნეს ქართველთა მიერ მოპოვებული ნადავლი. მეორე ცნობაში, არრანის დალაშქვრის შემდეგ, ირკვევა, რომ ქართველებს დაეცა თოღრული. ალ-'აზიმი არ წერს ბრძოლის შედეგზე. მაგრამ თოღრულს რომ გაემარჯვა, აუცილებლად აღნიშნავდა ამას. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმავე ამბავს, რასაც მოგვითხრობს ვარდანი: 1130 წ. გაგის ველზე, არრანის უშუალო სიახლოვეს, დემეტრე I-მა სძლია „ურჯულოთა“ (მუსლიმთა) ურიცხვ მხედრობას[20].

ალ-'აზიმის მესამე ცნობით, რომელიც იმავე წლით არის დათარიღებული, „დაეცა طرابذة-ს მფლობელი ქართველებს და დაამარცხა ისინი“[21].

კ. კაენმა ზემომოტანილი ტოპონიმი, რომელსაც დიაკრიტული ნიშნები არა აქვს, გაუშიფრავი დატოვა. ჩვენ მას ვკითხულობთ როგორც طرابزندة-ს, ანუ ტრაპიზონს. გრაფიკული სიახლოვე ამ ორი ტოპონიმის დაწერილობაში იმდენად აშკარაა, რომ ამგვარი დაშვება სავსებით შესაძლებელია. ამრიგად, ალ-'აზიმი მოგვითხრობს საქართველოს უცნობ კონფლიქტზე ტრაპიზონთან[22], რომელსაც ამ დროს განაგებდა კონსტანტინე გაბრა (1126—1140)[23]. ეს ცნობა სრულიად ახალია და მხოლოდ მომავალი კვლევა-ძიება თუ გვიჩვენებს, რამდენად შეეფერება ის სიმართლეს.

'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის ცნობები, რომლებსაც აქ განვიხილავთ, XII ს-ის 30—50-იან წლებზე მოდის. ისტორიკოსი ეხება განჯის საშინელ მიწისძვრას, რომელსაც ამ ქალაქზე ქართველთა ლაშქრობა მოჰყვა. მიწისძვრის თარი-

---

vol. 5. The Saljuk and Mongol Periods. Cambridge, 1968. გვ. 124—125. С а д р а д-д и н 'А л и а л-Х у с а й н и. Ахбар ад-даула ас-селджукийа. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Б у н и я т о в а, М., 1980, გვ. 95; З. М. Б у н и я т о в. Государство... გვ. 23).

19 სულტანის ტიტულით იხსენიებენ თოღრულს მაგალითად ალ-ფარიკი და სიბტ ბ. ალ-ჯაუზი (ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ალ-ფარიკი საქართველოში, „სემიტოლოგიური ძიებანი“, II, თბ., 1985, გვ. 88; ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 118, თბ., 1967, გვ. 204—5).

20 Всеобщая история, с. 150.

21 C. C a h e n, La chronique... გვ. 402.

22 დემეტრე I-მდე, იოანე პატონიშვილის ერთი ცნობით (ქალმასობა, II, თბ., 1948, გვ. 163), რომლის წყაროც დაუდგენელია, ტრაპიზონში პირველად ილაშქრა დავით აღმაშენებელმა (ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან, თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968, გვ. 111—13; ჯ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დავით აღმაშენებლის ეპოქის ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1989, გვ. 18—19).

23 История Византии, т. 2, М., 1967, გვ. 309; A. B r y e r, A Byzantine Family: The Gabrades, "Historical Journal" (University of Birmingham), vol. XII, № 2, 1970, . 164—187.

ღად დასახელებულია ჰიჯრის 533 წ.[24], რომელიც დაიწყო 1138 წ. 8 სექტემბერს და დასრულდა 1139 წ. 27 აგვისტოს. მაგრამ მხითარ გოშის უფრო სანდო ცნობით ეს მიწისძვრა მომხდარა 1139 წ. 30 სექტემბერს[25]. ამ დროს არრანისა და განჯის მფლობელი ათაბაგი ყარა-სონყური[26] ფარსის გამგებლის ბოზ-აბას წინააღმდეგ იყო სალაშქროდ წასული. ყარა-სონყურმა სძლია ბოზ-აბას, ფარსი სელჩუკ უფლისწულს სელჩუკ-შაჰს გადასცა და, 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი'ს მიხედვით, მხოლოდ უკანდაბრუნებულმა, აზერბაიჯანის ქალაქ ბურუჯირდში შეიტყო, რომ „ქალაქი განჯა და მისი სანახები ჩაიქცა. და რომ [განჯა] მიწისძვრამ დაანგრია და დაიქცა. თითქოსდა ის მიწამ გაანადგურა. და რომ მას ურწმუნო აბხაზები და ქართველები (ალ-ქურჯ) დაესხნენ. რომ მისი ხალხიდან 300-ათასამდე უკვე გაწყდა[28], ხოლო დანარჩენებს, ვინც თავი მის ციხესა და

---

24 'იმად ალ-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი გვ. 173. ამავე თარიღს ასახელებს სიბტ ბ. ალ-ჯაუზი (მირათ აზ-ზამან ფი თა'რიხ ლ-'იდან, VIII, ჰაიდარაბად, 1952, გვ. 161—69). სტეფანოს ორბელიანის ცნობით, (Histoire de la Siouine par Stéphanos Orbélian, Tr. de l'Arménien par M. Brosset, St. Pbg., 1864, გვ. 411). მიწისძვრა მოხდა სომხური ერით 587/15. II. 1138-14. II. 1139 წ., რაც მხარს უჭერს 'იმად ად-დინის ცნობას.

25 The Albanian Chronicle of Mxit'ar Goš by C. J. F. Dowsett. „Bulletin of the School of Oriental and African Studies", vol. XXI. pt. 3, 1958, გვ. 481—482; ლ. დავლიანიძე. მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", „ქართული წყაროთმცოდნეობა", II, თბ., 1968, გვ. 38; З. М. Буниятов, Новые данные о землетрясении в Гяндже 1139 г., Доклады АН Азербайджанской ССР. т. XXI, № 2, 1965, გვ. 55—57. ამავე თარიღს უჭერენ მხარს კირაკოს განძაკეცი (Киракос Гандзакеци. История Армении, пер. с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларяна. М., 1976, გვ. 95, 137) და ვარდანი (Всеобщая история, გვ. 151), არაბ ავტორთაგან კი—იბნ ალ-ასირი (ალ-ქამილ ფი-თ-თა' რიხ, XI, ბაირუთ, 1966, გვ. 77) და ალ-ჰუსაინი (Ахбар ад-даулат... გვ. 105), რომლებიც ასახელებენ ჰიჯრის 534/28. VIII. 1139—16. VIII. 1140 წ. იბნ ალ-ჯაუზი (ალ-მუდჰიშ, ბაირუთ, 1973, გვ. 70) იხსენიებს ორ მიწისძვრას, როგორც ჰიჯრის 533, ისე 534 წწ.

26 ყარა-სონყური 521/1127 წ. დაინიშნა სელჩუკიანი უფლისწულების თოღრულისა და მას'უდის ათაბაგად და არრანში გაგზავნა (Садр ад-дин Али ал-Хусайни. გვ. 95; З. М. Буниятов. Государство... გვ. 23). მოკლე ხანში მან დიდი ძალუფლება მოიპოვა და შემდეგ საშიში გახდა მას'უდისთვის, რომელიც 1134 წ. დაეუფლა სულტნის ტახტს. სომხურ წყაროებში მისი სახელი გვხვდება ღარა-სენთურის ან ხარანგურის ფორმით (ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39, მხითარ აირივანეცი, ქრონოკრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, ტატიშვილმა, თბ., 1990, გვ. 80), ყარა-სონყურის მიმდევრებს აღნიშნავს ქართული წყაროების ყარასუნღულიანნი, ან ყარსსუღულიანი (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ჭართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი უველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 165; ე. თაყაიშვილი. საისტორიო მასალანი, კრ. „ძველი საქართველო. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული". II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1913, განყოფილება მესამე, გვ. 63), რომლებიც დემეტრე I-მა 1128 წ. დაამარცხა დმანისთან.

28 იბნ ალ-ასირი (გვ. 77) და სიბტ ბ. ალ-ჯაუზი (გვ. 169) დაღუპულთა რიცხვს 230-ათასით საზღვრავენ. ამ ადგილის თურქულ თარგმანში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ეს ხალხი თითქოსდა ქართველებმა გაჟლიტეს (Iraq ve Horasan.., გვ. 174).

ბორცვს ვერ შეაფარა, [ქართველები] შეებრძოლნენ (ამარრუ)[29] და ეს იმასთან ერთად, რომ მისი [განჯის] კედლები დაირღვა და სახლები დაინგრა. და რომ განძები გაითხარა და გადამალული [ქონება] მოინახა [ქართველთა მიერ]". 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი შემდეგ მოგვითხრობს: „ყარა-სონყური სწრაფად წავიდა განჯას. [ამ დროისათვის] აბხაზთა ლაშქრის სპასალარს (მუკადდიმ) ივანე აბუ ლ-ლაჲსის ძეს — ალლაჰიც დასწყევლის მას — მიწისძვრისათვის უბედურებები (ზალაზილ)[31] და გაჭირვებისათვის გაჭირვებები დაემატებინა. მან ქალაქ განჯის კარები წაიღო და [ახალი] ქალაქი ააშენა. განჯა უწოდა და ეს კარები შეაბა, ისარგებლა იმით, რომ ყარა-სონყური ქვეყანაში არ იყო და ტანჯვა გარდმოუვლინა მას [განჯას]. ეს მოხდა 533/1138-39 წელს.

და როცა მოვიდა ყარა-სონყური, აღდგა რწმენის სახელმწიფო, დაბრუნდა დახმარებისა და სიმტკიცის ადათი, ღმერთის ერთარსობის მიმდევრებმა (აჰლ ათ-თაჲჰიდ) სძლიეს სამების მიმდევართ (აჰლ ათ-თასლის)[31]. აღორძინდა კარგი [რამ] უკეთურობის წაბორძიკებით. შეებრძოლა მათ [ქართველებს] ყარა-სონყური, სძლია მათ, დაამცირა (სალამაჰუმ) და მოსრა დიდძალი, დაანგრია ახალი ქალაქი, განჯის კარები განჯასვე დაუბრუნა და ხელახლა ააშენა ის [ადრე რომ იყო]. მასზე უფრო კარგად და უფრო ლამაზად"[32].

როგორც ვხედავთ, 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი მიწისძვრით დანგრეულ განჯაზე ქართველთა ლაშქრობის მძიმე სურათს გვიხატავს. ამ ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობენ აგრეთვე მხითარ გოში და კირაკოს განძაკეცი[33]. ამასთან არაბი ისტორიკოსისა და მხითარ გოშის ცნობები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს.

'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის ცნობაში საყურადღებოა მითითება იმის თაობაზე, რომ ქართველთა ლაშქრის სარდალი იყო ივანე აბუ ლ-ლაჲსის ძე, რომელიც ჯერ კიდევ მ. ჰუტსმა, სავსებით მართებულად, გააიგივა ივანე აბულეთის ძესთან[34].

---

29 ამარრა-ს ამ მნიშვნელობის შესახებ იხ.: E. W. Lane. An Arabic-English Lexicon. Book I. pt. 7. London. 1885. რეპრინტი New York 1955 გვ. 2700.

30 არაბ. ზალზალას (მიწისძვრა) მრავლობითი ზალაზილ-ის ერთი მნიშვნელობაა უბედურებები (P. Steingass. Arabic-English Dictionary. New Dehli. 1985. გვ. 461.

31 ე. ი. მუსლიმებმა სძლიეს ქრისტიანებს.

32 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 173.

33 ლ. დავლიანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39; Кираков Гандзакеци, გვ. 95, 137.

34 Recueil de textes.... გვ. 190; იხ. აგრეთვე: ჯ. მარგარიანი, რამდენიმე ეპიზოდი XII საუკუნის მეორე მეოთხედის საქართველოს ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 165, თბ., 1975, გვ. 83; აბუ ლ-ლაჲს არაბული სახელია ابو الليث და სიტყვა-სიტყვით ლომის მამას ნიშნავს. არაბული ث ზეპირ მეტყველებაში ხშირად გვაძლევს თ-ს. ამის გამო აბუ ლ-ლაჲს ქართულში შემოვიდა და დამკვიდრდა აბულეთის ფორმით. საერთოდ, კახეთის დიდგვაროვან ფეოდალთა აბულეთისძეთა საგვარეულოს ფუძემდებლად ითვლება ის აბულეთი, რომელიც ცხოვრობდა XII ს. I ნახევარში (ნ. შოშიაშვილი, აბულეთი, აბულეთის ძენი, ქსე, ტ. I, თბ., 1975, გვ. 45). ჩვენ მოგვეპოვება XII ს-ის არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკის ერთი ცნობა, რომელიც საშუალებას იძლევა, სულ მცირე, ერთი საუკუნით მაინც „დავაძველოთ" ამ საგვარეულოს ასაკი. ალ-ფარიკი იხსენიებს ერთ ქართველ დიდებულს რომელიც არა უგვიანეს 1010 წლისა მაიფარიკინში (დიარ-ბაკრი) გაკეთებია ქართველთა მალიქს (მთავარი, ერისთავი), რომელსაც ერქვა იბნ აბუ-ლ-ლაჲსი, ე. ი. აბულეთის ძე Tarikh al-Fariqi by ibn al-Azraq al-Fariqi. Ed. by B. A. L. Awad. Cairo. 1959. გვ. 96.

ივანე აბულეთის ძე დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის დროის სახელმწიფო მოღვაწეა, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართველთა არაერთი სამხედრო წარმატება. ვარდანის მიხედვით, დემეტრე I-ის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის ის სიკვდილით დაუსჯიათ 1132 წ.[35]. მაგრამ ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე და სამუელ ანეცი ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯის თარიღად ასახელებენ 1145 წელს[36], რაც, ვფიქრობთ, უფრო შეეფერება სინამდვილეს. ყოველ შემთხვევაში, 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის მიხედვით, ივანე აბულეთის ძე ცოცხალია 1139 წ. და ასევეა მხითარ გოშის ცნობითაც[37].

ქართველთა 1139 წლის ლაშქრობა მიწისძვრით დანგრეულ განჯაზე, ვფიქრობთ, ვერ დაიკავებს საპატიო ადგილს დემეტრე I-ის სამხედრო წარმატებათა აქტივში[38]. უარყოფითია მის მიმართ არა მარტო მუსლიმი 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის, არამედ ქრისტიანი, თუნდაც მონოფიზიტი, მხითარ გოშის დამოკიდებულებაც. განჯის დარბევას ერთი შესაძლებელი შედეგი შეიძლება ჰქონოდა და ჰქონდა კიდევაც: მუსლიმთა უკიდურესი გაღიზიანება და მათი ძალების კონსოლიდაცია. ყარა-სონყური სწრაფად დაბრუნდა განჯაში, სადაც ნანგრევებში დაიღუპა მისი ორი ვაჟი[39], აღადგინა ქალაქი და დაიწყო სამომარი მოქმედებები ქართველებთან.

'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი მიუთითებს, რომ ყარა-სონყურს გაუმარჯვია ქართველებზე, რასაც ადასტურებს მხითარ გოშიც[40]. მაგრამ ცდება არაბი ისტორიკოსი, როცა წერს, რომ ათაბაგმა დაანგრია ახალი განჯა, (რომელიც

---

35 ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 367 („დემეტრე აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკვეთ ... მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისა"). Всеобщая история..., გვ. 151.

36 სამუელ ანეცის მიხედვით დემეტრემ ივანე მოჰკლა სომხური ერით 591/1145-46 წ. იმავე წელს „ამირაპეტ" ჯოლის ასული ცოლად შეირთო და განუდევნია იქიდან ამას მეფე (სამუელ ანეცი. ქრებული ისტორიული ნაწარმოებებიდან, ვაღარშაპეტი, 1893 (სომხ. ენაზე), გვ. 133; დამოწმებულია მარგარიანის მიხედვით А. Г. Маргарян, К истории и хронологии внутриклассовой борьбы Грузии и северной Армении в 30-50-х гг. XII в. Сб.: „Кавказ и Византия", вып. I, Ереван, 1979, გვ. 62). მხითარ გოში ადასტურებს, რომ ტაძარში ამირა ჩაველიშ აღო 1144/45 წ. The Albanian Chronicle..., გვ. 483. 1145 წ. ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯის თარიღად მიღებული აქვს გ. ნათირაძეს და ჯ. მარგარიანს (გ. ნათირაძე, სიყოლოზ ურბნელი—საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თბ., 1973, გვ. 64. А. Г. Маргарян, К истории... გვ. 62).

37 მხითარ გოში წერს, რომ განჯაზე ლაშქრობისას ქართველთა მხედართმთავარი იყო ივანე (The Albanian Chonicle... გვ. 482). დოუსეტი არ იძლევა მის იდენტიფიკაციას. ლ. დავლიანიძე მართებულად აიგივებს მას ივანე აბულეთის ძესთან (ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28), მაგრამ ამავე დროს ის უკრიტიკოდ იღებს ვარდანის ცნობას 1132 წ. ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯის თაობაზე (იქვე, გვ. 31). ზ. ბუნიატოვის მიხედვით მხითარ გოშთან დასახელებული ივანე არის ივანე მხარგრძელი(!) (З. М. Буниятов, Государство... გვ. 192).

38 ამ საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისი აქვს ჯ. სტეფნაძეს (დემეტრე პირველი, თბ., 1990, გვ. 42—43).

39 იბნ ალ-ასირი, გვ. 77.

40 მხითარ გოში მოგვითხრობს, რომ ყარა-სონყურს ორჯერ დაულაშქრავს საქართველო — The Albanian Chronicle..., გვ. 483.

საერთოდ არ აშენებულა) და უკან დააბრუნა მისი კარები. როგორც ცნობილია, ეს კარები დღემდე ინახება გელათის მონასტერში[41].

დემეტრესა და ყარა-სონყურის კონფრონტაცია დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ეს უკანასკნელი მოულოდნელად გარდაიცვალა 1140 წ. აგვისტოდან 1141 წ. თებერვლამდე ქ. არდებილში[42]. მომდევნო ათაბაგის ჩავლი ჯახ̌დარის (გარდ. 1146 წ. შემოდგომაზე) დროს არრანის სელჩუკებსა და საქართველოს შორის შეტაკებებზე 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი არაფერს წერს. ცოტა მოგვიანებით კი ის აღნიშნავს, რომ 541 წ. ზუ ლ-ქა'დას თვეში/ 4. IV—3. V. 1147 წ. მოკლეს არრანისა და აზერბაიჯანის შემდეგი გამგებელი ფახრ ად-დინ 'აბდ არრაჰმან ტუღან-იურექი[43], რომელიც ამ დროს აპირებდა ელაშქრა ქართველებზე[44].

ღასასრულ შევჩერდებით 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის კიდევ ერთ ინფორმაციაზე, რომელშიც ფიგურირებს სელჩუკიანი სულაიმან-შაჰის მეუღლე „ქართველთა მეფის ასული", „აბხაზი ქალბატონი".

სულაიმან-შაჰი, მუჰამმად ბ. მალიქ-შაჰის ვაჟი, მას'უდის გარდაცვალების (1152 წ.) შემდეგ აქტიურად ჩაება სასულტნო ტახტისათვის ბრძოლაში და დაუპირისპირდა ახალ სულტანს მუჰამმად ბ. მაჰმუდს (1154—1159). 548/29. III. 1153—17. III. 1154 წ. ხვარაზმ-შაჰ'ალა ად-დინ ასთიზის (1127—1156) ძმების ინალ-თეგინის, იუსუფისა და სხვა თურქი ამირების მხარდაჭერით ის ჯიბალში შეიჭრა ხელთ იგდო ჰამადანი და დაიკავა სულტნის ტახტი. მაგრამ მან მალე გაუთავებელი სმა დაიწყო, რაშიც მხარი აუბა მისმა ვეზირმაც. თავმობეზრებულმა თურქმა ამირებმა განიზრახეს დაეპატიმრებინათ ვეზირი და ინალ-თეგინი, რომელიც სულაიმანის ცოლის ძმა იყო. ამ დროს, როგორც წერს 'იმად ად-დინი, ის უკვე „დაქორწინდა თავისი ძმის ცოლზე, ქართველთა მეფის ასულზე (ბინთ მალიქ ალ-ქურჯ), შეეიდა მასთან და დღესასწულობდა ქორწინებას და მხიარულობდა". მოსალოდნელი საფრთხის შესახებ სულაიმანს პირველმა ცოლმა, ხვარაზმ-შაჰის ასულმა ქორწინების ღამეს აცნობა. შეშინებულმა სულაიმან-შაჰმა დაუყოვნებლივ მიატოვა „აბხაზი ქალბატონი" (ხათუნ ალ-აბხაზიდა) და ღამითვე ხვარაზმელ ცოლთან და ინალ-თეგინთან ერთად სასწრაფოდ დატოვა ჰამადანი[45].

---

41 კარებზე ამოკვეთილი ქართული წარწერა იუწყება, რომ ის ჩამოტანილია დმანისის მეფობის მე-13, ე. ი. 1138 წ. M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie exécuté en 1847—1848. 3e et dernière livraison, St. Pb., 1851, გვ. 40—41. განჯის ამ კარებზე 8-სტრიქონიანი არაბული წარწერაცაა, რომლის მიხედვითაც ის გაუკეთებია მშენებელ იბრაჰიმ ბ. 'უსმან ბ. 'ანჭავაჰს შადადიანი შავირ ბ. ფადლუნის ბრძანებით (Х. М. Френ. Железные (ганджинские) ворота, Известия Азербайджанской археологической комиссии, вып. II. Баку, 1926. გვ. 39—48).

42 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის ცნობით, ყარა-სონყური მოკვდა ჰიჯრის 535/ 17. VIII. 1140—5. VIII. 1141 წ. (გვ. 173), მხითარ გოშის მიხედვით, კი — ოშხური ერით 589/15. II. 1140—13. II. 1141 წ. The Albanian Chrnicle..., გვ. 483).

43 ტუღან-იურექი იყო სულტან მას'უდის (1134—1152) ჰაჯიბი, მან დიდი გავლენა მოიპოვა სახელმწიფოში და ბოლოს, მსხვერპლი გახდა სულტანის მიერ მოწყობილი შეთქმულებისა, რომელშიც მონაწილეობდა უფროსი ვეზირი ხასს-ბეჭ ფალანგ-არი (Садр ад-дин 'Али ал-Хусайни, გვ. 109; З. М. Буниятов, Государство..., გვ. 36).

44 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 197. ტუღან-იურექის სურვილის შესახებ დაელაშქრა საქართველო, მოგვითხრობენ აგრეთვე სხვა ისტორიკოსებიც (ლ. ფაღავა ნიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 42; Садр ад-дин 'Али ал-Хусайни, გვ. 109).

45 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 212—13.

ვინ არის სულაიმან-შაჰის ძმა, რომლის ცოლიც — ქართველთა მეფის ასული მან ითხოვა? უეჭველია, რომ 1152 წ. გარდაცვლილი მას'უდი. იმდროინდელ ისლამურ სამყაროში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით სულაიმანმა თავისი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით იქორწინა ძმის ქვრივზე. ეს უკანასკნელი — ქართველთა მეფის ასული, აბხაზი ჭალბატონი კი შეიძლება იყოს მხოლოდ დემეტრე I-ის ქალიშვილი რუსუდანი. მხითარ გოში იუწყება, რომ 1147-48 წლისათვის რუსუდანი უკვე მას'უდის ცოლი იყო[46]. მხითარ გოშის ეს ცნობა არცთუ დიდი ხნის წინათ შემოვიდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მის გაუთვალისწინებლად კი თამარის მეორე ისტორიკოსის მითითება იმის თაობაზე, რომ რუსუდანი იყო „სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა"[47] საფუძველს აძლევდა ქართველ მკვლევრებს, რომ მის ქმრად ეგულისხმათ (მას'უდის გარდა) სხვა სელჩუკი სულტნებიც: სულაიმან-შაჰი[48] და არსლან-შაჰი (1161—1171)[49].

'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის ცნობა საშუალებას გვაძლევს საბოლოოდ გავარკვიოთ ეს საკითხი. რუსუდანი, დემეტრე I-ის ასული, იყო ორი სელჩუკი სულტნის — მას'უდისა და სულაიმან-შაჰის ცოლი. მისი უკანასკნელი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. სულაიმან-შაჰი იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსუდანი. მოგვიანებით, 1160 წელს ის კვლავ დაეუფლა სელჩუკიანთა სასულტნო ტახტს, მაგრამ იყო თუ არა ამ დროს მასთან რუსუდანი? ამ კითხვაზე არც 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი და არც ჩვენთვის ცნობილი სხვა მემატიანეები პასუხს არ იძლევიან.

Г. И. ДЖАПАРИДЗЕ

НЕСКОЛЬКО ЭПИЗОДОВ ИЗ ЭПОХИ ЦАРСТВОВАНИЯ ДЕМЕТРЕ I В АРАБСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ ИСТОЧНИКАХ

В статье рассматривается несколько неизвестных или же малоизвестных эпизодов из истории Грузии в период царствования Деметре I (1125—1156), сохранившиеся у арабских авторов Мухаммада б. 'Али б. Мухаммада ат-Танухи ал-'Азими (ум. в 1161 г.) в «Та'рих ал-'Азими» (C. Cahen. La chronique abrégée d'al-'Azimi. Journal Asiatique, т. 230, 1938, с. 397, 402, 404) и 'Имад ад-дина ал-Иафахани (ум. в 1201 г.) в «Нусрат ал-фатра ва'усрат ал-фитра», который был сокращен ал-Бундари (ум. ок. 1245 г.) («Китаб та'рих давла āл Салджук мин инша' ал-имам 'Имад ад-дин ал-Исфахани, ихтисар аш-шайх ал-имам ал-Фатх б. 'Али б. Мухаммад ал-Бундари ал-Исфахани, Миср, 1318/1900, с. 173, 197, 212—13).

[46] The Albanian Chronicle.., გვ. 485. და არა 1147—48 წლის შემდეგ, როგორც მას ასწორებენ მხითარ გოშის თხზულების ქართული თარგმანიდან გამომდინარე (ლ. ო ა ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30. ჯ. ს ტ ე ფ ნ ა ძ ე, თამარის მამიდა რუსუდანი, „მნათობი", № 7, 1987, გვ. 155—61; მ ი ს ი ვ ე, დემეტრე პირველი, გვ. 24).

[47] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1959, გვ. 115.

[48] Жизнь царицы цариц Тамар, перевод и введение В. Л. Д у н д у а. Исследование и примечания М. М. Бердзенишвили, Тб., 1985. გვ. 19—21. 53 прим. № 3.

[49] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი", თბ., 1966, გვ. 107. რუსუდანის შესაძლებელ ქმართა შორის ასახელებდნენ, აგრეთვე, სულტან სანჯარს და კიევის მთავარს იზიასლავს (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107. С. Т. Еремян. Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам. Научные труды Ереванского гос. университета, XXIII. 1946, გვ. 400).

გიორგი გოცირიძე

ცხოვრებით უზრუნველყოფის კულტურა და კვების ხალხური სისტემის შესწავლის ამოცანები საქართველოში

(კლასიფიკაციისა და მეთოდის საკითხები)*

თანამედროვე საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში კვების ხალხური სისტემის შესწავლა ე. წ. „ეთნოკულტუროლოგიური“ კვლევის არეალშია მოქცეული, რაც უწინარეს ყოვლისა აღნიშნული პრობლემისადმი ახლებურმა მიდგომამ და მისმა კომპლექსურმა — სისტემური გააზრების აუცილებლობამ განაპირობა[1].

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მკვლევრები კვების კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს სხვადასხვა კუთხითა და სხვდასხვა ასპექტით განიხილავენ, მათ ყველას ერთი საერთო მიზანი ამოძრავებთ: კვების ხალხური სისტემა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ყოფითი კულტურის იმ ძირითად კომპონენტად მიიჩნიონ, რომელიც ძალიან ღრმად და მყარად ინარჩუნებს ერის თვითმყოფად, ადგილობრივ თავისებურებებს. ამ მიმართებით უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე არაერთი საინტერესო ნაშრომია გამოქვეყნებული, რომელთა შორის ქართველ მკვლევართა მოკრძალებული წვლილიც შეინიშნება[2].

---

* მოხსენდა საქართველოს ეთნოგრაფთა X რესპუბლიკურ სესიას 1988 წელს (თეზისები დაბეჭდილია). ამის თაობაზე იხ. Бромлей Ю. В., Современные проблемы этнографии очерки теории и истории, М., 1981; Арутюнов С. А., Этнографическая наука и изучение культурной динамики, исследование по общей этнографии, М., 1979; Арутюнов С. А., Маркарян Э. С., Мкртумян Ю. Н., Проблемы исследования культуры жизнеобеспечения этноса, СЭ., 2, 1983.

[2] Студенецкая Е. Н., Пища и связанные с ней обычаи и обряды как показатель национального своеобразия и межнациональных связей, Археолого-этнографический сборник, вып. I, Нальчик, 1971; Станкевич Т. В., Шмелева С. Н., Пища в кн.: Современные этнические процессы в СССР, изд. I-е М., 1977; Пахутов А. Е. Традиционная пища монгольских народов как историко-этнографический источник, Автореф. дис. к. и. н. М., 1978; Гонтарь Т. А., Национальная пища и питание украинцев Карпат, автореф. к. и. н., Минск, 1979; Артюх Л. Ф., Пища и питание украинских крестьян конца XIX—XX вв. (этографическая характеристика), автореф. к. и. н., Минск 1981 и др.; Джикия Н., Культура питания грузинских горцев, Тб., 1988; Абдушелишвили Н. М. Социально-культурные аспекты традиционной западно-грузинской системы питания (Имеретия в XIX—XX вв.); Автореферат на соиск. уч. ст. к. и. н., М., 1989; Гоциридзе Г. Ш., Давиташвили Г. Н., Народная система питания и некоторые аспекты организации пространства жилища, тезисы докладов Всесоюзной научной сессии по итогам этнографических и антропологических исследований, 1986—1987 гг., Сухуми, 1988;

გ. გოცირიძე, სახელდახელო სუფრა (შიდა ქართლის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) მსე. XXIII, თბ., 1987, გვ. 94; მისივე საახალწლო ხონჩა, „ძეგლის მეგობარი“, I, 1988; ზ. ჯინჯიხაშვილი, ქართველი ებრაელების ყოფა და კულტურა (კვების სისტემა), საკანდ. დისერტაცია, თბ., 1990.

ახლა ბევრს წერენ ეთნოკულტუროლოგიური კვლევის მეთოდებზე და სიახლეებზე, ეთნოგრაფთა და ფილოსოფოსთა (კულტუროლოგთა) ერთობლივ მუშაობაზე[3]. კულტურულოგიაში კულტურის ცნებამ ისეთივე გაფართოებული მნიშვნელობა შეიძინა, როგორც ეთნოსის ცნებამ ეთნოგრაფიაში. თანამედროვე ფილოსოფოსები კულტურას განიხილავენ თეორიულ ასპექტში, როგორც ერთიან, მთლიან ფენომენს, რომლისთვისაც არ არსებობს ვიწრო და ფართო გაგება. ისინი მას არ ანაწევრებენ ცალკეულ ნაწილებად, არ ავიწროებენ მის შინაარსს და არ წყვეტენ ერთმანეთისაგან მის ცალკეულ მხარეებს[4]. მაგრამ იმ საერთო კანონზომიერების გასათვალისწინებლად, რომ კულტურა უპირველეს ყოვლისა ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი ტრადიციული მემკვიდრეობითი ღირებულებაა[5], მათთვის უცილობელი ხდება ეთნოსის შემსწავლელი მეცნიერების, კერძოდ ეთნოგრაფიის კვლევითი მეთოდების გამოყენებაც. რამეთუ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით:

«Для культурологии очень важен опыт этнографии в изучении народов, особенно под углом зрения локального исторического разнообразия культуры человечества, а так же основные принципы и система понятий в которых кристаллизуется этот опыт»[6].

გამომდინარე ამ უაღრესად რთული და უმნიშვნელოვანესი პრობლემიდან, მეცნიერების განვითარების სადღეისო მოთხოვნათა შესაბამისად, თავის მხრივ, ეთნოგრაფიული მეცნიერებაც აფართოებს რა თავისი კვლევის თვალსაწიერს, მოვლენათა საყოველთაო კავშირურთიერთობის დიალექტიკური კანონზომიერების საფუძველზე, დღის წესრიგში აყენებს საკითხთა ისეთ რიგს, რომელთა გადასაჭრელადაც მათი ერთი საერთო პრინციპის მიხედვით გაერთიანებაა საჭირო. ასე რომ, მოკლედ თუ ვიტყვით ესაა ეთნოსის ისეთი ინტეგრირებული კვლევა, რომელიც კულტურის სხვადასხვა მხარის კომპლექსურ ერთიანობაში წარმოჩენასა და მისი სისტემური კვაზრების აუცილებლობას გულისხმობს[7].

სისტემური ანალიზი კი კულტუროლოგიაში კულტურის ფენომენის ქვესისტემათა განზოგადების გზით ხორციელდება. ამ ქვესისტემებში ნათლად აისახება ადამიანის გარესამყაროსადმი დამოკიდებულებისა და მისი მიზანდასახულობის საერთო სურათი, შესაბამისად სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის ასპექტებით[8]. ეს ქვესისტემები მკვლევრებს შემდეგნაირად აქვთ წარმოდგენილი: 1. კულტურის რეგულაციური ქვესისტემა, რომელიც ასრულებს ადამიანისა და, უფრო სწორად, საზოგადოების მოქმედების სტიმულაციის, მოტივაციის, პროგრამირებისა და კოორდინაციის ფუნქციას:

---

[3] Маркарян Э. С., Очерки теории культуры, Ереван, 1969; Арутюнов С. А., Этнографическая наука и изучение культурной динамики, указ. раб.; его же, Народы и культуры, развитие и взаимодействие, М., 1989.

[4] მ. დოდელია, კულტურის ცნების საკითხისათვის, „საბჭოთა ხელოვნებაᲛ, 1985, 5, გვ. 2.

[5] გ. ჩიტაია, შენიშვნები ზოგადი ეთნოგრაფიის საკითხებზე, ცნება „კულტურაᲛ, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის (შემდეგში მსე.), VII, თბ., 1955, გვ. 77.

[6] Арутюнов С. А., Маркарян Э. С., Мкртумян Ю. И., Проблемы исследования жизнеобеспечения этноса, с. 22.

[7] Каган М. С. Системное рассмотрение основных способов в группировки, философские и социологические исследования, Л., 1977; Э. С Маркарян, Вопросы системного исследования общества, М., 1972.

[8] იქვე, გვ. 6.

2. ათვისებითი ანუ გამოყენებითი ქვესისტემა, რომლის მიხედვითაც საზოგადოება უზრუნველყოფს თავისი მრავალმხრივი ქცევის რეალიზაციას; 3. ცხოვრებით უზრუნველყოფის ქვესისტემა. იგი საშუალებას იძლევა, რათა ადამიანმა შეიმუშაოს ფიზიკური არსებობისა და გარესამყაროსაგან თავის დაცვის საშუალებები; 4. ზებიოლოგიური და სოციოკულტურული კვლავწარმოების სისტემა, რომელიც ხორციელდება საზოგადოების სოციალური ორგანიზაციისა და აკუმულაციის საშუალებათა გამომუშავებით[9].

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კულტურის ქვესისტემურად გააზრების ამგვარ ცდას საკმაოდ მყარი თეორიული და პრაქტიკული საფუძველი აქვს. საქმე ის არის, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი არასაკმარისად მიიჩნევს კულტურის ფენომენს მხოლოდ ძველი კლასიკური სქემის მიხედვით, ორ ნაწილად (მატერიალურ და სულიერ ნაწილებად) დაყოფას და თვლის, რომ დანაწილების ამოსავალ პრინციპად აღებული უნდა იყოს არა მარტო შექმნილ ღირებულებათა გამოვლენის ფორმა, მისი სახიერი შედეგი, არამედ ამ ღირებულებათა მიღწევაში ადამიანის მოქმედების ფუნქცია, მისი მოღვაწეობის შინაარსი, რომლის მიხედვითაც კულტურა გამოხატავს, ერთი მხრივ, საზოგადოების მიერ მის ირგვლივ არსებულ ბიოფიზიკურ სფეროზე ზემოქმედებასა და, მეორე მხრივ, მათი სულიერი უხილავი სამყაროსადმი კავშირს. ამ თვალსაზრისით პირველი შეიძლება მატერიალურ კულტურასთან გავაიგივოთ, რადგან ადამიანის ბიოფიზიკურ სფეროზე ზემოქმედება სხვა არაფერია თუ არა, მაგალითად, შრომის იარაღებისა და ფიზიკური უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საშუალებების შექმნა (ვიტალური და უტილიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება), რასაც მთლიანობაში ცხოვრებით უზრუნველყოფის კულტურას (культура жизнеобеспечения) უწოდებენ, ხოლო რაც შეეხება უხილავი იდეალური სამყაროსადმი კავშირს, სულიერ კულტურას.

აქ გაერთიანებულია ადამიანის ყოველდღიური მოქმედების სოციონორმატიული და ჰუმანიტარული ასპექტები, ასევე ცოდნის, აზროვნების აკუმულაციისა და წარმოების საშუალებები, რომლებიც მთლიანობაში კოგნიტიური კულტურის სახელწოდებით არის ცნობილი[10].

ამრიგად, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფუნქციური დანიშნულების მიხედვით გააზრებული კულტურის ქვესისტემებში ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი ადგილი ცხოვრებით უზრუნველყოფის კულტურას უჭირავს, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ იღწვის ადამიანი საარსებო საშუალებათა შექმნა-შენარჩუნებისა და ფიზიკური კვლავწარმოებისათვის.

ცხოვრებით უზრუნველყოფის კულტურას, ზოგად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, ყოფით კულტურასაც უწოდებენ[11]. მასში აერთიანებენ როგორც ძირითად, ისე პერიფერიულ კომპონენტებს. ძირითადად მიჩნეულია დასახლება, საცხოვრებელი, კვება და ტანსაცმელი, ხოლო პერიფერიულად ავეჯი, ჭურჭელი, ტრანსპორტი და სხვა დანარჩენი[12]. ჩანს, ავტორებს კულტურის ელე-

---

[9] С. А. Арутюнов, Э. С. Маркарян, Ю. И. Мкртумян, Проблема исследования культуры жизнеобеспечения этноса, с. 25.

[10] М. С. Маркарян, Очерки теории культуры, с. 86.

[11] ამ საკითხთან. Волкова Н. Г., Джавахишвили Г. Н. Бытовая культура Грузии XIX—XX веков. Традиция и инновации, М., 1982.

[12] С. А. Арутюнов, Э. С. Маркарян, Ю. И. Мкртумян, Проблема исследования, с. 25.

მენტების ამგვარი დანაწილება ძალზე პირობითად აქვთ წარმოდგენილი, რადგან ყველა ეს ზემოთ დასახელებული კომპონენტები განიხილებიან არა ერთიმეორისაგან იზოლირებულად, არამედ მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთმიმართებაში კულტურის სხვა ასპექტების გათვალისწინებით[13].

ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი კანონზომიერებაც, რომ კულტურის ელემენტებს საერთოდ ახასიათებთ ურთიერთჩამღწევადი და ურთიერთზემოქმედებითი თვისებები. მაგალითად კერა, რომელიც განიხილება და შეისწავლება როგორც საცხოვრებლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი (მატერიალური კულტურის ელემენტი, საზოგადოებრივ ურთიერთობაში გარკვეულ საკულტო-რელიგიურ და სოციალურ ფუნქციას ასრულებს; მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ იგი თავისი დანიშნულებით უწინარეს ყოვლისა ადამიანის ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საგანია (სამეურნეო ფუნქციის შესაბამისად ემსახურება გათბობას, განათებას, საჭმლის მომზადების საქმეს და სხვ.), რის გამოც იგი გარკვეულწილად კვების სისტემის შესწავლის საგანი ხდება[14]. იგივე შეიძლება ითქვას საოჯახო ჭურჭლის შესახებაც. ის, ერთი მხრივ, კვების სისტემის კომპეტენციაში შემოდის როგორც სამზარეულო ჭურჭელი და, მეორე მხრივ, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების მქონე ნივთი, რომელსაც ხალხური გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტები სწავლობენ.

ამრიგად, ცხოვრებით უზრუნველყოფის კულტურა აერთიანებს რა საზოგადოების მატერიალური წარმოების, სოციონორმირების, სულიერი კულტურის, ეთიკის, ესთეტიკის, სარიტუალო-საკულტო და სხვა დანიშნულების ასპექტებს, ეთნოსის ყოფისა და კულტურის კომპლექსურ-სისტემური კვლევის ობიექტად წარმოგვიდგება. მისი თითოეული კომპონენტი კი როგორც ერთიანის, მთელის ორგანული ნაწილი. ასეთ ორგანულ ნაწილს უწინარეს ყოვლისა კვების სისტემა შეადგენს, რომელსაც შინაარსობრივი დატვირთვით ყოფითი კულტურის მთლიან კომპლექსში სრულიად გამორჩეული, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გამოთქმული მოსაზრების საფუძველზე:

«В комплексе систем жизнеобеспечения любого народа одно из ключевых мест принадлежит пище, которая составляет самую первую и повседневную витальную потребность человека. В свойственных разным народам наборах пищевых продуктов, способах их обработки, типах блюд, в традициях пищевого предпочтения или избегания, в организации и ритуале с пищей отразилась этническая и культурно-историческая специфика народов и изучение этих явлений имеет большой культурологический интерес»[15].

---

[13] С. А. Арутюнов, Э. С. Маркарян, Ю. И. Мкртумян. Проблема исследования, с. 25.

[14] რა თქმა უნდა, ჩვენ აქ შეგნებულად არ ვეხებით კერის როგორც საკულტო-რელიგიური დანიშნულების ფუნქციას და მასთან დაკავშირებით საკითხებს, რადგან იგი არა ერთი სპეციალისტის მიერაა შესწავლილი მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კერის სემიოტიკური თვალსაზრისით გაანალიზება, რომელშიც გამოიკვეთება ამ საგნის როლი და მნიშვნელობა საცხოვრებლის სივრცობრივი ათვისების ბინარულ ოპოზიციაში. იხ. Баибурин Н. К. Жилище в обрядах и представлениях восточных словян, Л., 1983, с. 191; см. также, Чиковани В. М., Очаг в жилих и хозяиственных сооружениях Аджари, БКЮЗГ, IV, Тб. 1976.

[15] Арутюнов С. А., Мкртумян Ю. И., Проблема классификации элементов культуры (на примере армянской системы питания), СЭ, 4, 1981, с. 3.

თუ კულტურის ქვესისტემათა ზემოთ აღნიშნული ახლებური, ფუნქციური დანაწილების პრინციპს გავიზიარებთ მაშინ, კვების ხალხურ სისტემაში შეიძლება გამოვკვეთოთ, ერთი მხრივ, მისი მატერიალური ბაზა (საკვები როგორც მატერიალური კულტურის ელემენტი). და, მეორე მხრივ, სოციონორმატიული და კოგნიტიური კულტურის ასპექტები. რომელთა მთლიანი, სტრუქტურული ანალიზისათვის საჭიროა შესაბამისი ტიპოლოგიური-საკლასიფიკაციო მოდელის შემუშავება, რომლის პრინციპებიც ეთნოგრაფიული სინამდვილიდან აღებული მასალიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამ მხრივ როგორც უკვე ითქვა საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში უკვე გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული[16]. საქართველოში კი ასეთი გამაზოგადებელი სახის სამუშაო ჯერჯერობით შესრულებული არაა. თუმც ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დასმულ საკითხს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ან უფრო სწორად მასზე არავის უფიქრია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს რომ გარკვეული სახით საამისო გამოცდილება არსებობს და ამ გამოცდილებას უაღრესად დიდი შემეცნებითი თეორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც პრობლემის კვლევის მეთოდოლოგიური, ასევე საკლასიფიკაციო საფუძვლების შემუშავებისათვის. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ დიდი ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი, რომელმაც ქართულ ეროვნულ ისტორიოგრაფიას საგანგებო ამოცანად დაუსახა კვების ხალხური სისტემის კომპლექსური შესწავლა და სათავე დაუდო ამ მიმართებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ეთნოგრაფიული მასალის შეკრება-დაუნჯების საქმეს[17].

განსაზღვრავდა რა საზოგადოების რაციონალური კვების აუცილებლობას ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ ადამიანის მეურნეობრივი შემოქმედების ამ დარგშიც კულტურის განვითარების, როგორც მიმდინარეობა ასევე მისი დონეც ჩანს და ბუნებრივი სიმდიდრის გონივრული გამოყენების ხალხური უნარიც გამოიხატება ხოლმე[18]. საკითხის შესასწავლად ავტორი ორი აუცილებელი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვდა 1. უნდა წარმოჩინდეს საკვები როგორც მატერიალური კულტურის საგანი მისი ადგილობრივი-ლოკალური და ზოგადეთნოგრაფიული თავისებურებით და 2. კვების რეჟიმი, როგორც მშრომელი ხალხის ჯანმრთელობისა და შეუჩერებელი წარმატების საფუძველი, შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და რელიგიური ასპექტებით[19].

---

[16] Бромлей Ю. В. Современные проблемы этнографии, указ. раб., Шмелева М. Н., Вопросы типологии классификации при сравнительном изучении пищи народов СССР. В кн.: Всесоюзная сессия, посвященная итогам полевых этнографических и антропологических исследований 1976—1977 гг. Тезисы докладов. Ереван, 1978, с. 147—148; Жуковская Н. Л., Пища кочевников центральной Азии (К вопросу экологических основ формировнаия модели питания), С. Э. 1979: № 5, с. 64—65; Арутюнов С. А. Введение и заключение в кн.: Этнография питания народов стран зарубежной Азии, опыт сравнительной типологии, М., 1981, с. 5, 248: Его же, Проблемы классификации, დასახ. ნაშრომი. გვ. 7.

[17] მხედველობაში გვაქვს მკვლევრის თაოსნობით მომზადებული და მისივე საერთო რედაქციით გამოცემული მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის ხუთ ტომად. ამათგან მე-3 ტომის II ნაწილი საკუთრივ კვების საკითხებს ეხება. იხ. დასახ. კრებული, თბ., 1981.

[18] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი მშრომელი ხალხის კვება და მისი რაციონალიზაციის ამოცანები (ხელნაწერი), თბ., 1939, ტექსტი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფონდი № 3, რვეული 1, ფურცელი 17.

[19] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ხელნაწერი.

აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად ავტორის აზრით თანამედროვე მკვლევარმა კვების კულტურის საკითხები შემდეგი ოთხი ძირითადი პრინციპის მიხედვით უნდა წარმართოს: 1. უნდა განისაზღვროს საკვების კვებითი ღირებულებების შედარებითი მონაცემები, რისთვისაც საჭიროა თითოეულ მათგანში მისი ქიმიური შემადგენლობის (მინერალური ნივთიერებების) დადგენა, რაც საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იგი ადამიანის სწორი, წესიერი კვებისათვის და ამის შესაბამისად ჩვენი წინაპრების ემპირიული ცოგნა-გამოცდილების ჯეროვანი წარმოჩენისათვის; 2. საგანგებოდ უნდა გამოიკვეთოს საკვებში შემავალი ვიტამინების სახეობები და მათი რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იმ ვითარების დადგენას თუ როგორ არჩევდნენ ჩვენი წინაპრები ადამიანის ჯანმრთელობისათვის საჭირო ვიტამინებით მდიდარ საკვებს; 3. უნდა გამოვლინდეს კვების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სამეურნეო მხარეები, რამეთუ ხშირ შემთხვევაში ადამიანის კვება მის ქონებრივ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ამასთან საკვლევია ისიც თუ საქართველოს რომელი თემისათვის (რეგიონისათვის), რომელი თანაბარი სინოყიერის მქონებელი და მარგებელი საკვების წარმოებაა სამეურნეო თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი, რომელი ველური მცენარის, მხალის, მწვანილის ძირხვენეულის და ხილის გაშენებაა ეკონომიკურად უფრო გამართლებული. და რა ცვლილებების შეტანა არის საჭირო ამ მხრივ, რათა სათანადო ხარჯებით შემცირდეს და მომზადების დროც. 4. ყურადღება უნდა მიექცეს მომზადებული კერძის საგემოვნო თვისებების განსაზღვრას, რაც ბევრად არის დამოკიდებული სანელებლების იმ სახეობებზე, რომლებსაც ჩვენი ხალხი ძლიერ ეტანება. მაგალითად, ცხარე და მჟავე საჭმელი სასიამოვნოა, მაგრამ ყველასათვის უვნებელი როდია. ამიტომ ავტორი გვირჩევს შევისწავლოთ აღნიშნულ სანელებელთა შემადგენლობა, მათი დადებითი და უარყოფითი მხარები[20].

და ბოლოს მკვლევარი გამოთქვამდა რწმენას, რომ ყოველივე ზემოთაღნიშნული ფაქტორებისა და პრინციპების გათვალისწინებას კვების ხალხური ტრადიციების შესწავლისას, არა მარტო წმინდა მეცნიერული, არამედ პრაქტიკული. გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს[21].

თუ ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებულ ყველა აქ მოტანილ მოსაზრებას თანამედროვე ეთნოკულტუროლოგიური კვლევის პოზიციებიდან შევხედავთ და მათ საკლასიფიკაციო დებულებების თვალსაზრისით შევაფასებთ, მაშინ ჩვენი აზრი ამ საკითხზე შეიძლება საბოლოოდ შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: 1. ივ. ჯავახიშვილი კვების კულტურის ისტორიას არ გამოყოფს ეთნოსის საერთო კულტურის ისტორიისაგან და მას განიხილავს როგორც ერის ცხოვრების მთელის ორგანულ ნაწილს. ეს დღეს თანამედროვე სისტემურ-კულტუროლოგიური კვლევის ერთ-ერთ ძირითად პრინციპადაა მიჩნეული; 2. მოცემულ დებულებებში ნათლადაა გამოკვეთილი კვების ხალხური სისტემის ორი მხარე. ესაა, ერთი მხრივ, საკვები, როგორც მატერიალური კულტურის ელემენტი და, მეორე მხრივ, კვების რეჟიმი შესაბამისი რელიგიური და სოციალური ასპექტებით. პირველი ექვემდებარება საკვებში შემავალ ცილცხიმოვან, ნახშირწყლოვან და სხვ. ნივთიერებათა ბალანსირებას, რაც თავის მხრივ, რაციონალური კვების საფუძველს ქმნის (აქ თავს იყრის კვების სამკურნალო,

---

20 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ხელნაწერი.

21 იქვე.

სანიადაგო. გერენტოლოგიური თვისებები). მეორე კი წარმოაჩენს საკვებწარმოების როგორც მატერიალურ საწყისებს, ასევე მისი მოხმარება-ათვისების ინტენსიურ და რაციონალურ ასპექტებს; 3. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ავტორი ხაზს უსვამს საკვებ-წარმოების ხალხურ გამოცდილებაში ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და კულტურულ-სამეურნეო მხარეების წარმოჩენას, რაც თავისთავად ეთნოსის საძეურნეო კულტურული ტიპის დადგენაში გვეხმარება. ამასთან სწორედ ეს მხარეები განაპირობებენ კვების სისტემის განვითარების ისტორიული საფეხურებისა და მისი ძირითადი ფენების (კულტურული დანაშრევების) გაანალიზების შესაძლებლობას. მაგალითად, მოცემულ ეკოლოგიურ გარემოში გამოიკვეთება არამწარმოებლური შემგროვებლობითი მეურნეობის გზები და საშუალებები, რომლებიც ჩვეულებრივ კვების სისტემის სუბსტრატულ ფენაში ერთიანდებიან და ეს უკანასკნელნი საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე დამხმარე მეურნეობის ფორმად გარდაიქცევიან. ამას კი განსაკუთრებული შემეცნებითი, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საკითხის ისტორიის გაანალიზებისათვის; 4. ივ. ჯავახიშვილის დებულებებში წარმოჩინდება პრობლემის შესწავლის არა მარტო რეგიონალური და ზონალური თავისებურებები, არამედ არეალური კვლევის ნიშნებიც. იგი კულტურის ელემენტების გავრცელების გაფართოებული მასშტაბების მაჩვენებელია; 5. ივ. ჯავახიშვილი სანელებლების მაგალითზე ყურადღებას ამახვილებდა ამა თუ იმ კერძის ეროვნულ ხასიათსა და მნიშვნელობაზე. ამ მხრივ საგულისხმოდ ჩანს. აქცენტის გადატანა არა მარტო მათ საგემოვნო თვისებებზე, არამედ ეთნიკური კუთვნილების ნიშნებზე, საკვებისადმი ეთნოსფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე. რაც თავის მხრივ, ესოდენ ღირსაცნობს ხდის ხალხური კვების კულტურის ისტორიას. მაგალითად: საცივი, შესაძლოა ის ან მისი მსგავსი კერძი წინა აზიის სხვა ხალხებშიც არსებობდეს, მაგრამ ჩვენში მისი სუფრაზე გამოჩენა ყოველთვის იწვევს ქართველებსა და საქართველოზე ასოცირებული წარმოდგენების გაძლიერებას და ამ მხრივ საუბრის წარმართვას. რამეთუ საცივი ისეთივე ეროვნულ ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ხალხისათვის, როგორც რომელიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი.

ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი იყო ქართველ მეცნიერთაგან პირველი, ვინც სათავე დაუდო კვების ხალხური ტრადიციების კულტურულ-ისტორიულ ჭრილში შესწავლას და მის კომპლექსურ ერთიანობაში გაანალიზებას, იმ პრინციპების შემუშავებას, რომლებიც დღეს ძირითადად თანამედროვე კულტუროლოგიური კვლევის მიმართულებებშია ასახული[22].

გავიდა წლები. ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწყებული საქმე მაინც კარგა ხანს (დაახლოებით 60-იან წლებამდე) ვერ გახდა ეთნოგრაფთა საგანგებო კვლევის ობიექტი. თუმცა მსგავსი ვითარება არა მარტო ჩვენში შეინიშნებოდა, არამედ საერთოდ, მთელი კავშირის მასშტაბით და შეიძლება ითქვას მსოფლიო მასშტაბითაც. ვფიქრობთ, ეს გარემოება მთლად შემთხვევითობით არ უნდა აიხსნას, რადგან, როგორც ჩანს, მაშინ დასახელებული თემა ვერ თავსდებოდა მატერიალური კულტურის ღირსაცნობ პრობლემათა შორის და ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე სულ სხვა ამოცანები იდგა. ცალკეულ შემთხვევაში კი არა-

---

22 გ. გოცირიძე კვების ხალხური სისტემის შესწავლის ზოგიერთი საკითხი ივ. ჯავახიშვილის შრომებში, მოხსენდა ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას, თბ., 1987 (ხელნაწერი), გვ. 14.

ერთი მკვლევარი დაინტერესებულა ამ საკითხით, მაგრამ ისიც ნაწილობრივ, ფრაგმენტულად, კულტურის სხვა საკითხებზე მუშაობისას, მაშინ როცა დარგში არაერთი საეტაპო მნიშვნელობის გამოკვლევები იწერებოდა; ამის და მიუხედავად, ყველა მათგანმა იცოდა, რომ ქართული კულტურის სრულფასოვანი შესწავლა კვების კულტურის გარეშე შეუძლებელი იყო. დრო თავისას მოითდავად, ყველა მკვლევარმა იცოდა, რომ ქართული კულტურის სრულფასოვანი არამედ იმისათვისაც, რომ გარკვეული კორექტივი შეგვეტანა ზოგიერთი ევროპელი მოგზაურისა და მისიონერის მიერ მიწოდებულ არასწორ ინფორმაციებში და XIX ს-ის ოფიციალურ პრესაში (იგულისხმება გაზეთი „კავკაზი") ასახულ ე. წ. „ტუზემცემის" ტენდენციურ დახასიათებებში, რაც დამკვირვებლის თვალში საქართველოზე ძალზე დამახინჯებულ და არაჭეშმარიტ შთაბეჭდილებას ქმნიდა.

გაითვალისწინეს რა ზემოთაღნიშნული და, უწინარეს ყოვლისა მეცნიერების განვითარების თანამედროვე მოთხოვნები 1961 წელს, როცა კავკასიის ხალხთა ორტომეული იწერებოდა, ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების მონაცემთა ურთიერთშეჯერებით, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლებმა გ. ჩიტაიამ და ვ. ბარდაველიძემ ჯეროვნად შეაფასეს ჩვენი ხალხის კვების კულტურის ისტორიული ტრადიციები და მას შესაბამისი შეფასება მისცეს. ეს იყო საკვლევი პრობლემის კულტურულ-ისტორიულ ჭრილში განხილვის ახალი ეტაპი, რომლის მიხედვითაც ქართველთა კვების სისტემაში ძირითადი ყურადღება საკვებთა შერჩევის რაციონალურ საფუძვლებზე იქნა გადატანილი და საბოლოო დასკვნაც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

«Грузины в приеме пищи умерены, несмотря на некоторые отрицательные данные, по своей комбинации и пропорции питательных веществ. Этим следует объяснить что физическое развитие грузин удовлетворительно» (Народы Кавказа, Т. II, М., 1961, с. 121).

თქმა არ უნდა, რომ მიღებული იქნა ძალზე მნიშვნელოვანი შედეგი, მაგრამ, ვფიქრობთ, მიუხედავად ასეთი საყურადღებო და მრავლისმეტყველი დაკვირვებისა საკითხის კვლევის აღნიშნული ეტაპი მაინც არ ამოწურავდა კვების სისტემის ეროვნულ თავისებურებათა სრულყოფილი შეცნობის შესაძლებლობებს, რის გამოც საკითხისადმი ინტერესი კვლავინდებურად ძლიერი რჩებოდა. განსაკუთრებით კი დახვეწას მოითხოვდა კვლევის მეთოდიკა და საკვალიფიკაციო პრინციპები, რომელთაც მოგვიანებით ეთნოგრაფი გ. გრომოვი საგანგებოდ შეეხო. იგი წერდა, რომ მოხმარებისა და მოქმედების ხასიათის მიხედვით საკვების შემადგენლობაში სხვადასხვა საშუალებებთან ერთად ერთმანეთისგან აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ საკუთრივ ყოველდღიური სანიადაგო საკვები (პური, ყველი, ხორცი და სხვ.) და ჩვეულებრივ კვებაში შემოსული ნარკოტიკული და მატონიზირებელი საშუალებები (სამკურნალო მცენარეები). ამასთან ერთად ავტორი გვაფრთხილებდა, რომ კვლევის დროს ერთმანეთში არ უნდა აგვერია ორი მცნება ხალხური მედიცინა და კვების სისტემა, მისი აზრით, ხალხური მედიცინა სამკურნალო საშუალებებს სწავლობს სულიერი კულტურის ხაზით. კვების სისტემას კი იგივე საშუალებები საკვებწარმოების მიზნით აინტერესებს. ვფიქრობთ, ეს დებულება მთლად მართებული არ უნდა იყოს, რადგან კვების რაციონალური დანიშნულება თავისთავად გულისხმობს მის სამე-

დიცინო-სამკურნალო ასპექტებსაც[23]. ასე რომ ხალხურ მედიცინას და კვების ხალხურ რაციონალურ სისტემას ბევრი რამ საერთო აქვს. პირველ რიგში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, თუმც, რა თქმა უნდა, მათ შორის გამასხვავებელიც ბევრია. გ. გრომოვი კვების ტრადიციული სისტემის შესწავლისათვის გარდა ზემოაღნიშნულისა კიდევ სამი ძირითადი და აუცილებელი ასპექტის გათვალისწინებასაც გვთავაზობდა. ესაა 1. გეოგრაფიული გარემო: 2. ადგილობრივი მეურნეობის ხასიათი (წამყვანი და არა წამყვანი სამეურნეო დარგები) და 3. ეთნოსის კულტურულ-ისტორიული ტრადიციები (დამოკიდებულება ამა თუ იმ საკვების მიმართ)[24]. გარდა ამისა მკვლევარი გვირჩევდა საველე მასალის ფიქსაციის დროს პირველ რიგში ყურადღება მიგვექცია კვების რეჟიმისადმი, ყოველდღიურ რაციონში ამა თუ იმ იჯრის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრისადმი, რაც დამოკიდებულია შრომითი საქმიანობის პირობებზე, დროის რაციონალურ გამოყენებაზე[25]. სწავლულის თქმით, საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს კვების ტაბუაციური მხარეები — აკრძალვები, რომლებშიც თავისთავად ვლინდება წმინდა რელიგიური და არარელიგიური ხასიათის ნიშნები.

ავტორის განმარტებით, **«Пищевые запреты гораздо древнее, чем оправдывающие их вероучения, будь то ислам, буддизм, христианство или другая развитая религиозная система. Подлинные причины возникновения постов следует искать в нормах реальной трудовой жизни народа в далеком прошлом»**[26].

ცალკე უნდა შევეხოთ გრომოვის მოსაზრებას საკვების მომზადების ტექნოლოგიური თავისებურებების შესახებ. იგი თვლიდა, რომ ეთნოგრაფმა რაც შეიძლება დაწვრილებით უნდა აღწეროს ამა თუ იმ კერძის დამზადების წესები, მისი თანმიმდევრულობა, რაზეც დამოკიდებულიაო კერძის საგემოვნო თვისებები. ვფიქრობთ, აქ გარკვეული კორექტივის შეტანაა საჭირო. მართალია ეთნოგრაფმა უნდა აღწეროს კერძის მომზადების წესები, მაგრამ იგი არ უნდა გაიტაცოს წმინდა კულინარიულმა მხარეებმა, რასაც შესაბამისი სპეციალისტები სწავლობენ. ეს მათთვისაა უმთავრესი და არა ეთნოგრაფისათვის, ვისთვისაც მთავარი ის კი არაა, თუ საჭმელი როგორ მზადდება, არამედ რა ადგილი უჭირავს მას კვების რაციონში და საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რამეთუ როგორც ს. ტოკარევი შენიშნავდა საკვები მატერიალური კულტურის ელემენტია და მისი შესწავლისას პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ ის, თუ რა ადგილი უჭირავს ამ ელემენტს ადამიანთა ურთიერთობაში. შემდეგში იგი უფრო აკონკრეტებდა ამ აზრს და წერდა:

«Этнографа вещи интересует не сами по себе а в их отношении к людям. Ведь этнография есть наука о людях, а не о вещах»[27]. მკვლევარი იქვე შეგვახსენებს ფრანგი კულტუროლოგის მარსელ მარქეს გამონათქვამს, რომ საგანი, რომელიც ადამიანს არ ემსახურება, ეთნოგრაფიისათვის არ არსებობს[28]. უფრო მეტიც, ტოკარევის თქმით, **«Для нас не столько даже важно знать отношение вещей к человеку, или отноше-**

---

[23] Громов, Методика этнографических экспедиций. МГУ, 1966, с. 82.

[24] იქვე.

[25] იქვე.

[26] იქვე.

[27] С. А. Токарев, К методике этнографического изучения материальной культуры, С. Э., № 4, 1970, с. 3.

[28] ვსარგებლობთ ს. ტოკარევის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 3.

ние человека к вещам, сколько отношения между людьми по поводу данной вещи, говоря шире, это есть социальные отношения посредством материальных предметов»[29].

ს. ტოკარევი ახასიათებდა რა ყოფითი კულტურის ძირითად პარამეტრებს, ერთგვარად აჯამებდა მატერიალური კულტურის კვლევაში საბჭოთა ეთნოგრაფების მიერ მიღწეულ შედეგებს და საბოლოოდ ასკვნიდა, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი მონაპოვრებისა, მათში ნაკლებად შეინიშნებოდა ყოფის სოციალურ მხარეებთან კავშირი, ეს მისი აზრით, უმთავრესად უნდა ყოფილიყო[30]. საკუთარივ ხალხური კვების კულტურის შესწავლაში ის უპირატესობას ანიჭებდა საზოგადოებრივი ტრაპეზებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას, რამეთუ ერთად პურობისა და სხდომის ტრადიციული წესები შეიძლება ერთ შემთხვევაში შემაკავშირებელ, ხოლო მეორე შემთხვევაში გამთიშველ როლს ასრულებდნენ. ამასთან ტრაპეზის ბიოლოგიური ფუნქცია — დააკმაყოფილოს ადამიანის ვიტალური მოთხოვნილება, ხშირად მეორე ადგილზე ინაცვლებს[31]. მაგ.: ტრაპეზი შემაკავშირებელი დანიშნულებისაა დაძმობილების, არისტოკრატული და დიპლომატიური სადილების დროს, მას ტრადიციულად დამაახლოებელი ხასიათი აქვს სტუმართმოყვარეობაში. ნათლობაში, ქელეხში და სხვა შემთხვევებში. ზოგჯერ კი ერთად პურის ჭამა არა თუ მხოლოდ მეგობრული და ნათესაური ურთიერთობის გამომხატველია, არამედ თვითონ ქმნის საამისო შესაძლებლობებს, რაც, მაგალითად, კარგად ჩანს სახელდახელო ტრაპეზის დროს[32]. ტრაპეზი გამთიშველ როლს ასრულებს მაშინ, როცა ტრადიცია დაუშვებლად თვლის ერთად პურის ჭამას რელიგიური, ასაკობრივი თუ სქესობრივი სეგრეგაციის გამო (მაგალითად, უმძრახობის, უფროს-უმცროსობის, ქალისა და მამაკაცის ერთად პურობის აკრძალვის შემთხვევები, რასაც ყოფითი მონაცემების გარდა წერილობითი წყაროებიც გვიდასტურებენ)[33]. ამ ჩვეულებას ფრანგი მეცნიერები — მაკარიუსები კვების ეგზოგამიას უწოდებენ[34]. ს. ტოკარევი თვლიდა, რომ ტრადიციული კვების წესებში ასახული ზოგიერთი რელიგიური აკრძალვები გარკვეული ეთნიკური სხვაობითა და სოციალური შინაარსით ხასიათდებიან. მაგალითად, თუ მუსულმანი არ ჭამს ღორის ხორცს, ამით ის უპირისპირდება არამუსულმანს; ან ეკლესიის მსახური, რომელიც ზუსტად იცავს მარხვის წესს, უპირისპირდება თავისუფალ ერისკაცს. (იგივე ითქმის ჩვეულებრივ მორწმუნისა და არამორწმუნის მიმართ)[35]. აღსანიშნავია რომ ეს გარემოება, არა მარტო ცალკეულ კონკრეტულ ვითარებაში, არა-

---

29 С. Л. Токарев, დასახ. ნაშრომი. გვ. 4.

30 იქვე.

31 იქვე.

32 გ. გოცირიძე. სახელდახელო სუფრა (შიდა ქართლის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), მსე. XXIII, გვ. 94.

33 ტრაპეზის დროს სქესობრივი სეგრეგაციის დაცვა კარგად ჩანს იაკობ ცურტაველის შუშანიკის წამებაში, სადაც ეპიზოდი „მამათა და დედათა" ერთად პურის ჭამისა, ქართული ჩვეულების მიხედვით, ეროვნული ეტიკეტის დარღვევად ითვლება და იგი ნაწარმოებში ერთ-ერთი კულმინაციური, მხატვრული დრამატიზმით სავსე მომენტია. ამ წესს სათანადო ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა, მისი აზრით, ეს ირანული მაზდეანიზმის გავლენაა. მკვლევრის შეხედულებას იზიარებს ეთნოგრაფი ს. ჯანტურიშვილიც. იხ. მისი, ყოფა და კულტურა V—X საუკუნეების საქართველოში, თბ., 1984, გვ. 206.

34 ეუთიოებთ ს. ტოკარევის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 117.

35 იქვე.

მედ ზოგადი ხასიათის მოვლენებშიც ჩანს[36]. მაგალითად, ამა თუ იმ ეთნოსის (ან ეთნიკური ჯგუფის) მიერ გარკვეული საკვებისადმი აკრძალვითი დამოკიდებულება, უმეტესად ეროვნულობისა და ტრადიციულობის ნიშნით აიხსნება, რამეთუ ყველა ეროვნებას აქვს ისეთი კუთვნილი, ეროვნული საჭმელი, რომელსაც სხვა ეროვნება არ ჭამს, მიუხედავად სარწმუნოების ერთიანობისა. ასეთ მოვლენებს კვების სისტემის შესწავლისას განსაკუთრებული, სიღრმისეული დაკვირვება სჭირდება. ამიტომაც ვეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას, რომ **«для этнографа не так важен способ приготовления того или иного национального блюда, как его социальное функционирование»**[37].

ამრიგად, ეროვნული საკვებისადმი და ხალხური კვების სისტემისადმი ასეთი შემეცნებითი დამოკიდებულება ეთნოსის თავისებურებების (ეთნოსპეციფიკის) და ეთნიკური ფსიქოლოგიის (ეთნოფსიქოლოგიის) გამოვლენის საშუალებაცაა. ეს კი უწინარეს ყოვლისა ეროვნულ თვითშეგნებაში გამოხატული, ტრადიციული კულტურის მემკვიდრეობითი ღირებულების ჯეროვანი შეფასებაა, რაც კულტუროლოგიური კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანას. სამართლიანადაა ნათქვამი, რომ „კულტურა ის სოციალური მოვლენაა, რომლის ყველა შესატყვისი ელემენტი სოციალური ორგანიზმის ღრმა ჭრილში უნდა განიხილებოდეს«[38].

ამრიგად, ს. ტოკარევმა ერთმანეთისაგან გამიჯნა საკვების მოხმარებისა და გამოყენების ორი ფუნქცია: 1. დააკმაყოფილოს ადამიანის ვიტალური მოთხოვნილება (ბიო-ფიზიოლოგიური ფუნქცია), რომელიც მისი მატერიალური საწყისებიდან მომდინარეობს და 2. შეასრულოს გარკვეული საზოგადოებრივი როლი სოციალურ ურთიერთობებში (სოციალური ფუნქცია). ავტორი სვამს კითხვას თუ რომელი ფუნქცია არის უმთავრესი და რომელია უფრო სიცოცხლისუნარიანი (რათა მან შეინარჩუნოს არსებობა თუნდაც 100 წლის შემდეგ?) და იქვე განმარტავს, რომ თუმც დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალზე ძნელია, ერთი რამ მაინც იმთავითვე ცხადია, რომ იმდენად, რამდენადაც ორივე ფუნქციას ადამიანის ცხოვრებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამის გამო ორივე საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია[39]. ვეთანხმებით ამ ავტორის ამ მოსაზრებას, გვინდა ერთი გარემოებაც შევნიშნოთ. ჩვენი აზრით, კვების ხალხური სისტემის სოციალურ შინაარსს უფრო ნაკლებად ემუქრება ტრანსფორმაცია, ვიდრე მატერიალურს, რადგან სოციალურ ურთიერთობათა ტრადიციულ ფორმებში (საქორწილო ლხინია იგი თუ სამგლოვიარო სუფრა), გაფართოებული ეთნიკური პროცესებისა და დროის ულმობელი ფაქტორის გამო, შედარებით მალე იშლება ეროვნული მახასიათებლის კვალი (მაგ., კერძების შემადგენლობა, მათი გაფორმების ხასიათი, ჭურჭლის სახეები და სხვ.). ვიდრე ამავე ურთიერთობების დროს დამკვიდრებული ქცევის ნორმები (სხდო-

---

36 ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ. ს. ჰანტურიშვილი. სტრუქტურალიზმი ეთნოგრაფიაში, კლოდ ლევი სტროსი. ე. „ცისკარი“, № 3, 1988.

37 რობერტსონ სმიტრის აზრით, ხშირ შემთხვევაში რიტუალური ტრაპეზი რელიგიური კულტმსახურების მაჩვენებელი კი არაა (როგორც ეს გარეგნულად ჩანს), არამედ „გვარის“ სოციალური ცხოვრების წესი. (მაგ. ტოტემის ხორცის ჭამა ერთმანეთთან ახლოებს და აკავშირებს იმ ტომის წევრებს, რომელთაც ეს ტოტემი იცავს) ვუთითებთ ტოკარევის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 17.

38 ს. ტოკარევი, დასახ. ნაშრომი.

39 იქვე.

მისა და თანამესუფრეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი მომსახურებ·ს, სუფრის გაძღოლისა და ხელმძღვანელობის ტრადიციულის წესები, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა რიტუალური ჩვეულებანი და სხვ.), რაც, რა თქმა, უნდა, ყველგან და ყოველთვის ერთნაირად როდია დაცული. აქაც ხშირად ხალხმრავალ ტრაპეზებში ბევრი რამ ირღვევა, მაგრამ ამისდა მიუხედავად მცდელობა ძველის შენარჩუნებისა საგრძნობლად მკვეთრია. ყოველივე ამის შესახებ კი საგანგებო დაფიქრება და მსჯელობა გვმართებს.

ამრიგად, საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ, როგორც ს. ტოკარევი წერდა, კვების კულტურის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება მისი სოციალური ასპექტების გაანალიზებას უნდა მიექცეს, რაც სპეციალურ ლიტერატურაში თითქმის 70-იან წლებამდე მხოლოდ ნაწილობრივ იყო გათვალისწინებული. 70-იანი და განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, როგორც წერილის დასაწყისში ვიუწყებოდით, საბჭოთა ეთნოგრაფიაში თანდათან მკვიდრდება ეთნოსის კულტუროლოგიური კვლევის პრინციპები, რომელმაც კვების ხალხური სისტემის რეტროსპექტული შესწავლა ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად აქცია და იგი სიცოცხლით უზრუნველყოფის კულტურის ძირითად კომპონენტად იქნა მიჩნეული.

1983 წელს გამოიცა წიგნი, რომელშიც დასმული პრობლემა სომხეთის მაგალითზეა განზოგადებული[40]. აქ საკლასიფიკაციო პრინციპები შემუშავებულია საკვლევი რეგიონისათვის დამახასიათებელი კულტურულ-სამეურნეო ტიპის საფუძველზე, თუმც მისი ავტორები იმთავითვე მიზნად ისახავენ გარკვეული კორექტივი შეიტანონ კულტურის კლასიფიკაციებში საერთოდ და გვთავაზობდნენ სამეურნეო-კულტურული ტიპებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების ისეთ ახლებურ ტიპოლოგიზაციას, როცა მისი გენეტიკური და სტრუქტურული პარამეტრები შერწყმული სახითაა წარმოდგენილი და, რომელიც შლის განსხვავებას ნათესაურ და კონვენგენტურ სამეურნეო-კულტურულ ტიპებს შორის[42]. კულტურის ასეთი ტიპოლოგიზაცია, მათი აზრით, ყველაზე უპრიანია სწორედ ცხოვრებით უზრუნველყოფის კულტურისათვის. მის გაფართოებულ სექტორში ჯეროვან დონეზე უნდა გამოვლინდეს წამყვანი სამეურნეო დარგის როლი საკვებ-წარმოებაში მეურნეობის სხვა დანარჩენ დარგებთან მიმართებაში[43]. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ შერწყმული სიმბიოზური სისტემები, რომლებიც თავისთავად ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უნიკალურ მოვლენებად ითვლებიან.

გაითვალისწინეს რა კულტურის ტიპოლოგიის ახლებური ცდა სომხეთის ცხოვრების უზრუნველყოფის კულტურაზე, მისმა ავტორებმა ისტორიულ-რეტროსპექტულ ჭრილში განიხილეს და წარმოადგინეს მისი სტრუქტურულ-სემიოტიკური ანალიზი, განვითარების დიხოტომიზირებული სქემის მოშველიებით, რამაც საშუალება მისცათ კლასიფიკაციაში ამა თუ იმ საკვების ათვისებისა და მოხმარების სულ მცირე ტექნოლოგიური ტაქსონების გამოყოფისა. ამით კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთეს ამა თუ იმ საკვების, როგორც კულტურის

---

40 **Культура жизнеобеспечения и этнос, Ереван, 1983.**

41 იქვე, თავი I, § I; იხ. აგრეთვე. С. А. Арутюнов. Ю. Н. Мкртумян, **Проблема классификации элементов культуры**, с. 6.

42 იქვე.

43 კულტურის ელემენტების ტიპოლოგიური ანალიზისა და ეთნოგრაფიული პარალელების შესახებ იხ. მ. ჭანთარია, ეთნოგრაფიული პარალელები და მათი კვლევის ზოგიერთი ასპექტი. „მაცნე", ისტორიის სერია, I, 1987.

ელემენტების ძოპოვების და დამუშავების ინტენსიური ბუნება, ხოლო რაც შეეხება კვების სოციალურ და რელიგიურ ასპექტებს, რომლებიც სატრაპეზო კლასიფიკაციაში უფრო მკვეთრად იჩენს თავს, ისინი სიტუაციის მიხედვით იქნა გააზრებული[44]. ნაშრომის ამ ნაწილშიც, ისე როგორც მატერიალური კულტურის ელემენტებზე საუბრისას, გამოყენებულია არქეოლოგიაში ა. კლეინის მიერ სტრუქტურული ლინგვისტიკიდან გადმოღებული კულტურის მოვლენათა „ემნი" და „ეთნი" ასპექტებით გაანალიზების ცდა, რომელიც, თავის მხრივ, პაიკისეული ენობრივი, ფუძეთა ფონემური და ფონეტიკური (ponemic, ponetisc თავისებურებიდან გამომდინარეობს[45]. საქმე ის არის, რომ ლინგვისტურ სტრუქტუროლოგიაში ერთმანეთსაა დაპირისპირებული სიტყვის ლექსემური და ფონემური აგებულება. ფონემური ანალიზის მიხედვითაც იგი სხვადასხვა მნიშვნელობის გამომხატველია. მაგ., რუსული **быть и бит**. აზრის ასეთი თვისობრივი სხვაობა ენის გარდა კულტურის ყველა სხვა განზომილებაშიც შეინიშნება. რისი გათვალისწინებითაც, კლეინის თქმით, „ემნი" ასპექტი გულისხმობს მის შინაარსში ჩადებულ სიღრმისეულ აზრობრივ დატვირთვას, ხოლო „ეთნი" გარეგნულ, ემპირიული დაკვირვებით გამოვლენილ ნიშანს[46]. აქედან გამომდინარე, ვ. ბაჩკარიოვას კულტურის ელემენტების გაანალიზებისას არსებითად, ემპირიული დაკვირვების შედეგი ანუ „ეთნი" ასპექტი მიაჩნია[47]. ამავე აზრისაა ა. პერშიცი[48].

საკითხთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ მართალია ასეთი მეთოდით და საკლასიფიკაციო პრინციპებით შემუშავებული კვების ხალხური სისტემა კარგად გვიჩვენებს როგორც საკვების მომზადება-ათვისების ხალხურ მექანიზმს, ასევე მისი განვითარების სახეცვლილებასაც თითოეული მისი კომპონენტის თვისობრივი მხარეების წარმოჩენით, მაგრამ ვფიქრობთ მთლიანად მასზე დაყრდნობა გაუმართლებელია, რადგან შესაძლოა აქ ნათლად არ აისახოს საკვების დამუშავების ხალხური ტექნოლოგიის სრული თანმიმდევრულ-ეთნოგრაფიული სურათი მისი სხვა ხალხებისაგან განმასხვავებელი ეროვნული მახასიათებლებით.

სომხური კვების სისტემის საკლასიფიკაციო მოდელი, რომელიც უკიდურესად სავარაუდოა, სამ აუცილებელ ფენას წარმოაჩენს. ესაა სუბსტრატული, ძირითადი და ადსტრატო-სუპერსტრატული ფენები, რომლებიც შესაბამის კულტურულ-სამეურნეო ტიპს ემყარებიან. ამის გარდა, აღნიშნული მო-

---

[44] Г. Гоциридзе, К вопросу типологической классификации поведенческих норм культуры питания на примере восточной Грузии (Константация этнокультурных взаимотношений), Тезисы доклада Всесоюзной научной конференции этнографов состоявшейся под рубрикой: Традиции в многонациональном обществе, в г. Минске, 1990.

[45] А. С. Клеин, Понятие типа в современной археологии. В кн.: Типы в культуре, методологические проблемы классификации систематики и типологии в социально-исторических и антропологических науках, отв. ред. А. С. Клеин, ЛГУ, 1979, с. 50.

[46] იქვე.

[47] В. С. Бочкарев, К вопросу о системе основных археологических понятий в кн.: Предметы объекта археологии и вопросы методики археологических исследований, Л., 1975, с. 63.

[48] А. Першиц, Проблемы методологии.

დელი წარმოაჩენს საკვების დამუშავებისა და ათვისების ტექნოლოგიური საფეხურების განვითარებას უმი ნედლეულიდან მზა პროდუქციამდე მათში კალორიულობის, ცილ-ცხიმოვანი, ნახშირწყლოვანი ნივთიერებებისა და ვიტამინების შემადგენლობის გათვალისწინებით.

გვინდა საგანგებოდ შევნიშნოთ, რომ მიუხედავად მთელი რიგი დადებითი და პრინციპულად სწორად გააზრებული ნიშნებისა, ქართული ხალხური კვების სისტემის კლასიფიკაციისათვის, ზემოთ აღნიშნული მოდელის პირდაპირ სქემატურად გადმოღება და მისი ჩვენს ქართულ მასალასთან მისადაგება არ შეიძლება. ასეთი განცხადებისათვის შემდეგ არსებით არგუმენტებს ვემყარებით: 1. სომხეთსა და საქართველოს სრულიად ურთიერთგანსხვავებული ბიო-ეკოლოგიური, გეოგრაფიული და ზონალური განფენილობა ახასიათებს, რაც კვების სისტემის გაანალიზებაში ერთ-ერთი პრინციპული მნიშვნელობის საკითხია. 2. არეალურად, თითქოსდა ერთ სარტყელში მოქცეული ამ ორი მსხვილი რეგიონის მეურნეობის ტრადიციულ ფორმებში, რაც არსებითად განსაზღვრავს კიდეც საკვებ-წარმოების ადგილობრივ-ლოკალურ თავისებურებებს, აშკარა განსხვავებაა. ეს განსხვავება აისახება კიდეც კულტურულ-სამეურნეო ტიპში; 3. საკლასიფიკაციო სავარაუდო მოდელის შემუშავებისას გასათვალისწინებელია ასევე ამ ორ სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე ეთნოკონტაქტური შედეგების კვალი, რომლის ხვედრითი წონა დამოკიდებულია ძირითადად იმ გარემოებაზე, თუ რამდენად მჭიდრო და ორგანულია ეს კონტაქტები და კონკრეტულად რომელ ხალხთა ურთიერთობებს გულისხმობს იგი. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, ჩვენში, დასავლეთ საქართველოსათვის უფრო მეტად დამახასიათებელია ბიზანტიურ და ბერძნულ სამყაროსთან კავშირი, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსათვის, სადაც ახლო აღმოსავლური (ირანული) კულტურის ელემენტები ჭარბობს. სომხეთში კი ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საგრძნობია; 4. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ საკვები კულტურის წარმოებისა და ათვისების ტრადიციებში რელიგიური და ეთნიკური თვითშეგნების (ეთნოფსიქოლოგიური) ფაქტორების გათვალისწინებას, რამეთუ ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე საკვები სხვადასხვა ხალხში არა თუ სხვადასხვანაირად შეიძლება მომზადდეს, არამედ მოიხმარებოდეს კიდეც. ამ მხრივ სომხურ და ქართულ ეროვნულ სამზარეულოს ბევრი განმასხვავებელი ნიშანი დაეძებნება; 5. და ბოლოს სავსებით გასაგები მიზეზების გამო, სომხური კვების სისტემის შესწავლისას მისმა ავტორებმა გაითვალისწინეს რა საბჭოთა კულტუროლოგებისათვის კარგად ცნობილი საზღვარგარეთელი ეთნოლოგი სტრუქტარილისტების ლევი სტროსის[49], ლე გურუანის[50], ჯეკ გუდის[51] და სხვათა ენათმეცნიერული კვლევის მეთოდები, რომლებიც ძირითადად ეთნოსის ლინგვისტურ მონაცემებს, ენის სტრუქტურულ სისტემას ემყარებიან, შექმნეს, კულტურის ისეთი ტიპოლოგიური მოდელი, რომელიც, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხალხში სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი და ამ მხრივ უნივერსალური ნიმუშები არ არსებობს, რამეთუ ყოველგვარი მოდელი საკუთარი ეროვნული საწყისებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამიტომაც ვამახვილებთ

---

[49] Levi Strousscl od. Le triangle culinaire, Paris. 1967.

[50] Leroi Courhan. A Milceuet trechigues. Paris. 1945.

[51] Coody J.. Cooking causine and closs (a stuajen compative Sociologi. Neu York, 1982.

რა ყურადღებას აღნიშნული გარემოებისადმი, ქართული ხალხური კვების სისტემის კლასიფიკაციისათვის უწინარეს ყოვლისა ქართული ენის ლინგვისტურ ცნობებს ვიწველიებთ და ამასთან ერთად მთლიანად ვემყარებით იმ კულტურულ-სამეურნეო ტიპს, რომელიც დაახლოებით XIX—XX საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში არის მოცემული და რომლის ჩამოყალიბებაში გათვალისწინებულია მეურნეობის როგორც ინტენსიური, ასევე ნაკლებად ინტენსიური დარგების განვითარება მათი ზონალური და რეგიონალური მონაცემებით. აქაც ისე, როგორც სომეხი ხალხის კვების სისტემაში, ქართული ხალხური კვების სისტემა პირობითად შეიძლება სამ სტრუქტურულ ფენად დაიყოს. ესაა სუბსტრატული, ძირითადი და ადსტრატო-სუპერსტრატული ანუ უმაღლესი, სინთეზური ფენები. დავიწყოთ სუბსტრატული ფენით, რომელიც ქრონოლოგიის თვალსაზრისით პირველ ადგილზე დგას და რომელიც წარმოაჩენს შემგროვებლური მეურნეობის ტრადიციულ ფორმებს. აქ შემოდის როგორც ძირქვენული და სხვა ველური მცენარეული, ასევე მონადირეობის, მეთევზეობის, ველური მეფუტკრეობის და ტყის ხილ-კენკროვანი საკვებ-პროდუქტები, რომლებიც კვების სისტემის სხვადასხვა ეკოლოგიურ ვარიაციებში იჩენს თავს.

ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე შემგროვებლობითი მეურნეობა ყოველდღიური კვებითი რაციონის შევსებისათვის არსებითი და შესაძლოა ერთადერთი გზა იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში წარმოებით მეურნეობაზე გადასვლასთან ერთად მან დამხმარე მეურნეობის ფუნქცია შეინარჩუნა და ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ იგი ტრადიციის ძალით თითქმის დღემდე შემოგვინახა. მისი შემწეობით მოსახლეობა თანამედროვე ცხოვრების პირობებშიც ხშირად მიმართავს შემგროვებლობას და ამით შეძლებისდაგვარად ავსებს ყოველდღიური კვების რაციონს. მეურნეობის ამ ფორმის ისტორიულ-დიაქრონული ანალიზი ნათლად წარმოაჩენს წარსულში ამა თუ იმ საკვებისა და კვებითი ღირებულების მქონე მცენარეულ ბალანსს, რასაც უაღრესად რაციონალური, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს[52]. მაგალითად, ცნობილია, რომ შაქრის ჭარხლის წარმოებამდე ჩვენი წინაპრები გლუკოზიდების საჭირო რაოდენობას ველური მეფუტკრეობის გზით უზრუნველყოფდნენ. ეს კარგად ჩანს თაფლის მოხმარების ხალხურ ტრადიციებში. ავიღოთ კიდევ მეორე მაგალითი, სახამებლის მოთხოვნილება, რომელსაც ძველად ხორბლეულთან ერთად ძირქვენებით (სტაფილო, მიწის ვაშლი, წაბლი და სხვა ველური მცენარეული) და პარკოსნებით იკმაყოფილებდნენ. ცხადია, მეურნეობის ეს ადრეული ფორმები განსაკუთრებულ სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა მტერთა შემოსევების, სტიქიური უბედურების — მოუსავლიანობის თუ სხვა იძულებითი მიგრაციების დროს, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი მხოლოდ ტყის რესურსებით თუ იჩენდა თავს. რაც შეხება ამ გზით მოპოვებულ საკვებთა დამუშავების ხალხურ ტექნოლოგიურ წესებს, იგი, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში იცვლებოდა, ვითარდებოდა და ბუნებრივ ტრან-

---

52 ბუნებრივია, ჩვენ არ ვეხებით შემგროვებლობას, როგორც მწარმოებლური მეურნეობის წინარე საფეხურის კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის საკითხს, რამეთუ იგი დამოუკიდებელი საგანგებო კვლევის საგანია. იხ. თ. ცაგარეიშვილი, ხალხური ტყით სარგებლობის კულტურა არაგვის ხეობაში (ეთნოეკოლოგიური დაკვირვებების შედეგები). „კრებული, „აია", თსუ, 1991, გვ. 84.

სფორმაციასთან ერთად, კულტურულ ტრანსფორმაციასაც განიცდიდა. ამასთან დაკავშირებით ს. არუთინოვი სამართლიანად შენიშნავდა; „ველურ მცენარეულ საკვებსა და კულტურულ მცენარეულ საკვებს შორის (იგულისხმება ერთი და იმავე წარმოშობის მცენარე) კვებითი ღირებულებების თვალსაზრისით, აშკარა განსხვავებაა, რადგან ველური ნაყოფი უფრო დიდხანს და დიდი ოდენობით ინარჩუნებს ვიტამინებს, ნახშირწყლებსა და სხვა ნივთიერებებს, ვიდრე კულტურული მცენარეები, რის გამოც განსაკუთრებით საინტერესოა მათი მოპოვებისა და დამუშავების, შენახვისა და კონსერვაციის ძველი წესების გამოვლენა“[53].

ბეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია კვების სისტემის ძირითადი ფენა. იგი ძირითად მწარმოებლურ დარგებზეა დამყარებული და წარმოაჩენს, როგორც მცენარეულ, ასევე ცხოველური საკვების წარმოებას. ამ მხრივ საქართველოს მაგალითზე ერთგვარ უნიკალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რამეთუ ჩვენთან კავკასიის სხვა ხალხებისაგან განსხვავებით ამ ფენაში შერწყმული სახითაა წარმოდგენილი, ერთი მხრივ, მიწათმოქმედების ორი დარგის: მემინდვრეობისა და მევენახეობა-მეღვინეობის და, მეორე მხრივ, წველადი მეურნეობის უპირატესობით განვითარებული მესაქონლეობის პროდუქტები. აქ განსაკუთრებულ ვითარებას მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტებს მემინდვრეობის პროდუქტებთან შერწყმა ქმნის, რის გამოც საქართველო გამონაკლისია. ეს მისი ზონალური თავისებურებაცაა. თუ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მემინდვრეობის პროდუქტებს (რომელიც აქ არც თუ ისე ჭარბადაა წარმოდგენილი) მესაქონლეობის პროდუქტები ერწყმის, ბარში მას მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტებიც ემატება. ბარში ყურძენი და პური ძირითადი საკვებია, ბოლოწო (ღვინოში ჩამბალი პური) კი საგანგებო და რიტუალური დანიშნულებისა. ასე რომ ქართველთათვის პურ-ღვინო ისეთივე აუცილებული სასიცოცხლო ფენომენია, როგორც პურ-წყალი, რომლის დარ მოვლენას არა თუ მთელს კავკასიაში, არამედ წინა აზიაშიც კი იშვიათად თუ შევხვდებით. რაც შეეხება მესაქონლეობის პროდუქტებს, მისი ანალიზიც სრულიად განსხვავებულ-გამორჩეულ სურათს იძლევა. ამ განსხვავების ამსახველია ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ რეგიონალური, არამედ ზონალური და კუთხური თავისებურებებიც. მაგ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავ-ხევსურეთი) წველადი მეურნეობა (რძის პროდუქტების წარმოება) ტრადიციულად ძირითად საარსებო-სასიცოცხლო პირობას ქმნიდა, რომელიც ჯეროვნად ითავსებდა მემინდვრეობის პროდუქტებსაც, საქონლის დაკვლა კი აქ ყოველთვის მკვეთრად ტაბუირებული იყო და ხორცი და პური (პურ-ხორცი) რიტუალურ ფუნქციას იძენდა (მაგ. ხატობა-დღესასწაულებში დღესაც შეწირული საკლავი იკვლება და მშრალად მოხარშული ხორცის გარდა, დაკეპილი ხორცის ხინკალს ამზადებენ), დასავლეთ საქართველოს მთაში კი (ძირითადად სვანეთში) მესაქონლეობის განვითარების უფრო ფართო და განსხვავებული მაშტაბებია წარმოდგენილი. იგი ყოველდღიურ კვებაში რძის მაღალხარისხოვანი პროდუქტების გარდა ხორცისა და პურის ან „ჭადის“ — სიმინდის პროდუქტების შეთავსებულ სახეობებს წარმოაჩენს (გავიხსენოთ სვანური კუბდარი და ჭვიშტარი)[54]. ასეთივე განსხვავებას გვაძლევს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარისა და მთისწინეთის ზონალური შედარება, რაც კიდევ ერთხელ

---

[53] С. А. Арутюнов. Народы и культуры, М., 1989, с.

ადასტურებს საქართველოს როგორც რელიეფურად რთული და მრავალფეროვანი ქვეყნის კულტურის თვითმყოფად თავისებურებებსა და განსაკუთრებულობას.

ბუნებრივია, მოცემულ წერილში შეუძლებელი იყო ყველა ამ თავისებურებათა შესახებ მსჯელობა. თითქმის ვერაფერი ვთქვით გაფართოებული ეთნიკური პროცესების კვალობაზე ჩამოყალიბებული უმაღლესი სინთეზური („ადრეტრატო სუპერტრატული") ფენის სირთულეების შესახებაც, რომლის საგანგებო კვლევამ არა ერთი სანტერესო ეროვნულ-ეთნოგრაფიული ასპექტი უნდა წარმოაჩინოს.

და ბოლოს გამოვთქვამთ რწმენას, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი წინასწარი ვარაუდების საფუძველზე გააზრებული ქართული ხალხური კვების სისტემის საკლასიფიკაციო მოდელი, თუნდაც ნაწილობრივ მაინც შეიძლებს კულტურის ამ ფენომენის ისტორიულ ჭრილში წარმოჩენას და ჩვენი მიღწევისათვის სასარგებლო შენიშვნებისა და წინადადების საფუძველს შექმნის.

Г. Ш. ГОЦИРИДЗЕ

КУЛЬТУРА ЖИЗНЕОБЕСПЕЧЕНИЯ ЭТНОСА И ЗАДАЧИ ЭТНОКУЛЬТУРОЛОГИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ НАРОДНОЙ СИСТЕМЫ ПИТАНИЯ В ГРУЗИИ

(Вопросы классификации и методики)

Резюме

Изучение народной системы питания в современной этнографической науке является предметом специального культурологического исследования, что обусловлено необходимостью системного подхода к данной проблематике с привлечением основных принципов новейшей семиотической методики.

В предлагаемой статье дается краткий историографический обзор изучения системы питания вообще и, в частности, в Грузии.

На основе этнографических материалов, письменных источников и данных специальной литературы, автор предлагает новую типологическую классификацию элементов культуры питания с учетом региональных, зональных и локально-этноспецифических особенностей, а также социально-экономических, религиозных и этических аспектов, что в итоге создает традиционную модель народной системы питания в Грузии. Эта модель четко отражает черты, свойственные хозяйственно-культурному типу исследуемого региона.

---

54 საკითხის განზოგადებისათვის ჩვენ იმ აზრთან უფრო ახლო ვართ, რომ საკვებთა გარკვეული სახეობები თავდაპირველად ჩვეულებრივი ყოველდღიური დანიშნულებისათვის მზადდებოდა, შემდგომ კი მათ რიტუალური ფუნქცია შეიძინეს. თუმც არ გამოვრიცხავთ ალტერნატიულ შეხედულებასაც. ამის თაობაზე იხ. С. А. Арутюнов, Народы и культуры. с. 78.

ზაზა სხირტლაძე

ღმრთისმშობლის მიძინების კომპოზიცია კუმურდოს ეკლესიაში

კუმურდოს ტაძრის (964 წ.) აღწერისას გ. ჩუბინაშვილთან ერთ საგულისხმო ცნობას ვხვდებით:

«В юго-восточной апсиде сохранился фрагмент композиции легким рельефом по штукатурке с раскраской. Выполнен этот, видимо, резанный по штукатурке рельеф тонко, с большой артистичностью. Заметно изображение двух слетающих ангелов»[1].

ეკლესიის შესახებ არსებულ ვრცელ ლიტერატურაში[2] მკვლევარის მიერ შენიშნული კომპოზიციის თაობაზე ზემოთ მოტანილი მითითების გარდა სხვა არაფერი მოიპოვება.

---

[1] Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцминда, как пример разных этапов развития бороккального стиля в грузинском искусстве, წიგნში: «Вопросы истории искусства», т. I, Тб., 1970, с. 242.

[2] M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Armenie, 2-e livraison, SPB., 1850. p. 166--172;

Л. З. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства. Тифл., 1873 с. 85;

ქ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე მ ღ ვ დ ე ლ მ ი ნ ა ზ ო ნ ი, ისტორიული მასალა, „ივერია". 1891, № 239, გვ. 3;

Н. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа", вып. XXV, 1898, с. 79- 92;

ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, სოფელი კუმურდო და მისი დიდებული ნაშთი, „მოგზაური", 1901, № 2, გვ. 101—114;

Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1909, с. 35—44; В. В. Бердзе, Грузинская архитектура с древреиших времен до начала XX века, Тб., 1967, с. 15;

G. Tshubinaschwili, Kumurdo, „Propyläen Kunstgeschichte", Bd. 3, Berlin, 1968, S. 327—328;

В. В. Бердзе, Искусство Грузии, в кн.: „История искусства народов СССР", т. 2, Москва, 1973, с. 195—195;

ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართული ხეროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 129—131;

შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 238;

E. Neubauer, Altgeorgische Baukunst. Leipzig, 1976, S. 92;

R. Mepisaschwili, W. Zinzadze, Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977, S. 110-111;


E. Csemegi-Tompos, Sixfoil Domed Churh Architecture on the Territory of Byzantium, resp. later in Dalmatia, Georgia, Armenia and Medieval Hungary, „Atti del primo Simposio internationale d'Arte Georgiana (Bergamo—1974)" Milano, 1977, p. 89-90;

В. В. Бердзе, Архитектура Тао-Кларджети, Тбилиси, 1981, с. 155—156;

A. Alpago-Novello, V. Beridze, J. Lafontaine-Dosogne, E. Hybsch, G, Ieni, N. Kauchtschischwili, Art and Architecture in Medieval Georgia, Louvain-la Neuve, 1980. p. 385;

W, Beridze, E. Neubauer, Die. Baukunst des Mittelalters in Georgien, vom 4. bis zum 18 Jahrhundert, Berlin, 1980, S. 25.

კომპოზიციის ფოტო შეცდომით არის შეტანილი წიგნში: „Тбилиси-Мцхета", Тб., 1981, рис. 99; აქ იგი მოხმობილია როგორც „свод гробницы у железнодорожной станции Мцхета".



ნახ. 1.

1. სცენა ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი აფსიდის აღმოსავლეთ კედელზე, იატაკის დონიდან საკმაოდ მაღლა, დაახლოებით 2 მ სიმაღლეზეა შესრულებული (ნახ. 1). იგი დიდი ზომისაა — 220×320 სმ. სუფთად ნათალი კვადრების ზედაპირს კუმურდოს ტაძრის ინტერიერის ერთი ნაწილის (ცერძოღ, საკურთხეველისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი აფსიდის) მსგავსად აქაც თხელი,

თანაბარი სისქის (3—5 მმ) ნალესობა ფარავს. კომპოზიცია ბათქაშის ფერით ამ ნალესობისაგან მკაფიოდ გამოიყოფა; იგი უფრო მუქია, მოვარდისფრო, ახლოდან დაკვირვებისას ჩანს, რომ აფსიდში არსებული ნალესობა ამ კომპოზიციის კიდეებზე ზოგან ოდნავ გადადის; ეს კი, ბუნებრივია, იმაზე მეტყველებს, რომ ტაძრის ინტერიერის ამ მონაკვეთზე შელესილობა განსახილველ სიუჟეტთან შედარებით უფრო მოგვიანოდ შესრულდა.

კომპოზიციამ ჩვენამდე ძალზე დაზიანებული, ფრაგმენტული სახით მოაღწია — მისი ქვედა ნახევარი ახლა მთლიანად არის ჩამოშლილი; დიდი ზომის ლაკუნებია ზედა ნახევარზეც. ამას გარდა, თავად შემორჩენილ ბათქაშზეც გამოსახულებათა მხოლოდ დეტალები განირჩევა. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სიუჟეტზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად საშუალება იქმნება აღდგეს მისი ზოგადი სქემა. ამაში ნაწილობრივ ნალესობის ქვედა ფენაზე ოსტატის მიერ ღია წითელი, მონარინჯისფრო საღებავით დატანილი მოსამზადებელი ნახატიც გვეხმარება.

ძირითადი, რითაც კუმურდოს ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ აფსიდში არსებული სცენა იმსახურებს ყურადღებას, მისი შესრულების ერთობ უჩვეულო ხერხია — სიუჟეტის ცალკეული ნაწილები, სახელდობრ, ფიგურები და მათი დეტალები აქ ნალესობით არის რელიეფურად გამოყვანილი, შემდეგ კი ზემოდან საღებავით შეფერილი[3].

კუმურდოს ტაძრის კომპოზიცია თავისებური მოხაზულობით გამოირჩევა — იგი სწორკუთხაა, ამასთან ზედა მოჩარჩოებას ცენტრალურ ნაწილში ნახევარწრიული ფორმა აქვს (ნახ. 2); ამით იგი ერთგვარად ჰედური, ქვის, სპილოს ძვლის თუ ფერწერული ხატების ფართოდ გავრცელებულ იმ ტიპს მოგვაგონებს, რომელთა ზედა ნაწილიც სწორედ ასეთი, ნახევარრკალისებრი ფორმით გამოირჩევა[4].

---

3 რელიეფური კომპოზიციის შესრულების ტექნოლოგიურ თავისებურებათა შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

სიუჟეტი ორფენოვანი ნალესობითაა გამოყვანილი. ბათქაშის ქვედა, მოსამზადებელი შრე 4—5 მმ. სისქისაა; იგი კირითაა შესრულებული, გამომწვარი ოქრის მინარევებითურთ. ბათქაშში ჩანს ნახშირის ჩანართები მცირე ნაწილაკების სახით, აგრეთვე გამოუწვავი კირქვის ძალზე პატარა ზომის ნამსხვრევები. ნალესობის ეს ფენა მოვარდისფროა. იგი საგანგებოდ გაუსწორებიათ, მაგრამ გაპრიალებული არ არის და მის ზედაპირზე იოლად შეინიშნება მონასმების კვალი.

ნალესობის ზედა ფენა იმავე შემადგენლობისა და ფერისაა. მისი ზედაპირი, ბათქაშის ქვედა სარჩულისაგან განსხვავებით, გაუპრიალებიათ კიდეც. ეს ნალესობა, იმის გამო, რომ რელიეფური გამოსახულებები მისგან არის გამოყვანილი, სიუჟეტის სხვადასხვა მონაკვეთზე განსხვავებული სისქისაა (2-დან 10—15 მმ-მდე).

გამოსახულებების ზოგადი მონახაზი (resp. მოსამზადებელი ნახატი ნალესობის ქვედა ფენაზე), როგორც ზემოთ აღინიშნა, მოწითალო-ნარინჯისფერი საღებავით უნდა იყოს დატანილი. ფიგურათა ცალკეული ნაწილების შესრულებისას გამოყენებულია ზედმიწევნით ფაქიზი და ზუსტი გრაფირება.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ აფსიდის კედლებზე, რელიეფური კომპოზიციის გარშემო, არსებულ ბათქაშს რაც შეეხება, იგი სხვაგვარია — ესაა 3 მმ. სისქის თანაბარი, საგულდაგულოდ გასწორებული ნალესობა, სწორი ჰორიზონტული ნაკარებითურთ, რომელიც სუფთა კირისგან შეუსრულებიათ, ყოველგვარი მინარევების გარეშე.

4. კომპოზიციის ქვედა, სწორკუთხა ნაწილის მოხაზულობისა და ზომების აღდგენა, დღეისათვის ჩარჩოს შემორჩენილი ფრაგმენტების გარდა, წყობაზე დარჩენილი, შედარებით მუქი ფერის, ანაბეჭდების საშუალებითაც არის შესრულებული.



სურ. 1.

კომპოზიციის მოჩარჩოება რელიეფურია (სიგანე — 3,5 სმ, სიმაღლე — 2 სმ). ნაღესობით გამოყვანისას ოსტატს მისთვის კონუსის ფორმა მიუცია. ახლო მანძილიდან დაკვირვებისას ჩანს, რომ ჩარჩო სცენის საერთო ფონის შესრულების შემდეგ იქნა გაკეთებული. კომპოზიციის მარჯვენა ზედა კუთხე-

ში ჩარჩოს ჰორიზონტული ზოლიდან ქვემოთ ორი მოკლე, ასევე რელიეფური ხაზი ეშვება (ისინი სცენის აღნიშნულ მონაკვეთს სამ ნაწილად ჰყოფს). ამ დეტალთა დანიშნულება დღეისათვის გაურკვეველი რჩება.

კომპოზიცის ცენტრში წარმოდგენილი ქრისტეს ფიგურიდან ამჟამად ლაჟვარდისფერი შარავანდი[5], ოდნავ დახრილი და სამი-მეოთხედით მარჯვნივ მსუბუქად მიტრიალებული სახის დეტალები (ძირითადად სარჩული) შემორჩა, აგრეთვე ნალესობით რელიეფურად გამოყვანილი შესამოსელის — კვარციტისა და ცისფერი ჰიმატიონის რამდენიმე უმნიშვნელო დეტალი მხართან, მკერდსა და წელის დონეზე. აქვე განირჩევა მოსამზადებელი ნახატის ორიოდე ნაშთი.

მაცხოვრის გამოსახულების ქვემოთ სცენაში სარეცელზე მწოლარე ფიგურის სამოსით დაფარული ქვედატანის მოზრდილი ფრაგმენტი იპყრობს ყურადღებას. სხეული აქ მარცხნიდან მარჯვნივ მცირედ ზეაწეულია მოცემული; ფიგურა სარეცელზე თავით მარჯვნივ მწოლი გამოუსახავთ. მისი შესამოსელი დრაპირების ძალზე თხელი, უზადო ოსტატობით შესრულებული ნახატით ფონიდან სულ ოდნავ არის ამოწეული. სხეულის გასწვრივ, სხივებად გამავალი ხაზებიდან ქვემოთ, შესამოსელის ქობის ასევე დრაპირებული კალთა ეშვება თავისუფალ მსუბუქ ნაკეცებად. შემორჩა ფიგურის თავის რამდენიმე ფრაგმენტიც — ესაა წითელი ფერის საღებავით დაფარული შესამოსელის რელიეფურ ნაოჭთა ორიოდე დეტალი (ფერი ახლა ნაჭდევებშიღა არის ჩამორჩენილი). დაკვირვებისას აქვე გაირჩევა სარეცლის მონახაზიც. სახელდობრ, მისი ზედა კიდის მომნიშნავი ჰორიზონტული ხაზი, ასევე რელიეფურად გამოყვანილი, თუმცა აწ უკვე საღებავგადაცლილი.

სცენის მარცხენა ზედა კუთხეში ოსტატს მფრინავი ანგელოზი გამოუსახავს[6]. ეს ფრთაგაშლილი ფიგურა ქვემოთკენაა დიაგონალურად მიმართული; მარჯვენა ხელი მას კურთხევის ნიშნად აქვს გაწვდილი. ამ გამოსახულების დეტალთაგან საგრძნობლად ფაქტობრივად მხოლოდ თავია დაზიანებული. ნალესობის ფენა აქ ნაწილობრივ ჩამოშლილია და სახის ცალკეულ მონაკვეთებს მხოლოდ მისი ძირითადი ფერი — ოქრის საღებავის ლაქები ფარავს. ალარ ჩანს შარავანდის კვალი — იგი ერთიანადაა წარხოცილი. ანგელოზის კვართი ცისფრად, ლაჟვარდის საღებავით იყო შეფერილი, ჰიმატიონი კი წითლად. საღებავი რელიეფურ გამოსახულებაზე ახლა ფაქტობრივად გადაცლილია და იგი ძირითადად სამოსის ნაოჭებში თუ შემორჩა.

საგახგებო ყურადღებას იმსახურებს მფრინავი ანგელოზის მაკურთხეველი მარჯვენის უზადო შესრულების მანერა: რელიეფი აქ სულ ოდნავ არის ნალესობაში ჩაჭრილი, ხელის მტევნის მოძრაობა არაჩვეულებრივად არტისტულია, კონტური ერთობ დახვეწილი, თითები ნატიფი, მოქნილი და პლასტიკური.

დასახელებული გამოსახულების სიმეტრიულად, კომპოზიციის მარჯვენა ზედა კუთხეში, ანალოგიურ მოძრაობაში მოცემული მეორე ანგელოზის ფიგურის რამდენიმე ფრაგმენტიღა გაირჩევა (ესაა სხეულის უმნიშვნელო რე-

---

5. მაცხოვრის შარავანდი ბასრი ფარგლით ძალზე ფაქიზად, ზუსტად არის შემოხაზული (გრაფირებული) და მხოლოდ ამის შემდეგ შეფერილი.

6 ეს ფიგურა ახლა ბათქაშზე დაწებებული სქელი ქაღალდით წრიულად არის მოჩარჩოებული. როგორც ჩანს, ერთ დროს (ახლო წარსულში) გამოსახულება დაცვის ან პირის გადაღების მიზნით ერთიანად ქაღალდით იყო დაფარული, რომლის დალბობისა და ჩამოშლის შემდეგ ანგელოზების გარშემო მხოლოდ ნალესობასთან შეწებებული მისი კიდეები შემორჩა.

ლიეფური დეტალები თეძოსთან, აგრეთვე შვინდისფერი და ლაჟვარდისფერი ლაქები).

სცენის ამ მონაკვეთზე კუმურდოელ ოსტატს ერთმანეთის უკან მდგომი ფიგურები გამოუსახავს. მათი რიგი ვერტიკალურად იყო განთავსებული და თითქმის მთლიანად ავსებდა კომპოზიციის მარჯვენა კიდეს. მათგან ზეცა ფიგურის შესამოსელის რელიეფური ფრაგმენტებია დარჩენილი, სახელდობრ — კვართის რამდენიმე დეტალი გულისპირზე, ცისფერი საღებავის ალაგ-ალაგ შემორჩენილი კვალითურთ, მკერდისა და მარცხენა მხრის ნაწილი მოსასხამითურთ; ამ უკანასკნელის ნაოჭებში წითელი ფერის საღებავია ჩარჩენილი.

სცენის საერთო სიმაღლის დადგენა, მისი ძლიერი დაზიანების მიუხედავად, კადრის მარჯვენა ქვედა კუთხეში წარმოდგენილი ფიგურის ფრაგმენტთა მიხედვით არის შესაძლებელი. ეს ფიგურა სცენაში ყველაზე დაბლა უნდა ყოფილიყო განთავსებული. შესაბამისად — მისი სხეულის ზომების გათვალისწინებით ხერხდება კომპოზიციის ქვედა მიჯნის მიახლოვებით განსაზღვრა. გამოსახულება სხვათა მსგავსად ახლა ძალზე შელახულია, თუმცა კი ახლო მანძილიდან დაკვირვებისას იკითხება მისი შვინდისფერი შარავანდის ნაშთები, აგრეთვე სახის ცალკეული დეტალები — მეტწილად ეს თმა-წვერის მოწითალო ლაქებია. ამ ფიგურის ზემოთ, რამდენადმე მარცხნივ, მოჩანს ჰიმატიონით დაფარული მხრისა და კისრის დეტალი (შესამოსელის რელიეფურად გამოყვანილ დრაპირებას ფერი არ შერჩენია). დარჩენილი ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ფიგურა წვეროსანი უნდა ყოფილიყო — ამგვარი ვარაუდის საფუძველს მოწითალო ფერის საღებავის ის ფრაგმენტი იძლევა, რომელიც ფიგურის კისერთან შემორჩა; იგი მოგრძო, სწორად დაფენილ წვერს უნდა აღნიშნავდეს. ფიგურის პირისახეზე თეთრი ფერის ლაქებია გაბნეული. მათ ფონზე შედარებით უკეთ შემონახულა მარცხენა თვალის აღნაბეჭდი — ნუშისებრი ფორმის ღრუ. ნაწილობრივ განირჩევა მარჯვენა თვალის მოხაზულობა, რომელიც შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო.

აღწერილი გამოსახულების ზემოთ ნალესობის დაზიანების გამო ლაკუნაა, რასაც კვლავ ფიგურის ცალკეული დეტალები მოსდევს, სახელდობრ, მოჩანს ნახევარწრიული ნაჭდევი, ხოლო მის ზემოთ — ფირუზისფერი და მუქი შვინდისფერი ლაქები (უკანასკნელი — საკმაოდ დიდ მონაკვეთზე). როგორც ჩანს, ისინი აქ განთავსებული კიდევ ერთი ფიგურის შესამოსელის ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს.

წარმოდგენილი იყო თუ არა სცენის მარცხენა ნაწილში, ანგელოზის ფიგურის ქვემოთ, მოციქულთა ფიგურები, ახლა ამის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა ძალზე ძნელია. კომპოზიციის ამ მონაკვეთზე ბათქაში ალაგ-ალაგ შემორჩენილია, მაგრამ თავად გამოსახულებებისაგან ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა (მხოლოდ ერთ ადგილზე განირჩევა მოყვითალო ფერის ლაქა).

კომპოზიციის საგრძნობი დაზიანების გამო დღეისათვის ვერას ვიტყვით იმის თაობაზე, ფიგურები აქ „მიწის“ ფონზე იყო წარმოდგენილი თუ არა. ასევე ითქმის ხუროთმოძღვრული ფონის გადაწყვეტის თაობაზეც. მიუხედავად ამისა, თავად სცენის სიუჟეტის გარკვევა, ამჟამად შემორჩენილი ნაშთების მიხედვით რთული არ არის — კომპოზიციის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილი ქრისტეს და სარეცელზე განსვენებული ფიგურის ფრაგმენტები, კადრის ზედა ნაწილში ანგელოზთა სიმეტრიულად განთავსებული გამოსახულებები, ხოლო მათ ქვემოთ ფეხზე მდგომი ფიგურების ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ

აქ დედაღმრთისას მიძინების სცენა იქნა შესრულებული.

2. კუმურდოს ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი აფსიდის შემამკობელი სცენის შემქმნელი ოსტატის ორიგინალური მხატვრული ხედვა და მაღალი პროფესიონალიზმი მკაფიოდ ვლინდება იმ მცირე ფრაგმენტებშიც კი, დღეისათვის რომ შემორჩა „მიძინებიდან“.


ეკლესიის ინტერიერის შემკულობის ადრეულ პერიოდში დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად საკმაოდ მაღლა მოთავსებული კომპოზიციის სქემას ფიგურათა სიმეტრიული განაწილება დაედო საფუძვლად. პერსონაჟთა შედარებით მცირე რაოდენობა, მათი დიდი ზომები ხაზს უსვამს ამ საზეიმო სიმშვიდით აღბეჭდილი სცენის მონუმენტურობას. მაგრამ კუმურდოს ტაძრის „მიძინების“ კომპოზიციის გამომსახველობის განმსაზღვრელი პირველყოვლისა მისი პლასტიკური გადაწყვეტაა. სცენისათვის ამ მხრივ ნიშანდობლივ თავისებურებათა შესახებ მსჯელობა ფაქტობრივად ანგელოზის გამოსახულების, აგრეთვე დედაღმრთისას ფიგურის ფრაგმენტის მიხედვით არის შესაძლებელი. მათი შესრულების მანერა — მწყობრი პროპორციები, პოზისა და ნახატის მომხიბლავი გრაციოზულობა, ფორმის ძერწვის ხერხი — ცხადლივ წარმოაჩენს ეროვნული პლასტიკის განვითარების განსაზღვრული ეტაპისათვის ნიშანდობლივ ტენდენციებს და ამდენად, მიძინების ზემოთ განხილულ კომპოზიციას ძეგლთა გარკვეულ წრეს უკავშირებს. ზემოთ თქმულთან დაკავშირებით განსაკუთრებით საგულისხმოა მფრინავი ანგელოზის მწყობრი ფიგურა. კერძოდ კი მისი მაკურთხეველი მარჯვენა ხელის მტევნის არაჩვეულებრივად დახვეწილი ნახატი. შესამოსელის მოცულობითად, ფორმის სრული შეგრძნებით გადმოცემული ნაოჭები. სცენის დღეისათვის შემორჩენილი ფრაგმენტთაგან მაქსიმალური სიმაღლე სწორედ ამ ფიგურის მხრისა და მკლავის (დრაპირებული სამოსის) ძერწვისას არის მოცემული.

ძერწვისას აქ ყურადღება გამახვილებულია არამარტო მოცულობის გადმოცემაზე, არამედ მისი ზედაპირის დამუშავებაზეც, შესამოსელის ხაზთა შეძლებისდაგვარად სრულ ჰარმონიულობაზე. ყოველივე ეს, ოსტატის მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, მის მიერ პლასტიკური გამომსახველობის ხერხთა თავისუფალ ფლობაზე მეტყველებს და ცხადყოფს ფორმათშეგრძნების აქ გამჟღავნებული პროცესის სიღრმესა და ყოვლისმომცველობას.

დედაღმრთისას სტოლას ნაკეცები სცენაში ძალზე თხელი, ფაქიზი, ტალღოვანი შრეების დადების საშუალებით არის გადმოცემული. განსაკუთრებული გამომსახველობით გამოირჩევა სარეცელზე განსვენებულის მაფორიონიდან ვერტიკალურად დაშვებული ქობის ნაწილი, რომელიც სხივებად ეცემა და სამკუთხა ნაოჭებად „იღვრება“.

სამოსის დრაპირების შესრულებისას ცალკეული ნაოჭები სცენაში მცირე ზომის (დაახლ. 3 სმ სიგრძის) ჩაჭდეული შტრიხებით გაუფორმებიათ. ისინი ახლა შედარებით მკაფიოდ მიძინებულის სტოლაზე შეინიშნება. შუა საუკუნეების ქართულ პლასტიკაში ეს მხატვრული ხერხი კარგადაა ცნობილი. ამასთან, ჩვენამდე მოღწეული ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით პოპულარული იგი გარკვეული ქრონოლოგიური მონაკვეთის მანძილზე, სახელდობრ - - XI ს-ის დასაწყისისთვის უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდის ქვაზე პლასტიკის უმნიშვნელოვანეს ნიმუშებში — საფარისა და ხოვლეს კანკელ-

თა რელიეფებზე დამოწმებული ეს მხატვრული ხერხი[7], მსგავსი ოსტატობითვე გახმეორებული კუმურდის ტაძრის აღწერილ კომპოზიციაში, ზემოთქმულის მოწმობა უნდა იყოს.



სურ. 2.

გამოსახულებები „მიძინების" სიუჟეტში სრულიად გლუვ ფონზე იყო წარმოდგენილი, რომელიც აქაც, ისევე როგორც XI ს-ის დასაწყისის ქართული კანკელების რელიეფებზე, „ბოზაიკურ დეკორში გამოყენებული აბსტრაქ-

[7] Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, с. 118—119, рис. 9.

ტული ოქროს ფონების დარად აღიქმება"[8]. ამგვარი გადაწყვეტისას, კუმურდოს ტაძრის სცენაში კიდევ უფრო ცხადლივ ისახება აქ აღბეჭდილი პროცესი პლასტიკური გამომსახველობის ძიებისა (პლასტიკური ხერხების თავისუფალი ფლობის პირობებში), რაც, თავის მხრივ, სიბრტყის მთლიანობის შენარჩუნებისას, ერთი პლასტიკური მოცულობის შერწყმა-შეპირისპირებისას მეორესთან, სივრცულობის გარკვეული მინიშნების განმაპირობებელიცაა.

კუმურდოს ტაძრის „მიძინების" კომპოზიციაში გამჟღავნებული მხატვრულ-სტილისტური ნიშნები სავსებით ესადაგება ქართული სკულპტურის გვიანდელ პლასტიკური ამოცანების გადაწყვეტისაკენ. იგი ამ პროცესის საბოლოო, კულმინაციურ ეტაპს უკავშირდება, რაც მისი შესრულების პერიოდად XI საუკუნის დასაწყისს გვთავაზობენ[9].

3. შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლთა შორის „მიძინების" სიუჟეტი ფართოდ XII ს-ის მეორე ნახევრიდან მოკიდებული [illegible][9]. სცენის უძველეს ნიმუშები კი უკვე X საუკუნიდანაა ცნობილი (იფარი)[10]. კუმურდოს ტაძრის ზემოთ აღწერილი კომპოზიცია, ამდენად, აღნიშნული თემის დღეისათვის ცნობილი ერთი უადრეს ხორცშესხმათაგანია ძველ ქართულ სახვით ხელოვნებაში[11]. შესრულების უჩვეულო მანერასთან ერთად

---

[8] Р. О. Шмерлинг. დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[9] Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, Тб., 1980, с. 87—88, 220—221.

[10] ტ. შევიაკოვა, სოფელ იფრის (ზემო სვანეთი) მახლობლად მდებარე წმ. გიორგის (ჯგრაგ) ეკლესიის მხატვრობის თარიღის საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXX, № 6, 1963, გვ. 831; მ ი ს ი ვ ე. Монументальная живопись раннего средневековья Грузии. Тб., 1983, с. 21—22, таб. 78.

[11] „მიძინების" სიუჟეტის პირველწყაროდ სამეცნიერო ლიტერატურაში ამოკრიფულ თხზულებებს მიიჩნევენ (L. H a d e r m a n n-M i s g u i c h. Kurbinovo. Les fresques de l'église de Saint-Georges et la peinture byzantine du XII-e siècle, Bruxelles, 1975, p. 183). ამ [illegible] დაკავშირებით საგულისხმოა აღინიშნოს, რომ თხზულება დედაღმრთისას მიძინ[illegible]ა ზეცად ამაღლების შესახებ ნათარგმნი ქართული მწერლობის უკვე ადრეულ [illegible]ნაწ (M. V a n E s b r o e s k. Apocryphes géorgiennes de la Dormition. „Analecta Bollandiana", t. 91, 1973, p. 55—75; შდრ. მ ი ს ი ვ ე — L'Assomption de la Vierge dans un Transitus Pseudo-Basilien. «Analecta Bollandiana», t. 92, 1974, p. 125—163; მ ი ს ი ვ ე, Les textes littéraires sur l'Assomption avant le X-e siècle, წიგნში: «Les actes apocryphes des apôtres. Christianisme et monde païn», Genève, 1985, p. 265—285. ამავე ავტორის, ეპრთისმშობლის ცხოვრების ამსახველი ერთ-ერთი ლიტერატურული ვერსია, [illegible] მიძინების შესახებ [illegible]ოკრიფსაც აერთიანებს (ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტ[illegible] A-40), ქართული ვერსიის მთარგმნელს უთარგმნია 980-990 წწ. (ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, გვ. 195—197; M. V a n E s b r o e s k. Maxime le Confesseur. Vie de la Vierge. CSCO, 1985, vol. 479, f. 22, p. VI—XXXVIII). ზემოთ [illegible] შენიშნული მკვლევრის მოწმობს უკვე იმხანად საქართველოში დასახელებული თემის ფართო პოპულარობას. „მიძინების" იკონოგრაფიას რამდენიმე საგანგებო ნაშრომი მიეძღვნა; მის შესახებ ძსჯელობას ცალკეულ გამოკვლევებშიც შეხვდებით. А. И. К и р п и ч н и к о в, Успение Богородицы в легенде и в искусстве. „Труды VI Археологического съезда в Одессе", т. II. Одесса, 1888, с. 14—16; N. J o r g a, Les variations du type de la Dormition de la Vierge dans le vieil art roumain. «Recueil d'études dédiées a la mémoire de N. P. Kondakov». Prague, 1926, p. 29—34; L. W r a t i s l a w-M i t r o v i c et N. O k u n e v. La Dormition de la Sainte Vierge dens la peinture médiévale orthodoxe. «Byzantinoslavica», t. 3, 1931, p. 134—180; Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Рачинский триптих из слоновой кости. წიგნში: „Вопросы истории искусства", т. I. Тб., 1970, с. 203—235, табл. 80—93; L. H a d e r m a n n-

იგი საკურადღებო სქემითა და იკონოგრაფიული ნიშნებით გამოირჩევა, რითაც „მიძინების“ სცენის ამჟამად ცნობილ უადრეს ნიმუშებთან ამჟღავნებს მსგავსებას. პირველყოვლისა ეს კომპოზიციაში წარმოდგენილ პერსონაჟთა რაოდენობას შეეხება — შედარებით მოგვიანო ხანის ნიმუშებისაგან განსხვავებით, ისინი მინიმუმამდეა დაყვანილი და სიუჟეტი მხოლოდ სარეცელზე მწოლარე ღმრთისმშობლის, იესოს, მოციქულთა და ანგელოზთა გამოსახულებებს აერთიანებდა. იკონოგრაფიული თვალსაზრისით საგულისხმო დეტალია ღმრთისმშობლის ფიგურის განთავსების საკითხიც; ჩვენს სცენაში დედაღმრთისა სარეცელზე მარჯვნივ თავშექცევით არის დასვენებული, მიძინებულის ამგვარად ორიენტირებულ ფიგურას კი უფრო ხშირად შედარებით ადრეული პერიოდის ძეგლებში ვხვდებით (Ağaç Alti Kilise—VII ს-ის დასასრული ან VIII ს.[12], იქლარა. Sumbülu Kilise — X ს-ის დასაწყისი[13], Güllü Dere, წმ. იოანეს ეკლესია — 913—920 წწ.[14], დეირ სურიანი ეგვიპტეში — X ს-ის დასაწყისისა[95],

---

Misguich, დასახ. ნაშრომი, გვ. 183—184; *ლ. ჯიჯაყიანი, ზრიგორ ძაղկողի Ինձը Մանրանկարը*, «*Պատմա-բանասիրական հանդես*», 1979, № 4, էջ 115—126; Дж. Иосебидзе. Роспись Ачи—памятник грузинской монументальной живописи конца XIII века. Тб., 1989, с. 52—53. 1983 წელს, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარდგენილ მოხსენებაში ს. დაუფრენს დასახელებული აქვს J. H. Moitry-ს მიერ მისი ხელმძღვანელობით შესრულებული გამოკვლევა — Structure et évolution du schéma iconographique de la Dormition de la Vierge dans la peinture murale byzantine jusqu'au XV-e siècle (Paris, 1980). სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ჩვენთვის ჯერჯერობით მიუწვდომელია. ქართულ ძეგლებთან დაკავშირებით უურადღებას იმსახურებს მ. ვან ესბროკის მიერ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზევე წაკითხული მოხსენება—«Les programmes géorgiennes de la Dormition», სადაც ვრცლადაა განხილული დასახელებული სიუჟეტის როგორც ლიტერატურულ პირველწყაროთა სხვადასხვა რედაქციისა და ნუსხის ურთიერთმიმართების საკითხები, ისე მისი შემცველი ქართული და აღმოსავლურ-ქრისტიანული სახვითი ხელოვნების ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონის მომცველ, ამასთან სრულიად სხვადასხვა დარგის ნიმუშთა ცალკეული იკონოგრაფიული თავისებურებები (მოგვიანოდ გამოქვეყნდა ჟურნალში — «Jahrbuch der österreichischen Byzantnistik», 35. Bd., 1985, S. 251—260). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს M.-L. Therel-ის 1984 წ. გამოქვეყნებული მონოგრაფიის თაობაზე—La triomphe de la Vierge—Église, Paris, p. 16—70, სადაც ვრცლადაა საუბარი დედაღმრთისას მიძინების, ვითარცა აღმოსავლეთის საქრისტიანოს ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულის უძველეს ლიტურგიკულ და იკონოგრაფიულ ძირებსა და ტრადიციაზე, მის ადგილზე პატრისტიკულ ლიტერატურაში, აგრეთვე ბიზანტიური სამყაროსა და რომანული დასავლეთის სახვით ხელოვნებაში. იქვე (გვ. 38—39) იხ. ამომწურავი ბიბლიოგრაფია ამ თემასთან დაკავშირებით.

[12] M. et N. Thierry. Nouvelles églises rupestres de Cappadoce. Région du Hasan Dağı, Paris, 1963, p. 79—80, fig. 19. სცენა ერთობ უჩვეულო იკონოგრაფიული სქემით გამოირჩევა.

[13] M. Restle, Die Byzantinische Wandmalerei in Kleinasien, Bd. III, Recklinghausen, 1967, Abb. 494.

[14] M. et N. Thierry, დასახ. ნაშრომი, გვ. 128—130, სურ. 21—22.

[15] J. Leroy, Le décor de l'église du couvent des syriens au Ouady Natron (Egypte), «Cahiers Archéologiques», XXIII, 1974, p. 163, 165—166, fig. 10.

ოტონ I-ის სახარების ყდის შემამკობელი ფირფიტა მიუნჰენიდან — X ს.[16], კონსტანტინეპოლური წარმომავლობის X საუკუნისავე სტეატიტისა და სპილოს ძვლის რელიეფები ვენის ხელოვნების ისტორიის მუზეუმიდან[17] და მონაკოს სახელმწიფო ბიბლიოთეკიდან[18], XI ს-ის ბიზანტიური ტყვიის მოლიბდულები სახელმწიფო ერმიტაჟიდან[19], ლაკლაკიძის ჭედური ხატის სცენა — XI ს-ის დასაწყისი[20], ასინუს 1106 წლის მოხატულობა[21]). სიუჟეტისათვის სრულიად უჩვეულოა მფრინავი ანგელოზის (ანგელოზთა) მაკურთხეველ მარჯვენა შემართული გამოსახვაც — დედაღმრთისას მიძინების სცენაში ისინი ტრადიციულად მოსასხამით ხელდაბურული არიან ხოლმე წარმოდგენილნი. ამ თვალსაზრისით საქრისტიანო აღმოსავლეთის სახვითი ხელოვნების ძეგლთაგან კუმურდოს ტაძრის რელიეფური სიუჟეტის ერთადერთი, ამჟამად ჩვენთვის ცნობილი პარალელი XIII ს-ის სპილოს ძვლის ფირფიტაა ლენინგრადის ერმიტაჟიდან, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ ანგელოზებს ჰიმატიონით დაუბურავი ხელები ჩვილისკენ აქვთ გაწვდილი ზეცად ასამაღლებლად და არა კურთხევის ნიშნად შემართული[22]. ქართულ ძეგლებს რაც შეეხება, მსგავს მაგალითს აქ „მიძინების“ სწორედ ერთ-ერთი უადრესი ნიმუში — იფხის ეკლესიის ფრესკა გვაძლევს: სიუჟეტში ორ მფრინავ ანგელოზთაგან მაკურთხეველი მარჯვენა მხოლოდ ერთს — მარცხენას აქვს მიმართული დედაღმრთისას

---

[16] Г. Н. Чубинашвили, Рачинский триптих из слоновой кости, табл. 85—86.

[17] Le Icone. Milano. Lubiana, 1981, p. 27.

[18] იქვე, გვ. 26.

[19] В. С. Шандровская, Византийские печати со сценой Успения, в сб.: «Восточные Средиземноморье и Кавказ IV—XVI вв.», Л., 1988 с. 87—89, рис. 106—136.

[20] T. Sanikidze. G. Abramishvili. Orfevrie géorgienne du VII-e au XIX-e siècle, 1979, fig. 19.

[21] D. C. Winfield and E. J. W. Hawkins, The Church of our Lady at Asinou, Cyprus, «Dumbarton Oaks Papers». XXI. 1967, fig. 7.

ამგვარი სქემა შედარებით მოგვიანო ხანის ნიმუშებშიცაა დადასტურებული. შდრ. XII ს-ის კონსტანტინეპოლური ჭედური ხატი ერმიტაჟიდან (Le Icone, გვ. 61). Qarche Kilise-ს XIII ს-ის დასაწყისის ფერწერულ დეკორში ჩართული სიუჟეტი (G. de Jerphanion. Une nouvelle province de l'art Byzantin. Les églises rupestres de Cappadoce, vol. II. Paris. 1936), p. 1—6. planches. III. Paris. 1934. pl. 146; ანისის ტიგრან ჰონენცისეული ეკლესიის ფრესკა. XIII საუკუნისა (S. Der Nersessian. Armenian Art, London, 1978, fig. 164); სანტა მარია ინ ტრასტევერეს 1295 წლის მოზაიკა (W. Oakeshott. Die Mosaiken: von Rom. Von dritten bis zum vierzehnten Jahrhundert, Leipzig. 1967. abb. 224) XV ს-ის მეორე ნახევრის ხატი მიძინებისა კრეტადან, რომელიც ტურინში, Galleria Sabauda-შია დაცული (Le Icone, გვ. 317), ადრეთვე კისორეთისა (XIII ს-ის მეორე ნახევარი) და გელათის (XVI ს.) მოხატულობები. იგი უცხო არ ყოფილა შემდგომი პერიოდის ქართულში ოქრომქანდაკებლობის ძეგლებისთვისაც (სადგერის ჯვარი, მოჭედილი ვამნეს მიერ 1445—1451 წწ., მის მიერვე 1450 წ. შესრულებული ხატი მიძინებისა, შემოქმედის XVI ს-ის ხატი თორმეტი საუფლო დღესასწაულის გამოსახულებით, აწყურის ხატი XVI ს-ის მეორე ნახევრისა. იხ.: გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა VIII—XVIII საუკუნეებისა, თბ., 1957, ტაბ. 495; მისივე, Грузинское чеканное искусство, т. II, Тб., 1959. фото 171, 552, 560).

[22] Искусство Византии в собраниях СССР, Каталог выставки, т. 2, М., 1977, с. 105 (№ 595).

სულისაკენ, მეორე კი ტრადიციისამებრ ხელებდაბურვილი მიისწრაფის მისკენ. ზეცად ასამაღლებლად[23].

სცენის ფრაგმენტულობის გამო დღეისათვის უცნობი რჩება, მოციქულთა გვერდით აქ ეკლესიის მამათა ფიგურებიც იყო ჩართული თუ არა. ასევე, ვერას ვიტყვით მიძინებული დედამთისას სარეცელთან დახრილი მოციქულის ფიგურის თაობაზეც. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული იკონოგრაფიული თავისებურებები ადრეული ნიმუშებიდანვე ჩნდება ღმრთისმშობლის მიძინების კომპოზიციაში[24] და შემდეგ საუკუნეთა მანძილზე გვხვდება[25].

4. კუმურდოს ტაძრის ინტერიერში XI ს-ის დასაწყისისათვის ფრესკებით მხოლოდ საკურთხეველი იყო შემკული[26]. ნაგებობის ინტერიერის დანარჩენი ნაწილები, დღეისათვის ჩვენამდე მოღწეული მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნაკლებობით და ცოხტულობით დაფარული იმხანად არ ყოფილა. ამ ფაქტის გათვალისწინებით აქ. XI ს-ის პირველ ნახევარში საკურთხეველთან მიმღინარე აფსიდის კედელზე სუფთად ნათალი კვადრების შეადგო წყობის ფონზე ნალესობით გამოყვანილი, საღებავით შეფერილი, დიდი ზომის ერთობ საინტერესო კომპოზიციის შესრულება მით უფრო საკულისხმო ჩანს, უდავოა, რომ საკმაოდ მაღლა განთავსებული, იგი აქ რელიეფური ხატის მსგავსად აღიქმებოდა, და ამდენად, სწორედ ამგვარი ტიპის გამოსახულების — ფერწერით შესრულებული რელიეფური სიუჟეტის — ფუნქციას ასრულებდა.

აღმოსავლურ-ქრისტიანული ტაძრის ინტერიერში სკულპტურის მნიშვნელობის თაობაზე მსჯელობისათვის დღეისათვის შემორჩენილი მასალა ძალზე მწირია[27]. მიუხედავად ამისა, არსებულ ნიმუშთა შესწავლის საფუძველზე

---

[23] Т. С. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, გვ. 21, ტაბ. 78.

[24] L. Hadermann-Misguich. დასახ. ნაშრომი, გვ. 154 - 155.

[25] ქართულ მასალასთან დაკავშირებით იხილე თაობაზე. იხ.: M. Van Eshroesk. Les programmes géorgiennes de la Dormition. გვ. 205—258.

ამ თემაზე ვრცლად ტაძრის სკულპტურის მხატვრობას XI ს-ის 20-იანი წლებით თარიღებს ი. ბერიძე - Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи. „II Международный симпозиум по грузинскому искусству", Тб., 1977. с. 9).

[27] ბოლო პერიოდის გამოკვლევებში ამ პრობლემას არაერთი ნაშრომი ეძღვნება. O. Demus. The Church of San Marco in Venice. History. Architecture. sculpture Washington, 1960; R. Lange. Die byzantinische Reliefikone. Recklinghausen. 1964; J. Maksimovic. La Sculpture byzantine du XIII-e siècle. «L'art byzantin du XIII-siècle». Belgrad. 1967, p. 23 - 34; Т. Вилинт, Константинопольская капитель в Лейпциге. Рельефная пластика поздневизантийского периода в Кахрие Джами, Византия, южные славяне и Древняя Русь. Западная Европа Искусство и культура Сборник статей в честь В. Н. Лазарева, М., 1973, с. 136—155; A. Grabar. Sculptures byzantines du Moyen Age. vol. II. XI-e—XIV-e siècle (Bibliothèque des Cahiers Archéologiques. XII.) Paris, 1976; В. Г. Пуцко, Чешские рельефы апостолов и скульптурная декорация интерьера византийского храма, «Byzantino-bulgarica». VI. 1980. с. 339—355.

ქვის ხატის საკულტო ნაგებობის ინტერიერში განთავსების საკითხს საგანგებო გამოკვლევა ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ მიუძღვნა ლ. ბრეიერ. L. Bréhier, La sculpture iconographique dans les églises byzantines, «Bulletin de la section historique de l'Académie Roumaine», t. XI, Bucarest, 1924, p. 55—75.

მკვლევრები საგანგებოდ მიუთითებენ მის წმინდა დეკორაციულ როლზე ბიზანტიური სამყაროს სხვადასხვა რეგიონის საკულტო ნაგებობათა ინტერიერის გაფორმებისას. ხატმებრძოლეობის შემდგომი ეპოქიდან მოკიდებული, სკულპტურის განვითარება ბიზანტიაში ერთობ შეიზღუდა. დასახელებული ქრონოლოგიური ეტაპის შემდეგ სიუჟეტური რელიეფი ადგილს ნაგებობის ფასადებზე, ზოგ შემთხვევაში — პორტალებზე, იკავებს. ტაძრის ინტერიერს რაც შეეხება, რელიეფები თემატური სიუჟეტებითურთ აქ. ცალკეულ გამონაკლისთა გარდა, მხოლოდ ჯვაროსნულ ლაშქრობათა შემდეგ, საქრისტიანო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ წრეთა მჭიდრო ურთიერთშეხების კვალად თუ გვხვდება[28]. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ისინი ძირითადად ნართექსშია განთავსებული (ვგულისხმობთ ფიგურულ ან სიუჟეტურ რელიეფებს და არა ორნამენტს) და ამასთან არა დამოუკიდებელი, „დაჩგურული" ტიპის სცენის, არამედ არსებითად კედლის პლასტიკური დეკორის ერთ-ერთი ელემენტის სახით გვხვდება (შდრ. თუნდაც კაპრიე ჯამეს ეკლესიის საკურთხევლის კიდეებზე შესრულებული პოზაიკური გამოსახულებების შემამკობელი პლასტიკური დეკორი[29]). ანალოგიური ვითარებაა სერბიასა და რუსეთშიც[30].

ქვის დიდი ზომის ხატი, განსხვავებით ფერწერული, სპილოს ძვლის, ჭედური თუ ხის შედარებით მცირე ნიმუშებისაგან, ფაქტობრივად ყოველთვის უცხო რჩებოდა ბიზანტიური ხელოვნებისათვის. უთუოდ სწორედ ამის გამო, რომ აქგვარი ტიპის ჩვენამდე მოღწეულ ორიოდე მაგალითს (მაგ. ჩეპინოს ან კაპრიე ჯამეს რელიეფებს) სამეცნიერო ლიტერატურაში არსებითად იშვიათ გამონაკლისად მიიჩნევენ. გარკვეულწილად უთუოდ სწორედ ამგვარ გამონაკლისთან უნდა გვქონდეს საქმე კუმურდოს ტაძარშიც: ამასთან, აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს სხვა რეგიონებთან შედარებით, საქართველოში ქვის სიუჟეტურ პლასტიკას რამდენადმე უფრო მეტი ადგილი ჰქონდა დათმობილი საკულტო ნაგებობის ინტერიერში. ხუროთმოძღვრებაში გვაქვს ჩვენში ფართოდ ფეხმოკიდებული ტრადიცია ცალკეული თემატური სიუჟეტებით კანკელის ქვედა ფილების შემკობისა, რაც ქართველ ოსტატთა მიერ ტაძრის ინტერიერის გაფორმებისას ამ მხრივ შედარებით თამამი შემოქმედებითი ძიებებისათვის უთუოდ გარკვეულ წანამძღვრებს ქმნიდა და „მიძინების" ზემოთ აღწერილი სიუჟეტის მსგავსი კომპოზიციებიც ტაძრად მოსული ქართველი მლოცველისათვის აგრერიგად უცხო, მისთვის შინაგანად ნაკლებ გაუგებელი ალბათ უნდა ყოფილიყო.

ეკლესიის ინტერიერში კედლის შემამკობელ სკულპტურულ (სიუჟეტურ) დეკორს რაც შეეხება, ამ მხრივ რაიმე საგულისხმოს არც თავად საქართველოში დადასტურებული მასალა გვაძლევს. დღეისათვის ქართული ეკლესიის ინტერიერის შესამკობად გამიზნული ქვის რელიეფური ხატის სულ რამდენიმე მაგალითი თუ მოგვეპოვება — ესაა ფილა ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულებით უდედან (X ს-ის მეორე ნახევარი)[31], ჭაშლეთის ეკლესიაში მიკვლეული

---

[28] J. Maksimović. დასახ. ნაშრომი, გვ. 29—30.

[29] Г. Белтинг, დასახ. ნაშრომი, გვ. 141—144.

[30] В. Г. Пуцко, დასახ. ნაშრომი, გვ. 348, შენ. 38 და 39.

[31] ცნობა ამ რელიეფის შესახებ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე (თბილისი — 1989 წ.) წარმოდგენილი იყო ა. თოფურიას მიერ.

ფილები მახარებელთა მკერდამდე წარმოდგენილი გამოსახულებებით (X ს-ის მიწურულის —XI ს-ის დასაწყისის)[32], აგრეთვე ვანის ეკლესიის ქვის ხატი (XI ს-ის შუაწლებისა)[33]. საყურადღებოა, რომ ყველა ჩამოთვლილი ნიმუშის შესრულების სავარაუდო პერიოდი ჩვენი კომპოზიციის შექმნის მსგავს ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა, თუმცა ეკლესიის ინტერიერში მათი თავდაპირველი ადგილის თაობაზე ამჟამად დანამდვილებით არაფერია ცნობილი, აქედან ისინი კუმურდოს ტაძრის „მიძინების“ სცენის მსგავსი დიდი ზომებით არ გამოირჩევა. ამდენად, მითითებულ გამოსახულებათა ადგილი და მნიშვნელობა საკულტო ნაგებობის შიდა სახის შემკულობაში (თუკი ისინი მართლაც ინტერიერში განთავსებისათვის იყო გამიზნული) გაცილებით მოკრძალებული უნდა ყოფილიყო.

აღწერილი კომპოზიციის უჩვეულო ხასიათის კონსტატაციისას, ბუნებრივია, დაისმის საკითხი მისი პროტოტიპის თაობაზეც. კვლევის ამჟამინდელ ეტაპზე ამ მხრივ გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძალზე რთულია, თუმცა კი მსგავსი სახის ძეგლთა შორის საგანგებო ყურადღებას პირველ ყოვლისა დედაღმრთისას მიძინების ამსახველი სპილოს ძვლის ნიმუშები უნდა იმსახურებდეს; ამგვარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას საერთო იკონოგრაფიულ გადაწყვეტასთან ერთად (ამის შესახებ უკვე აღინიშნა) ის გარემოება გვაძლევს, რომ სწორედ ამ მცირე ზომის ფირფიტათა მოხაზულობა აქვს კუმურდოს ტაძრის რელიეფურ კომპოზიციას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნახევარწრიული ფორმის მისი ზედა, ცენტრალური ნაწილი, რომელიც სწორედ ამ კომპოზიციის შემცველ სპილოს ძვლის ნიმუშებისათვის ტრადიციულად ქმნილი ე. წ. ბალდაქინითაა ნაკარნახევი[34] და მის სახესხვაობას წარმოადგენს[35]. იდენტურადაა გადაწყვეტილი თავად სიუჟეტის კომპოზიციური სქემაც — მოციქულთა ფიგურების მიძინებულის აქეთ-იქით, ამასთან ერთიმე-

---

32 მ. ბანძელაძე. რელიეფები ჰაშლეთის ეკლესიიდან. „ძეგლის მეგობარი“, N. 56, 1981, გვ. 22—29.

33 რ. შმერლინგი, მარმარილოს ქანდაკება სოფ. ვანიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 2, 1956, გვ. 185—192.

34 რაჭიდან ჩამოტანილი სპილოს ძვლის ფირფიტის განხილვისას გ. ჩუბინაშვილი საგანგებოდ ჩერდება მიძინების კომპოზიციის ამგვარი სახის მოჩარჩოებაზე, ე. წ. ბალდაქინზე (Г. Н. Чубинашвили. Рачинский триптих из слоновой кости, გვ. 213—220); მკვლევრის მითითებით, შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში ამგვარად გაფორმებული სამკათედრამდე სპილოს ძვლის ნიმუშია ცნობილი (იქვე, გვ. 214).

35 ვფიქრობთ, სპილოს ძვლის ნიმუშთა კვალად, ჩვენი კომპოზიციაც სივრცული ბალდაქინის თაღოვან მომაჭარჩოებელ მოტივად თადათანობით სახეცვლილების პროცესის ამსახველი უნდა იყოს. სწორედ ამის თაობაზე აღნიშნავდა გ. ჩუბინაშვილი: «К совсем иному типу относится образование на рачинском триптихе, оно примыкает к такому арочному мотиву, который обрамляет картину, именно картину, картинную композицию в рельефе или плоскостном рисунке, отгораживая ее от окружающего мира и замыкая в себе. Другими словами, это — чисто художественный прием замкнуть картину, обособить, придать ей характер закругленной ценности» (Г. Н. Чубинашвили. Рачинский триптих из слоновой кости, გვ. 218—219).

საგულისხმოა, რომ რელიეფურ კომპოზიციებში ნახევარწრიული ფორმის ზედა მოჩარჩოება (ხშირ შემთხვევაში სხივებით გაფორმებული) ჩვეულებრივ ცის თაღის სიმბოლოდ გვევლინება. H. P. L'Orange, Studies on the Iconography of Cosmic Kingship in the Ansient World. Oslo, 1953 p. 134—138; W. Djobadze, The Donor Reliefs and the Date of the Church at Oski, «Byzantinische Zeitschrift», Bd. 69, 1976, p. 53.

ორის ზემოთ განთავსებით (ამის გამო სცენას არა ჰორიზონტულად, არამედ უფრო ვერტიკალურად წაგრძელებული ფორმა აქვს).

სახვითი ხელოვნების ურთიერთისაგან შორს მდგომი ორი დარგის ნიმუშთა ამგვარი კავშირი ერთი შეხედვით რამდენადმე უჩვეულო ჩანს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში რელიეფურ ხატთა პროტოტიპებად სახვითი ხელოვნების სრულიად სხვადასხვა დარგის ნიმუშებს ასახელებენ[36]; მეტიც — რელიეფურ (მარმარილოს) ხატთა სიახლოვე სპილოს ძვლის კომპოზიციებთან საგანგებოდაა მინიშნებული[37]. ამასთან დაკავშირებით ა. გრაბარი შენიშნავს, რომ ქვისა და სპილოს ძვლის რელიეფთა ურთიერთკავშირი მაშინ იჩენს თავს, როდესაც ორივე შემთხვევაში ოსტატი ერთსა და იმავე სიუჟეტს მიმართავს. მაგრამ, მკვლევრის აზრით, ეს როდი ნიშნავს, რომ დასახელებულ შემთხვევაში სპილოს ძვალი ქვის ხატის უშუალო წინამორბედად უნდა ჩაითვალოს — აქ, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ერთი სიუჟეტის მსგავსი (პარალელური) მხატვრული ხერხებით გადაწყვეტასთან განსხვავებული მასალით შესრულებულ ქმნილებებში[38].

კვლევა ამ თვალსაზრისით ქართულ ძეგლებსაც შეხო. ადრეშუასაუკუნეების რელიეფთა სხვა მხატვრული თავისებურებების გვერდით, რიგ შემთხვევებში, მინიშნებულია მათი სიახლოვე მცირე პლასტიკის ნიმუშებთან, სახელდობრ ტრიპტიქონებთან, სპილოს ძვლის ფირფიტებთან[39].

მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა კავშირი კუმურდოს ზემოაღწერილ სიუჟეტს სპილოს ძვლის ხატებთან, თავისი მონუმენტური გადაწყვეტით, ტაძრის ინტერიერის გაფორმებისას მისთვის მიკუთვნებული როლით, იგი უთუოდ საკულტო ნაგებობების კედლის შემამკობელ რელიეფურ თუ ფერწერულ ხატთა მსგავსი ფუნქციის მქონეა და, ამდენად, მასზე მსჯელობისას უპირადღება უფრო მეტად ამ მხარეს უნდა მიექცეს.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ კუმურდოს ტაძრის რელიეფური კომპოზიციის საღებავით შეფერვის მხატვრულ ხერხზეც. სიუჟეტის ამ სტილისტურ თავისებურებაზე მსჯელობისას, ცხადია, ბუნებრივად ჩნდება სურვილი შუა საუკუნეების საქართველოში რელიეფთა შეღებვის ტრადიციასთან მისი დაკავშირებისა. მით უმეტეს რომ ამგვარი მაგალითები სწორედ X და XI ს-ის დასაწყისის ძეგლებშია ცნობილი. უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს ტაო-კლარჯეთის ძეგლები, რომლებშიც მკვლევართა მიერ დამოწმებული იქნა არამარტო ფასადის ცალკეულ კონსტრუქციულ თუ დეკორაციულ ელემენტთა, არამედ თავად სკულპტურის შეღებვის ფაქტიც[40]. ქართველ ოსტატთ, ამჟამად

---

[36] A. Grabar, დასახ. ნაშრომი, გვ. 23—24.

[37] იქვე, გვ. 24.

[38] იქვე: «Il va de soi que les rapprochements entre reliefs en ivoire et reliefs en pierre sont souvent parfaitement valables, surtout lorsque de part et d'autre on traite les mêmes sujets religieux. Mais il s'agit là en fait de transpositions parallèles en sculpture des peintures religieuses semblables, et non pas nécessairement d'influences des ivoires sur les reliefs en marbre. On se rend compte de cet état des choses en observant plusieurs séries de faits significatifs».

[39] Н. А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1976, с. 21, 27, 52.

[40] Д. Уинфилд, Некоторые примеры раннехристианского и византийского влияния на памятники Тао-Кларджети, «II Международный симпозиум по грузинскому искусству», Тб., 1977, с. 8.

შემორჩენილი ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქანდაკების საღებავით შეფერვის ხერხისათვის უნდა მიემართათ ჯოისუბნის ეკლესიის X ს-ის პირველი ნახევრის რელიეფების შესრულებისას[41]. აგრეთვე ნიკორწმინდის ტაძრის სკულპტურულ დეკორში (XI ს-ის დასაწყისი)[42].

ბუნებრივია, დასახელებულ მაგალითთაგან ჩვენს ყურადღებას უმთავრესად ტაო-კლარჯეთის ძეგლებში დამოწმებული პოლიქრომიის ეს საყურადღებო ხერხი იწვევს, რადგან იგი სხვა მხატვრულ-სტილისტურ ნიშნებთან ერთად ქართველთა საკურაპალატოს ხუროთმოძღვრულ ნიმუშებთან კუმურდოს ტაძრის ამ მხრივ კავშირზე მიგვანიშნებს. ცხადია, კუმურდო ტაოს ძეგლთაგან მაინც რამდენადმე გამოცალკევებით დგას, რადგან აქ ინტერიერში შესრულებული რელიეფი (რელიეფური კომპოზიცია) იქნა შეფერილი. თუმცა, მოსალოდნელია, რომ იგი გარკვეულწილად სწორედ საფასადო სკულპტურაში დამკვიდრებულ ტრადიციასაც ასახავს[43].

კუმურდოს ტაძრის მიძინების ხატს შესრულების უჩვეულო მხატვრული ხერხის მხრივ შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლთა შორის ორი საგულისხმო მაგალითი მოეპოვება. მათგან პირველი კუხეთის რუსთავის სასახლის შემკულობის ფრაგმენტია. იგი ამ რამდენიმე წლის წინ იქნა აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად[44]. ესაა საერო პირის სამი მეოთხედით შეტრიალებული რელიეფური ფიგურის ნაწილი, სახელდობრ ზედატანი, რომელზედაც ზემოდან ფერწერით მამაკაცთა ტრადიციული შესამოსელის — სამკლავებიანი კაბის ანუ ჯუბის — ქსოვილის სახე იქნა დატანილი. ფრაგმენტი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით თავდაპირველ პუბლიკაციაში XII—XIII საუკუნებით თარიღდება. ამ სავარაუდო პერიოდის შემდგომი დაზუსტება გამოსახულების მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებათა მიხედვით თუ გახდება შესაძლებელი[45].

მსგავსად შესრულებული მეორე გამოსახულება კუმურდოდან არცთუ შორს, მტკვრის მოპირდაპირე მხარეს წარმომართული თმოგვის ციხის კარიბჭის ეკლესიის ფერწერულ შემკულობაშია ჩართული. ეს მოხატულობა დღემდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი. მისი შესრულების სავარაუდო პერიოდი წინასწარულად შეიძლება XIV საუკუნით განისაზღვროს[46]. ფრესკები

---

41 ნ. ალადაშვილი, ჯოისუბნის რელიეფები, „საბჭოთა ხელოვნება", 1978, № 7, გვ. 74.

42 ნ. ალადაშვილი, ნიკორწმინდის რელიეფები, თბ., 1957, გვ. 19, შენ. 42.

43 მიძინების რელიეფური კომპოზიცია კუმურდოში ტაო-კლარჯეთის ძეგლებთან ახლო დგას ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც — კომპოზიციის შემსრულებელ ოსტატს (ოსტატებს?), როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბათქაშის ზედაპირი საგანგებოდ გაუპრიალებიათ. ამგვარი ხერხი კი სწორედ ტაო-კლარჯეთის ძეგლებში — ოთხთა ეკლესიაში, ოშკსა და ხახულში იქნა დამოწმებული. ეს გარემოება, მკვლევართა მიხედვით, საქართველოს სამხრეთი ისტორიული რეგიონის ძეგლთა რომაულ და ადრექრისტიანულ პრაქტიკასთან გარკვეულ ურთიერთობაზე მინიშნებად უნდა მივიჩნიოთ. Д. Уинфилд. დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

44 **Н. Н. Угрелидзе, Т. Д. Арчвадзе, Е. Г. Джандиери, К. Н. Мелитаури, Отчет работы руставской археологической экспедиции 1976 года. «Полевые археологические исследования в 1976 году», Тб., 1979, с. 244, табл. С—1.**

45 რელიეფი ამჟამად რესტავრირებულია და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციაში არის გამოფენილი.

46 თმოგვის ციხის ამ ეკლესიის მოხატულობის სავარაუდო თარიღად სამეცნიერო ლიტერატურაში XIII საუკუნეა დასახელებული (გ. გაფრინდაშვილი, თმოგვის ციხე, „ძეგლის მეგობარი", № 8, 1969, გვ. 25), თუმცა ძეგლის ხუროთმოძღვრული თავისებურებების გათვალისწინებით მისი აგების დროს XIV საუკუნით განისაზღვრა და გამოითქვა ვარაუდი,

ცხის ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში მხოლოდ ნაწილობრივ—საკურთხეველსა და სამხრეთ კედელზე შემორჩა; ფერწერითაა შემკული სამხრეთ-აღმოსავლეთი პანდანტივიც. აქ მახარებლის გამოსახულებაა წარმოდგენილი. ეკლესიის მომხატავ ოსტატებს კუმურდოში დამოწმებული მხატვრული ხერხი სწორედ ამ ფიგურის შესრულებისას გამოუყენებიათ — ნალესობით რელიეფურად აქ მახარებლის შარავანდია გამოყვანილი. მისი ფერი მზისა და ნალექების ზემოქმედებისაგან ამჟამად მთლიანად დაკარგულია, თუმც ეჭვი არ არის, რომ ივი, გამოსახულების სხვა დეტალების მსგავსად, საღებავით იყო დაფარული.

რაიმე უშუალო კავშირი ამ ორ ძეგლსა და კუმურდოს ეკლესიის კომპოზიციას შორის სათუო ჩანს, თუმცა თავად ის ფაქტი, რომ სცენის ან ცალკეული გამოსახულების (resp. დეტალის) შესრულების მსგავსი მხატვრული ხერხი, დღეისთვის ცნობილ ძეგლთა მიხედვით, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ამასთან განსხვავებულ ქრონოლოგიურ მონაკვეთებზე დასტურდება, უკვე თავისთავად არის საგულისხმო, რადგან მოწმობს, რომ ნაგებობის ინტერიერის შექმნისას მისი გამოყენება საეკლესიო ხელოვნებაში.

З. Н. СХИРТЛАДЗЕ

КОМПОЗИЦИЯ УСПЕНИЯ БОГОМАТЕРИ В ЦЕРКВИ КУМУРДО

Резюме

Композиция Успения Богоматери, фрагменты которой сохранились на восточной стене юго-восточной апсиды храма Кумурдо (964 г.), отличается необычным художественным решением: отдельные ее детали были выполнены легким рельефом по штукатурке и лишь после этого раскрашены.

Сохранившиеся фрагменты дают возможность предположить наличие лаконичной иконографической схемы, характерной для более раннего времени. Художественно-стилистические черты, выявленные в композиции, отвечают общей тенденции к решению пластических задач, намеченной в изобразительном искусстве средневековой Грузии. Указанные черты обнаруживают тесную связь с этапом наивысшего развития этого процесса, что дает основание предположить исполнение интересующей нас композиции в начале XI века.

Своеобразный прием исполнения сцены, прототипом которой можно было бы предположить аналогичные изображения, часто встречающиеся в образцах слоновой кости, дает возможность провести определенную параллель с традицией украшения интерьеров церквей рельефными иконами как в Византии, так и в странах восточно-христианского мира. Однако, исходя из факта раскрашивания рельефных изображений, можно говорить и об отражении в композиции практики раскрашивания скульптуры, установившейся в изобразительном искусстве средневековой Грузии.

რომ იგი თმოგვის მფლობელისა და ზღუდის მაშენებლის მურმან კვითხის ძის საძვალეს უნდა წარმოადგენდეს (გ. გაგოშიძე, თმოგვის გუმბათიანი ეკლესია, ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები, თბ., 1986, გვ. 19). ეკლესის აგებისა და მოხატვის პერიოდი შესაძლოა დაზუსტდეს ამ რამდენიმე წლის წინ, გაწმენდითი სამუშაოების დროს მოკვლეული იმ წარწერის მიხედვით, რომელიც წინასწარი მონაცემების მიხედვით XIV საუკუნის პირველი წლებით თარიღდება.

ავთანდილ მენთეშაშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია

პირველი მსოფლიო ომი, ოთხწლიანი მძაფრი ბრძოლების შემდეგ, 1918 წლის ნოემბერში ანტანტის სახელმწიფოების ვამარჯვებით დამთავრდა.

ზავის პირობები შემუშავებული და რატიფიცირებული იქნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919 წლის 18 იანვარი — 1920 წლის 21 იანვარი) გამარჯვებული ქვეყნების, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის მიერ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარი თქვა.

პირველმა მსოფლიო ომმა მძლავრი ბიძგი მისცა ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მთელი რიგი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნით დაგვირგვინდა. ეს სახელმწიფოები იბრაფვოდნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში, რათა ოფიციალური საერთაშორისო აღიარებისათვის მიეღწიათ. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა. საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ 1918 წლის 17 ნოემბერს დაადგინა: „ევროპაში პროპაგანდისათვის და კონგრესზე (იგულისხმება პარიზის სამშვიდობო კონფერენცია — ა. მ.) დასწრებისათვის გაიგზავნოს დელეგაცია კარლო ჩხეიძის, ნოე რამიშვილის, ნიკო ნიკოლაძის, გრიგოლ რცხილაძის და სპირიდონ კედიას შემადგენლობით. ნოე რამიშვილის წაუსვლელობის შემთხვევაში, მის მაგივრად მისია დაეკისროს ირაკლი წერეთელს“[1].

შემდგომში დელეგაციის შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოხდა.

1918 წლის 21 ნოემბრის სხდომაზე კი საქართველოს მთავრობამ განიხილა და დაამტკიცა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მოქმედების გეგმა.

ამჟამად ჩვენ გვაქვს საშუალება მკითხველს გავაცნოთ საქართველოს მთავრობის ამ სხდომის ოქმი, აგრეთვე საქართველოს დელეგაციის თბილისში გამართულ სხდომათა ოქმები, რომელნიც მივაკვლიეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰარვარდის უნივერსიტეტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მასალებში. აღნიშნული დოკუმენტები მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რა საწყისებზე და რა საშუალებით აპირებდა საქართველოს მთავრობა პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებას თავის უშუალო მეზობლებთან — რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, აგრეთვე ევროპის სახელმწიფოებთან. ამ დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მთავრობის უმთავრესი საზრუნავი იყო ჩვენი

[1] Georgian Arcive. Harvard University, Reel 68, box 20, book 18, გვ. 59.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განმტკიცება.

ამასთან მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰოუგტონის ბიბლიოთეკაში ამჟამად დაცული მასალები (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივისა) მეორე მსოფლიო ომის დროს ინახებოდა პარიზში, კერძო ბინაზე, სადაც დატბორვის შედეგად ბევრი დოკუმენტი დაზიანდა. ამის გამო ჩვენ მიერ შემოთავაზებულ დოკუმენტებში ზოგიერთი სიტყვა და წინადადება ცუდად იკითხება. დოკუმენტები ქვეყნდება უცვლელად.

დოკ.№ 1 საიდუმლო პირი

„საქართველოს მთავრობის 21 ნოემბრის სხდომა. თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია. მინისტრები: გ. ყურული, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, ი. ლორთქიფანიძე, შ. მესხიშვილი, გ. გიორგაძე. მინისტრების ამხანაგები: კ. საბახტარაშვილი, პ. გელეიშვილი, შ. ერაძე, კ. კანდელაკი. სახელმწიფო კონტროლიორი: მ. გოგიჩაიშვილი, გასაგზავნი დელეგაციის წევრები: კ. ჩხეიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. რცხილაძე. მთავრობის საქმეთა მმართველის თანამდებობის აღმასრულებელი: ა. ჯაფარიძე. მდივანი: გ. რობაქიძე.

საქართველოს დელეგაციის გაგზავნის შესახებ:

გაცვლა-გამოცვლა.

1. გერმანელებთან ეკონომიური ხელშეკრულების შესახებ.

დელეგაციას შეუძლია აუწყოს ვისაც ჯერ არს, რომ საქართველოს რესპუბლიკა ყოველთვის მზადაა მიიღოს ეს ხელშეკრულებანი მცირე შესწორებებით, — ხოლო ახლა, როცა საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია მეტად გართულდა, საქართველოს რესპუბლიკა არც ამტკიცებს მიღებით ამ ხელშეკრულებებს და არც უარყოფს მათ.

2. დაევალოს სხვადასხვა უწყებათ, საჩქაროდ მიაწოდონ დელეგაციას საჭირო ცნობები.

3. დელეგაციისათვის საჭირო თანხა განსაზღვრული სმეტით მიღებულ იქნას, — და საჭირო მოულოდნელი ხარჯებისათვის დელეგაციის თავმჯდომარეს გაეხსნას კრედიტი იმ ფულიდან, რომელიც დევს „დოიტშე ბანკში“ საქართველოს რესპუბლიკის სახელზე.

4. დელეგაცია წაიყვანს სპეციალისტებს სხვადასხვა საკითხებისათვის და აგრეთვე მოაწყობს საინფორმაციო ნაწილს.

5. პოლიტიკური საკითხის შესახებ დელეგაციამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მოსაზრებებით:

ა) დელეგაცია წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს, თუ ვინიცობაა მოკავშირეებმა მიზნად დაისახეს რუსეთის აღდგენა ძველს ფარგლებში; თვითონ რომ აღდგენილიყო რუსეთი თავისი ძალით, მაშინ შესაძლოა კიდევ — ეს საკითხი სხვა სახეს მიიღებდა. დღეს კი ხელოვნური აღდგენა რუსეთისა და მერე მისი მიტოვება ისევ ანარქიას გვიქადის; რესპუბლიკის დამყარება არც ისე ადვილი და საჩქაროდ მორიგებული საქმეა (— გავიხსენოთ თუ გინდ საფრანგეთი!) ასეთ პირობებში ჩვენი ხელოვნურად შეყვანა, ხელოვნურად აღდგენილ რუსეთში ჩვენს გასრესას მოასწავებდა: ერთი მხრივ, ბოლშევიკებისა და, მეორი მხრივ, რეაქციონერების მიერ.

ბ) ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი ამიერკავკასიის კონფედერაციისა, — ხოლო ჯერ თვითონ ამიერკავკასიის ერები უნდა განმტკიცდნენ როგორც და-

მოუკიდებელი სახელმწიფოები, რომ შემდგომ მათი შეკავშირება უფრო ადვილი და თავისუფალი იქნეს; კერძოდ, თუ მოკავშირეებს დასჭირდათ ეკონომიური მიზნით ბათუმ-ბაქოს რკინიგზა ისე, რომ იგი საბაჟოებით არ იყოს დაყოფილი, ამის წინააღმდეგ საქართველოს **არაფერი** ექნება.

გ) სომხებთან დაახლოვება ჩვენთვის საჭიროა მეტად: თუ ჩვენ, ორი საქრისტიანო ერი, ვერ შევთანხმდით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ საქართველო ვერ შეძლებს საკუთარ არსებობას; და ეს გარემოება, გარდა ამისა, ევროპაშიაც ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს: ორი სომხეთის — ოსმალეთისა და რუსეთის — შეერთება: უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, საოსმალო სომხეთისაკენ გადიხაროს სომხეთის პოლიტიკურმა ცენტრმა, — ჩვენ ამ მიზნით იმაშიაც უნდა დავეხმაროთ სომხებს, რომ მათ გასავალი იპოვონ შავი ზღვის პირით, თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ სომხეთი აღარ მოაწვება საქართველოს, — და ადვილად გადაწყდება სომეხ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა: შესაძლოა, მათ ფარული დიპლომატიური გზებით ისარგებლონ. მაგრამ, თუ მათის მხრით გვექნება ხელში ოფიციალური დოკუმენტები შეთანხმებისა, ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ექნება სამშვიდობო კონგრესზე.

დ) სულ სხვაა აზერბაიჯანის საკითხი: იგი ჩვენთვის საშიშროებაა: აზერბაიჯანელები ცნობენ თავის თავს თურქებათ და ოსმალეთში შესვლას ჰლამობენ მეორე მხრით, ოსმალეთიც მოიწევს აზერბაიჯანისაკენ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ევროპიდან იდევნება და მეორე — დაჰკარგავს სამუდამოდ სირიას, პალესტინას, მესოპოტამიას, კონგრესზე კი ჩვენ ოსმალეთის წინააღმდეგ მოგვიხდება მოქმედება — და ამისათვის ვერც აზერბაიჯანთან ვიქნებით დაკავშირებული საერთო ინტერესით.

ე) სამშვიდობო კონგრესზე დელეგაცია უნდა ეცადოს სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის დაყენებას და მის ჩვენდა სასურველად გადაჭრას.

ვ) დელეგაცია უნდა შევიდეს პატარა ერთა კავშირის ორგანიზაციაში და მათთან ერთად უნდა გამოვიდეს სამოქმედო სამშვიდობო კონგრესზე.

ზ) ვალის გადახდამ, რაც უნდა დაგვატყდეს თავს, ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს: რაც დავვედება, უნდა გადავიხადოთ, რომ დამოუკიდებლად იქნეს განმტკიცებული საქართველოს რესპუბლიკა.

თ) თუ დამოუკიდებლობის საკითხი ძალიან გამწვავდა და არას გზით არ იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, იმ შემთხვევაში, დელეგაციას ნება ეძლევა დაუთმოს. მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ იქნება პროტექტორატი, — მხოლოდ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოთა.

მთავრობის თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია
საქმეთამმართველის თანამდ. ალმ.: ა. ჯაფარიძე
მდივანი: გ. რობაქიძე

დედანთან სწორია: გ. რობაქიძე[2]

---

[2] Georgian Archive. Harvard University Reel 68, box 20, book 18.

დოკ. № 2

20 ნოემბერი 1918 წელი

ოქმი № 1

საქართველოს დელეგაციის წევრთა და საგანგებოდ მოწვეულ მცოდნე პირთა და სპეციალისტების თათბირისა

თათბირი მოწვეული იყო პარლამენტის თავმჯდომარის ბ-ნ ნ. ჩხეიძის მიერ, რათა მცოდნე პირთა და სპეციალისტების დახმარებით გამორკვეული ყოფილიყო სხვადასხვა საკითხები, დაკავშირებული საქართველოს დელეგაციის ევროპაში გამგზავრებასთან. პარლამენტის თავმჯდომარის ბ-ნ ნ. ჩხეიძის გარდა თათბირს დაესწრნენ:

1) ვაჭ. — მრეწვ. მინისტრი გ. ჟურული, 2) სახელმწიფო კონტროლიორი გოგიჩაიშვილი, ეროვნული საბჭოს წევრნი: 3) ე. თაყაიშვილი, 4) გრ. რცხილაძე, 5) მ. ნიკოლაძე, 6) ი. ლორთქიფანიძე, და 7) სპ. კედია, აგრეთვე 8) გენ. ი. ოდიშელიძე, 9) პროფ. ი. ჯავახიშვილი, 10) ი. დადიანი და 11) ინჟ. ყიფშიძე, 12) საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან — ხელისუფალი ვ. ნაზარაშვილი, 13) მდივანი ი. გოგოლაშვილი.

თავმჯდომარე ბ-ნმა ნ. ჩხეიძემ დამსწრეთ გააცნო მიზანი დღევანდელი თათბირის: მთავრობამ გადაწყვიტა დასავლეთ ევროპაში გაგზავნოს დელეგაცია საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად საქართველოს შესახებ, მოსალოდნელია ამაზე დელეგაციამ მონაწილეობა მიიღოს საზავო კონფერენციის მუშაობაშიც. დელეგაციისათვის საჭიროა მასალები, რათა იქ წარსდგეს ყოველმხრივ მომზადებული, ამიტომ თათბირმა უნდა გამოარკვიოს თუ რა მასალებია საჭირო და რა საკითხების შესახებ.

ვაჭ. — მრეწვ. მინისტრი გ. ჟურული საჭიროდ სცნობს, რომ გაშუქებული იქნეს უმთავრესად ყველა ის საკითხები, რომელიც დააინტერესებს ინგლის-საფრანგეთის ფინანსიურ წრეებს და ვაჭრობა მრეწველობის წარმომადგენელთ, რადგანაც ამათ აზრს დიდი ზეგავლენა ექნება პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის დროს, ამიტომ აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა დაწვრილებითი ცნობები იქნას შეგროვილი. 1) საქართველოს რესპუბლიკის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შესახებ. 2) სტატისტიკა ბუნებრივი მინერალური სიმდიდრის შესახებ. ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი დაამტკიცებს თუ რა ღირებულებას წარმოადგენს საქართველოს ბუნ. სიმდიდრე.

ნ. ნიკოლაძე დაწვრილებით მოახსენებს ბერლინის დელეგაციის მუშაობაზე (ტექსტი არ იკითხება) გააცხოველა საქართველოსადმი ინტერესი გერმანიაში; რასაკვირველია, უმთავრესად ამ თვალსაზრისით შეხედავენ თუ რა ღირებულებას წარმოადგენს საქართველო და მაშასადამე ყოველი დარგი ჩვენი მრეწველობისა.

დოკ. № 3

23 ნოემბერი 1918 წ.

ოქმი № 2

დაესწრნენ სხდომას: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, დელეგაციის წევრნი: გრ. რცხილაძე, სპ. კედია, აგრეთვე გ. ღამბაშიძე, ბაბე, ი. გოგოლაშვილი.

ნ. ჩხეიძე. აცნობებს სხდომის მონაწილეთ, რომ ნ. რამიშვილის წასვლა საზღვარგარეთ შეუძლებელი გახდა, ამიტომ მის მაგიერ წამოვა დელეგაციაში

ი. წერეთელი. გარდა ამისა ჯავახიშვილი*) ყოყმანობს ამ დროს კი მისი წამოუსვლელობა ყოვლად შეუძლებელია. თუმცა დასახელებულია მეორე სპეციალისტიც ბ-ნი ინგოროყვა, მაგრამ უკანასკნელი ვერ გასწევს ჯავახიშვილობას. და თუ ჯავახიშვილი წამოვიდა, მაშინ ინგოროყვა საჭირო აღარ იქნება.

გ. რცხილაძის აზრით, ი. წერეთელის მონაწილეობა დელეგაციაში ფრიად სასურველი იქნება ჯავახიშვილის მონაწილეობა კი — აუცილებლად საჭიროა. ბევრი ისეთი მასალა იქნება საჭირო, რომელიც ჯავახიშვილს მოეპოვება და თუ მოგვიხდა მემორანდუმების წერა ისტორიულად და ეთნოგრაფიულად დასაბუთებული, ვინ მოგვაწვდის მასალებს, თუ ბ-ნი ჯავახიშვილი არ იქნა დელეგაციაში. იმ პირებიდან, რომელნიც დასახელებულნი იყვნენ ჯავახიშვილისა და ოდიშელიძის მონაწილეობა აუცილებლად საჭიროა. ჯავახიშვილი უარს ამბობს უნივერსიტეტის საქმეების გამო, მაგრამ თუ დიდხანს არ უნდა იქ დარჩენა ცოტა ხნით მაინც წამოვიდეს.

ნ. ჩხეიძე კითხულობს წერილს, რომელიც მან ბ-ნ ჯავახიშვილისაგან მიუღია. წერილში მიზეზად არ არის უნივერსიტეტის საქმეები მოყვანილი და კიდევაც რომ იყვეს ეს საბუთი არ არის, რადგან ამაზედ უდიდესი საქმე არ არებობს არც ერთი ქართველისათვის. თუ გვექნება დამოუკიდებლობა უნივერსიტეტის საქმეებიც მოგვარდება და თუ არ გვექნება — უნივერსიტეტსაც ვერ შევინარჩუნებთ, ამიტომ საჭირო იქნება ერთხელ კიდევ ეთხოვოს ბ-ნ ჯავახიშვილს წამოსვლა გადაწყვიტოს.

დადგენილ იქნა: ეთხოვოს ჯავახიშვილის წერილობით რომ მისი მონაწილეობა დელეგაციაში აუცილებლად საჭიროა და თუ დათანხმდება, მაშინ ბ-ნი ინგოროყვა საჭირო არ იქნება.

ნ. ჩხეიძე. აგრეთვე უარს ამბობს სპირიდონ კედია, რომელიც დასახელებულია დელეგატად.

დადგენილ იქნა ეცნობოს მთავრობას სპ. კედიას უარი.

ნ. ჩხეიძე. გადადის დანარჩენ პირებზე; ამათგან ბ-ნ ვ. ღამბაშიძეს არ აქვს გარკვეული როლი დაკისრებული, ღამბაშიძე უარს არ ამბობს, მოდის, მაგრამ რა სახით, რა საჭიროებისათვის.

გ. ღამბაშიძე. ამბობს, რომ მას არავითარ სამუშაოზე არ უთქვამს უარი თუ კი ამას მოითხოვდნენ მისგან და შესწევდა ამის ძალა. ეხლაც სიამოვნებით იკისრებს დელეგაციის საქმეთა გამგეობას, თუ სხვა უკეთესი კანდიდატი არ აღმოჩნდა. მაგრამ ერთი რამ (ტექსტი არ იკითხება — ა. მ.) მუდამ, ეს — მდივნის სახელი. აგიტაციისა და საუბრების დროს მდივნის სახელწოდებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ამიტომ იგი თხოულობს, რომ ოფიციალურად სახელეწოდოს „მოთათბირე", ფაქტიურად კი საქმეთა მმართველი იქნება.

ნ. ჩხეიძის აზრით სულერთია, თუ რა სახელი ექნება ბ-ნ ვახტანგს. „მე მგონია, ის სახელი რაც ერქმევა ბ-ნ ჯავახიშვილს და ოდიშელიძის დააკმაყოფილებს ვახტანგს".

გადაწყდა ბ-ნი ღამბაშიძე დელეგაციაში წაიყვანონ „მოთათბირის" სახელწოდებით, ფაქტიურად კი მას მიენდოს დელეგაციის საქმეთა მართვა.

ნ. ჩხეიძე. ახლა ვიმსჯელოთ მდივნებზე. დასახელებული იყვნენ: ი. გოგოლაშვილი, ა. დეკანოზიშვილი, ქ-ნი ე. წერეთელი. ამათგან ი. გოგოლაშვილის წაყვანა უკვე გადაწყვეტილია და იგი უკვე მუშაობს დელეგაციის საქმეებზე.

*) იგულისხმება ივანე ჯავახიშვილი — ა. გ.

ი. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი შიშობს, რომ ენების უცოდინარობის გამო უსაქმოდ არ დარჩეს დელეგაციაში და მეტ ბარგად არ დააწვეს მას.

დაადგინეს: ი. გოგოლაშვილს დაევალოს ქართული ნაწილის გამგეობა, აგრეთვე სამეურნეო და ფინანსური მხარეების გამგეობა, ჭ-ნი წერეთელი მიღებულ იქნას საქმის მწარმოებლად, რადგანაც კარგი მცოდნეა ენებისა და კანცელარიის საქმებსაც იცნობს. საკითხი ა. დეკანოზიშვილის შესახებ გადაიდოს.

საინფორმაციო ნაწილისათვის დასახელებულნი იყვნენ გრ. რობაქიძე და მ. ორბელიანი, აგრეთვე თავმჯდომარის პირად მდივნად დასახელებულია ვ. ნაზაროვი.

უკანასკნელთა შესახებ საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე ამბობს, რომ ი. გოგოლაშვილს ძლიერ ბევრი აქვს დაკისრებული ამიტომ მისთვის საჭირო იქნება ვინმე დამხმარე, რომელსაც ენები ეცოდინება.

დოკ. № 4

27 ნოემბერი 1918 წ.

ოქმი № 3

სხდომას დაესწრნენ თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, გრ. რცხილაძე, ვ. ღამბაშიძე, გენ. ი. ოდიშელიძე, ი. ჯავახიშვილი და ი. გოგოლაშვილი.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე წინადადებას აძლევს მდივანს წაიკითხოს დელეგაციის მონაწილეთა სია.

ი. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი. დელეგაციაში შედიან: თავმჯდომარე ბ-ნი ჩ ხ ე ი ძ ე. წევრები: გრ. რცხილაძე, ი. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, მოთათბირენი: ივ. ჯავახიშვილი, ი. ოდიშელიძე, ვ. ღამბაშიძე და ბაბე. საქმის წარმოება დაეკისრა ბ-ნ ვ. ღამბაშიძეს. მდივნები: ე. წერეთელი და ი. გოგოლაშვილი, დასთანხმდა აგრეთვე ა. გვათუა.

დანარჩენების საკითხი ჯერ გადაუწყვეტელია.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე. პირად მდივნად ასახელებს დ. შარაშიძეს, ამიტომ ვ. ნაზაროვის კანდიდატურა მოხსნილია. დანარჩენების შესახებ საკითხი კვლავ გადაიდოს, სანამ ყველა დელეგატი დაესწრება კრებას.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე. კითხულობს, როგორ არის ფინანსების საქმე.

ვ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე. ფინანსთა სამინისტრო იძლევა მხოლოდ 500.000 მან. ძველი რუსული ფულით, დანარჩენს კი კომისარიატის ფულით, რომელიც საზღვარგარეთ არ გამოდგება სრულებით. ამ დროს კი შეიძლება კომისარიატის ბონები აქ გადაცვალოთ ინგლისურ და ფრანგულ ფულებში.

დადგენილია: ამ საქმის მოგვარება მიენდოს ვ. ღამბაშიძეს და ი. გოგოლაშვილს.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე. ვინც კი ღებულობდა დელეგაციაში მონაწილეობას, ყველა უკმაყოფილებას აცხადებდა იმის შესახებ, რომ თანხის გამო ტანისამოსების შეძენა შეუძლებელი გახდა, ამიტომ საჭიროა ეს საკითხი ეხლავე გადაეჭრათ.

გრ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე. ოდიშელიძე და ღამბაშიძე მომხრენი არიან, რომ ტანისამოსებისათვის გადადებულ იქნას განსაზღვრული თანხა თავმჯდომარის განკარგულებაში, რომელიც საჭიროების და მიხედვით ნებას დართავს წევრებს

საჭირო ტანისამოსის შეკერვისას. დადგენილია გადაიდოს ამ საქმისათვის თავმჯდომარის განკარგულებაში 50000 ფრანკი.

ნ. ჩხეიძე. აგრეთვე საჭიროა მათი ოჯახების მზრუნველობაც, ვინც დელეგაციაში მიდის და შეიძლება დიდხანს მოუხდეს ყოფნა საზღვარგარეთ. დახმარება შეიძლება იმ სახით, რომ მთავრობამ იზრუნოს მათ შესახებ.

ვინც მთავრობის სამსახურში არიან ჯამაგირს მიიღებენ, მაგრამ შეიძლება იყვნენ ისეთნიც, რომელნიც არ არიან ჯერ სამსახურში და წამოსვლისას სამსახურებს კარგავენ. ამიტომ ეხლავე უნდა.. .(ტექსტი არ იკითხება — ა. მ.) რომ რაიმე ზარალიც მოსდით. მონაწილეთა ოჯახების მდგომარეობის შესახებ გამოითქვა აზრი, რომ შემდეგ კრებაზე ყველამ წარმოადგინოს თავის შესახებ ცნობები. დაადგინეს: იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც მთავრობისაგან ჯამაგირს ვერ მიიღებენ, მიეცეთ დელეგაციის ანგარიშში დღიურების დაკვალად ან საჭიროების და კვალად. ამასთანავე გადაწყდა ორი თვის აქვე დასტოვონ დელეგაციის თანხიდან. შემდეგ კი მთავრობას წარუდგინოს სია, რომ მან დააკმაყოფილოს.

მდივანი მოახსენებს დღიურების შესახებ, რომ კომისიამ გადაწყვიტა დღიურები 50 ფრანკის დაახლოვებით, მაგრამ დეტალურად არ შეეხება მონაწილეთა სიას და კატეგორიებად არ დაუყვია მონაწილენი. პრინციპიალურად კი გამოთქვა აზრი, რომ განსხვავება უნდა იყვეს დელეგატებისა და თანამშრომელთა დღიურებს შორის.

საკითხები გადაუწყვეტელი დარჩა.

შემდეგი კრება დაინიშნა 29/XI-თვის.

დმკ. № 5

29 ნოემბერი 1918 წელი

ოქმი № 4

სხდომას დაესწრნენ: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე; წევრნი: ი. წერეთელი, გრ. რცხილაძე, ნ. ნიკოლაძე, მოთათბირენი: ი. ჯავახიშვილი. ვ. ღამბაშიძე; მდივანი ი. გოგოლაშვილი.

ვ. ღამბაშიძე. მოახსენებს ფინანსების მდგომარეობის შესახებ.

ნ. ჩხეიძე. წინადადებას აძლევს დამსწრეთ განიხილონ საკითხი აქ დარჩენილი ოჯახების დაკმაყოფილების შესახებ.

ნ. ნიკოლაძე. საჭიროა გამოირკვეს თუ რომელთა ოჯახებს რამდენი უნდა მიეცეს, შემდეგ მათ შეიძლება ზოგი აქვე დავუტოვოთ დელეგაციის თანხიდან. შემდეგისათვის კი მთავრობას წარმოუდგინოს სია, რომ ამდენი და ამდენი ეძლეოდეს ამა და ამ პირის დაბრუნებამდე.

ნ. ჩხეიძე. ვეცადეთ ამის გამორკვევას, ყოველივე მონაწილეს ვთხოვეთ წარმოედგინა ცნობები, მაგრამ არ წარმოუდგენიათ.

ი. წერეთელს მოუხერხებლად მიაჩნია ასეთი გადაწყვეტა საკითხისა, რომ საერთო კრებამ განიხილოს წევრების მატერიალური მდგომარეობა და რაიმე დადგენილება გამოიტანოს, უკეთესი იქნება ეს რამდენიმე ერთ პირს მივანდოთ და შემდეგ თვით თავმჯდომარემ გადაწყვიტოს.

კრება ეთანხმება ი. წერეთლის აზრს.

ნ. ჩხეიძე. აქ წარმოდგენილი იყო დღიურების რაოდენობა — 50 ფრანკი.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. მომხრეა 50 ფრანკისა, მხოლოდ დელეგაციამ დაიტოვოს უფლება ადგილობრივი პირობების მიხედვით შესცვალოს ეს დადგენილება.

ი რ. წ ე რ ე თ ე ლ ს საჭიროდ მიაჩნია მსჯელობა იმის შესახებ, თუ ვინ მიდის თავმჯდომარის წინადადებით მდივანი კითხულობს სიას დელეგატებისა, მოთათბირეთა და თანამშრომლებისას, აგრეთვე კანდიდატებისას, რომელთა საკითხი ჯერ გადაუწყვეტელია.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. ასახელებს ხუთ პირს, რომელნიც მისი აზრით სასარგებლონი იქნებიან დელეგაციაში.

ამათ გარდა საჭიროა ორი-სამი ისეთი კაცის წაყვანა. რომელნიც გამოდგებიან სხვადასხვა ქვეყნებში წარმომადგენლებად გასაგზავნათ, ისეთები რომელთაც ვენდობით და რომელნიც არ შეგვარცხვენენ. ასეთ პირებად მას მიაჩნია: ა. დეკანოზიშვილი, ზურაბიშვილი და სოც. რევ. კ. ჯავრიშვილი, რომელიც ესერებმა პერსონალურად დაასახელეს.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე — წინადადებას იძლევა კანდიდატებზე ჯერ ნურას იტყვიან და ილაპარაკონ მხოლოდ პრინციპზე.

საჭიროა თუ არა ასეთი კაცების წაყვანა.

გ რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე ფიქრობს, რომ თუ წაიყვანენ ასეთ კაცებს, არა იმიტომ, რომ ელჩებად დაინიშნონ, არამედ დელეგაციის საქმეებში დახმარება გაწიონ. ელჩების განწვევა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ უმთავრესი სამუშაო სანამ ელჩობამდე მივიდოდეს საქმე კარგი იქნებოდა, რომ წამოსულებმა იცოდნენ, რომ დელეგაციაშიც უნდა იმუშაონ.

მაგალითად, ამათგან ი. ზურაბიშვილი ძლიერ საჭირო და გამოსადეგია.

ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. რასაკვირველია ყველა წამოსული საქმეს გააკეთებს. მოხდება ხანდახან, რომ უეცრად დაგვჭირდება ხალხში გასაგზავნად და არავინ გეგულებათ. ამიტომ საჭიროა აქედან ასეთი ხალხის წაყვანა.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე. მაშასადამე ჩვენი წრე უნდა გავაფართოვოთ და ეს ხუთი კაციც შემოვიყვანოთ.

გ რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე. ინფორმაციისათვის აუცილებლად საჭიროა ინგლისური ენის მცოდნე. ასეთად მე ორი კაცი მომაგონდა: ი. ნაკაშიძე და მ. ორბელიანი.

ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ი. ნაკაშიძე ისეთი ადამიანია, რომ თავის პიროვნებას ვერ აუხვევს გვერდს*. პირდაპირ მოგახსენებთ: ევროპაში არასოციალისტურ პარტიებს უფრო მეტი გავლენა აქვთ და ამ წრეებს ნაკლებ ანგარიშს ვუწევთ. ასეთნაირად დელეგაცია ჭრელდება. კარგია ყველა წრეების წაყვანა, ანარქისტებიც რომ წაიყვანოთ. მაგრამ მან რომ ვერ დაჰფაროს თავისი გრძნობა და რწმენა — ეს შეარყევს დელეგაციას. ყველანი თავმჯდომარის მხლებელნი უნდა იყვნენ და არა ინდივიდუალურად მოქმედნი, არამედ სრული უფერულნი, ნამდვილი აღმასრულებელნი დელეგაციის დედა აზრისა. თუ მას წაიყვანთ წინდაწინ უნდა გააფრთხილოთ, რომ დამოუკიდებელი გამოსვლები არ ექნეს.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. ამის შესახებ საკითხი წინდაწინ უნდა იქნას დაყენებული. წერეთლის აზრით ეს გარემოება ძლიერ შეუშლის ხელს დელეგაციას, რადგან მის შემადგენლობაში არ იქნება არც ერთი სოციალისტი. ამას ვერ გამოასწორებს ნ. ნიკოლაძის დაგვიანებით ჩამოსვლა. მომხრეა ეთხოვოს ბ-ნ ნიკოლაძეს ეხლავე წამოსვლა.

---

* ალბათ უნდა იყოს ასე: ი. ნაკაშიძე ისეთი ადამიანია, რომ მის პიროვნებას ვერ აუვლით გვერდს—(ა. ჰ).

ვ. ღამბაშიძის აზრით, რადგან აქამდე დელეგაციები მოწვეული იყვნენ საქართველოდან საჭიროა ეხლა მაინც გვქონდეს მათთან კავშირი. შემოგვაქვს წინადადება, რომ დაევალოს გარეშე საქმეთა სამინისტროს თვეში ორჯერ გამოგზავნოს შიკრიკი, რათა გვამცნოს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა.

ი. წერეთელი. ამ საქმისათვის დაინიშნონ ვ. ნაზაროვი და კოპალეიშვილი, რომელნიც დარჩნენ სიის გარეშე და მათ დაუნიშნოთ ვადა.

ი. ოდიშელიძეს საჭიროდ მიაჩნია სპეციალისტებისათვის მდივანი. ასახელებს აფხაზს.

ი. გოგოლაშვილი. დარჩა ორი პირი, რომელთა შესახებ არ ყოფილა ბაასი: ესენი არიან: გრ. რობაქიძე და მ. ორბელიანი, რობაქიძის შესახებ საკითხი გადაიდო, ამავე მოსაზრებით, როგორც ი. ნაკაშიძისა, ორბელიანის კანდიდატურას უარყოფს.

ი. გოგოლაშვილი. საგზაო თანხის შესახებ კომისიამ დაადგინა მიეცეს მონაწილეთ 2500 მანეთი თითოს, მაგრამ მაშინ მხედველობაში არ გვქონდა, რომ ტანისამოსებს დელეგაციის ხარჯით შეიკერავენ. ამიტომ შეიძლება ეს თანხა შემცირდეს.

ნ. ჩხეიძე. პრინციპულად გადავწყვიტოთ საკითხი. საჭიროა თუ არა სამგზავრო ხარჯები — «подъемные».

საჭიროდ იქნა ცნობილი და დაადგინეს მონაწილეთ მაეცეს 1500 მანეთი თითოს.

ნ. ჩხეიძე. ნიკოლაძე მთავრობის მიერ არის დასახელებული და მთავრობამ უნდა გადასწყვიტოს. ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენს სურვილს მთავრობის წინაშე და ვაცნობებთ თქვენს უარს.

ი. წერეთელი უბრუნდება დელეგაციის მონაწილეთა სიას და კრებამ შეიმუშავა შემდეგი სია:

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე

მოთათბირენი პროფ. ი. ჯავახიშვილი, ი. ოდიშელიძე, ბ. ბაბე

ვ. ღამბაშიძე (საქმეთა გამგე)

პოლიტ. მოთათბირე: ვ. მგელაძე

კ. ჯავრიშვილი

სეკრეტ: ი. ზურაბიშვილი (კანც. მმართველი) ა. დეკანოზიშვილი. ი. გოგოლაშვილი, ე. წერეთელი — (მდივნები)

(უკანასკნელს ევალება აგრეთვე სამეურნეო და საკანონო ნაწილების გამგეობა)

თავმჯდ. პირად მდივანი . დ. შარაშიძე

ა. გვათუა — კურიერი.

რადიო-ტელ. სპეციალისტი ვ. წვერავა

აფხაზი.

ილია ნაკაშიძისა და გრ. რობაქიძის შესახებ საკითხი გადაიდო. ნაზაროვი და დ. კოპალეიშვილი რჩებიან ტფილისში დიპლომატიურ კურიერებად.

შემდეგი კრება დაინიშნა 1918 წ. 4 დეკემბრისათვის.

დოკ. № 6

18/ 4/XII 18 წ.

ოქმი № 5

სხდომას დაესწრნენ: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, დელეგატები: ი. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და გრ. რცხილაძე, მინისტრები: გ. ჟურული, ნ. რამიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი, მოთათბირენი: ივ. ჯავახიშვილი, ი. ოდიშელიძე, ბ. ბაბე, აგრეთვე: ი. ზურაბიშვილი, დეკანოზიშვილი, ქ-ნი ე. წერეთელი და ი. გოგოლაშვილი.

ა. ჩ ხ ე ი ძ ე. რადგანაც დელეგატები და მოთათბირენი აქ არიან, ამიტომ შეიძლება შევუდგეთ მასალების განხილვას.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. თუ შეიძლება ჯერ გადავწყვიტოთ, ი. ნაკაშიძისა და გრ. რობაქიძის მოწვევის საკითხი. წარსულ კრებაზე ვლაპარაკობდით, რომ ისინი ინდივიდუალისტებია, თავისებურობას გვერდს ვერ აუხვევენ და ამიტომ მათი წაყვანა სასურველად არა სცნეს, შემდეგ გამოვკითხეთ და გარდა იმისა, რომ სიტყვას იძლევიან სრული აღმსრულებელნი იქნენ თავმჯდომარის გადაწყვეტილებისა, ძლიერ სასარგებლონი იქნებიან საინფორმაციო განყოფილებაში.

ნ. ჩ ე ხ ი ძ ე. მე მინდოდა ეს საკითხი მარტო დელეგატების კრებაზე ყოფილიყო, მაგრამ თუ გსურთ ეხლავე ვიმსჯელოთ საერთოდ სიის შესახებ.

მდივანი კითხულობს სიას.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. ნ. ნიკოლაძის კანდიდატურა იხსნება, რადგანაც ეხლა უარს ამბობს და მერმე ჩამოვა. ამიტომ ის დელეგატი ვერ იქნება. მის მაგიერ ორი კანდიდატი ბ-ნი ჟურული და ი. დადიანია, თუ შეძლებენ წამოსვლას.

ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. ჯაყელი კარგად იცნობს ფრანგულ წრეებს, გავლენა ექნებოდა, ამიტომ მის წაყვანას მნიშვნელობა ექნებოდა.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. ვთხოვთ მთავრობას, რომ პირველ რიგში მოელაპარაკოს ბ-ნ ჯაყელს და თუ იგი ვერ წამოვიდა, მაშინ ი. დადიანის კანდიდატურა მიეღოთ.

წინადადება მიიღო კრებამ.

გ ზ ა თ ა მ ი ნ ი ს ტ რ ი ბ-ნ ი ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. აქ მდგომარეობა გამოიცვალა. სოციალისტ-რევოლუციონერებიდან დასახელებული იყო. კ. ჯავრიშვილი, მაგრამ ის საჭირო შეიქნა აქ სამუშაოდ და ვერ წამოვა. ამიტომ შეიძლება ჩვენ სხვა ვინმე დავასახელოთ. მხოლოდ აქ მდგომარეობა შეცვლილია. მე როდესაც მთავრობასთან მქონდა ლაპარაკი, კ. ჯავრიშვილი დავასახელეთ, როგორც დელეგატი, რასაკვირველია იყვნენ სხვადასხვა პირები პერსონალურად. თუ ეხლა ახალ კანდიდატურას წამოაყენებთ, ეს კვლავ მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, ჩვენ ამას ვერ გადავწყვეტთ. ნუთუ ამით დაითრგუნება ინტერესები, რომ პარტიის წარმომადგენელი არ იყვეს დელეგაციაში. თუ პერსონალურად წამოაყენებთ ვისმეს კანდიდატურას და მას სასურველად სცნობენ ეს სხვა არის.

ლორთქიფანიძეს და (ასეა ტექსტში — ა. მ.) ირ. წერეთლის სიტყვა მიაჩნია გაუგებრობით გამოწვეული ჯავრიშვილიც პერსონალურად იყო დასახელებული, მთავრობასთან ლაპარაკი იყო მისი წაყვანის შესახებ, როგორც დელეგატისა და თუ ეხლა პირობები შეიცვალა თქვენ ჯაყელსა და ი. დადიანს ასახელებთ პერსონალურად, ჩვენც პერსონალურად დავასახელებთ ი. გობეჩიას.

ნ. ჩხეიძე. ჩვენ კი დავასახელეთ, მაგრამ ამის გადაწყვეტა არ შეგვიძლია, მთავრობას ვაცნობებთ და ის გადასწყვეტს.

ნ. რამიშვილი. მთავრობას კრება ექნება ხვალ. რამდენიმე წევრს მოვიწვეთ კრებაზე და იქ გადაწყდება, ეხლა კი მოისპოს ამაზე კამათი.

გრ. რობაქიძისა და ი. ნაკაშიძის შესახებ გადაწყდა, რომ ისინი მიიღებენ მონაწილეობას დელეგაციაში, როგორც საინფორმაციო ნაწილის გამგენი.

გ. ნაზარშვილის შესახებ კამათი არ ყოფილა, რადგანაც იგი დასახელებულია საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან და მიჰყვება დელეგაციას, როგორც სამინისტროს მიერ გაგზავნილი მოხელე.

სამინისტროს მიერ ბ-ნ აფხაზის წაყვანა უარყოფილია.

ნ. რამიშვილი. მთავრობის კრებაზე ლაპარაკი იყო, რომ წაგეყვანათ ერთი მაჰმადიანი ქართველი.

ნ. ჩხეიძე. გნებავთ თუ არა გამოსთქვათ აზრი ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლის წაყვანის შესახებ.

გრ. რცხილაძეს წაყვანა წარმომადგენლებისა ყველა წრეებიდან საჭიროდ არ მიაჩნია, რადგანაც მისი აზრით, ამას საზღვარგარეთ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. და თუ საჭირო იქნება, შემდეგაც შეიძლება გამოვიწეროთ.

სხდომა დაეთანხმა ბ-ნ რცხილაძის აზრს.

ი. წერეთელი. ინგლისელები გარშემორტყმულნი არიან ჩვენი მტრებით, რომელნიც ჩვენს შესახებ აწვდიან და ავრცელებენ ყოვლად შეუწყნარებელ ყალბ ცნობებს. შეიძლება საჭირო იყო ტომსონთან კაცის გაგზავნა, რომელიც ამასთანავე ერთად იზრუნებს ტომსონი დაგვეხმაროს გამგზავრებაში მოგვცეს მოწმობა.

ნ. ნიკოლაძეს თავისი წასვლა ბაქოში საჭიროდ არ მიაჩნია. ბაქოში ინგლისელებთან არამც თუ სხვები, ქართველთაგანიც რამდენიმე კაცი მისულა მთავრობაზე საჩივლელად. საჭიროა პასუხისმგებლებმა დაამოწმონ მათი ცნობების სიყალბე. კარგი იქნებოდა თუ ერთი წარმომადგენელი წაიყვანთ ჩვენთან კარგ განწყობილებაში მყოფ ფრანგს ან შვეიცარიელს, როგორც ნეიტრალ პირს. ასეთივე კაცებს ყოლა საჭიროა ბათუმში.

ნ. რამიშვილი. ჩვენზე საჩივრები დღეს გადმომცეს მე და ზომები იქნება მიღებული, რომ ასეთი საზიზღრობა არ გამეორდეს. ნ. ნიკოლაძის წასვლა აუცილებლად მიაჩნია.

დაადგინეს: ეცნობოს ბაქოში წარმომადგენლების გაგზავნა.

გადადიან მასალებზე.

მდივანი მოახსენებს: 2 მასალაა მზად.

გარდა შეგროვილი მასალისა, საჭიროდ სცნეს შემდეგი მასალების წაღება და დაავალეს:

1. იუსტიციის სამინისტროს წარმოადგინოს მოხსენება სამინისტროს მუშაობის შესახებ.

2. მიწადმოქმედების სამინისტროს: ა) აგრარული რეფორმის შესახებ; ბ) ცნობები სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესახებ.

3. ი. ოდიშელიძეს — რუსეთის დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ.

4. ა. დეკანოზიშვილს — ბათუმის ოლქის შესახებ.

ნ. ჩხეიძე. რადგანაც მასალები უკვე შეგროვილია, საჭიროა მათი გადათვალიერება და ამ მუშაობის განაწილება დელეგაციის წევრთა შორის.

ი. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი. უმჯობესი იქნება დელეგაცია ეხლავე გაეცნოს მასალებს.

ი. წ ე რ ე თ ე ლ ი. თუ მასალები გვაკლია, მაშინ თქვით, რა აკლია და ამაზე ვიმსჯელებთ. შეგროვილი მასალები კი ეხლავე უნდა გადაეცეს კანცელარიის გამგეს, რომელიც გაამრავლებს მათ და თითო ცალს დაურიგებს დელეგატებს. ამისათვის თუ რაა საჭირო, გვითხრან ეხლავე. საჭიროა თუ არა კრედიტი — ეხლავე უნდა გაიხსნას.

გ რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ი ს აზრით, მუშაობა უნდა სწარმოებდეს შემდეგი გეგმით. უნდა გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა საკითხები, რომელიც დელეგაციას დაუდგება და მოგვეპოვება თუ არა მასალა მათ საპასუხოდ. გარდა ამისა იქ დაგვიყენებენ საკითხებს, რომელსაც პოლიტიკურ საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, ინგლისიც და საფრანგეთიც იმითაა დაინტერესებული, რომ რუსეთისაგან გაინაღდონ ის ვალი — მილიარდები, რომელიც მათ რუსეთს ასესხეს. დაქუცმაცებულ რუსეთს კი რას გადაახდევინებენ, ამიტომ მათ სურთ რუსეთის ტერიტორიის აღდგენა, რათა შემდეგ პეტერბურგში ან მეორე სხვა ცენტრში დააკისრონ ასეთივე კონტროლი, რომელიც აქამდე სუფევდა ოსმალეთში. შემდეგ მისდგებიან და დილა-საღამოს (გაურკვეველი სიტყვა — ა. მ). ამიტომ თუ რომელიმე სახელმწიფოს აღადგენენ რუსეთის ტერიტორიაზე, მხოლოდ ისეთს, რომელსაც შეეძლება მისი წილხვდომი ვალის გადახდა. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა დავუმტკიცოთ, რომ საქართველოს შეუძლია ამ ვალის გადახდა, ჩვენ ეხლა დავაინტერესოთ ისინი ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრით. ამასთანავე ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება ნაკლები გადავიხადოთ, რათა ხალხი არ გავაღატაკოთ, საჭიროა აგრეთვე ყველა ის ცნობები, თუ რამდენია ჩვენი რუსეთზე, რათა ეს მივაწეროთ რუსეთს და ამით შევამციროთ ჩვენი მოწერილი ვალი.

ი ნ ჟ. ყ ი ფ შ ი ძ ე ამბობს ხე-ტყისა და მინერალური წყლების სიმდიდრეზე, აგრეთვე იმ სიმდიდრეზე რომელსაც წარმოადგენს ჩვენი მდინარეები, როგორც ელექტრონის ენერგია.

ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ეხება საკითხს ტერიტორიის გამოუყოფლობის შესახებ.

ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს აუცილებლად მიაჩნია დასაბუთება ისტორიული და ეთნიური მხარეებისა.

ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი. შემდეგი ორი საკითხი მიაჩნია უმთავრესად: 1) შეუძლია საქართველოს არსებობა დამოუკიდებლად, თუ არა, ძველი ბალანსი გააკეთოს თუ არა. 2) რუსების მტკიცება, რომ საქართველოზე აუარებელი ფული ეხარჯებოდათ. რუსები მუდამ იმას გაიძახოდნენ საქართველოს ჩვენ ვარჩენთო. წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ რუსები აქ ბევრ ფულს ხარჯავდნენ, მაგრამ ჩვენი — ქართველი ხალხის მოთხოვნილებას კი არ აკმაყოფილებდნენ; არამედ ფული სჭირდებოდათ მათ სახელმწიფო პოლიტიკის გასახორციელებლად. რუსეთს საქართველო კოლონიად ყავდა გადაქცეული, თავის ინტერესებისათვის. აქედან ყველაფერი გაჰქონდა და ეს უდიდესი ხარჯები მისდიოდა თავისი ჩინოვნიკების შესანახავად. მესამე იქნება საკითხი, თუ რა გაუკეთებია რუსეთს ჩვენში რომ (ტექსტი არ იკითხება — ა. მ.) ევროპა, რომელსაც რუსეთისაგან ვალი აქვს გასანაღდებელი. თუ მოინდომებს აქაც მოისურვებს ხელი ჩასჭიდოს, მაგრამ თუ რამე თანა შ ე ე ქ ნ ე ბ ა გადასახდელი, მაინც მოხერხდეს, რომ კისერზე არ გვაჯდნენ. აგრეთვე საჭირო იქნება ჩვენი საზღვრების ისტორიული დასაბუთება. საბუთები იმისა, რომ ამდენხანს გვიცხოვრია და ჩვენი

საკუთარი სახელმწიფოებრიობა გვქონდა. წერა-კითხვის ცოდნისა, შედარებით რუსეთთან და სხვა მეზობელ ერებთან მოგვეპოვება ისეთი კუთხეები, სადაც თითქმის ყველამ იცის წერა-კითხვა. მაგალითად გურია. მიუხედავად იმისა, რომ, სწავლა-განათლების საქმე რუსეთის მთავრობას საძაგლად ჰქონდა დაყენებული, წერა-კითხვის ცოდნა ხალხში მაინც გავრცელებულია. აგრეთვე მეტად საყურადღებოა ხალხის ადმინისტრაციული უნარი, გამგეობის ნიჭი. მიუხედავად, რომ ერობა და თვითმართველობა არ გვქონდა, ხალხმა შეძლო ბევრი საეკონომიო და საკულტურო საზოგადოების შექმნა. კოოპერატივებისა და სხვა.

გ. ჟ უ რ უ ლ ი. უეჭველია. სომხები წამოგვედავებიან ტფილისზე სტატისტიკის მხრით. ჩვენ გვეგონა, რომ ტფილისში 70% არაქართველები იყო. უკანასკნელმა საარჩევნო სტატისტიკამ, რომელიც ხატისოვისა და მისი პომსახურეთა მიერ არის შედგენილი, დაგვიმტკიცა, რომ ქართველებს ძლიერ საპატიო ადგილი უჭირავთ, ეს სტატისტიკა უეჭველად საჭიროა.

ნ. ჩ ხ ე ი ძ ე. ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენთვის ხარჯთაღრიცხვა რომ გვკითხონ, როგორია ჩვენი ხარჯთაღრიცხვა. ვერაფერს ვეტყვით, გასაამართლებელი საბუთი არ გვექნება, იმიტომ, რომ იმას ვერ ვეტყვით, არეულობის გამო არა გვაქვს, ამიტომ ბ-ნ ჟურულს ვსთხოვდი უეჭველად დაამზადებინოს დაახლოებით ხარჯთაღრიცხვა: ის რასაც ეწოდება ჩონჩხი რესპუბლიკის ხარჯთაღრიცხვისა.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადაწყდა:

1) ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაევალოს შეგროვება მასალებისა:

ა) საქართველოს რესპუბლიკის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისა:

ბ) დაახლოებითი ხარჯთაღრიცხვა:

გ) რა თანხა დაიხარჯა ფრონტისა და რუსეთის დაწესებულებათა მოხელეების ლიკვიდაციის დროს;

დ) რა თანხები გადაგზავნეს რუსეთში სახელმწიფო ბანკებმა და შემნახველმა კასებმა;

ე) რაოდენი თანხის დასაზღვევი მასალებია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის დამზღვევი საზოგადოებათა (ტექსტი არ იკითხება — ა. მ.)

ვ) (ტექსტი არ იკითხება — ა. მ.)

ბ) ხე-ტყე. მევენახეობა, მინერალური და სამკურნალო წყლები. საქართველოს მდინარეები, როგორც ელექტრონი.

4. განათლების სამინისტროს — სწავლა-განათლების სტატისტიკა.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს.

რაოდენი პროფესიონალური კავშირებია. კოოპერატივებში, ტეხნიკები და კულტურული ნამუშევარი, რომელშიც ხალხმა გამოიჩინა ადმინისტრაციული და გამგებლობითი უნარი.

6. საგარეო საქმეთა სამინისტროს — დაამზადოს პირები ქართულ და უცხო ენებზე ყველა საქმეების საბუთებისა და მიწერ-მოწერისა მეზობლებთან და უცხო სახელმწიფოებთან, ოსმალეთთან მოლაპარაკეების დაწყებიდან, (თევზაიას გამგზავრება) უკანასკნელ დღემდე.

7. სახ. კონტროლიორს ფ.გოგიჩაიშვილს.

რუსეთისა და საქართველოს დამოკიდებულება ფინანსური მხრით. რუსე-

თი რას ხარჯავდა საქართველოზე, რამდენად იყო საქართველო რუსეთის ტვირთი.

ე. ვ. ყიფიანს სხვადასხვა სტატისტიკური მასალა, რომელიც შეგროვილი ჰქონდა მას მოხსენებაში.

9. თაყაიშვილს — საქართველოს შემადგენლობის სტატისტიკა.

10. გენ. ოდიშელიძეს და პ. ინგოროყვას დაამზადონ ხუთვერსიანი რუკები საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შემოხაზვით ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და სტრატეგიულად.

11. გენ. ოდიშელიძეს — რაოდენი ჭონებაა რუსეთისა საქართველოში და ფრონტზე რუსეთის ჯარის გაქცევის შემდეგ, რამდენი სად დარჩა.

შემდეგ დელეგაციის საქმეთა მთავარ გამგის თანამდებობაზე კანდიდატებად დასახელებული იქნენ: ზ. ავალიშვილი, გოზდავა-კოლოვსკი, ს. ახვლედიანი, ვ. ღამბაშიძე და ა. დეკანოზიშვილი.

რადგან ავალიშვილი დელეგატია მისი კანდიდატურა მოიხსნა, — აგრეთვე გოზდავა-საკალუსკისა (ასეა ტექსტში — ა. მ.) და ს. ახვლედიანისა; უკანასკნელის იმიტომ, რომ თანამდებობას თავს ვერ მიანებებს.

თათბირმა ერთხმად გამოთქვა სურვილი, რომ პროფ. ვ. ჯავახიშვილმა აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა, როგორც მოთათბირემ.

გრ. რცხილაძის წინადადებით საჭიროდ სცნეს აგრეთვე გენ. ი. ოდიშელიძის მონაწილეობა დელეგაციაში. მოთათბირედ დასახელებული იყვნენ აგრეთვე (ტექსტი არ იკითხება — ა. მ.).

ივ. ჯავახიშვილი. საკითხები ტერიტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ მე მექნება დავალებული. ჩვენ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს თუ ვისი მხრით იქნება იერიშები მოტანილი. შევჩერდები უპირველეს ყოვლისა სომხებზე სამხრეთით საზღვრებიდან: ბორჩალო—ახალციხე—ახალ-ქალაქის მაზრებიდან და აგრეთვე ოსმალებისაგან სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ. აქ ვაგროვებთ მასალებს, რომ ყველას ჯეროვანი პასუხი გავცეთ. ოსმალები ძლიერ ფრთხილად იქცევიან. ისინი ეხებიან მხოლოდ სარწმუნოებრივ მხარეს. ამის წინააღმდეგ ბრძოლა გაგვიადვილდება, თუ რაიმე საიდუმლო მოლაპარაკება არ არსებობს ინგლისსა და ოსმალეთს შორის. ამის საბუთები არის, რადგანაც ჯერ ოსმალები არ მიდიან დაპყრობილ ადგილებიდან. მთავრობის პირველ კრებაზე ჩვენ დავაყენეთ საკითხი აწევს თუ არა დელეგაციას ვალად, რომ პასუხი გავცეთ თუ ამ ადგილების შესახებ იქნება საკითხი დაყენებული. მე მაქვს ამის შესახებ საიდუმლო საბუთები ოსმალეთის მოსახლეობისა და სხვა. რაც შეეხება სომხებს, მათ მოთხოვნილებათა საბუთიანობას — ეს სხვადასხვაგვარია, არის ეთნოგრაფიული მოსაზრებანი, ეკონომიური და ასახელებენ ისტორიულსაც. მაგ., ძეგლები. პროფესორი დეტალურად ეხება სომხების პრეტენზიების ყოველ მხარეს და განმარტავს თუ რა საბუთები აქვს ამის დასარღვევად.

ი. ზურაბიშვილი. საჭიროდ მიაჩნია აუცილებლად გვქონდეს ცნობები იმის შესახებ, თუ რა აქვს აქ დახარჯული რუსეთს და რა ეხარჯებოდა.

ნ. ჩხეიძე განმარტავს, რომ ეს დავალებული აქვს ბ-ნ გოგიჩაიშვილს. ჩვენ გვაქვს ორი ხანა. ერთი ხანაა ომამდელი, რომლის შესახებ ამდენს ყვიროდნენ, რომ ბევრი გვეხარჯებოდაო. ამის გამორკვევა ბ-ნ გოგიჩაიშვილს აქვს მინდობილი. მეორე ხანაა, რაც დაიხარჯა ომის დროს.

ნ. ნიკოლაძე. თუ ვალების განაწილება ჩვენდა დაუკითხავად მოხდა, მაშინ ჩვენი ბედი გადაწყვეტილი ყოფილა. ინგლისს-საფრანგეთის მოქმედების

დედააზრი იქნება, როგორმე გადაახდევინონ ვალი რუსეთს. ეს იქნება დედააზრი აგრეთვე მთელი ჩვენი მოქმედებისა და საჭიროა ამის შესახებ წერილობითი ცნობები.

ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი. უეჭველია და ყველამ უნდა იცოდეთ. რომ აქ რუსეთს მეტი ხარჯი ქონია, ვიდრე შემოსავალი ჰქონდა. წინათ და ომის დროს აუარებელი ფული ეხარჯებოდა რუსეთს. საქმე მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოსწორდა.

ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. ორი სხვადასხვა საკითხია: შეუძლია თუ არა საქართველოს თავისთავის შენახვა და ვალის გადახდაც. ამის დასაბუთება ბ-ნ გოგიჩაიშვილის შრომაში მოიპოვება. არის მეორე უმთავრესი საბუთი მიწერ-მოწერა. რომელიც არსებობდა ინგლისი-საფრანგეთ-რუსეთს შორის რუსეთის შვილის შესახებ. ეს გამოქვეყნებულია „ჯან“-ში. თუ რანაირად გადაახდევინონ რუსეთს ეს ვალი: ამისათვის განზრახულია პეტერბურგში ისეთივე დაწესებულების დაარსება. როგორიც იყო სტამბოლში. „დეტ. პუბლიქ.“. რათა მოკავშირეთა წარმომადგენლებს ჩაბარდეს მთელი შემოსავალი რუსეთისა. ეს გადაწყვეტილება კონგრესში იქნება უეჭველად. ჩვენთვის აუცილებლად საჭირო საბუთებია. რუსეთისთვის იღებდა ვალს და მასზე ხარჯავდა. რა წილი დაედო საქართველოს: ვალი ფოთის პორტის. — რკინისგზის, ამ ვალების რაოდენობა, რამდენიმე გადახდილი.

ი. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი. გვაქვს გათვალისწინებული თუ რა მიზნით მივემგზავრებით. მე მგონია დელეგაციამ უნდა დაამზადოს ნიადაგი, რომ საქართველოს წარმომადგენელი დაუშვან კონგრესზე და ამისათვის კი საჭიროა რომ ცალკე არსებად გვცნონ. ამიტომ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ გვაქვს ტერიტორია, ენა, სახელმწიფოებრიობა. როდესაც ამის უფლებას მიიღებთ, მაშინ დაგვჭირდება მასალები და გამოკვლევები. ჩვენი ინტერესები მოითხოვს, რომ ვალის დანაწილების პრინციპები დავიცვათ. ამ საქმეში ბევრი ამხანაგები და ქომაგნი გეყოლებათ: პოლონეთი, ფინლანდია და სხვ.

გ რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ი ს აზრით საკმაოა ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მასალა უნდა გვქონდეს. ეხლა მოძებნაა საჭირო. დელეგაციაში ოცამდე წევრია და ყველამ უნდა იმუშაოს, რომ ეს მასალები ეხლავე იყოს მზად. თორემ შემდეგ გვიან იქნება. ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ინგლისელებსა და ფრანგებს სამრეწველო ინტერესები ჰქონდათ საქართველოში. შესაძლებელია ამის შესახებ დაგვჭირდეს ცნობები. შეიძლება ამას დაუკავშიროთ საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობა. როგორც ვიცით, საქართველოზე დიდძალი საქონელი გაქონდათ სპარსეთით. შემდეგ რუსეთმა მოსპო ეს და მხარეს დიდი ზიანი მიაყენა.

ქ უ რ უ ლ ი. თუ კონგრესზე ჩამოვარდა ლაპარაკი. იქ დამთავრებულ (ასეა ტექსტში — ა. მ.) ყალბი ცნობების წინააღმდეგ. რომელსაც ევროპაში მრავლად ავრცელებენ ჩვენზე მტრები ამიტომ აუცილებელ საჭიროა სტენოგრაფიული ანგარიში (ტექსტი არ იკითხება — ა. მ.) და პარლამენტის აგრეთვე კომპლექტები ადგილობრივი და ბაქოელი პრესისა.

კ. ჩ ხ ე ი ძ ე. ეს საქმე მინდობილი აქვს გ. ღამბაშიძეს. სეიმისა და პარლამენტის ანგარიშები ყველა გვაქვს.

ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი. გავრცელდა ის აზრი, რომ აქ დიდძალი ქონება დარჩა რუსეთს. რუსეთს ბარათები აქვს, რომ დიდძალი საქონელია კავკასიაში გამოგზავნილი. მაგრამ აქ კი არ მოსულა. დელეგაციისათვის აუცილებლად სა-

ჭიროა იცოდეს რაოდენი ღირებულებისაა ის ქონება, რომელიც რუსეთს აქ დარჩა.

ი. ო დ ი შ ე ლ ი ძ ე. მოახსენებს მისი მუშაობის შედეგებს.

ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. ვის რა ერგება, ამაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, კომისიებში იქნება, მაგრამ უნდა ჰქონდეთ სქემები, რომ თქვენ შეგიძლიათ მათი აპეტიტების დაკმაყოფილებისა, კონგრესზე ლაპარაკს რომ დაიწყებთ, პირველად ეს სქემები უნდა გააცნოთ, თორემ ისე არც კი დაგიწყებენ ლაპარაკს.

ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. დიდი ინტერესი ექნება რკინის გზებს. შეიძლება კიდევაც მოგთხოვონ, რომ რკინის გზები მისცეთ გირაოთ. საჭიროა რკინის გზების შემოსავალ-გასავალი და ნაღდი მოგება.

ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი — საჭიროა ცნობები აგრეთვე ქახეთის რკინიგზების შესახებ. ინგლისს აქ დიდი ინტერესები აქვს, რადგან მთელი ობლიგაციები იქ არის განაღდებული, რუსეთს ორი წელიწადია არ გადაუხდია.

შემდეგი კრება დაინიშნა 6 დეკემბერს 1 საათზე.

დმკ. № 7

ოქმი № 6

სხდომას ესწრებოდნენ: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე. საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი. გრ. რცხილაძე, ი. ოდიშელიძე, ნ. ჯაყელი, ივ. ჯავახიშვილი, ივ. ზურაბიშვილი, ა. დეკანოზიშვილი, გრ. რობაქიძე. ი. გოგოლაშვილი.

გ რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე. მოახსენებს მთავრობას დადგენილებას, რომ წევრებად დასახელებულნი არიან: ნ. ჯაყელი და ი. გობეჩია, თუ დელეგაციას საწინააღმდეგო არა ექნება ამათი, აგრეთვე გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან მოხელე ვ. ნაზარაშვილი.

ე. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი. გერმანელების საელჩოდან გვაცნობეს, რომ 15-ს ფოთიდან გადის ნიკოლაევში უდიდესი გემი „ჟენერალ“, რომელსაც ჯარები მიჰყავს. შეიძლება ამ გემით წასვლა კიევით. მაგრამ უმჯობესი იქნება. რასაკვირველია პირდაპირ.

ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დელეგაციის არც ერთ ნაწილს არ შეუძლია გამგზავრება, თუ არ გვექნება გარანტიები ექსტერიტორიალობისა, საჭიროა საბუთები, რომ არ გაგვჩხრიკონ და გვიცნონ, როგორც დელეგაცია.

ე. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი განმარტავს, რომ წინად ჩვეულებრივ ასეთი უფლებებით მოგზაურობდა ჩვენი დელეგაციები. იმედია, ეხლაც ისევე იქნება; მაგრამ ამაზე წინდაწინ გვექნება მოლაპარაკება.

მდივანი კითხულობს მანდატების ტექსტს.

ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს და ე. გ ე გ ე ჭ კ ო რ ს საჭიროდ არ მიაჩნიათ „ისტორიული შესავალი“, პირველი ნაწილი მანდატისა.

კრებამ მიიღო მანდატის ტექსტი ბ-ნ გრ. რცხილაძის მიერ შემუშავებული პირველი ნაწილის გამოკლებით.

ი. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი სთხოვს კრებას ეხლავე გადაწყვიტონ ფულის გადახურდავების საკითხი, რადგანაც ინგლისური და ფრანგული ფულის ფასი ბირჟაზე დღითიდღე მატულობს.

კრებამ დაადგინა შეიძინოს ინგლისური და ფრანგული ფული იმ ფასში, როგორიც არის ბირჟაზე ამჟამად, უკეთესი იქნება ფრანკები.

დაევალა ი. ჯავახიშვილს, ი. ოდიშელიძეს და ჯაყელს მოხსენება გააკეთონ

მთავრობის სხდომაზე: პირველმა საზღვრების შესახებ, მეორემ რუსეთის დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ და მესამე საკანონო საკითხებზე.

ი. ზურაბიშვილს წინადადება შემოაქვს წინასწარ ამ მოხსენებებს თვით დელეგაცია გაეცნოს. გადაწყდა ამისათვის დაინიშნოს კრება კვირას 1 საათზე.

შეერთებული კრება მთავრობასთან დაინიშნოს ორშაბათს ან სამშაბათს.

ი. გოგოლაშვილი. მოახსენებს გეგმას დელეგატების, მოთათბირეთა და თანამშრომელთა გასამჯელოს შესახებ.

განზრახულია საგზაოდ ყველას ერთნაირად მიეცეს 1500 მანეთი.

დღიურები კი დელეგატებს 50 ფრანკი დღეში, მოთათბირეთ 40 ფრანკი და დანარჩენთ 30 ფრანკი.

ი. ოდიშელიძე. წინააღმდეგია იმის, რომ რაიმე განსხვავება იყოს დღიურების მიცემაში, რადგან ყველას ერთნაირი ხარჯები ექნება და თანამშრომელთა შრომა კი უეჭველად უნდა იყოს დაფასებული.

კრებამ დაადგინა ყველას მიეცეს დღეში 50 ფრანკი და ყველაფერი მზად.

ტანისამოსების შესახებ კრებამ დაადგინა გადაიდოს 50 000 ფრანკი, რომელიც იქნება თავმჯდომარის განკარგულებაში ტანისამოსებისათვის. ტანისამოსები შეეკერებათ საჭიროებისდა მიხედვით თავმჯდომარისა და სამეურნეო ნაწილის დადასტურება.

მდივანი მოახსენებს წინასწარ მოულოდნელ ხარჯების ხარჯთაღრიცხვას, რომელიც კრებამ დაადასტურა.

(ხარჯთაღრიცხვა ცალკე ფურცელზეა ამავე საქმესთან)

მდივანი მოახსენებს დელეგაციაში მონაწილეთა აქ დარჩენილ ოჯახების შესახებ.

კრებამ დაადგინა მთავრობას მიმართოს თხოვნით, რომ მან იზრუნოს აქ დარჩენილი ოჯახების შესახებ და ყოველივე დახმარება გაუწიოს მათ.

გარდა ამისა ისეთ წევრთ, რომელთაც მთავრობისაგან ჯამაგირები არ აქვთ დელეგაციის თანხიდან დაენიშნოთ ჯამაგირები, ისეთებს კი, რომელთაც წასვლით ეკარგებათ რამე, აენაზღაუროთ[1].

კრებამ დაამტკიცა სია ასეთ წევრთა:

1. ნ. ჩხეიძე	თავმჯდომარე
2. ი. წერეთელი	
3. გ. რცხილაძე	დელეგატები
4. ნ. ჯაყელი	
5. პროფ. ი. ჯავახიშვილი	
6. გენერ. ი. ოდიშელიძე	მოთათბირენი
7. ვლ. მგელაძე	
8. ვახ. ღამბაშიძე	
9. ბ. ბაბე	
10. ივ. ზურაბიშვილი	
11. ი. გოგოლაშვილი	სეკრეტარიატი
12. ა. დეკანოზიშვილი	
13. ე. წერეთელი	

[1] Georgian Archive. Harvard University. Reel 83, box 25, book 6.

14. დ. შარაშიძე	თავმჯდომარის პირადი მდივანი
15.ი. ნაკაშიძე	საინფორმაციო ნაწილი
16. გ. რობაქიძე	საინფორმაციო ნაწილი
17. ა. გვათუა	სამეურნეო ნაწილის გამგის თანაშემწე
18. ნაზარაშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე
19. წვერავა	რადიოს — სპეციალისტი

საქართველოს დელეგაცია ევროპაში გამგზავრების შემდეგაც მართავდა სხდომებს. მათს ოქმებს ჟურნალის მომდევნო ნომერში შევეცდებით გავაზებთ.

A. M. МЕНТЕШАШВИЛИ

ГРУЗИНСКАЯ ДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА И ПАРИЖСКАЯ МИРНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

Резюме

Протоколы заседаний грузинской делегации на Парижской мирной конференции за 1919—1920 гг. являются интересным и важным документом по истории внешней политики Грузии за указанный период. Они помогают ознакомиться с внешнеполитической концепцией правительства Грузии, на основании которой оно собиралось установить политические взаимоотношения с непосредственными соседями: Россией, Арменией, Азербайджаном, а также с европейскими странами — участниками Парижской мирной конференции. Из документов видно, что главной заботой правительства было сохранение и укрепление независимости страны.

Протоколы изысканы нами в фондах архива правительства Грузинской Демократической Республики, который хранится в Хоугтонской библиотеке редких рукописей Гарвардского университета.

გურამ ყორანაშვილი

მოსაზრებანი ისტორიოგრაფიის აქტუალური პრობლემების შესახებ

ქართველ ისტორიკოსთა შორის გაბატონებულია აზრი თითქოს დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიას არაფერი საგანგაშო არ ჰქონდეს. კრიტიკულად განიხილავენ მხოლოდ საბჭოთა პერიოდის შესწავლის მდგომარეობას. მაგრამ სანამ აღნიშნულ კითხვას პასუხს გავცემდე შევეცდები რამდენიმე მომენტზე შევჩერდე.

ცნობილია, რომ ისტორიოგრაფია (საისტორიო მეცნიერება) პოლიტიკური წყობილების დიდი გავლენის ქვეშ იმყოფება. ხოლო თუ როგორი პოლიტიკური სისტემა იყო გაბატონებული ბევრი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში, ამის (შეფასების) თაობაზე ორჭოფობა გამორიცხულია. შესაბამისად, ისტორიოგრაფია გაბატონებული საბჭოური იდეოლოგიის მსახურად იქცა. სავალდებულო გახდა ისტორიოგრაფიაში მარქსისტული იდეოლოგიის დანერგვა. სხვა მიმდინარეობანი კი აბსოლუტურად გამორიცხული. კიდევ მეტი, გამორიცხულ იქნა თვით ავთენტური მარქსიზმის ბევრი დებულების გამოყენება: მარქსიზმად ითვლებოდა მხოლოდ ის, რასაც ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და მათი თეორიული მემკვიდრეობის ინტერპრეტატორი საბჭოთა იდეოლოგები გვთავაზობდნენ. საკუთრივ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სხვაგვარი ნააზრევი, ისტორიის დიდი ფაქტები არაფერს არ ნიშნავდა და რევიზიონიზმად აღიქმებოდა. ყველა ისტორიკოსი ვალდებული იყო მხოლოდ ოფიციალურად ნებადართული დებულებებით ეხელმძღვანელა: თუ ეს დოგმები წინააღმდეგობაში იქნებოდა ისტორიის ფაქტებთან, მაშინ ჰეგელისა არ იყოს მით უარესი ფაქტებისათვის. ამრიგად, ისტორიოგრაფია თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნიფიცირებულ იქნა მთელი ე.წ. საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ისტორიკოსის შემოქმედებითი იერსახე განისაზღვრება მისი პროფესიული (საკუთრივ ისტორიოგრაფიული) ცოდნით, გამოცდილებით, საისტორიო წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ხარისხით. ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია მისი მეთოდოლოგიური მომზადებულობის დონე. ამ მხრივ კი, ვიმეორებთ, ყველა ე. წ. საბჭოთა ისტორიკოსი უნიფიცირებული იყო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორიკოსს საკუთარი მეთოდოლოგიური იერსახ ს ქონის უფლება არ ჰქონდა. უბედურება ის იყო და არის, რომ ისტორიკოსთა უმრავლესობა შეეგუა ამ დამთრგუნველ მდგომარეობას და მისადმი პროტესტის გრძნობა, შეწინააღმდეგების უნარი არ გასჩენიათ საერთო სიტუაციის შეცვლისასაც კი.

ასევე თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ისტორიკოსის მეთოდოლოგიური მომზადებულობა საკმარისი იყო თუ იგი დაზუთხავდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოებს, თეორიული აზროვნების ნიჭი, ფართო განსწავლულობა შესაბამის სფეროში თითქოს არაფერს ნიშნავდა. თავი დავანებოთ დიდი ისტორიკოსების შრომების ცოდნას, აბსოლუტურად ზედმეტად ითვლებოდა ვთქვათ ჯ. ბ. ვიკოს, შ. მონტესკიეს, ჰეგელის ნააზრევი ისტორიის სფეროში. ვიმეორებთ, ამ მხრივ თვითონ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნააზრევის შესწავლაც კი ზედმეტი იყო.

მტკიცედ და ფართოდ დამკვიდრდა შეხედულება, რომ მარქსამდელი და მით უმეტეს შემდგომი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია არაფერ საყურადღებოს არ წარმოადგენდა. ამგვარმა შეხედულებამ და ე. წ. საბჭოთა კავშირის

იზოლაციონალისტურმა პოლიტიკამ საბჭოთა, კერძოდ ქართული ისტორიოგრაფია, თავის თავში ჩაკეტა. არ იყო გაცნობიერებული თუ რა მდგომარეობა სუფევდა ამ მხრივ ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, აშშ-ში და სხვაგან. ბევრი-ბევრი რაც განათლებულ ისტორიკოსს შეეძლო აღნიშნული თვალსაზრისით მხოლოდ ის იყო თუ ციტირებას მოახდენდა ბურჟუაზიული ისტორიის ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის კვლევა-ძიებისას. ვიმეორებ, დასავლეთის ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგია, ამ უკანასკნელის მიმდინარეობანი ე.წ. საბჭოთა, კერძოდ ქართველი ისტორიკოსების ყურადღების მიღმა რჩებოდა.

თავის დროზე ე. წ. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მტკიცედ დამკვიდრდა რწმენა, რომ შესაბამის მეცნიერებაში მარქსიზმ-ლენინიზმის დანერგვით მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ახალი, რევოლუციური ეტაპი დაიწყო. ასევე ფიქრობდნენ საქართველოშიც. კერძოდ მიაჩნდათ, რომ ამას ადგილი ჰქონდა 30-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული. სხვათა შორის, აღნიშნულ აზრს თავისდროზე დიდი რიხით ამტკიცებდნენ, ახლა კი ამის თაობაზე ჩუმდებიან. მაგრამ გააზრებას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ თურცა ახალ ეტაპთან გვაქვს საქმე ქართულ ისტორიოგრაფიაში 30-იანი წლებიდან მოკიდებული.

ერთი სიტყვით, საბჭოთა პერიოდის მანძილზე, განსაკუთრებით მეოცე ყრილობამდე, ისტორიკოსები ძნელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისტორიკოსებს თავს მოახვიეს ბევრი დოგმა, რომელთა მიუღებლობაც ზოგჯერ სიცოცხლის დაკარგვას ნიშნავდა. შევჩერდებით რამდენიმე მაგალითზე.

დავიწყოთ ისტორიულ პროცესში გეოგრაფიული ფაქტორის ჩვენებიდან. ერთი მხრივ, ი. ბ. სტალინი თავის ბროშურაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" სწორად აღნიშნავდა, რომ გეოგრაფიული გარემო საზოგადოების მატერიალური არსებობის ერთ-ერთი პირობას წარმოადგენს. მაგრამ, მეორე მხრივ, ამტკიცებდა, რომ გადამწყვეტი გახლდათ წარმოების წესი, საიდანაც გეოგრაფიული ფაქტორი სავსებით გამოირიცხებოდა. საისტორიო და ფილოსოფიურმა აზროვნებამ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში მიაქცია ყურადღება ბუნების როლს საზოგადოების არსებობა-განვითარებაში. ამის თაობაზეევე სავსებით ცხადად. თეორიულ დონეზე წერდნენ ხოლმე ფ. ენგელსი და გ.ვ. პლეხანოვი. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული ფაქტორის სათანადოდ წარმოჩენა დიდ მკრეხელობად ითვლებოდა, სახელდობრ, გეოგრაფიულ დეტერმინიზმად. ცხადია, ისტორიკოსი, რამდენადაც მას საქმე ჰქონდა კონკრეტულ საზოგადოებასთან და მასალასთან, მაინც რაღაცნაირად წარმოაჩენდა გეოგრაფიული ფაქტორის როლს. მაგრამ, ვიმეორებთ, სათანადოდ საკითხის გაცნობიერებას აძნელებდა ამ ფაქტორის იგნორირება თეორიულ, ფილოსოფიურ (გნებავთ ზოგად სოციოლოგიურ) პლანში. ამ მხრივ ქართულმა ისტორიოგრაფიამ კ. კაპანელის ორგანოტროპიზმიც კი ვერ შეითვისა.

სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე ისტორიკოსთათვის სავალდებულო იყო ვ. ი. ლენინისეული ლექცია „სახელმწიფოს შესახებ", სადაც ლაპარაკია გვაროვნული საზოგადოების დეზინტეგრაცია-დაშლის შემდგომ კერძო საკუთრების საყოველთაო განვითარებაზე. ამ საფუძველზე კლასებისა და შემდგომში სახელმწიფოს წარმოშობაზე. ეყრდნობოდნენ აგრეთვე ფ. ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფო წარმოშობას". მაგრამ ამ ნაშრომის დებულებებს და საერთოდ ფ. ენგელსის შეხედულებებს აღნიშნული საკითხების თაობაზე განიხილავდნენ ლენინისეული ბროშურის შუქზე. აღნიშნული დებულებანი კი აშკარად ეწინააღმდეგება კლასებისა

და სახელმწიფოს წარმოშობის სურათს მსოფლიოს მრავალ რეგიონში, მათ შორის საქართველოში. ამ სიძნელემ თავი იჩინა სიმონ ჯანაშიას ისტორიოგრაფიულ (საისტორიო) მემკვიდრეობაში. იგი სტრაბონის ხანის იბერიის საზოგადოებას განიხილავდა როგორც სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური წყობილებისას, როჟელიც თანდათანობით გადადიოდა ფეოდალიზმში. მაგრამ შემდგომში, სამწუხაროდ, ს. ჯანაშიამ ალიარა საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის (სოციალ-ეკონომიკური სისტემის) დამკვიდრება. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს რომ ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ძველი საქართველოს მონათმფლობელური საზოგადოების ხასიათის თვალსაზრისი მიტოვებულია (ინიციატორი გახლდათ გიორგი მელიქიშვილი). მაგრამ ეს მოხდა 60-იან წლებში იმჟამინდელ საბჭოთა კავშირში გაშლილი დისკუსიების შედეგად (აზიური წარმოების წესის თაობაზე), მანამდე კი ოფიციალურად ეს გამორიცხული იყო.

ი. ბ. სტალინი ამტკიცებდა მონათა აჯანყებების (მეტიც რევოლუციის) გზით მონათმფლობელური ფორმაციის დამხობას. რასაკვირველია, ეს არ გახლდათ ი. ბ. სტალინის კერძო მოსაზრება და მას სავალდებულო ხასიათი მიეცა. აქედან გამომდინარე, ს. ჯანაშია ამტკიცებდა ძველ საქართველოში (იბერიაში, ლაზიკაში და აფხაზეთში) მართალია არა მონათა, მაგრამ ფეოდალურ რევოლუციას (ცხადია არა საერთო, არამედ სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობით). თუ როგორ შეიცვალა კერძოდ ძველ ქართლში ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოება ფეოდალურით, ჰქონდა თუ არა ამ შეცვლას რევოლუციური (ცნების ნამდვილი მნიშვნელობით) ხასიათი, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდეც გაურკვეველი რჩება. იმავე ი. ბ. სტალინის გავლენით ს. ჯანაშია ამტკიცებდა ამ გადასვლის პერიოდში საწარმოო ძალების შემდგომ ზრდას. ასეთი თვალსაზრისი ჩვენში დღესაც გაბატონებული რჩება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსგავსი მტკიცება კრიტიკულ შემოწმებას ვერ უძლებს.

საბჭოურ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში დამკვიდრდა შეხედულება, რომ კლასთა ბრძოლა უნივერსალური კანონზომიერება გახლავთ (პირველყოფილობის დაშლის შემდგომ). მაგრამ ხომ ცნობილია სიტუაციები, როცა გარეშე საფრთხის ან დაპყრობის შემთხვევაში, ეს კანონზომიერება ვერ ხორციელდება. კერძოდ, ასე იყო საქართველოს ისტორიაში. ამის საწინააღმდეგოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით ნიკო ბერძენიშვილის შრომების წყალობით, გავრცელდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კლასობრივი ბრძოლა საქართველოსათვის ისეთივე თანმდევი და დიდი მნიშვნელობისა იყო, როგორც მაგალითად საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან. დღემდე საკამათოდ რჩება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება XIX ს-ის საქართველოში. ნ. ბერძენიშვილის მტკიცებით ამას ადგილი ჰქონდა მხოლოდ 60-იანი წლების შემდეგ, მაგრამ რატომ გასული საუკუნის დასაწყისიდანვე არა? საკითხის მეცნიერულ შესწავლას, ჰეშმარიტების დადგენას ხელს უშლიდა ი. ბ. სტალინის სათანადო გამონათქვამები.

ი. ბ. სტალინის გავლენითვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ მტკიცედ აითვისა აზრი ქართველი ერის ჩამოყალიბებაზე XIX ს-ის მეორე ნახევარში, კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე და შედეგად. სხვაგვარი აზრი საკითხზე გამორიცხული იყო. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა თვით 1921 წლის წინა პერიოდის საქართველოს ისტორიის მიმართ. აღარას ვამბობ ამის შემდგომ პერიოდზე.

საისტორიო მეცნიერებას გამოცოცხლება დაეტყო მეოცე ყრილობის შემ-

დგომ. ჯერ განვითარება დაიწყო საისტორიო მეცნიერების ისტორიამ — წარმოჩენილ იქნა წინა პერიოდისა და თანამედროვე დასავლელ დიდ ისტორიკოსთა მემკვიდრეობა. 60-იანი წლების მეორე ნახევარში დაისახა გზები ისტორიის მეთოდოლოგიის განვითარებისათვის. გაცნობიერდა სოციალური ფსიქოლოგიის დიდი მნიშვნელობა საისტორიო მეცნიერებისათვის და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს თვალსაჩინოდ მოხდა უმთავრესად რუსულ ისტორიოგრაფიაში. ქართულ ისტორიოგრაფიაში კი ეს ახალი მოვლენები ძალზე სუსტად განვითარდა.

ე. წ. გარდაქმნის ხანაში, როგორც ცნობილია, ფართო გასაქანი მიეცა კრიტიკულ, ამდენად, ობიექტურ აზროვნებას საბჭოური სინამდვილის მიმართ. კერძოდ, კრიტიკულად იქნა განხილული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა. ი. აფანასიევი, ი. პოლიაკოვი და სხვები აღნიშნავდნენ რომ რუსული ისტორიოგრაფია ჩიხში იმყოფებაო. თუ ასეა, მაშინ განა საეჭვო უნდა იყოს ის გარემოება, რომ მით უმეტეს უჭირს ქართულ ისტორიოგრაფიას. ერთი სიტყვით, აქ მივადექით პასუხს დასმულ კითხვაზე. აღვნიშნავ რომ ქართული ისტორიოგრაფია ძალიან დიდ კრიზისს განიცდის, გვაწუხებს არა მხოლოდ წარსულის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ბევრი უარყოფითი მომენტი, არამედ ისტორიკოსთა დღევანდელი აპათია, ახალი იდეების არქონა საისტორიო მეცნიერებაში. „ახალი ტალღა“ არც დღევანდელ ძველ და საშუალო თაობებს მოუტანიათ და მით უმეტეს, დიდად სამწუხაროდ. ვერც ახალი თაობა მოიტანს მას. კრიზისი გამოჩნდა დღევანდელობის გააზრების საქმეშიც. ეს ეხება არა მარტო თანამედროვეობის საზრისს, არამედ საქართველოს უკანასკნელი წლების ისტორიასაც. ხდება ხოლმე, რომ უახლოეს პროცესებზე ლაპარაკობენ და წერენ არაისტორიკოსები, ისტორიკოსები კი დუმან. უკანასკნელთა მიხედვით გამოდის რომ დღევანდელობა უნდა გააზრებულ იქნეს ათწლეულების შემდეგ. მაშინ რას ნიშნავს თეზისი იმის თაობაზე, რომ ისტორია. წარსულის შესწავლა გვეხმარება აწმყოს გააზრებაში?

ქართული ისტორიოგრაფია გამონაკლისი არ გახლავთ, უჭირს მთლიანად ქართულ მეცნიერებას. დროა განვთავისუფლდეთ პროფესიული თავმოყვარეობისაგან და სინამდვილეს თვითკრიტიკულად შევხედოთ. სხვანაირად მეცნიერების, კერძოდ ისტორიოგრაფიის განვითარება წარმოუდგენელია.

2) მთავარი ნაკლი ქართული ისტორიოგრაფიისა შემდგომში მდგომარეობს. ცხადია, საჭიროა და ხდება კიდეც ცალკეული საკითხების მონოგრაფიული დამუშავება, მაგრამ ისტორიული პროცესი ხომ მთლიანობაა. ამდენად, აუცილებელია საისტორიო სინთეზი, ცალკეული საკითხების დამუშავების შემდგომ განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომების შექმნა. ამის გაკეთება კი მექანიკური გზით არ მოხდება. სახელდობრ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეული შეიქმნა მრავალი (ოთხმოცდარვა!) ავტორის კოოპერაციით, ძირითადად მათი ნაშრომების მექანიკური გაერთიანებით. მაგრამ, როგორც უკვე მივუთითებდით, ეს არ გახლავთ სწორი გზა. ნამდვილი, მაღალმეცნიერული საქართველოს ისტორიის დაწერა შემოქმედებას მოითხოვს. ამისათვის საჭიროა ისტორიკოსები, რომელთაც ფართო ცოდნა და სათანადო ნიჭი და მომზადება (ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, სოციალურ ფსიქოლოგიაში და ა. შ.) აქვთ. შესაძლებელია ეს გააკეთოს ერთმა ან რამდენიმე ისტორიკოსმა ერთად. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს ჩვენთან შეუძლებელია. სხვა პირობებში აღნიშნული ამოცანა უთუოდ შესაძლებელი გახდება, თუ არა მაშინ ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესი გამორიცხული იქნება.

ასევე უნდა შეიქმნეს განმაზოგადებელი ნაშრომები ცალკეული ისტორიული პერიოდების შესახებ. ამის აღსრულებაც, რა თქმა უნდა, სხვა ყაიდის ისტორიკოსებს გულისხმობს. დასაწერია ქართული საისტორიო მეცნიერების ისტორია. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ტრადიციული გზით. ყველა ისტორიკოსს მიაჩნია, რომ ყოველ შემთხვევაში საკუთარი კვლევა-ძიების სფეროში მას შეუძლია ისტორიოგრაფიის ისტორია წეროს. სინამდვილეში ამ ამოცანის შესრულება ყველას როდი ხელეწიფება. ისტორიოგრაფიის ისტორია გახლავთ აზროვნება აზროვნების ისტორიის შესახებ, ე. ი. იგი საერთოს ავლენს ფილოსოფიასთან. მხოლოდ ამ პირობით და სათანადო ცოდნით შეიძლება ისტორიოგრაფიის ისტორია განვითარდეს. სხვანაირად ჩვენ გვექნება „საქართველოს ისტორიის ნარკვევებზე“ კიდევ უფრო ცუდი ნიმუში. მაგრამ ცხადია, მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიით ვერ შემოვიფარგლებით, ამასთანავე აუცილებელია დასავლეთის ისტორიოგრაფიის, სახელდობრ დიდი ისტორიკოსების შემოქმედების შესწავლაც.

უმწეო მდგომარეობაშია ისტორიის მეთოდოლოგია. თუ რუსულმა ისტორიოგრაფიამ როგორც უკვე ვამბობდით, ამის საჭიროება კარგა ხანია გაიცნობიერა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს დღემდე ვერ მოხერხდა. დღემდე, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიკოსებს თავს ჰქონდათ მოხვეული ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმი. მაგრამ ჩვენის მტკიცე რწმენით კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის ერთ სიბრტყეში წარმოდგენა გამორიცხულია. სახელდობრ, ვ. ი. ლენინი არ გახლდათ იმ რანგის მოაზროვნე, რომელზედაც დაყრდნობით შეიძლებოდეს ისტორიის მეთოდოლოგიის განვითარება. საკუთრივ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თაობაზე კითხვა ასე დაისმის: ათენტური მარქსიზმი ემთხვევა თუ არა სახელმწიფოს? თუ ემთხვევა მაშინ მასში ისტორიოგრაფიისათვის, კერძოდ მისი მეთოდოლოგიისათვის არაფერი ფასეული არ ყოფილა. მაგრამ მისი (ათენტური მარქსიზმის) სათანადო გააზრება გაძნელებულია. ისე მოხდა რომ ერთ დროს თითქმის ყველა ისტორიკოსი მარქსისტად აცხადებდა თავს. ახლა კი ისეთი დრო დადგა, რომ თითქმის ყველას ანტიმარქსისტად წარმოუდგენია თავი. ამჯერად არ შევუდგები, იმ ფერისცვალების ანალიზს. გვინდა ყურადღება მივაქციო, იმას, რომ ამგვარი ფერისცვალებისას აზრი ეკარგება მარქსიზმის რამდენიმე ადეკვატურ ცოდნას, შემოქმედებით ათვისებას. დავუშვათ რომ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნააზრევში ფასეული არაფერია. მაშინ ხომ უნდა მივმართოთ სხვა მიმდინარეობებს თუ არა და მაშინ ჩვენ უბრალო უარმყოფელობასთან გვექნება საქმე. კარგა ხანია დროა რომ აღნიშნულ საკითხზე ქართველმა ისტორიკოსებმა ფართო სჯა-ბაასი წამოიწყონ.

ისტორიული პროცესის სათანადო ცოდნა შეუძლებელია ფსიქოლოგიის გარეშე. ისტორიული პიროვნების მიმართ ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია ცნობილი გახლავთ. მაგრამ კიდევ უფრო შორს წასვლაა საჭირო: უნდა ვიცოდეთ შედარებით მცირე სოციალური ჯგუფების, კლასების — ხალხების ფსიქოლოგია. XX ს-ის სინამდვილეს კი ვერ გადმოვცემთ მასების ფსიქოლოგიის ცოდნის გარეშე. ამ თვალსაზრისით ისტორიის მეთოდოლოგიის არსენალი კარდინალურად გასაახლებელია.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ისტორიულ დემოგრაფიას. ამ სფეროში მუშაობა ეპიზოდური კი არ უნდა იყოს, არამედ სისტემატური ხასიათის და, რაც მთავარია, ივი დილეტანტმა კი არ უნდა იკვლიონ, არამედ სათანადო მეთოდოლოგიითა და ცოდნით აღჭურვილმა ისტორიკოსმა.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეთნოგენეზისს, გენეალოგიას, განსაკუთრებით ისტორიული საგვარეულობის ისტორიას.

ზემოაღნიშნული ეხებოდა საქართველოს ისტორიის შესწავლას. მაგრამ აქტუალური ამოცანა გახლავთ მსოფლიო ისტორიის სათანადო მეცნიერული შესწავლაც. აქამდე ქართული ისტორიოგრაფია ჯერდებოდა ჩვენი ქვეყნის კონტაქტების შესწავლას სხვა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან, ხოლო ამ ქვეყნების ისტორიული პროცესების შესწავლისას უბრალო ეპიგონები ვიყავით. ახლა ამოცანა ასე დგას: ან სერიოზულად უნდა შევისწავლოთ სხვა ქვეყნების ისტორია, ანდა დავჯერდეთ შესაბამის ისტორიკოსთა ნაშრომების თარგმანებს.

რაკი სიტყვამ მოიტანა უნდა აღინიშნოს უცხოეთის კლასიკოს ისტორიკოსთა ქართულ ენაზე თარგმნის აუცილებლობა.

3) რესულ. საბჭოურ მარქსიზმში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნააზრევის გაყალბების უამრავი მაგალითი გვაქვს. ერთ-ერთ შთამბეჭდავ მაგალითს წარმოადგენს სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების საკითხი. თითქოს ყველა ძველი ქვეყანა — ეგვიპტე, შუამდინარეთი, ინდოეთი, ჩინეთი, ირანი და ა. შ. გადიოდა ერთი და იგივე საფეხურებს. ამდენად, სქემა ასახავდა ბევრ ისტორიულ რეგიონს და არა კაცობრიობას მთლიანად. როდესაც ჰეგელი შეეცადა განვითარების იდეის გააზრებას, იგი (განვითარება) გაცნობიერებულ იქნა მთლიანად მთელი კაცობრიობის ისტორიაში და არა ერთი რომელიმე ქვეყნის ისტორიის მაგალითზე: მთელი კაცობრიობის ისტორია სრულადაც არ ემთხვევა ცალკე აღებული ქვეყნის ისტორიას. იგივე იდეა განავითარა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, ოღონდ, რასაკვირველია, ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე. ასე რომ, მარქსიზმის კლასიკოსების აზრით სოციალური განვითარების იდეა, სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების თანამიმდევრობა ასე ჩამოყალიბდა: არქაული კომუნიზმი, აზიური წარმოების წესი, ანტიკურობა, ფეოდალიზმი (ძირითადად დასავლეთ ევროპაში) და კაპიტალიზმი.

რაც შეხება ცალკე აღებული ქვეყნების ისტორიას, იგი სულაც არ იყო ისეთივე მდიდარი შინაარსისა როგორც მთელი კაცობრიობის ისტორია. ამდენად, თითოეულ შემთხვევაში სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების პრობლემა ცალკე გააზრებას თხოულობს. კერძოდ, საქართველოს ისტორიული პროცესი ამგვარი სქემით წარმოგვიდგება : არქაული ფორმაცია, აზიური წარმოების წესი, ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი (ცხადია, რაც საქართველოში არსებობდა საბჭოთა პერიოდის მანძილზე იგი შორს იდგა სოციალიზმისაგან).

თუ სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების იდეას ასე გავიგებთ, მაშინ თეორია მათ შესახებ ნამდვილად მეცნიერულად წარმოგვიდგება, ხოლო თუ მას (ამ თეორიას) გავიგებთ ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის და საერთოდ საბჭოური იდეოლოგიის კვალობაზე, მაშინ ფორმაციების იდეას არავითარი მეცნიერული მსჯელობა არ ექნება.

რა თქმა უნდა, შემოქმედების აბსოლუტური თავისუფლება უნდა იყოს ისტორიოგრაფიაშიც. აქედან გამომდინარე, თითოეულ ისტორიკოსს აქვს უფლება წეროს ნებისმიერი მეთოდოლოგიის საფუძველზე და ნებისმიერი სქემით. მას შეუძლია გამოიყენოს ჯ. ვიკოს, ო. კონტის, ნ. დანილევსკის, ო. შპენგლერის, ა. ტოინბის, პ. სოროკინის და სხვათა სქემები. მაგრამ ალტერნატივების ძებნა თვითმიზანი როდი უნდა იყოს, არამედ სტიმულირებული უშუალოდ მეცნიერების მოთხოვნილებით. ღმერთმა ქნას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ იქნეს პლურალიზმი, მათ შორის საქართველოს ისტორიული პროცესის საფეხურების გააზრების საკითხში.

ᲡᲕᲘᲛᲝᲜ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ამ ბოლო დროს მეცნიერებაში გაჩნდა ფორმაციათა საკითხის გადასინჯვის ტენდენცია. ეს შესაძლოა გარკვეულწილად მართებულიცაა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ისტორიული განვითარების დიალექტიკურ პროცესს გვერდს ვერ ავუვლით. დაკვირვების ეხ სფერო ჯერ კიდევ ანტიკურობაში იშვა და განვითარებული ფორმით ჰეგელისეული კონცეფციებით ჩამოყალიბდა. იგი მოქმედებს ბუნებაში და კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპებს ქმნის. უდავოა ისიც, რომ ამ მხრივ მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა მწარმოებლურ ძალებს — საწარმოო იარაღს, შრომის პროცესში მასთან ერთად განვითარებულ მწარმოებელს და წარმოების საშუალებებს ენიჭება. ბუნებრივია, რომ მწარმოებლური ძალების განვითარება არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმებს უპირისპირდება და თანდათან მის გარდაქმნას ახდენს (რევოლუციური ან ევოლუციური გზით). სხვა მხრივ პირველყოფილი საზოგადოებიდან მონათმფლობელურ ან ფეოდალურ ურთიერთობათა, ან შემდგომ კაპიტალიზმის წარმოშობას ვერ ავხსნით. ეს პროცესი და ეტაპები ყველა ხალხმა გაიარა და, ამდენად, მას კანონზომიერი ხასიათი აქვს. თუ ჩვენ ნებისმიერი ისტორიის და, კერძოდ, საქართველოს ისტორიის მოვლენებს ამ კუთხით არ გავაშუქებთ მაშინ ურთიერთდაუკავშირებელ და გაუაზრებელ მოვლენებსა და ფაქტებთან გვექნება საქმე, რომლებიც ცნობიერებაში ვერ ჩაჯდება.

შევჩერდებით ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც, ჩვენი აზრით, გარკვეულ კომენტარს საჭიროებს.

დღეს ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე (მხედველობაში გვაქვს ქართული პრესა და საზოგადოებრივი აზრი), რომ დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში მკაცრი პოლიტიკური და დიქტატორული რეჟიმი იყო დამყარებული. ეს სულ მთლად ასე არაა. მართალია, დავით აღმაშენებელმა ქვეყნის გაერთიანებისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის მკაცრი ზომები მიიღო, მაგრამ ეს ეხებოდა დიდფეოდალთა პარტიკულარისტულ ტენდენციებს, ლიპარიტ-ბაღუაშისა და მის გარშემო შემოკრებილი განდგომის მოსურნე დიდფეოდალთა ოპოზიციური განწყობილების დათრგუნვას. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით დავით აღმაშენებლის დროის საქართველოს მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესახებ. შევეხოთ თუნდაც იმდროინდელი ეკლესიის ძლიერი ფეოდალური ინსტიტუტის ცხოვრებას. 1103 წლის საეკლესიო კრებაზე, როგორც ცნობილია, დადგინდა, რომ წოდებრიობის პრინციპით ეპი-

სკოპოსების და სხვა საეკლესიო თანამდებობაზე აღზევებული დიდფეოდალთა წრის უღირსი წარმომადგენელნი გადაეყენებიათ და მათ ადგილზე თუნდაც დაბალი სოციალური წრის ღირსეული ადამიანები დანიშნულიყვნენ. ე. ი. გზა მიეცა ადამიანთა განათლების, ღირსების მიხედვით დაწინაურებას, განურჩევლად წოდებრიობისა. ამრიგად, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს „ის, რის ქადაგებაც გიორგი მთაწმინდელმა გაბედა, დავით აღმაშენებელმა განახორციელა: ქართული ეკლესიის დემოკრატიული წყობილება უკვე აღიარებული იყო[1]. უფრო მეტი, მომდევნო პერიოდებშიც თვით საერთო ხელისუფლებაშიც ვხედავთ დაბალი სოციალური წრიდან აღზევებულ პიროვნებებს (ნაყიფჩაღარი ყუბასარი და სხვა).

განა დემოკრატიზმის გამოვლენა არ იყო ის ცნობილი ფაქტი, რომ დავითის განკარგულებით „თბილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნოებისდა მიუხედავად, ისით მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ჩაყენებული, რომ არც ერთი მათგანის ეროვნული და სარწმუნოებრივი გრძნობა შელახული არ ყოფილიყო“[2].

რა თქმა უნდა, საქართველოს გაერთიანების დროიდან მეფის ცენტრალური ხელისუფლება დაბალი სოციალური წრიდან აღზევებულ თავის ერთგულ ხალხს იკრებდა. რომელთაც განდგომის მოსურნე დიდფეოდალთა ოპოზიციას უპირისპირებდა, „ამნაირად, თანდათან დიდგვაროვან მოხელეთა გვერდით მსახურეულ „შეწყალებულთა“ ჯგუფი უნდა გაჩენილიყო, რომელიც მარტო დიდგვაროვნობას და „მემამულე“ აზნაურობას იყო მოკლებული. მაგრამ რომელთა წევრნი გონებრივად ძლიერნი იყვნენ და მრავალ ნაწყალობევ ციხე-ქალაქ-სოფლების „პატრონებად“ იყვნენ აღზევებულნი“[3].

მისანიშნებელია ისიც, რომ ეს ტენდენცია საქართველოში მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდება (მაგალითად, გიორგი სააკაძე და მისი მამა სიაში დაბალი სოციალური წრიდან თანამდებობაზე აღზევებული მსახურეული პირები იყვნენ). ხოლო XI—XII სს. ისტორიულ, ფილოსოფიურ თუ ლიტერატურულ თხზულებებს დაბალი სოციალური წრიდან აღზევების შესაძლებლობის დაშვება ერთ მთლიან ხაზად გასდევს. იგივე ვითარება გვხვდება შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ შერმადინის სპასპეტის პოსტზე განმწესებისა, ასმათის მეფედ აღზევების აღწერით და სხვა[4].

მაშასადამე, XI—XII სს. საქართველოში, იმდენად, რამდენადაც ეს ფეოდალურ სამყაროში იყო შესაძლებელი, ასე ვთქვათ, „დემოკრატიზმის“ პრინციპების არსებობაც შეიმჩნევა. რაც უდავოდ ყურადღებას იმსახურებს.

ქართული ისტორიოგრაფიის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღემდე სპეციალური ავლევის საგნად არ ქცეულა ქართული დიპლომატიის და პოლიტიკური აზროვნების საკითხი. სპორადული სახით შეეხო ამ საკითხს აკად. ივ. ჯავახიშვილი. ამ ბოლოს ცალკეულ წე-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI—XV სს., თბ., 1949. გვ. 44.

2 იქვე, გვ. 51.

3 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, თბ., 1928. გვ. 93.

4 იხ. სვ. გამსახურდია, საზოგადოებრივი ისტორიული აზრის განვითარება XI ს. საქართველოში, თბ., 1966.

რილებში გარკვეულ საკითხებზე ყურადღება გაამახვილა პროფ. ილ. ტაბაღუამ და სხვ. მაგრამ მონოგრაფიული ნარკვევი არ გაგვაჩნია და ქართველ მკითხველს სახელმწიფოებრივი დიპლომატიის განვითარებისათვის, მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების გაანალიზებისა და შეფასებისათვის თვალის მიდევნების საშუალება არა აქვს.

საღღეისო მოვლენებმა აშკარად დაგვანახა, რომ პოლიტიკური აზროვნების განვითარება აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილებას უდავოდ ითხოვს.

მაგალითად, როგორ შეიძლება შეფასება არ მიეცეს საქართველოში არაბთა შემოსვლასას ქართლის ერისმთავრის პოლიტიკურ ნაბიჯს, რითაც საქართველომ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი თავიდან აიცილა. ასევე ვიტყოდით დავით კურაპალატის, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლის, თამარის სამეფო კარის, გიორგი ბრწყინვალის, ერეკლე მეორის პოლიტიკურ-დიპლომატიურ საქმიანობათა შესახებ.

ყურადღებას იქცევს დავით აღმაშენებლის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, იგი თანმიმდევრული, აუჩქარებელი და შორს გამიზნული მოქმედებებით ხასიათდება. მან კარგად უწყის, რომ საგარეო საქმეთა განხორციელება შეუძლებელია ვიდრე ქვეყნის შიგნით ფეოდალური აღვირახსნილობა არ დაითრგუნება. სწორედ ამიტომაა მისი მკაცრი პოლიტიკა დიდფეოდალთა წინააღმდეგ მიმართული.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დავით აღმაშენებელი თვალს ადევნებს შავი ზღვისპირეთისა და ჩრდილო კავკასიის ამბებს, ვლადიმირ მონომახის მიერ ყიფჩაღთა ტომების შევიწროების ფაქტს, რითაც სარგებლობს და საქართველოში მათი გადმოსახლების ორგანიზაციას ახდენს. საყურადღებოა ისიც, რომ დავითი სანამ შეზობელ სახანოებში არ განიმტკიცებს მდგომარეობას და ვიდრე მეზღვიე ჯარს არ შექმნის, თბილისზე გალაშქრებას ერიდება. მაშასადამე, დავით აღმაშენებელი ითვალისწინებდა, რომ თბილისზე გალაშქრება მას მთელ მახლობელ მაჰმადიანურ სამყაროსთან დააპირისპირებდა. ეს ასეც მოხდა.

საინტერესო სურათი გვაქვს თამარის სამეფო კარის მიერ ყუთლუ არსლანის, შეთაურობით ამბოხებული დიდფეოდალთა დასის მიმართ შემუშავებული დიპლომატიის სახით. იმჟამინდელმა ხელისუფლებამ სათანადოდ შეაფასა საქმის ვითარება. „ისნის კარავზე" გალაშქრება შინაფეოდალურ ომს და ქვეყნის დასუსტებას გამოიწვევდა. საჭირო იყო გარკვეულ დათმობებზე წასვლა. ასევე საინტერესოდ ჩანს დიდფეოდალ მანდილოსნების ხუაშაქი ცოქალის („დედა ქართლისა ერისთავ-ერისთავისა რატისი") და კრავაი ჯაყელის („დედა აწ მყოფთა სამძივართა") მოლაპარაკებაში ჩართვა, რამაც ნაყოფი გამოიღო.

არაერთგვაროვანი შეფასება აქვს დღეს ერეკლე II-ის მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ კურსს. მოგეხსენებათ, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ვითარება მეტად რთული იყო. თემურაზმა და ერეკლემ მძიმე მემკვიდრეობა მიიღეს. სახელმწიფო ხაზინა გაღარიბებული იყო. დროთა ვითარებაში — მონღოლობის, ოსმალობის, ყიზილბაშობის აგრესიის შედეგად, ასევე, „ტყვეთა სყიდვის" და აბრაგობის (ლეკიანობის) გამო, რასაც ადრე მიწისძვრები და პერიოდული ეპიდემიები ემატებოდა, მოსახლეობის რიცხვობრივმა შემადგენლობამ საგრძნობლად იკლო. რუსი მოხელეების ბუტკოვისა და ბურნაშევის ცნობით, აღ-

მოსაელეთ საქართველოში დაახლოვებით 35000 კომლი სახლობდა. კომლზე რომ საშუალოდ 5 სული ვიანგარიშოთ სულ 175 000 სული მოსახლე იქნება. გავზარდოთ ეს ციფრი 300 000-მდე და მას დასავლეთ საქართველოს 400 000 თუ დავუმატებთ გამოგვივა 700 000. ე. ი. მილიონზე ნაკლები სული მოსახლე. ამიტომ ყავდა ერეკლე მეორეს ბრძოლებში მცირერიცხოვანი ჯარი. კერძოდ, კრწანისის ბრძოლაში 5 000 კაცი 35 000 სპარსის წინააღმდეგ, რომელთაგან 1 500 დასავლეთ საქართველოდან იყო დასახმარებლად მოსული და სხვ.

ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოს გარშემო იმპერიული სახელმწიფოები დაჯგუფდა. მათ შორის მტრულად განწყობილი ოსმალეთი და სპარსეთი. საკმარისი იყო, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში მრავალრიცხოვანი არმიით დაპყრობითი ლაშქრობა განხორციელებულიყო, რომ ქართველი ერი ფიზიკური განადგურების წინაშე დამდგარიყო.

საკითხის ამდაგვარი სქემატური ახსნაც კი დამაფიქრებელი კითხვის წინაშე გვაყენებს, თუ რა გზას უნდა დასდგომოდა ერეკლე საქართველოს გადარჩენისათვის. ასევე, რა სურდა მას 1783 წლის ტრაქტატით? აშკარად ჩანს ერთი რამ. ტრაქტატის მუხლებით საქართველოს სუვერენიტეტი დაცულია. მას მოკავშირეობითი მფარველობითი ელფერი ადევს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერეკლე რუსეთის შემწეობით საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებას ესწრაფვოდა. გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ რუსეთში გაგზავნილ ადრეულ წერილებში იგი მესხეთ-ჯავახეთის დაბრუნების საკითხზე არაერთგზის მიუთითებდა. შესაძლოა ამიტომაც იზღუდება იგი საგარეო საქმეების დამოუკიდებლად განხორციელებაში.

ერეკლეს მიაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის თუნდაც მცირერიცხოვანი ჯარის ყოფნა (არტილერიითურთ) გარანტი იქნებოდა მაჰმადიანური ქვეყნებიდან მოსალოდნელი აგრესიის მოგერიებისა თუ აღკვეთისათვის, რამეთუ ასეთ შემთხვევაში თვით ძლევამოსილ რუსეთთან ექნებოდათ საქმე. სულ სხვაა რუსეთის მზაკვრული პოლიტიკის საკითხი (ტრაქტატის მუხლების დარღვევა და საქართველოს ბედის ანაბარად მიტოვების ფაქტი). ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ თუ ერეკლე სპარსეთის ორიენტაციას აღებდა, როგორც ამას თავის ფირმანში აღა-მაჰმად-ხანი სთავაზობდა, აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის „მეგობრობის" მარწუხებს თავს ვეღარ დააღწევდა. თავისთავად, აღა-მაჰმად-ხანის მიერ შემოთავაზებული მეგობრობა იმას ნიშნავდა, რომ აღმოსავლეთ საქართველო კვლავ სპარსეთის ვასალად და შემდგომ მის პროვინციად ქცეულიყო, როგორც ეს შაჰ აბასის დროიდან იყო. მაშასადამე, ერეკლე II მეტად რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში იყო მოქცეული. მის მიერ გადადგმულ მცდარ ნაბიჯს შესაძლოა საქართველო საერთოდ დაეღუპა. ამ რთულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა ერეკლეს მიერ გამოსავალი გზების ძიება. ტრაქტატმა განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია. მაგრამ ეს არ ნიშნავდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას. საქართველოს რუსეთთან შეერთება, უფრო სწორად, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა სულ სხვა გარემოებამ გამოიწვია. რასაც ჩვენ გვერდი არ უნდა ავუაროთ და სათანადო შეფასებაც უნდა მივცეთ. ამის მიზეზი იყო ერეკლეს გარდაცვალების შემდგომ ატეხილი ფეოდალური აშლილობა, რაც ტახტის მემკვიდრეობისათვის ბრძოლამ გამოიწვია. იულონი მთელს ქართლს იჩემებდა და თავს მეფედ აცხადებდა. ვახტანგი ყოფილ არაგვის საერისთავოს დაეუფლა, მირიანი მარტყოფში და მთელ გარეკახეთში გაბატონდა, ფარნაოზი

დაჯდა სურამს, ალექსანდრე სპარსეთს გადაიხვეწა. ამხედრებული ძმების დასაშოშმინებლად გიორგი მეფე ლეკთა დაქირავებას აპირებდა. დარეჯან დედოფალი და ბატონიშვილები ახალციხის ფაშას და აზერბაიჯანის ხანებს, ხან კი რუსეთს სთხოვდნენ დახმარებას.

ნათელი სურათია — ნაცვლად იმისა, რომ ერეკლეს ძეთა გაეთვალისწინებიათ ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია, სპარსთა ლაშქრობის შემდეგ შექმნილი მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, ერთურთს დაერივნენ, რისი შედეგებითაც ისარგებლა რუსეთის საიმპერატორო კარმა და საქართველო დაიპყრო.

გავრცელებულია საზოგადოებრივი აზრი თითქოს ერეკლე II-ემ პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც 90-იან წლებში დასავლეთ საქართველოს შემოერთების შესახებ შემოთავაზებული წინადადება უარყო. პირიქით, აქ ჩვენ ერეკლე მეფის პოლიტიკურ საზრიანობას და შორს განჭვრეტას ვხედავთ. იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოს შემოერთება თურქეთის მხრიდან აშკარა აგრესიას გამოიწვევდა. ერეკლეს სამხედრო შესაძლებლობათა შესახებ ზემოთ მოტანილი სურათი თურქეთთან ომს გამორიცხავდა. მით უმეტეს, რომ ახალციხის საფაშო კვლავ მის ხელთ იყო. პოლიტიკურად უფრო გამართლებულ ნაბიჯად მიგვაჩნია ერეკლეს მიერ საქართველოს მეფე-მთავართა ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში გაერთიანების წინაპირობა უნდა ყოფილიყო.

როდესაც ქართული პოლიტიკური აზროვნების და დიპლომატიის საკითხებზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს უარყოფითი მოვლენები, რაც თანადროულ და მომავლის დიპლომატიაშიც ალბათ გასათვალისწინებელი იქნება. ესეც არ იყოს თუ ამ საკითხებს სათანადოდ არ გავაანალიზებთ პოლიტიკური აზროვნების სრულ სურათს ვერ წარმოვაჩენთ. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

როგორც ცნობილია, იშვიათად დამანგრეველი იყო საქართველოსათვის თემურ ლენგის შემოსევები. თითქმის 20 წლის განმავლობაში სპორადული შემოსევების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთ-ჰერეთში დაიხოცა უამრავი ხალხი, განადგურდა ციხე-კოშკები, საეკლესიო ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები. თვით თემურ ლენგის ისტორიკოსის თქმით, ამდენი შენობა ინდოეთის ლაშქრობაშიც კი არ დანგრეულა. გარდა ფიზიკური განადგურებისა, მოსახლეობას ეკონომიური ომით გამოწვეული შიმშილობა ხოცავდა. ამ ფაქტების კონკრეტიზაცია შეიძლება მოვახდინოთ გრიგოლ ავგაროზის ძე ბანდაიძის ცნობით, რომელსაც 14 00 წლისათვის დახოცვია ხუთი ძმა, ექვსი შვილი და მეუღლე. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს — „საქართველო რომ თემურ ლენგთან უთანასწორო ბრძოლაში ასე არ დასუსტებულიყო. მას XV და XVI სს-ში გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ისე არ გაუძნელდებოდა, როგორც მას, ხალხის სიმცირისა და ქვეყნის განადგურების გამო ჰქონდა ძნელებული“[5].

იბადება კითხვა — შეიძლებოდა თუ არა თემურ ლენგის ასეთი დამანგრეველი შემოსევებისაგან საქართველოს გადარჩენა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა თუ ქართული სამეფო კარი გაითვალისწინებდა რა სამხედრო ძალასთან ჰქონდა საქმე და რა იყო თემურ ლენგის შემოსევის მიზეზი. როგორც ჩანს,

---

5 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI—XV სს., თბ., 1949, გვ. 223.

თემურ ლენგს ჩრდილოეთის ულუსის ხანის, თოხთამიშისაგან თავის დასაცავად დარიალის კარის ჩაკეტვა აინტერესებდა. ნაცვლად მოქნილი პოლიტიკისა გიორგი VII-ემ მონღოლთა წინააღმდეგ აქტიური, შემტევი პოლიტიკა განახორციელა, რამაც მდგომარეობა იმთავითვე გაართულა. აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით, „საქართველოში საქმეთა მაშინდელი მიმდინარეობის დაკვირვებული განხილვის შემდგომ, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს ის მრავალგზის აოხრება, რომელიც ქვეყანას თავს დაატყდა, მარტო თემურ ლენგის ბრალი არ იყო. დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ბრძოლა სრულებით კანონიერიცა და ბუნებრივიც იყო საქართველოსათვის, მაგრამ გიორგი მეფეს გათვალისწინებული არ ჰქონდა, რა პირობებშია აქტიური პოლიტიკის განხორციელება შესაძლებელი და რა პირობებში უკვე ასეთი მოქმედება მიზანშეწონილ ნაბიჯად არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო“ ...„თემურ ლენგის საქართველოსადმი პირველი შემოსევის დროს შედარებით „ლმობიერი“ მოქმედება ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობას რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება აესრულებია, ის საქართველოს თავისი შემოსევით აღარ შეაწუხებდა“. და ბოლოს დასძენს აკად. ივ. ჯავახიშვილი — „თემურ ლენგის სიკვდილმა კი ცხადჰყო, რომ ფრთხილი პოლიტიკის საშუალებით საქართველოს შეეძლო ის საშინელი უბედურებაც თავიდან აეცილებინა, რომელიც მას თემურ ლენგის მრავალგზისი შემოსევის დროს თავს დაატყდა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენაც გაცილებით უფრო ადვილად და სწრაფად მოხერხდებოდა“ ...„მაგრამ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და მიზანშეწონილი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის უნარი გიორგი მეფეს აკლდა“[6].

ასევე შეიძლება ითქვას თეიმურაზ I-ის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის შესახებ, რამაც აღმოსავლეთ საქართველო და კერძოდ კახეთი განადგურების პირას მიიყვანა. მას არ აღმოაჩნდა ნებისყოფა ქვეყნის გადარჩენის მიზნით შაჰს ხლებოდა (რომელმაც მასთან შეხვედრა რამდენჯერმე მოითხოვა), რათა ძალთა თანაფარდობის სწორი შეფასებით გარკვეული დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა. თავის ნაცვლად ორი მცირეწლოვანი შვილი და დედა-ქეთევანი გაგზავნა, რომლებიც საბოლოოდ, განწირულები აღმოჩნდნენ.

ქვეყნის უბედურების თავიდან აცილებისათვის შაჰ-აბასის იმ განზრახვისაგან, რომელიც ქართლ-კახეთის საერთოდ აყრას და აქ სპარსელთა ჩამოსახლებით საბოლოოდ დამკვიდრებას ისახავდა მიზნად, საჭირო იყო ქართველ მეფეებს დიპლომატიური შორს გამიზნული მოქმედება წამოეწყოთ და ბრძოლისათვის გაერთიანებულიყვნენ და არა უაზრო, გამაღიზიანებელი შეტაკებები გაემართათ. კერძოდ, თეიმურაზის პარტიზანული ხასიათის ომებს, ფაქტობრივად, კახეთის აოხრება მოჰყვებოდა ხოლმე, თავად კი იმერეთს გადაიხიზნებოდა და თავს მშვიდად გრძნობდა. შაჰ აბასის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში აღნიშნავს კიდეც — „თეიმურაზის უწესობის, აჯანყებისა და შფოთის საზღაურად რამდენიმე გზის დაატყდა თავს შაჰის რისხვა, რომელიც ღვთის რისხვის ნიმუში არის და ხოცვა-ჟლეტის, ტყვევნისა და ნგრევის შედეგად სრულიად გაველანებული იყო“ კახეთიო[7]. სპარსელთა რამდენიმე ლაშქრობის შედეგად კი, განსაკუთრებით 1617 წელს, კახეთმა მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა— ასი ათასი ირანში ტყვედ წაასხეს.

---

[6] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია,

[7] ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969.

ამგვარი პოლიტიკური შეცდომებითაა აღსავსე თეიმურაზის მოღვაწეობის შემდგომი პერიოდიც, რაზედაც სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი ფენომენი გარკვეულ შეფასებას კვლავ საჭიროებს. მას მიეწერება მარაბდის ბრძოლაში დამარცხება, რამეთუ გიორგი სააკაძის გეგმა უარყო, ბაზალეთის ბრძოლის გამოწვევა, გიორგი სააკაძის გარდახვეწის შემდგომ შფოთის ატეხვა, რასაც ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს კვლავ დაყოფა მოჰყვა და სხვა.

ცალკე განსახილველია გიორგი სააკაძის პიროვნება, ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, რომელთა შორის ჩვენს ყურადღებას იქცევს პროფ. გ. ჯამბურიას და ჯ. ღვინჯილიას მონოგრაფიები. ამავე საკითხს ჩვენც მივუძღვენით ორიოდე სტატია[8]. მიგვაჩნია, რომ გიორგი სააკაძე ეროვნული გმირია, რომლის ცხოვრების ტრაგედია სოციალური ბრძოლის შედეგად წარმოიშვა.

ვერ ვიტყვით, რომ 1917—1921 წწ. საქართველოს მენშევიკური მთავრობის პოლიტიკური და დიპლომატიური შორსჭვრეტა სათანადო სიმაღლეზე იდგა. ამ გარემოებამ განაპირობა საბოლოოდ ის სერიოზული მარცხიც, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დაკარგვას მოჰყვა. ის შინაგანი და საგარეო პოლიტიკური კრიზისი, რამაც საზოგადოებრივ პოტენციურ ძალთა დაშლა, ეკონომიური სიძნელეები და საქართველოს საზღვრების გაუკუღმართების წინაპირობები შექმნა. კლასობრივი და ეროვნაციონალური ბრძოლისათვის თავდადებულ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მენშევიკურ ფრაქციას თავისი შეხედულებები ჰქონდა მოვლენებზე, ამ თავისებური შეხედულებებით განისაზღვრა მათი პოზიცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის საკითხზეც, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში მომხდარ იძულებით და დროებით აქტად მიაჩნდათ. აღნიშნული პოზიცია გამოიკვეთა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისთანავე მენშევიკური მთავრობის გაზეთში გაკეთებული განცხადებით, სადაც სხვათაშორის წერია — „ამიერკავკასიის მთლიანობის დარღვევამ აიძულა ქართველი დემოკრატია, გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. აი, სწორედ ამ გარემოების, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების გამო ეძლევიან ჩვენი ნაციონალისტები უსაზღვრო სიხარულს. შეუძლია ქართველ დემოკრატიას ნაციონალისტებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ამ სადღესასწაულო ზეიმში? ცხადია არა, იმიტომ რომ ქართველ დემოკრატიას ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავისი მიზნისათვის. საქართველოს დამოუკიდებლობა მისთვის მიზანს არ შეადგენდა. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებას დღევანდელ პირობებში დემოკრატია უცქერის, როგორც იძულებით ნაბიჯს. გარეშე ძალთა მიერ ნაკარნახევს"[9].

იქნებ მოვლენის ასეთმა შეფასებამ განსაზღვრა ის, რომ მენშევიკური მთავრობა ნაკლებად ზრუნავდა არმიაზე. ზოგჯერ უდიერადაც ეპყრობოდა ერთგულ გენერლებს, ყურად არ იღო კასპიისპირეთში მე-11 არმიის ჩამოყალიბების ფაქტი. მხოლოდ მაშინ მიიღო ღონისძიებანი როცა არმია საქართველოს საზღვრებში შემოვიდა.

---

[8] ჟურნ. „ცისკარი", 1942, № 4, გაზეთი „თბილისი", 1988 წლის 14 სექტემბერი.

[9] გაზ. „ერთობა", 1913 წ. 11 ივნისი.

როდესაც მეორე ინტერნაციონალის ბელადები — კაუცკი, მაკდონალდი, ვანდერვილდე, რენოდელი, გიუსმანი და სხვა დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების სანახავად ესტუმრენ საქართველოს, მათ ვერ დაინახეს მთავრობის პოზიტიური მოქმედების საფუძველი. ალბათ ამ გარემოებამ ათქმევინა კაუცკის წინასწარმეტყველური სიტყვები — „სამწუხაროდ, უნდა ვალიაროთ, რომ საქართველო განუხრელად მიექანება ბოლშევიზმისაკენ". შესაძლოა ამანვე განაპირობა ის ფაქტი, რომ ერთა ლიგამ არ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ცოტა უფრო ადრე ერთ-ერთი დიპლომატიური გაუთვალისწინებლობა იყო ის ფაქტი, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების დროს, საქართველოს საზღვრების საკითხის გადაწყვეტისათვის პასიურობა გამოიჩინეს და გერმანელთა შემონათვალზე, რომ მოლაპარაკებაზე საქართველოს წარმომადგენლობის ჩასვლით გარკვეული პოზიცია გამოკვეთილიყო, ევგენი გეგეჭკორის დეპეშით აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის კომპეტენცია რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას გადაეცა[10]. რევაზ გაბაშვილი თავის მოგონებებში ამის თაობაზე გვამცნობს — „და, რადგან კავკასიისა და საქართველოს ინტერესების დამცველად ბრესტ-ლიტოვსკში არავინ აღმოჩნდა, ბოლშევიკები იძულებული იყვნენ აქ დამსწრე ოსმალებისათვის, გერმანიის მოკავშირეთათვის მეტი დაეთმოთ, ვიდრე ერგებოდათ ომის ძალით[12].

და, აი, რატომ გადაეცათ ოსმალებს ზავის კანონიერების ძალით ყარსი, არტაანი და ბათუმი.

ცალკეული შეცდომები აქა-იქ მდგომარეობის გართულებას იწვევდა. მაგალითად, აფხაზეთში სახალხო გვარდიის ჩასვლისას ალექსანდრე შერვაშიძემ გვარდიის შტაბის უფროსს ვ. ჯუღელს დახმარება შესთავაზა, ვ. ჯუღელის მიერ მოვლენების გაუთვალისწინებლობამ და შერვაშიძის დახმარების უბეშად უარყოფამ იმ საბაბით, რომ დემოკრატიული საქართველო ფეოდალების ნაშიერების დახმარებას არ საჭიროებს, მდგომარეობა გაართულა და ოპოზიციური ჯგუფიც შექმნა ტატუშ მარშანიას თაოსნობით, რომელიც აფხაზეთის საქართველოდან სრულ ჩამოშორებას განიზრახავდა, ხოლო ა. შერვაშიძე ბათუმში მყოფ თურქებთან გადასვლით საწინააღმდეგო მოქმედებისათვის ასკერებს აგზავნიდა.

რა თქმა უნდა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ წარმოდგენილი შეცდომების გამომწვევი ისტორიული გარემო. ის ეროვნული საქმეებიც, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში გაკეთდა (სულიერი აღტაცება, ქართული უნივერსიტეტის გახსნა და სხვ.), მაგრამ ეს ცალკე საკითხია. ამჯერად ჩვენ მხოლოდ პოლიტიკურ-დიპლომატიური საკითხების, როგორც ერთ-ერთი მაგალითის სქემატური მიმოხილვა გავაკეთეთ.

---

10 გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, 1917—1925, ტფილისი, 1927, გვ. 25.

11 იქვე, გვ. 70—71.

12 იქვე, გვ. 160.

ამერიკის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების (AOS) 202-ე კონფერენცია

1992 წლის 29 მარტს — 1 აპრილს აშშ ქ. კემბრიჯში ჩატარდა ამერიკის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების (AOS) 202-ე ყოველწლიური კონფერენცია, მიძღვნილი საზოგადოების დაარსებიდან 150-ე წლისთავისადმი (დაარსდა 1842 წ.). კონფერენციაში მოხაწილეობა მიიღო 200-მდე მეცნიერმა ამერიკის და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. მუშაობდა ხუთი სექცია: ძველი აღმოსავლეთის, ისლამის, სამხრეთ და სამხრეთაღმოსავლეთ აზიის, აღმოსავლეთ აზიის, შუა აზიის ისტორიის. თითოეული სხდომა ეძღვნებოდა ამა თუ იმ გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნის ხსოვნას, რომლებიც წლების განმავლობაში იყვნენ ამ საზოგადოების პრეზიდენტები ან მისი საპატიო წევრები — ლ. ოპენჰაიმი, ი. ფინკელშტაინი, არტურ ჯეფერი, ჯორჯ ფ. ჰურანი, ს. დ. გოიტაინი, რეინოლდ ა. ნიკოლსონი, ე. ჰოპკინსი, ჯოზეფ შაჰტი, ნაბია ებოტი, ნორმან ბრაუნი და სხვ.

საშუალება მქონდა დავსწრებოდი ისლამის ისტორიის სექციის ყველა სხდომას. ამ სექციის მუშაობა მოიცავდა აგრეთვე არაბულ ლიტერატურას და მუსლიმურ კანონმდებლობას. მოხსენებებით გამოვიდნენ ევერეტ კ. როუსონი (პენსილვანიის უნივერსიტეტი), მაია შატსმილერი (დას. ონტარიოს უნივერსიტეტი), მაიკლ ბონერი (მიჩიგანის უნივერსიტეტი), თომას დ. გუდრიხი (პენსილვანიის ინდიანას უნივერსიტეტი), ჯეიმს ა. ბელამი (მიჩიგანის უნივერსიტეტი), ვინსენტ ჯ. კორნელი (დიუკის უნივერსიტეტი), თოდ. ბ. ლოუსონი (ტორონტოს უნივერსიტეტი), ენდრიუ რიპინი (მაკგილის უნივერსიტეტი, კალგარის უნივერსიტეტი), დებორა ლ. ბლეკი (ტორონტოს შუა საუკუნების ისტორიის ინსტიტუტი), სიგერ ა. ბონეკერი (კალიფორნიის უნივერსიტეტი), რენატ ჯაკობი (ზაარბრიუკენის უნივერსიტეტი), მ. ჯ. კარტერი (ნიუ-იორკის უნივერსიტეტი). დევიდ ს. პაუერსი (კორნელის უნივერსიტეტი), ქევინ ა. რეინჰარტი (დორტმუდის კოლეჯი), სუზან ა. სპეკტორსკი (ქვინის კოლეჯი, ნიუ-იორკი) ფრანკ ვოგელი (ჰარვარდის უნივერსიტეტი), ვალტერ ფელდმანი (პენსილვანიის უნივერსიტეტი) და სხვ.

მოხსენებები შეეხებოდა არაბთა სახალიფოს ისტორიას, ვაჭრობას შუა საუკუნეების აღმოსავლეთში, სუფიზმის ისტორიის პრობლემებს, ყურანისა და შარიათის შესწავლის ზოგიერთ საკითხს, შუა საუკუნეების არაბულ ლიტერატურას და ა. შ.

ყოველი სხდომის შემდეგ იმართებოდა აზრთა საინტერესო გაცვლა-გამოცვლა და კამათი.

დასკვნით პლენარულ სხდომაზე ეგვიპტოლოგიის, ისლამთმცოდნეობის, მესოპოტამიის, აზიის ისტორიის კვლევის პრობლემებზე ისაუბრეს ჯონ მეინსმა (ოქსფორდის უნივერსიტეტი), ჯონ ა. ბრინკმანმა (ჩიკაგოს უნივერსიტეტი), პოლ კროლმა (ლოს-ანჯელოსის უნივერსიტეტი), მაიკლ რ. დრომპმა (როუდს კოლეჯი) ბერნარდ ლუისმა (პრინსტონის უნივერსიტეტი), როზან როშერმა (პენსილვანიის უნივერსიტეტი).

ისლამიის ისტორიის სექციაზე გამომსვლელთაგან გამოვყოფდი მაიკლ ბონერს. მან ყურადღება გაამახვილა დაპყრობით ომებზე ჰარუნ არ-რაშიდის (786—809) ეპოქაში. უაღრესად საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ქევინ რეინჰარტი — „იყო თუ არა მუჰამადი ქაფირი?“, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუჰამადის მონაწილეობის პრობლემას ისლამამდელი მექის წარმართულ რიტუალებში ავტორი წყვეტს არა ადრინდელ წყაროებზე დაყრდნობით, არამედ ჰანიფიტური ლიტერატურის მონაცემების მეშვეობით.

ენდრიუ რიპინმა ისაუბრა მიმართვის პრობლემაზე ყურანში — „მე“ და „ჩვენ“ — ვის გულისხმობს ეს მიმართვები — ალაჰს, მუჰამადს თუ გაბრიელს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე მაია შატსმილერის მოხსენება დასაქმებისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ შუა საუკუნეების მუსლიმურ სამყაროში. საკმაოდ მდიდარ მასალაზე დაყრდნობით (თუმცა არ აქვს გამოყენებული ბიოგრაფიული ლექსიკონები) კომპიუტერის მეშვეობით ავტორმა მოამზადა ცხრილა და პროცენტულად გამოიანგარიშა სხვადასხვა სახის წარმოება (ტყავის, ქსოვილების, წიაღისეულის, მიწათმოქმედება) VIII—XV სს. მუსლიმურ სამყაროში — ტაბარისთანი, ერაყი, ეგვიპტე და ა. შ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი აკეთებს ზოგად დასკვნებს მთლიანად შუა საუკუნეების მუსლიმური სამყაროსთვის ეგვიპტიდან ერაყამდე თანაც დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის— VIII—XV სს.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე დევიდ პაუერსისა და სუზან სპეკტორსკის მოხსენებები სამემკვიდრეო სამართლის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე ჩემი პირადი დაკვირვებიდან, ქართველი აღმოსავლეთმცოდნეობის მონაწილეობა ამგვარ კონფერენციებში, მათი ცოდნა და გამოცდილება ბევრს შემატებდა არა მარტო ამერიკულ, არამედ მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობას.

მაია მახტანგაძე